საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ვახტანგ გოილაძე

ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი

თბილისი
„მეცნიერება"
1991

63.3 (2Г)
Г 629

Вахтанг Иосифович Гоиладзе

ВАХТАНГ ГОРГАСАЛИ И ЕГО ИСТОРИК

(на грузинском языке)

ძველი ქართული და უცხოენოვანი წყაროების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერი თვით ვახტანგ გორგასლის (გარდ. 491 წ.) თანამედროვე და მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი უნდა ყოფილიყო.

ჯუანშერის ცნობების სხვა საისტორიო წყაროებთან შეჯერებისა საფუძველზე დადგენილია ვახტანგ გორგასლის და მისი ოჯახის წევრთა ცხოვრების წლები, გარკვეულია ჰუნებისა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ (ირანელებთან ერთად) ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის მარშრუტი, დადასტურებულია დღემდე ანაქრონიზმად ან არარეალურად მიჩნეული ზოგიერთი ცნობის სანდოობა. ავტორის დასკვნით, ჯუანშერის თხზულება სანდო საისტორიო წყაროა არა მარტო V ს. ქართლის სამეფოს, არამედ მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვისაც.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა

[illegible] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საredaქციო-გამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4561

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი თ. ჯ ა ყ ე ლ ი
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ნ. ფ ი ფ ი ა

გადაეცა წარმოებას 6.2.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.8.91;
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი; გარნიტურა ვენური
პირობითი საბეჭდი თაბახი 12,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,9;
ტირაჟი 4200; შეკვეთა № 230; ფასი 3 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19

Г $\frac{0503020906}{М\ 607\ (06)-91}$ 136—91

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

ISBN 5—520—00966—x

წინათქმა

განუზომელია XI—XII საუკუნეების საქართველოში შექმნილი მდიდარი საისტორიო და მხატვრული ლიტერატურის, არქიტექტურული ძეგლებისა და კულტურის სხვა ფასეულობათა მნიშვნელობა ქართველი ხალხის თავისთავადობისა და ეროვნული სიამაყისათვის. მაგრამ, ვფიქრობ, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორებიცაა „მეფეთა ცხოვრება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" ჩვენი მეცნიერებისაგან ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შეფასებული და პატივდებული. ერის კულტურის ისტორიაში მათ ჯერ კიდევ არა აქვთ თავიანთი კუთვნილი ადგილი მიჩნეული.

დასახელებული თხზულებებიდან „მოქცევაჲ ქართლისაჲ" IX ს-ში შექმნილ უძველეს და პირველ მატიანედ ითვლება, ხოლო „მეფეთა ცხოვრება" და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება" XI ს. ნაწარმოებად.

ძველი ქართული საისტორიო წყაროებისადმი ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ასეთი შეხედულება, რა თქმა უნდა, მეტისმეტად აღარიბებს ჩვენს მდიდარ და ორიგინალურ საისტორიო მწერლობას. მარტო იმაზე მითითება და ისიც მორიდებულად, IX—XI სს. ავტორებს ჩვენამდე მოუღწეველი რაღაც ძველი წყაროებით უნდა ესარგებლათო, გამოსავალი არაა.

მართალია, XI ს. დამდეგს აგებულ სვეტიცხოველს, იმის გამო, რომ იგი ვახტანგ გორგასლის დროინდელ ტაძარზე იქნა დაშენებული, V ს. ძეგლად ვერ მივიჩნევთ და ეს არცაა საჭირო, რადგან ბოლნისის სიონის, მცხეთის ჯვრისა და სხვა ძეგლების სახით სახეზე გვაქვს XI ს-ზე გაცილებით ადრინდელი ხანის არქიტექტურული შედეგრები. ამ საზომით ძველ ქართულ საისტორიო წყაროებს არ უნდა მივუდგეთ. დღეს ჩვენს ხელთ არსებული ზემოდასახელებული საისტორიო თხზულებების IX—XI სს-ში შექმნილად მიჩნევა, იმის გამო რომ მასში გვიანდელი ჩანართები შეიმჩნევა, გამართლებული არ უნდა იყოს. ამ

ითხზულებებში შედარებით ადვილია გვიანდელი პლასტების გამოყოფა. ასეთი სამუშაოს ჩატარება დღეისათვის აუცილებელია და იგი გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია. თუ არ დავიწყეთ და შეძლებისდაგვარად არ გავმიჯნეთ თავდაპირველი ტექსტი გვიანდელი დანაშრეებისაგან, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას, რაც მთავარია, ქართულ კულტურას საძირკვლის ერთ დიდ ნაწილს საბოლოოდ გამოვცვლით.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ არ გვქონდეს XI ს-ზე უფრო ადრინდელი ეკლესია-მონასტრები და კულტურის სხვა ძეგლები, ქართულ ეროვნულ კულტურას რამდენი ბრწყინვალება დააკლდებოდა. აღნიშნულთან ერთად, როგორც დღეს კიდევ ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, ქართული ანბანი ჩვენს წინაპრებს მართლაც V ს-ში რომ შეექმნათ, ხოლო პირველი საისტორიო თხზულებანი XI ს-ში[1], ძველ ქართულ წყაროებში არ იყოს გაბმული თხრობა XI ს. წინადროინდელი საქართველოს ისტორიის შესახებ, ფარნავაზის ხანიდან მოკიდებული ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეთა ჩათვლით (ე. ი. ფარნავაზიანთა დინასტიის დასასრულამდე) არ გვქონდეს ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა მეტ-ნაკლებად სრული რიგი სათანადო პოლიტიკური და სხვა სახის ისტორიით, ისტორიის ეს მონაკვეთი მხოლოდ უცხოენოვან წყაროებში გაფანტული ცალკეული ცნობებით ვიცოდეთ, როგორ გაფერმკრთალდებოდა თვით თამარისა და რუსთაველის ეპოქა (თავისთავად ცხადია, დიდი კულტურული ტრადიციის გარეშე არც „ვეფხისტყაოსანი" შეიქმნებოდა). რაოდენ ღარიბი იქნებოდა ჩვენი ძველი ისტორია მსგავსად იმ ხალხებისა, დამწერლობის უქონლობის გამო, საკუთარი საის-

---

[1] 1929 წელს წერილში „ქართული კულტურის ორი დღესასწაული" კ. კეკელიძე წერდა: „ყოველივე ცდა დამტკიცებულ იქნეს მწერლობის არსებობა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე, უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს ...I—IV საუკუნეებში ქართული დამწერლობა ჯერ კიდევ არ არსებობდა [60:№ 5—6, 161]". მისი მტკიცებით, ქართული ანბანი 420—422 წლებში შეიქმნა [60:№ 7, 149] და მწერლობაც V. ს-ში დაიწყო ჩვენთან [60:№5—6, 165. სამწუხარო ისაა, რომ ამ მოსაზრებას ზოგნი დღესაც დაჟინებით იცავენ]. რაც შეეხება საისტორიო თხზულებებს, კ. კეკელიძის თანახმად, ქართველები საკუთარი წარსულით მხოლოდ XI ს-ში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ დაინტერესდნენ და პირველი ქართული საისტორიო თხზულებანიც მაშინ შექმნეს [62:249; 9:3].

* ლიტერატურის მითითებაში პირველი ციფრით აღნიშნულია დამოწმებული ნაშრომის რიგითი ნომერი, ორი წერტილის შემდეგ ამავე ნაშრომის გვერდი ან გვერდები, წერტილ-მძიმის შემდეგ ამავე საკითხზე დამოწმებული ნაშრომი და მისი გვერდი.

ტორიო ნაწარმოებები რომ ვერ შექმნეს და თავიანთი წარსულის შესახებ ცნობებს სხვა ხალხების საისტორიო ლიტერატურაში ეძებენ.

ქართული საისტორიო წყაროები, როგორც ცნობილია, ძვ. წ. IV ს. დასასრულიდან მოგვითხრობენ ქართლის სამეფოს ისტორიის შესახებ. ასეთი ისტორია დიდ სიამაყეს ბადებდა და ბადებს დღესაც ყოველ ქართველში. სწორედ ამ ფუძის მოშლას ფიქრობდა ზოგიერთი მეცნიერი XIX საუკუნეში. ქართველი ხალხის არაკეთილმოსურნე მკვლევრები გაეცნენ თუ არა საქართველოს უძველესი ისტორიის ამსახველ წყაროებს, უპირველეს ყოვლისა, მათში გაოცება ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე ფარნავაზიდან გიორგი XII-მდე (გარდ. 1800 წლის 28 დეკემბერს) საქართველოს მეფეთა უწყვეტმა რიგმა გამოიწვია. ისინი არანაკლებ გააღიზიანა ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის, უცხოეთში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლის მარი ბროსეს (1802—1880) იმ გამოკვლევებმა, რომლებიც ძველი ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა რეალობასა და საქართველოს ძველ ისტორიას ეხებოდა. იმ ხანად ძველ ქართულ წყაროთა მიმართ არაერთი განმაქიქებელი წერილი გამოქვეყნდა (იხ. ქვემოთ).

ქართული წყაროების მიმართ გამოთქმულმა ანტიმეცნიერულმა და ზერელე შეხედულებებმა სათავე დაუდო ძველი ქართული წყაროებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებასა და ნიჰილისტურ შეხედულებას. დაიწყო კამპანია ძველი ქართული წყაროების გვიან შეთხზულ ნაწარმოებებად მისაჩნევად, მათი შინაარსის სიყალბის დასადასტურებლად.

შემდეგში, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ძირითადი საკითხების დამუშავებისა და „ქართლის ცხოვრების" შესწავლასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა ამ კრებულის შედგენის დროის, შედგენილობისა და ცალკეული თხზულებების ავტორთა ვინაობის თაობაზე თავისი შეხედულებები გამოთქვა. აღნიშნულთან ერთად, XIX ს. ქართველოლოგები რადგან კრიტიკის გარეშე ენდობოდნენ „ქართლის ცხოვრების" ცნობებს, ქართული წყაროების მიმართ ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში მომეტებულად კრიტიკული მიდგომა დანერგა, რის შედეგად უარყოფილი იქნა ზოგიერთი თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა (შდრ., 64).

ძველ ქართულ წყაროთა მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ისე მყარად გაიდგა ფესვი, რომ იგი დღესაც კი ვერა და ვერ იქნა მთლიანად დაძლეული. არადა, თუკი გვსურს ის პატივი მივაგოთ ძველი ქართული წყაროების ავტორებს, რასაც ისინი

იმსახურებენ, ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება უნდა იქნას დაძლეული და ძველ წყაროებში ზღაპრული კი არა, რეალური ამბები ვეძიოთ.

ძველი ქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ჩვენში ასე მყარად რომაა ფეხმოკიდებული, ეს შემთხვევითი არაა. საქმე ისაა, რომ ასეთი შეხედულება გარკვეულწილად აადვილებს მკლევრის მუშაობას. თავისთავად ცხადია, ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები თუ a'priori გვიანდელ შენათხზად და არარეალურად იქნება გამოცხადებული, მკვლევარს ისღა დარჩენია, მხოლოდ ეს მოსაზრება გაიმეოროს და მათში აღარც რეალობის ამსახველი რაიმე ეძიოს. გარკვეულწილად ეს ასეც იყო ამ ბოლო ხანამდე.

XIX ს. დამდეგიდან მოკიდებული თანდათან დაიკარგა ის ტრადიცია, რომლის თანახმად, „მეფეთა ცხოვრებაში" მოთხრობილი ამბები თანადამხვდურთა მიერ „ჟამითი-ჟამად" აღიწერებოდა, ხოლო ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორი, ვახტანგისავე სპასპეტი ჯუანშერ ჯუანშერიანი რომ იყო. XX ს. დამდეგიდან კი თავგამოდებით ვიცავთ და ვქადაგებთ ყველა — ჩვენიანიც და უცხოც დავარწმუნეთ, თითქოს ძველი ქართული საისტორიო წყაროები ანაქრონიზმებითა და ზღაპრული ამბებით აღსავსე თხზულებანი არიან, მათში მოთხრობილი ამბები გვიან, მრავალი საუკუნის შემდეგ ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობითაა დაწერილი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მართალია ამ ბოლო დროს ზოგი ძალიან მორიდებულად აღიარებს IX—XI სს. ავტორებს რაღაც ძველი საისტორიო წყაროებიც უნდა ჰქონოდათ ხელთო, მაგრამ ასეთი მოკრძალება საქმეს არ შველის[2]. „მეფეთა ცხოვრებისა" და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ძირითადი ნაწილი რატომ არ შეიძლება, როგორც ამას ძველი წერილობითი ტრადიცია გვამცნობს, მათში მოთ-

---

2 1929 წელს კ. კეკელიძე წერდა: „გაუგებრობაზეა აშენებული" ს. კაკაბაძის სურვილი დაამტკიცოს, „რომ ჩვენ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ვწერდით ისტორიულ თხზულებებს, მეოთხე საუკუნეში, 360—380 წლებში ისეთი თხზულებაც კი დაგვიწერია, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს პირველი ნაწილი [60:№ 5—6, 161].

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის დაწინაურებამ მკვლევრებს საშუალება მისცა ახლებურად შეეფასებინათ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" დაწერის დრო. ზ. ალექსიძის თანახმად, „თხზულებაში ზოგჯერ თანამედროვის ხმაც ისმის" (1). მ. ჩხარტიშვილის თვალსაზრისით კი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" II ნაწილი — „ნინოს ცხოვრება" IV ს-ში უნდა შექმნილიყო [104:34, 62].

ხრობილი ამბების თანამედროვეთა მიერ იყოს დაწერილი. ამავე ტრადიციით ქართული მწიგნობრობა ხომ ფარნავაზის დროიდან გვქონდა!

ძველი ქართული წყაროებისადმი XIX ს-ში წამოწყებული ანტიმეცნიერული კამპანიის დროს, როგორც ითქვა, გვიან შეთხზულად და არარეალური შინაარსის თხზულებად გამოცხადდა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. საეჭვოდ იქნა მიჩნეული როგორც V ს. ქართლის სამეფოს ისტორია, ისე თვით ვახტანგ გორგასლის შესახებ ამ თხზულებაში მოთხრობილი ამბები. სამწუხარო ისაა, რომ ვახტანგის „ცხოვრების“, როგორც არასანდო საისტორიო წყაროს შესახებ XIX ს-ში შექმნილი თვალსაზრისი დღემდე ბატონობს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ V ს. საქართველოსათვის უნიკალური წყაროა და როგორც აქამდე მკითხველთა ფართო წრეს ვარწმუნებდით, მასში მოთხრობილი ამბები არც ზღაპრულია და ეს თხზულება არც ანაქრონიზმებითაა სავსე. „ცხოვრებაში“ არსებული ზოგიერთი ცნობა ნათელს ჰფენს მაშინდელი ქართლის არათუ ახლო მეზობელი, შორეული ქვეყნების ისტორიის ცალკეულ საკითხებსაც კი.

*

* *

ძველი ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულების — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, როგორც არასანდო საისტორიო წყაროს ღირებულების შესახებ ქართველი ისტორიკოსები ამ უკანასკნელ ხანებამდე თუ აღარ კამათობდნენ, სამაგიეროდ მისი XI ს. მოღვაწედ მიჩნევის საწინააღმდეგოდ ისევ დაისვა საკითხი (მხედველობაში მაქვს 1987 წელს გამოქვეყნებული გ. ანჩაბაძის წერილი. იხ. 2). უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მკვლევართა ნაწილს ჯუანშერი საერთოდ არ მიაჩნია ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ (იგულისხმება თხზულების ის ნაწილი, რომელშიც საკუთრივ ვახტანგის მოღვაწეობაზეა საუბარი) ავტორად. ჯუანშერის მოღვაწეობის დროზე და მისი ავტორობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების მიუხედავად, დღესაც ჯუანშერი XI ს. ავტორადაა გამოცხადებული, ხოლო მის თხზულებად ითვლება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომელშიც თხრობა ვახტანგის მშობ-

ლების ამბავის აღწერით იწყება და VIII ს. შუახანებში მცხოვრები არჩილის მოღვაწეობით მთავრდება [120:139—244].

მკვლევრები ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ მსჯელობისას ძირითადად ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებიდან გამომდინარე თვლიან, რომ XI ს-ში მცხოვრებ ჯუანშერს გარდა იმისა, რომ ვახტანგის მოღვაწეობის ხანიდან დიდი დრო აშორებდა, იგი როცა „თხზულებასა წერდა სანდო მასალა ხელთ არ ჰქონია“, რის გამოც ეს თხზულება „ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას“. მთელს თხზულებაში ივ. ჯავახიშვილს „ღირებულად“ ირანელებთან ვახტანგ გორგასლის ბოლო ომის აღწერა მიაჩნდა.

ჯუანშერის თხზულებაში ივ. ჯავახიშვილის მიერ „ღირებულად“ მიჩნეული „ზოგიერთი მცირეოდენი ცნობა“ შემდგომი თაობის მკვლევართა ნაშრომებში მართალია შედარებით გამდიდრდა, მაგრამ ეს თხზულება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისევ ზღაპრული ხასიათის საისტორიო წყაროდ ითვლება. რაც მთავარია, არ შეცვლილა შეხედულება ჯუანშერის როგორც XI ს. მოღვაწის შესახებ.

ჯუანშერის თხზულების შესასწავლად ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ შემაჯამებელი სახით ასახვა ჰპოვა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომსა (თბ., 1973, თავი I, § 3. ავტორი ლ. ჯანაშია) და მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში — „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (თბ., 1979). ჯუანშერის თხზულებაში არსებული ზოგიერთი ცნობის ახსნა-განმარტება მე ჯერ კიდევ 1977 წელს გამოქვეყნებულ წერილში ვცადე (იხ. 36), მაგრამ ამის შემდეგაც, ჯუანშერის თხზულებაზე სპეციალურ მუშაობას არ ვაპირებდი. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებიდან გამომდინარე მეც ვთვლიდი, რომ ჯუანშერის ცნობები საქართველოს ისტორიისათვის ძირითადად „ამოუსადეგარი“ იყო. ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ხელველობაში მაქვს თხზულების ის ნაწილი, რომელშიც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობაა ასახული), როგორც საისტორიო წყაროს შესახებ ჩემი შეხედულება ძირეულად შეცვალა ქართლ-ალბანეთის მარპანის ფირან გუშნასპის მარტვილობისადმი მიძღვნილი ანონიმი სირიელი ავტორის აგიოგრაფიულ თხზულებაში მინიშნებულმა ომმა. ალმოჩნდა, რომ აგიოგრაფიულ ძეგლში სწორედ იმ ომის შესახებაა ცნობა, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები კარგა ხანია ეძებდნენ.

დასახელებული სირიული აგიოგრაფიული ძეგლის, VI ს. სირიელი ავტორის იეშუ სტილიტისა და თვით ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ არსებული ცნობების შეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ სა-

მეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი ბიზანტია-ირანის ომი 491 წლის გაზაფხულზე ირანის ჯარების ქართლში შემოჭრით დაიწყო (შემდეგში ბრძოლა იმპერიის ტერიტორიაზე გაგრძელდა) და „იორსა ზედა“ ბრძოლაში 60 წელს მიღწეული ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ დაიჭრა. მეორე მხრივ, ვახტანგის ცხოვრება და მოღვაწეობა ჯუანშერს რადგან ვახტანგისავე დაბადებიდან აქვს ათვლილი და თხრობისას გზადაგზა უთითებს ამა თუ იმ მოვლენის დროს ვახტანგი რამდენი წლისა იყო, შესაძლებელი გახდა V ს. II ნახევრის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორია შედარებით სრულად წარმომედგინა (პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახლებურად დათარიღდა), დადგინდა ვახტანგ გორგასლის დაბადების, გამეფებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღები, გაირკვა ვახტანგის ოჯახის წევრთა ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი. აღმოჩნდა, რომ აგიოგრაფიული ძეგლის ცნობა დღემდე უცნობი ბიზანტია-ირანის ომის შესახებ, დიდ პერსპექტივას შლიდა არა მარტო ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის, არამედ IV, V და VI ს. პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ახლებურად გასააზრებლად (იხ. 31). ძეგლის ცნობები მნიშვნელოვანია, თვით ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ არსებული ზოგიერთი ცნობის რეალურობის საჩვენებლად.

უცნობი ომის შესახებ აგიოგრაფიულ ძეგლში მიკვლეული ცნობის შემდეგ გამოქვეყნდა ჩემი გამოკვლევები (იხ. 25, 26, 27, 29, 30, 33). ყველა მათგანში ჯუანშერის ცნობათა სათანადო ანალიზის შემდეგ ვასკვნიდი: ჯუანშერის ცნობები V ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიის შესახებ რადგან რეალურია, ჯუანშერი, როგორც ამას ჯერ კიდევ თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846) ამტკიცებდა, მართლაც, ვახტანგის თანამედროვე მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

ჯუანშერის თხზულებაზე მუშაობისას დავრწმუნდი, რომ თხზულების ის მონაკვეთი, რომელშიც ვახტანგის (უკიდურეს შემთხვევაში დაჩის) გარდაცვალების შემდეგდროინდელი ამბებია მოთხრობილი, როგორც გ. წულაიამაც მიუთითა [140:46] ჯუანშერს არ ეკუთვნის. ეს ნაწილი ფსევდო-ჯუანშერის თხზულებად უნდა იქნას მიჩნეული. არაა გამორიცხული იგი „მატიანე ქართლისაჲს“ ნაწილი იყოს [შდრ. 62:259—260].

ჯუანშერის თხზულების როგორც V ს. საქართველოს ისტორიისათვის სანდო და ძვირფასი საისტორიო წყაროს შესახებ ჩემს მიერ ცალკეული გამოკვლევების გამოქვეყნების შემდეგ იმდენი მასალა

დაგროვდა, რომ საჭიროდ ვცანი, ყველა ისინი ერთ მონოგრაფიაში გამეერთიანებინა. შეძლებისდაგვარად მეჩვენებინა ჯუანშერი მართლაც ვახტანგის თანამედროვე მოღვაწე რომ უნდა ყოფილიყო.

წინამდებარე მონოგრაფიაში წამოჭრილი საკითხები მხოლოდ ჯუანშერის თხზულების შესწავლის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. რამდენად შევძელი დასახული ამოცანის შესრულება, ეს საქმის ერთი მხარეა. ისე კი, ჯუანშერისათვის, როგორც ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლისათვის V ს-ში თავისი ადგილის მიჩნევას ქართული კულტურისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თავი I

ძველ ქართულ წყაროთა მიმართ ჰიპერკრიტიციზმის დამკვიდრება

§ 1. ჰიპერკრიტიციზმისათვის ნიადაგის მომზადება

საქართველოს ისტორიის გადმოსაცემად ძველი ქართული საისტორიო წყაროები პირველად ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა (1696—1757) გამოიყენა. მან გარდა იმისა, რომ ძველი საქართველოს მწყობრი ისტორია შექმნა, საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა და ფაქტი, ყველა მეფის ზეობა დაათარიღა.

XIX ს. დამდეგიდან საქართველოს ისტორიით ევროპელი მეცნიერებიც დაინტერესდნენ. ფრანგმა აღმოსავლეთმცოდნემ ანტუან-ჟან სენ-მარტენმა (1791—1832) ჯერ კიდევ 1819 წელს მიუღოთა „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა სანდოობის შესახებ [8:19]. „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ასევე დიდი ნდობით ეკიდებოდა ვივიენ დე სენ მარტენი [8:19—20]. ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში ახალი ეტაპი სამეცნიერო ასპარეზზე მარი ბროსეს (1802—1880) გამოსვლით დაიწყო (რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი მან ჯერ კიდევ პარიზში გამოაქვეყნა). 1837 წელს იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მიიწვია ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში სამუშაოდ. იმავე წელს აკადემიაში წარმოთქმულ სიტყვაში მ. ბროსემ დაახასიათა ქართველოლოგიის მდგომარეობა (თავის გამოსვლაში ვახუშტი ბატონიშვილს „საქართველოს კარამზინი“ უწოდა). დღის წესრიგში დააყენა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემის აუცილებლობა. „თუ ეს ამოცანა განხორციელდება, — აღნიშნა მ. ბროსემ, — მაშინ ცივილიზებული ევროპა მიიღებს უმდიდრეს საისტორიო კრებულს, რომელიც თავისუფლად შეიძლება გვერდით დავუყენოთ აზიის ხალხების სხვა შესანიშნავ ქრონიკებს“ [193:86—87].

1838 წელს პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიამ მ. ბროსე თავის წევრად აირჩია. 1847—1848 წლებში მან საქართველოში იმო-

გზაურა, ხოლო 1849—58 წლებში გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანი.

სამუშაოდ რუსეთში გადმოსვლისთანავე მ. ბროსეს საქართველოს ძველი ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა. 1838 წელს ჟურნალში „Библиотека для чтения“-ს 26-ე ტომში გამოქვეყნდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბუნებისმეტყველ ედუარდ ეიხვალდის (1795—1876) წერილი (ეიხვალდმა 1825—29 წლებში იმოგზაურა ამიერკავკასიაში), რომელშიც წერდა: „რასაც არ უნდა მოგვითხრობდნენ ახლანდელი ქართველების მკვეხარა მატიანეები, ამ ხალხს არაფერი საერთო არა აქვს საქართველოს ძველ (მკვიდრ) მოსახლეობასთან. ქართველები არც ისე დიდი ხნის წინ მოვიდნენ ამ ადგილებში. ქართველები ძველად კავკასიის მთის ერთ-ერთი ტომი იყო, როგორც ახლა ლეკები არიან. მე უფრო მგონია, — განაგრძობს ეიხვალდი, — ქართველები მუსლიმანები არიან იბერიელთა შთამომავალნი. არაბი მწერლების ცნობებით, მეშვიდე საუკუნეში იბერიის მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც კავკასიის სხვა ხალხების მსგავსად უკვე ქრისტიანი იყო, არაბებს ნებაყოფლობით დამორჩილდა და შემდეგ ყველა მუსლიმანი გახდა... მუსლიმანები ახლანდელ საქართველოს XII ს. მეორე ნახევრამდე ფლობდნენ. იაკუთის ცნობით, ჰიჯრის 525 წელს (ე. ი. 1147 წ. — ვ. გ.) თბილისის მომიჯნავე მთებიდან გამოჩნდნენ ქრისტიანი ქართველები. ამ მთიელებმა თავდასხმებით დაიწყეს ურთიერთშორის მებრძოლი საქართველოს მუსლიმანი სელჩუკი მფლობელების მიწების განადგურება, შემდეგ თანდათან გაძლიერდნენ და მცირეხნიანი გარემოცვის შემდეგ თბილისი აიღეს[1]. მუსლიმანთა უდიდესი ნაწილი ამოხოცეს, ცოცხლად დარჩენილნი დახარკეს. აი, ამ დროიდან დასახლდნენ ქართველები საქართველოში, — ასკვნის ეიხვალდი და დასძენს, — ასეთია თანამედროვე ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ. არ შეიძლება ისინი არვყოთ და დავუჯეროთ ქართველ მემატიანეთა ზღაპრებს და მათ ცდილობას თავიანთ ხალხს კლასიკური სიძველე მიაკუთვნონ“ [183: 86].

საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ ე. ეიხვალდის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მხარი დაუჭირა პეტერბურგის უნივერსიტეტის არაბისტიკის კათედრის პროფესორმა ო. სენკოვსკიმ (ბარონი ბრამ-

---

[1] როგორც ჩანს, ე. ეიხვალდს დავით აღმაშენებელის მიერ 1122 წელს მაჰმადიანებისაგან თბილისის განთავისუფლება აქვს მხედველობაში.

ბეუსი) (1800—1858). მართალია ო. სენკოვსკი აღიარებდა, რომ მან არ იცოდა ქართული ენა[2], არ იცნობდა ქართულ მატიანეებს, ისიც აღნიშნა ქართველი ხალხის ისტორიის შესახებ იგი თავის მოსაზრებებს დამხმარე ლიტერატურაზე (მხედველობაში ჰქონდა: „Обозрение российских владении за Кавказом"-ში, სპბ., 1836. არსებული მასალა, ასევე, ი. კლაპროთისა და ა. გიულდენშტედტის მიერ გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრების" ფრაგმენტული ცნობები) ამყარებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველ ქართულ წყაროთა მიმართ ო. სენკოვსკის კრიტიკა ყოველგვარ საზღვარს გასცდა.

თავისი მოსაზრებანი ო. სენკოვსკიმ ჯერ ე. ეიხვალდის წიგნის რეცენზიაში, შემდეგ კი „Библиотека для чтения"-ს 1838 წლის 30-ე ტომში გამოქვეყნებულ წერილში — „Некоторые сомнения касательно истории грузинов" გამოთქვა (ეს წერილი შემდეგ ო. სენკოვსკის თხზულებათა VI ტომში გამოქვეყნდა. იხ. 185 : 169—198). დასახელებულ წერილში ო. სენკოვსკი, უპირველეს ყოვლისა, მ. ბროსეს წინაშე ბოდიშს იხდის, რადგან ქართული მატიანეების სიდიადის შესახებ კარგს არას იტყვის [185 : 171]. იქვე წერს: „Отрекаться тут нечего... это я сказал, что, как мне кажется грузинов не было в Грузии до двенадцатого столетия, и буду чрезвычайно благодарен, если ученый академик захочет разсеять мои на этот счет сомнения, которые я изложу откровенно" [185 : 170]. შემდეგ წერს: ქართველებს თავი მოაქვთ ძალიან ძველ ხალხად (სწავლული აკადემიკოსი, როგორც ჩანს, ამ პატივმოყვარულ მოსაზრებას უფრო გაამყარებს), იმ ხალხად, რომელნიც იმ ადგილებში, სადაც ახლა ცხოვრობენ ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ბატონობდნენ. თავიანთ ისტორიას ალექსანდრე დიდის დროიდან იწყებენ, ქრისტიანულ მოძღვრებას კონსტანტინე დიდის დროს ეზიარნენ. V—VI სს-ში უკვე ძლიერნი იყვნენ და არც განათლება იყო მათთვის უცხო. ჩვენს წინაა 98 მეფის თანმიმდევრობითი რიგი ფარნავაზიდან გიორგი XIII-მდე. მხოლოდ ჩინეთის ისტორიას შეუძლია მსგავსი რამ ჰქონდეს[3]. ეს არაჩვეულებრივი ისტორიული ფენომენი ყველას დააფიქრებს,

---

[2] ო. სენკოვსკის ერთხანს ქართულის სწავლაც კი უცდია, მაგრამ, როგორც თვით წერს „ორთვიანი ტანჯვის" შემდეგ თავი დაუნებებია [185:170—171].

[3] ძველ ქართულ წყაროებში ფარნავაზიდან მოკიდებული XIX ს. დამდეგამდე არსებულმა მეფეთა რიგმა გერმანელი მოგზაურის ფ. ბოდენშტედტის ყურადღებაც

რომ ქართულ ლიტერატურას უნდა ჰქონდეს მატიანეები, რომლებშიც ყველა საუკუნის ავტორთა მიერ ჩაწერილი იქნებოდა ამ 98 მეფის მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მაგრამ, — დასძენს ო. სენკოვსკი, — არაფერი ამის მსგავსი ქართველებს არ ჰქონიათ. ალექსანდრე მაკედონელის ხანიდან მოკიდებული პეტრე დიდამდე ისინი მშვიდად ცხოვრობდნენ მატიანეების გარეშე და მხოლოდ გასულ საუკუნეში მათმა ერთმა მეფემ — ვახტანგ VI-მ მათთვის შეადგინა ქრონიკა, რომელშიც თხრობა მითური ნოედან XIV ს. დამდეგამდე მოიყვანა. შემდეგ მისმა შვილმა ვახუშტიმ შეამოკლა იგი, თუმცა ზუსტად გაიმეორა მამის მოთხრობა და შეავსო შემდგომი მეფეებით. მამა არ ასახელებს არავითარ წყაროს და დიდი ხნის განმავლობაში არ უთითებს თარიღებს. შვილი კი რაღაც მატიანეებზე და საბუთებზე (რომელნიც მასთან ერთად გაქრნენ) დაყრდნობით ათარიღებს. ეს უკვე საკმაოა იმისათვის, რათა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უარვყოთ ის მატიანეები, რომლებიც უმცირეს ნდობასაც კი არ იმსახურებენ. მით უმეტეს, ისინი სავსეა ისეთი უცნაური ზღაპრებით, რომლებიც ყველა მითოლოგს გამომგონებლობის პატივს მოუტანდა"[4] [185:172—173]. შემდეგ ო. სენკოვსკი წერს, რომ იბერია ახლანდელი იმერეთი, რაჭა და ოსეთი იყო. ხოლო მდ. მტკვრის ხეობა, სადაც თბილისი მდებარეობს სომხებით, მიდიელებითა და თურქებით იყო დასახლებული და სომხებს ეკუთვნოდა [185:175—176]. ბოლოს მისი დასკვნა ასეთია: ქართველები ახლანდელ საქართველოში მოსულები არიან [185:195], 1121 წლამდე საქართველოში ქართველები არ ცხოვრობდნენ [185: 197—198].

ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისა და ძველი ქართული წყაროების ცნობათა სანდოობის მიმართ ე. ეიხვალდისა და ო. სენკოვსკის ასეთმა ნიჰილისტურმა გამოსვლამ სერიოზული და უმძიმესი დარტყმა მიაყენა ქართველოლოგიას, რომელიც ის-ის იყო მეცნიერული

მიიქცია. „ქართლის მფლობელთა გრძელი რიგი, — წერდა იგი, — რომლის მსგავსი შეიძლება მხოლოდ ჩინეთის ისტორიაში მოიძებნოს იწყება მეფე ფარნავაზით, რომელიც სამეფო ტახტზე ასულა ადამის გაჩენიდან 3 223 წელს და მთავრდება გიორგი XII-ით" [98:122].

4 ო. სენკოვსკის გამოსვლა ქართულ წყაროთა კრიტიკით, როგორც ფიქრობენ, ბროსეს ავტორიტეტისა და სახელის დასამცირებლად იყო გამიზნული (8:16). სენკოვსკი, როგორც ჩანს, თვით რუსულ ენასაც არ სცემდა დიდ პატივს. იგი ერმე რუსულ ენას არ თვლიდა იმ ენად, რომელზედაც შეიძლებოდა მეცნიერული ბრომი შექმნილიყო [193:88].

შესწავლის საგანი ხდებოდა და სამეცნიერო დისციპლინად ყალიბდებოდა. როგორც შ. ხანთაძე აღნიშნავს, ეს არანაკლებ საგრძნობი დარტყმა იყო ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებზე [193:88].

ე. ეიხვალდისა და ო. სენკოვსკის შემდეგ საქართველოს უძველესი ისტორიის შესახებ უარყოფითი მოსაზრებანი გამოთქვა ფრანგმა მეცნიერმა ვიქტორ ლანგლუამ. მ. ბროსეს მიერ „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ, 1860 წელს საქართველოს ძველი მონეტებისადმი მიძღვნილ წერილში იგი საქართველოს ძველ ისტორიასაც შეეხო. საქართველოს ისტორიის გმირული ხანა ვ. ლანგლუას მტკიცებით უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს. დასასრულამდე გრძელდებოდა. საქართველოს ისტორიას ეს მონაკვეთი, — წერდა იგი, — საქართველოში ქრისტიანობის გამოცხადებამდე, ლეგენდების გარდა ახალს არაფერს შეიცავს. საკმარისია მხოლოდ თვალი გადავავლოთ ქართული მატიანეების დასაწყის გვერდებს, მივხვდებით, რომ ისინი ქვეყნის უმეცარი და რელიგიური ლიტერატურის კურიოზული ნიმუშებია.

ვ. ლანგლუამ ზღაპრულად და არარეალურად მიიჩნია როგორც ვახტანგ გორგასლის პიროვნება, ისე „ქართლის ცხოვრებაში“ მის შესახებ არსებული ცნობები. ქართულ ქრონიკებს, — განაგრძობს იგი, — თხრობა გადააქვთ ჩვენი ერის პირველ საუკუნეებში, სხვა ხალხებისათვის სუფთა ისტორიულ ეპოქაში, საქართველოსათვის კი ჯერ კიდევ ნაწილობრივ გმირულში. ქრონიკების შემდგენლებს აურჩევიათ ჩვენი ერის პირველი საუკუნეები, რათა გვაიძულონ თვალი ვადევნოთ არა ერის მამამთავრის გამოჩენას, არამედ ქართველი გმირის, ერის აღმდგენელის, არაჩვეულებრივი დამპყრობლის მოღვაწეობას. რომელმაც დაამარცხა რა ყველა მტერი, წარმატებით აფართოებდა თავისი ქვეყნის საზღვრებს. ეს გმირული პიროვნება, რომელსაც ქრონიკები ვახტანგ გორგასალს უწოდებენ, ჩვენი ერის V საუკუნეში ცხოვრობდა, იუსტინიანეზე და ხოსრო ანუშირვანზე ცოტა უფრო ადრე. ვახტანგ გორგასალის ცხოვრების კითხვისას, მასში მაშინვე შეიცნობ ერთ-ერთ იმ პოეტურ თხზულებათაგანს, რომელიც ენთუზიასტის მიერაა შედგენილი — ეროვნული გმირის შექმნის მიზნით... რომლის გმირული საქმეები მის სამშობლოს დაეხმარებოდა ისტორიის სარბიელზე გამოსვლაში. ვახტანგი, როგორც ის დახასიათებულია მატიანეში, უფრო მეტად ინდური ვაკხია ან ფსევდოალექსანდრე, ნახევრად ღმერთი, ნახევრად გმირი, რომელმაც მთელი აზია გადასერა, დაუმორჩილა ის

თავის კანონებს, ვიდრე პატარა სახელმწიფოს (რომელსაც, რამდენიმე საუკუნით ადრე, ასე მკაცრად ახასიათებს ტაციტი) მეთაური. როგორიც არ უნდა იყოს ვახტანგის ბიოგრაფია, მატიანეში ის ძალიან დამახინჯებულია და კრიტიკისათვის მისი უტყუარობა მიუღებელია. საერთოდ, — ასკვნის შემდეგ ვ. ლანგლუა, — ასე იწყება აზიის ხალხთა მატიანეების დიდი ნაწილი, რომლებშიც გადმოცემა არეულია მითებში... V საუკუნეში ქართველები, ისევე როგორც არაბები გმირულ ეპოქაში იყვნენ და მათი ისტორია უმეტესად პოეტურ წარმოსახვაში არსებობდა. ასე რომ, მიუხედავად იმისა, აზიაში ხალხთა ერთი ნაწილი დაწინაურებული ხალხების გვერდით ცხოვრობდა, მაინც თავიანთ გმირულ ეპოქაში იმყოფებოდნენ [149:13—14]. ვ. ლანგლუას შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ქ. პატკანოვი (პატკანიანი, 1833—1889) შეეცადა უარეყო „ქართლის ცხოვრება“ ორიგინალური საისტორიო თხზულებათა კრებული რომ იყო. „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობის შესახებ, — წერდა იგი 1883 წელს გამოქვეყნებულ წერილში, — მეცნიერები სხვადასხვა აზრისანი არიან. მ. ბროსემ ნაშრომი მიუძღვნა მათ დედანში შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ქრონიკებში უამრავი აშკარა შეცდომები და წინააღმდეგობებია, იგი დაჟინებით იცავს მათ სიძველეს და მათში გადმოცემული ცნობების სანდოობას. ამავე აზრისაა არმენისტი სენ მარტენი. მეორენი, — განაგრძობს ქ. პატკანოვი, — მათ შორის ო. სენკოვსკი, კოხი და ვ. ლანგლუა საწინააღმდეგო აზრისანი არიან. ყოველ შემთხვევაში ქრონიკების პირველ ნაწილს ვახტანგ I-მდე არ აძლევენ ისტორიულ მნიშვნელობას. თუმცა, მათ არ მოუციათ ქართული ანალების მკაცრი ისტორიული კრიტიკა. თვით ქართველი ისტორიკოსების ნაშრომები კი გამოირჩევიან არა იმდენად მეცნიერული, რამდენადაც პატრიოტული ხასიათით. მათგან მხოლოდ დ. ბაქრაძე (მხედველობაში აქვს დ. ბაქრაძის გამოკვლევა „Об источниках грузинской истории“[5]) მიუთითებს საქართველოს ძველი ისტორიის წყაროების

---

5 1858 წელს „Кавказский Календарь“-ში გამოქვეყნებულ ზემოდასახელებულ წერილში დ. ბაქრაძეს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილისადმი მართლაც უნდობლობა აქვს გამოცხადებული. იგი წერს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილი გადმოცემებზე დაყრდნობითაა შედგენილი. რასაც თითქოს ჰოჭჭობს მატიანეთა შინაარსი. რომ მის ცნობათა კითხვისას მითოლოგიურ ხანაში გადავდივართ [128: 407—408]. ამის შემდეგ, 1883 წელს გამოქვეყნებულ ქ. პატკანოვის წერილის საპასუხო გამოკვლევაში „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“ დ. ბაქრაძემ ძველი ქართული წყაროების ღირებულების შესახებ არსებითად შეი-

სიმწირისა და ზღაპრული ხასიათის შესახებ. ჩემი აზრით, — დასძენს იგი, — „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი, როგორც ამას დ. ბაქრაძე ფიქრობს, გადმოცემათა საფუძველზე კი არაა შედგენილი, იგი უშრალოდ გამონაგონია ერთი პიროვნების მიერ წინასწარგანზრახული მიზნით. ქართული მატიანეები საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ მართლაც ნამდვილ გადმოცემებს რომ შეიცავდნენ, მაშინ მათი ისტორიული ღირებულება სხვაგვარი იქნებოდა [171a : 204—205].

ქ. პატკანოვის თანახმად, ანონიმმა ავტორმა, რათა შეექმნა საქართველოს ისტორია, რომლის უქონლობა მაშინ ხალხში ძალიან იგრძნობოდა, XII ს-ში დაწერა ქრონიკა. მას მიზნად ჰქონდა ბაგრატიონები განედიდებინა და მათი ძალაუფლებისათვის ისტორიული დასაბუთება მიეცა [171a:225]. ქ. პატკანოვის მტკიცებით, „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილი გაუნათლებელი სომეხი ბერის მიერაა დაწერილი [12:65].

1887 წელს ძველი ქართული წყაროების ცნობათა სანდოობის საკითხს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. მილერი (1848—1913) ოსეთის ძველი ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით შეეხო. სანამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოვცემდე ქართულ ქრონიკებში არსებულ ცნობებს ოსების შესახებ, — წერს იგი, — უნდა შევჩერდე საკითხზე, რამდენად იმსახურებს ეს ქრონიკები ყურადღებას. შემდეგ დასძენს: თუ ძველი მკვლევრები ვივიენ დე სენ-მარტენი და მ. ბროსე ქართული ქრონიკების ცნობებს ნდობით ეკიდებოდნენ, ქ. პატკანოვის წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ამ წყაროსადმი, განსაკუთრებით კი მისი ძველი ნაწილისადმი ნდობა ძალიან შეირყა. ქართული მატიანეების მკაცრი კრიტიკის საფუძველზე ქ. პატკანოვმა დაასკვნა, რომ ძველ ქართულ ქრონიკაში ჩვენ უნდა დავინახოთ, შედარებით ახალი, წარუმატებელი კომპილაცია, რომელიც შედგენილია გამოუცდელი პირის მიერ. ქართული ქრონიკის პირველი ნაწილი გადმოცემებზე დამყარებით კი არაა შედგენილი, არამედ წინასწარი განზრახვით. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ისტორიის მთავარი წყარო იყო „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი, რომლის დედანი არაა

ცვალა ძველი შეხედულება. იგი იმოწმებს თ. ბაგრატიონსა და წერს, რომ ქართველებს ფარნავაზის დროიდან ჰქონდათ ანბანი [12:116] და საეჭვო არ უნდა იყოს, მაშინ ხუცური ანბანი რომ იყო გამოყენებული [12:76]. დ. ბაქრაძის თანახმად, რაც უფრო ეშორდებით ქრისტეს დაბადების შემდეგდროინდელ ამბებს, ქართულ მატიანეთა ცნობები უფრო სანდო ხდება [128:405].

ცნობილი. ქ. პატკანოვმა აჩვენა, რომ ქართულ ქრონიკებში საოცარ ანაქრონიზმებს თან სდევს არანაკლებ საოცარი წინააღმდეგობანი იმ ზომამდე, რომ მატიანის პირველ ნაწილში თითქმის შეუძლებელია შეხვდეთ თუნდაც ერთ ფაქტს, რომელსაც ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობა ექნება. ქართული მატიანეების ცნობები და ქრონოლოგია კავშირში არაა მსოფლიო ისტორიულ მოვლენებთან, რის გამოც ქრონიკის ძველი ცნობები ჰაერშია გამოკიდებული და არავითარი საფუძველი არა აქვს [116:15—17].

ქ. პატკანოვის შეხედულებებიდან გამომდინარე, ვ. მილერი უარყოფითი წარმოდგენისა იყო ვახტანგ გორგასლის პიროვნებისა და ვახტანგის დროის ქართლის სამეფოზე. ვახტანგ გორგასალი, — წერს იგი, — მართლაც ისეთი ძლიერი კი არ იყო, როგორსაც მას ქართული ქრონიკა ხატავს, არამედ უბრალო წინამძღოლი, რომელიც არათუ დიდი დამპყრობი იყო, სომეხთა მხარდაჭერას საჭიროებდა [116:17].

ძველი ქართული წყაროების ასეთი უარყოფითი შეფასების მიუხედავად, „ქართლის ცხოვრებაში“ ოსების შესახებ მრავლად არსებულ ცნობებს ვ. მილერი მაინც სათანადოდ იყენებს და აანალიზებს [116:18—19].

XIX ს. მკვლევართაგან ძველი ქართული წყაროებისადმი უნდობლობის საკითხს რუსეთის ეკლესიის ცნობილმა მკვლევარმა ვ. ბოლოტოვმა (1854—1900) დაუსვა წერტილი. 1898 წელს სტუდენტ გიორგი გამრეკელის ხელნაწერი ნაშრომის — „საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორია“ რეცენზიაში მან აღნიშნა, რომ ნაშრომი გვიანდელ და არასანდო ქართულ წყაროებზე („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) დაყრდნობითაა დაწერილი. ამ წყაროებში კი მრავლადაა შეცდომა [171:260].

ვ. ბოლოტოვმა არარეალურად მიიჩნია „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასლის შესახებ არსებული ცნობებიც. მისი დასკვნით, ლეგენდარულია ვახტანგის სახელოვანი გამარჯვებები (ინდოეთშიც კი), ისტორიაში მათთვის არ მოიძებნება არც ადგილი და არც მიზეზი. ლეგენდარულია იერუსალიმში სალოცავად მისი ტრიუმფალური სვლა. სინამდვილეში მისი მეფობის დროს ქართლი ხომ დაღუპვის პირზე იყო (171:259). ვ. ბოლოტოვის თანახმად, „ქართლის ცხოვრების“ ცნობები რადგან ასეთი შინაარსისაა, მასში არსებული 38 მეფის რიგი (გურგენამდე), რომელიღაც გვიანდელი შემთხზველის ნაყოფს წარმოადგენს, რომელსაც თავის მატიანეში შეუ-

ტანია ისეთი მეფეთა სახელებიც, რომელნიც ხალხის მეხსიერებამ შემოინახა ან დამოწმებულია წერილობით ძეგლებში (მხედველობაში აქვს უცხოენოვანი წყაროები. — ვ. გ.). ეს ავტორი თავის მატიანეს ქ ა რ ი ს ა გ ა ნ წ ე რ დ ა[6]. ალბათ დადგება დრო, — დასძენს შემდეგ ვ. ბოლოტოვი, — როცა აღიარებენ, რომ საქართველოს ნამდვილი ისტორია იწყება მხოლოდ ბაგრატიონთა გამეფების ხანიდან. ჩემი აზრით, საქართველოს ძველი ხანის მეცნიერული ისტორია შეიძლება დაიწეროს „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი მსგავსი წყაროების უმკაცრესი, პრინციპული უნდობლობით [171:260]. შემდეგ ვ. ბოლოტოვი განიხილავს ქართული ანბანის წარმოშობისა და ასევე სხვა საკითხებს (დაწვრილებით იხ. გვ. 259—267).

ზემომოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, ყველა მკვლევარი, რომელიც კი ძველი ქართული წყაროების ღირსებას შეეხო, თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებდა თავის წინამორბედთა გამონათქვამებს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთ „განმეორებაში“ მათ ცნობილი ქართველი მეცნიერებიც არ ჩამორჩებიან.

§ 2. ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველ ქართულ წყაროთა მიმართ ჰიპერკრიტიციზმის დამკვიდრება. მისი დაძლევის სიძნელე

რუსეთსა და უცხოეთში ქართულ წყაროთა მიმართ ჩამოყალიბებულმა არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ, რომელმაც დასრულებული სახე ქ. პატკანოვის, ვ. მილერისა და ვ. ბოლოტოვის ნაშრომებში მი-

---

[6] პ. ინგოროყვას თანახმად, ძვ. წ. I ს-იდან ახ. წ. V ს-მდე უცხოენოვან წყაროებში 10 მეფე [აქედან 6 მოესეს ხორენაცისთან. 48:509; ხოლო 4 ანტიკურ ბერძნულ-რომაულ წყაროებში. 48:532—533] იხსენიება. თუ V ს. 20-იან წლებამდე საქართველოში დამწერლობა არ არსებობდა, „ხალხის მეხსიერებას“ განა შეეძლო ფარნავაზის ხანიდან მოკიდებული ქართლის მეფეთა სახელები, რიგი და მათი მოღვაწეობის ამსახველი მასალა დაემახსოვრებინა? XI ს-ში ლეონტი მროველი განა შეძლებდა ისეთი თხზულების დაწერას, როგორიც „მეფეთა ცხოვრებაა“? რა თქმა უნდა, ვერა. აღნიშნულით უნდა აიხსნას ნ. მარმა ფარნავაზის რეალურ არსებობაში ეჭვი რომ შეიტანა [160:6]. „ლ. მროველის ფარნავაზ მეფეს, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — რეალური პიროვნების თვისებები აკლია“ [114:127]. კ. კეკელიძის თანახმად კი „სურათი ფარნავაზის დროის საქართველოისა, რომელიც დაუხატავს ლეონტი მროველს, უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ისტორიული სინამდვილისა. სეეჭვო და ლეგენდარულია თვით ფარნავაზ მეფის არსებობა და პიროვნება“ (60: № 5—6 გვ. 161). ს. კაკაბაძემ მართალია მთლად არ უარყო ფარნავაზის არსებობა, მაგრამ, შესაძლებლად ჩათვალა, იგი ახ. წ. I ს. მოღვაწე ყოფილიყო (54:134).

ილო, ამ უკანასკნელთა მიერ ქართული წყაროების ცნობებისადმი მკაცრი კრიტიკის მოთხოვნა დაემთხვა სამეცნიერო ასპარეზზე ქართველი ისტორიკოსების ახალი თაობის (ს. კაკაბაძე, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე) გამოსვლას. ვ. მილერისა და ვ. ბოლოტოვის ავტორიტეტმა (ვ. მილერი 1897—1911 წლებში ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის დირექტორი იყო), მათმა მოთხოვნამ ძველ ქართულ საისტორიო წყაროების მონაცემებს კრიტიკულად მისდგომოდნენ, ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსებზეც გავლენა მოახდინა.

მიუხედავად იმისა, რომ თ. ჟორდანია კარგად იცნობდა XIX ს-ში საქართველოს ძველი ისტორიისა და ქართული წყაროებისადმი გამოთქმულ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, მის მახვილ თვალს არ გამოპარვია ის დიდი ღირსება, რომელიც ძველ ქართულ წყაროებს, კერძოდ კი ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებას“ გააჩნია. 1892 წელს გამოქვეყნებულ „ქრონიკების“ I წიგნში, ძველი ქართული წყაროების განხილვისას თ. ჟორდანიამ მიუთითა, რომ ჯუანშერის თხზულებაში შესულ ძველ ნაწარმოებში „ვახტანგის მშობლების მეფობა აწერილია, როგორც გაგონილი, ხოლო თვთ ვახტანგის ცხოვრება ისე დაწვრილებით არის მოხსენებული, რომ მემატიანე თანამედროვე უნდა იყოს და თვთ-მხილველი მოთხრობილისა“ [88:XXXIV]. „მთელი მატიანე სავსეა უტყუარ ნიშნებით, რომელნიც ამოწმებენ ამ მატიანის თანამედროვესაგან დაწერას“ [88:XXXV].

საქართველოს ძველი ისტორიის,მათ შორის ჯუანშერის თხზულების ისტორიული ღირებულებისა და ვახტანგ გორგასლის პიროვნებისადმი ზემომოყვანილ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას თ. ჟორდანიას მსგავსად ყველამ ვერ დააღწია თავი. მკვლევართა ნაწილმა, სწორედ არსებული შეხედულების გავლენით, ძველი ქართული წყაროების მონაცემები a'priroi საეჭვოდ მიიჩნია. ალბათ, აღნიშნულით უნდა აიხსნას, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებისა“ და მისი ავტორის ჯუანშერის შესახებ თ. ჟორდანიას მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ იმთავითვე უარყოფითი რეაქცია რომ გამოიწვია. თ. ჟორდანია, — წერდა ს. კაკაბაძე 1912 წელს გამოცემულ ნაშრომში, — „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილში ვერ გაერკვა. მაგ., ვახტანგ გორგასლის ისტორიის შესახებ, რომელიც აღსავსეა თავის მტრებზე ამ მეფის პირდაპირ დაუჯერებელი გამარჯვებების დაწვრილებითი აღწერით, თ. ჟორდანია იმ აზრისაა, რომ მატიანეს ეს ნაწილი დაწერილი უნდა იყოს ვახტანგის თანამედროვის მიერ, თითქოს იმ საფუძველზე, რომ მემატიანეს მიერ

გადმოცემული დაწვრილებით მოყოლილი ამბები შეიძლებოდა მხოლოდ თანამედროვისათვის ყოფილიყო ცნობილი [149:19]. ვახტანგი, — დასძენს იგი, — სულაც არ იყო ისეთი ძლიერი, რომ მას ლაშქრობები მოეწყო ყველა მიმართულებით და მათ შორის ინდოეთამდე... საერთოდ, ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერი ირანული ხალხური ეპოსის ძლიერ გავლენას განიცდის. ამაზე მიუთითებს თვით მეფის სახელი — გორგასალი [149:24]. ჟორდანიასეული დაუსაბუთებელი მტკიცებანი მისაღები არაა. პირიქით, ლეგენდარული ხასიათის დეტალები იმაზე მიგვითითებენ, ავტორი ვახტანგ გორგასლის მეფობიდან შორეულ ეპოქაში რომ ცხოვრობდა [149:19]. ასეთი უსაფუძვლო და თანაც არასწორი მსჯელობით, — ასკვნის ს. კაკაბაძე, — რა თქმა უნდა, მეცნიერული კრიტიკა ვერ დაკმაყოფილდება. საჭიროა თვით ტექსტის კრიტიკული შესწავლა, რათა შინაგანი ნიშნებით. იმანენტური კრიტიკის გზით შევეცადოთ მთავარ ხაზებში მაინც ნათელი მოვფინოთ ძველი ქართული ქრონიკების ხასიათს [149:20—21].

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საკითხების დამუშავებისას ივ. ჯავახიშვილი ჯუანშერსა და მის თხზულებასაც შეეხო. საქართველოს ისტორიის ამ უდიდესმა მკვლევარმა 1916 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ჯუანშერის თხზულება როგორც წყარო ვახტანგ გორგასლის პროვენების, ისე V ს. ქართლის სახელმწიფოს ისტორიისათვის „თითქმის გამოუდეგარად“ ჩათვალა. „ჯუანშერის მიერ დაწერილი „ცხორება ვახტანგ გორგასლისა“, — წერდა იგი, — ისეთი კილოთი არის გამსჭვალული და იმ გვარ დაუჯერებელ ცნობებით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას. ამიტომ გასაოცარია როდესაც ბ. თ. ჟორდანია ამბობს: „თუთ ვახტანგის ცხოვრება ისე დაწვრილებით არის მოხსენებული რომ მემატიანე თანამედროვე უნდა იყოს და თჳთ-მხილველი მოთხრობილისა“ (115:129). შემდეგ თ. ჟორდანიას საყვედურობს: მან კარგად იცის, რომ „ცხოვრება“-ში რამდენიმე ქრონოლოგიური შეუსაბამობაა და მათ შორის ცნობა პაჭანიგების შესახებ, მაგრამ მას ჰგონია რომ ეს ამბავი „ჩაკერებულია შემდეგს დროებში“ [115:129]. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, თ. ჟორდანიას მოსაზრება რომ პაჭანიკთა შესახებ ცნობა „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში არ არის, საბუთად არ გამოდგება, რადგან იგი შემოკლებული თარგმანია [115:130]. „ზემოდ ვნახეთ, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — რომ პაჭანიგებს გარდა სხვა ანაქრონიზმებიც მოიპოვება ჯუანშერის თხზულებაში. ამას გარ-

და ცხორების მთელი მოთხრობაც არსად არ შეიცავს იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს უტყუარს სურათს და თკთ-მხილველობისა ხომ ნიშანწყალიც არ ეტყობა. პირიქით, რაც უფრო ავტორი თავის დროს უახლოვდება, მისი ცნობები თანდათან უფრო და უფრო შინაარსიანი ხდება, თუმცა-კი აქაც მოთხრობას ნათლად ემჩნევა, რომ ავტორი ჯუანშერი არც ამ ხანის თანამედროვე ყოფილა" [115:130]. „რომ ჯუანშერი ვახტანგ მეფის მერმე „შემდგომად ჟამთა მრავალთა" ცხოვრობდა და როცა თხზულებასა სწერდა, სანდო მასალა მის შესახებ ხელთ არა ჰქონდა, ეს საუცხოოდ მისი „ისტორიითა"-ცა მტკიცდებოდა: იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთს" [115:131]. „ამგვარად, — ასკვნის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, — ზემონათქვამითგან ცხადად სჩანს, რომ ჯუანშერის თხზულება ვახტანგის დროის ისტორიისათვის, ზოგიერთ მცირეოდენ ცნობას გარდა, თითქმის გამოუდეგარია და საყურადღებოა მხოლოდ, როგორც დამახასიათებელი იმისა, თუ რა ცნობები და წარმოდგენა ჰქონიათ მე-XI-ე საუკუნეში განათლებულ ქართველ წრეებს ვახტანგ გორგასალის პიროვნებასა და მეფობაზე" [115:134; შდრ. 116:194].

ღირებულად ჩათვლილ „ზოგიერთ მცირეოდენ ცნობათა" შორის ივ. ჯავახიშვილი ირანელებთან ვახტანგ გორგასლის ბოლო ომის აღწერას ასახელებს. ჯუანშერის თხზულების ამ ნაწილის შესახებ იგი წერს: ჯუანშერს „ვახტანგის გარდაცვალების შესახებ ძველი და კარგი ცნობა უნდა ჰქონოდა" (111:329). „...ჯერ კიდევ XI ს-ში ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ ძველი და კარგი საისტორიო წყაროები ყოფილა, მაგრამ ამ წყაროთა ცნობები ტენდენციურად შეუცვლიათ და დაუმახინჯებიათ" [111:331].

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება" კ. კეკელიძეს ლეონტი მროველის მიერ დაწერილ თხზულებად მიაჩნდა. ლეონტი კი რადგან XI ს-ში მოღვაწეობდა, კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ვახტანგის მოღვაწეობიდან 500-ზე მეტი წლის გასვლის შემდეგ ლეონტის მიერ დაწერილი თხზულების ისტორიული ცნობები არარეალური უნდა ყოფილიყო. „ბრძოლა ვახტანგ გორგასლანისა ხაკანთან და სხვადასხვა მტრებთან, — წერდა იგი, — როგორიცაა ხაზარნი, ჰინდონი, სინდნი, სპარსნი, ბერძენნი, აბაშნი, ბრძოლა, რომელსაც ისტორიაში ვერც ადგილს მოუძებნით და ვერც მიზეზს (შეადარეთ ვ. ბოლოტოვის ზემომოტანილ აზრს. — ვ. გ.), შეთხზული უნდა იყოს უმთავრესად ა მ ი რ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი ს ზეგავლენით, რომლის გმირები ებრძვიან, სხვათა შორის,

ხაყანს, ხანთა მეფეს, სინთა მეფეს, ბერძნებს, ინდოელებს, სპარსელებს, ხაზარებს და თურქებს“ [57:36—37].

მიუხედავად იმისა, რომ პ. ინგოროყვა ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებს განსაკუთრებული ნდობით ეკიდებოდა, ვახტანგის „ცხოვრების“ შინაარსი მანაც არარეალურად მიიჩნია. „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა, — წერდა იგი, — ლეგენდურ ასპექტში წარმოგვიდგენს V საუკუნის საქართველოს მეფის ვახტანგ დიდის თავგადასავალს“ [47:266].

ძველი ქართული წყაროებისადმი XIX ს-ში ჩამოყალიბებული უარყოფითი შეხედულება, როგორც ვნახეთ, ქართველმა მეცნიერებმა ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაიზიარეს. ქ. პატკნოვის, ვ. მილერისა და ვ. ბოლოტოვის გამონათქვამებს ისინი სიტყვასიტყვით იმეორებდნენ.

ქართული ისტორიული მეცნიერება კვლევის თანამედროვე ეტაპზე რომ ასულიყო, ამისათვის მ. ლორთქიფანიძე საჭიროდ თელის ქართულ საისტორიო მეცნიერებას ასეთი საფეხური გაევლო. ივ. ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ ახალი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერს: „უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა ღირსებისა და მნიშვნელობის საკითხში სუპერკრიტიკულად იქნა აღიარებული“, მაგრამ, განაგრძობს იგი, — „იმ დროს ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული, საისტორიო წყაროებისადმი აბსოლუტურად უკრიტიკო დამოკიდებულების პირობებში, საისტორიო თხზულებების ასეთი მკაცრი კრიტიკული გაცხრილვა და მათდამი კრიტიკული დამოკიდებულების მეთოდის დანერგვა, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების აუცილებელი და ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო“ (74:13; შდრ. 64).

დავუშვათ, გარკვეულ ეტაპზე საჭირო იყო ძველი ქართული წყაროებისადმი მკაცრი კრიტიკული მიდგომა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართული წყაროებისადმი ასეთი მიდგომა დღესაც გრძელდება. მაგ., 1973 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში, ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის საკითხს როცა ლ. ჯანაშია შეეხო, აღნიშნა: „არსებობს ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილი სპეციალური საისტორიო თხზულება, რომელსაც აკუთვნებენ XI ს. ავტორს, ჯუანშერს. მაგრამ ეს თხზულება ნახევრად მხატვრული ნაწარმოებია და ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. მასში ბევრი აშკარად არარეალური ამბავია მოთხრობილი... ამ წყაროს გამოყენება

უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს“. [117:90]. მხოლოდ ამის შემდეგ წერს ლ. ჯანაშია, რომ ვახტანგის „ცხოვრებაში“ „არაერთი უძველესი და უძვირფასესი ცნობაა“ შემონახულიო [117:90].

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორისა და ამ თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობის საკითხში ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის თვალსაზრისს იზიარებს ა. ბოგვერაძე. 1979 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში იგი წერს: „...ვახტანგის ცხოვრებაში ბევრი რამაა ზღაპრული და არარეალური, რადგან მემატიანეს ვახტანგის შესახებ არსებული ხალხური თქმულებები უნდა ჰქონდეს უმთავრესად დამუშავებული და საკუთარი თვალსაზრისით გამართული. სინამდვილეში არ ვიცით, როდის დაიბადა ვახტანგი, ან როდის გამეფდა იგი: იყო მანამდე ქართლის სამეფო ტახტი საერთოდ თავისუფალი, თუ მან მირდატი ან სხვა ვინმე შეცვალა უშუალოდ“ [16:38]. კ. კეკელიძის კვალდაკვალ მიაჩნია რა ვახტანგის „ცხოვრება“ ლეონტი მროველის თხზულებად, დასძენს: „ლეონტის ეს საისტორიო შრომა უმთავრესად ფოლკლორულ მასალებზე აუგია (ამ მომენტს მიუთითებს, კერძოდ, ნ. ბერძენიშვილი[7], მაგრამ, უეჭველია, მას წერილობითი წყაროებიც აქვს გამოყენებული) და მისთვის გმირული თქმულების ლიტერატურული ფორმა მიუცია. ამდენად, — ასკვნის ა. ბოგვერაძე, — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ უფრო ზღაპრულ-ლეგენდური ხასიათის ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, რომელშიაც რეალურ-ისტორიული ცნობებიც შეინიშნება...“ [16:38].

1984 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში ნ. კენჭოშვილმა არა მარტო უარყო ვახტანგისა და ირანის შაჰის ერთობლივი ლაშქრობა ინდოეთში, თხზულების ეს ნაწილი XI ს. შემდეგ, „გვიან შუასაუკუნეებში“ შექმნილად მიიჩნია [63: 13; შდრ. ქვემოთ გვ. 167].

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, — წერდა ნ. ლომოური 1984 წელს გამოქვეყნებულ წერილში, — მრავლად „გვხვდება უზუსტობანი, ანაქრონიზმები, მეფეთა რიგის აღრევა, მათი ნამოღვაწარის არასწორი გაშუქება“... „ეს უფრო ითქმის, — დასძენს იგი, — ჯუან-

---

[7] როგორც 1979 წელს გამოცემული ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერებით გაირკვა, ვახტანგის „ცხოვრება“ მასაც ლეონტის თხზულებად მიაჩნდა. „ჯუანშერი იგივე ლეონტია“ [13:23], — წერდა იგი, — ლეონტი მროველი კი „ავტორია როგორც „მოქცევისა“ და მოქცევამდე ისე ჯუანშერის თხზულებისაც და მთელი ეს ნაწარმოები შექმნილია ხორენელის მიხედვით ქართულ ხალხურ გადმოცემათა ნიადაგზე, ხალხურ ეტიმოლოგიათა ნიადაგზე, ხორენელის გავლენით“ [13: 17].

შერის თხზულებაზე, სადაც ასეთი ხარვეზები და ანაქრონიზმები უამრავია“ [71:116—117].

ჯუანშერის თხზულებაში „ანაქრონიზმები რომ უამრავია“ ამის დამტკიცება ნ. ლომოურმა 1989 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ცადა. მისი მტკიცებით, „...უმთავრესი ნაკლი ამ თხზულებისა ისაა, რომ მასში მთლიანად დარღვეულია ზოგადისტორიული პერსპექტივა“ [73:30] „თხზულების... შინაარსი... უფრო მხატვრულ ნაწარმოებს გვაგონებს, ვიდრე საისტორიო თხზულებას“ [73:30. აქ ლ. ჯანაშიას იმოწმებს], ჯუანშერს „...დამახინჯებული აქვს არა მარტო V საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო სიტუაცია, არამედ თვით ქართლში მომხდარი მოვლენებიც“ [73:33], რის გამოც თურმე ჯუანშერის თხზულებაში „რაიმე რაციონალური მარცვლების აღმოჩენა ძალზე ძნელია“ [73:47], რომ „ოსეთში ლაშქრობის, ბერძნებთან ომის, სპარსელებთან ერთად შუა აზიასა და ინდოეთში ლაშქრობების აღწერილობა, თავისი გოლიათებთან ორთაბრძოლებით, მებრძოლი ჯარებისა და ტყვეების რაოდენობის ჭეშმარიტად ასტრონომიული ციფრებით, უფრო ეპიკურ მოთხრობას ჰგავს“ [73:30 ჯუანშერის შესახებ ნ. ლომოურის უარყოფით შეფასებათა შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 106—107).

ჯუანშერის თხზულების, როგორც არასანდო საისტორიო წყაროს შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ვხედავთ, ისე მრავლადაა უარყოფითი გამონათქვამები, რომ ყოველი მკვლევარი, ვინც კი ჯუანშერის თხზულებაზე მუშაობას განიზრახავს, ცხადია იმთავითვე უარყოფითად განეწყობა. ასეთ გავლენას ვერ აცდა ფრანგი ქართველოლოგი მარტინ ისარი. იმის გამო, რომ „შუშანიკის წამებასა“ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში ვახტანგი არ იხსენიება, ლაზარ ფარპეცის მიხედვით კი თურმე ვახტანგი ირანელთა წინააღმდეგ „ხანმოკლე და უშედეგო აჯანყების უიღბლო ბელადია“, მარტინ ისარმა ვახტანგის ის სახე, რომელიც ჯუანშერთან არის, გვიან, ლეგენდარულ საფუძველზე ჩამოყალიბებულად მიიჩნია [73:41].

თავი II.

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის მოღვაწეობის დროისა და ვინაობის საკითხი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ვახტანგის „ცხოვრების“ მოცულობა

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორად დღეისათვის, მართალია, XI ს. ავტო-

ური ჯუანშერი ითვლება, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ. ივ. ჯავახიშვილის ასეთ მოსაზრებას კ. კეკელიძე იმთავითვე არ დაეთანხმა და „ცხოვრების“ ავტორად ლეონტი მროველი მიიჩნია. კ. კეკელიძის მოსაზრებას დღესაც არაერთი ქართველი მკვლევარი იზიარებს (იხ. ქვემოთ). ამიტომ, ისმება კითხვა, ვინაა ბოლოს და ბოლოს ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორი, ჯუანშერი თუ ლეონტი მროველი. რა მასალა მოაქვს თითოეულ მხარეს თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად.

მ. ლორთქიფანიძის თანახმად, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებას ენიჭება. ვახტანგ VI-ის „დროებითი კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს გათვალისწინებით, — განაგრძობს იგი, — და მარიამისეული და ანასეული „ქართლის ცხოვრებათა“ ტექსტების შედარების შედეგად ივ. ჯავახიშვილმა შეძლო გაერკვია ამ კრებულის (ე. ი. „ქართლის ცხოვრების“. — ვ. გ.) თანდათანი შედგენის ისტორია [74:11—12].

დასმულ საკითხს ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1916 წელს, ძველი ქართული საისტორიო მწერლობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში შეეხო. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, „ქართლის ცხოვრებაში“ საქართველოს უძველესი ისტორიის ამსახველი „მეფეთა ცხოვრება“ (მოიცავს თხრობას ფარნავაზის ხანიდან ახ. წ. IV ს. დასასრულამდე) ეკუთვნის XI ს. I ნახევრის ავტორს ლეონტი მროველს [115:112—126], ხოლო მისი გაგრძელება არჩილ მეფის წამებამდე (VIII ს. შუა ხანები), XI ს. მეორე ნახევარში მოღვაწე ჯუანშერ ჯუანშერიანს [115:127—134. — შდრ., 64].

„ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ტექსტში საიდან იწყება და სადამდე გრძელდება ჯუანშერის თხზულება ივ. ჯავახიშვილმა პირობითად განსაზღვრა. მაგ., ჯუანშერის თხზულების დასაწყისი ნაწილის შესახებ იგი წერს: „ჯუანშერის „ისტორიას“ უეჭველია თავი და შესავალი უნდა აკლდეს: ასე ერთბაშად, როგორც იგი ახლა იწყება სიტყვებით „ვითარ იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ“, შეუძლებელია რომელმამე მემატიანემ დაიწყოს თხზულების წერა. ამას გარდა, ის, რაც ახლა ვახტანგ მეფის „ცხორები“-ს თავშია, ლეონტი მროველის ისტორიის ბოლოს გამეორებაა. ამიტომ, ან ერთს უნდა ეკუთვნოდეს, ან მეორეს“ [116:189]. შემდეგ დასძენს: „უფრო კი ვგონებ რომ მეორესი უნდა იყოს იმიტომ, რომ ვახტანგის მშობელთა თავგადასავალი, როგორც სათაურითგანა ჩანს, ვახტანგის „ცხორების“

დამწერს უნდა ეკუთვნოდეს“ [116:189]. რაც შეეხება თხზულების დასასრულს, ივ. ჯავახიშვილს მასზე სპეციალურად არ უმსჯელია („ქართლის ცხოვრებაში“ დღეს ჯუანშერისადმი მიკუთვნებული ტექსტი, როგორც ზემოთაც მივუთითე, VIII ს. ამბების აღწერით მთავრდება).

ჯუანშერის მოღვაწეობის დროის დადგენისას ივ. ჯავახიშვილმა პირველ რიგში „ქართლის ცხოვრებაში“ შესული „არჩილის წამების“ ბოლოში დართული მინაწერის ცნობა განიხილა. ამ მინაწერში დასახელებული „წმინდა არჩილი“ მან VIII ს-ში მოღვაწე ქართლის ერისთავარ არჩილად მიიჩნია. ამ „მინაწერის“ თანახმად, — წერს იგი, — ჯუანშერს „მაშასადამე, დაახლოებით ვითომც VIII საუკ. უნდა ეცხოვრა“, მაგრამ „ეს ცნობა მისი ვინაობის შესახებ მერმინდელი გადამწერის მიმატებული უნდა იყოს და ამისდა მიხედვით... იმ ჯუანშერს, რომელსაც ვახტანგ გორგასალის ცხ-ა უნდა დაეწერა, სრულებით არ შეესაბამება, რათგან „ცხორებას“ ზღაპრული ელფერი ადევს და თვით თხზულებაშიც აქა-იქ იმგვარი ცნობები მოიპოვება, და ისეთი წყაროებია მოხსენებული, რომელნიც VIII საუკ. ჯერ არ არსებობდნენ“ [116:189].

იმ წყაროებად, რომელნიც VIII ს-ში არ არსებობდნენ ივ. ჯავახიშვილი სირიელ მამათა „ცხოვრებებს“ ასახელებს და წერს: „...შიო მღვიმელის სასწაულნი“ პირველად ბასილ კათალიკოსმა აღწერა X—XI ს. (აქ ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს — თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 60—61), ხოლო იოანე ზედაზნელისა არსენი კათალიკოსმა X ს-ში (იმოწმებს — „საქართველოს სამოთხე“, გვ. 208, შენ.). ამის შემდეგ ასკვნის: „მაშასადამე, ჯუანშერსაც დაახლოებით უნდა ეცხოვრა X—XI საუკუნეში“ [116:189—190].

ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან „შემდგომად ჟამთა მრავალთა“ რომ ცხოვრობდა, ამის მეორე საბუთად ივ. ჯავახიშვილმა მიიჩნია თხზულებაში არსებული ცნობა ჩრდილოეთ კავკასიაში თურქთა დაწოლით პაჭანიკთა გადაადგილების შესახებ. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, რაკი ჯუანშერს სცოდნია პაჭანიკთა დასავლეთით გადასახლების ამბავი, ვოლგასა და დიკის შორის მობინადრე პაჭანიკები კი IX ს. მეორე ნახევარში გადასახლდნენ დონსა და დუნაის შუა, ჯუანშერს XI საუკუნეში უნდა ეცხოვრა [116:190].

ჯუანშერი მართლაც XI ს. მოღვაწე რომ იყო, ივ. ჯავახიშვილის თანახმად ეს უფრო ცხადად მტკიცდება იმ ცნობით, რომელშიც ვითომც, ბიზანტიის კეისარს აფხაზთა ერისთავისათვის შემოეთვალოს:

„დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა ვიდრემდის წარკდეს წელიწადნი მათნი სამასნი, რამეთუ ორას და მეერგასესა წელსა განიყოს მეფობა მათი და განსრულებასა მესამე [ასი]სა წელიწადისასა მოეცეს ძალი მეფობასა ჩუენსა და შევმუსრნეთ აგარიანნი“ [116:190]. ერთი სიტყვით, — დასძენს ივ. ჯავახიშვილი, — აქ წინასწარმეტყველებაა, რომ არაბთა ბატონობა საქართველოში 300 წელიწადს გასტანს. ჩვეულებრივ ამგვარი წინასწარმეტყველება ითხზება ხოლმე post factum და აქაც, რასაკვირველია, ცხადია, რომ როცა ჯუანშერს ეს ვითომც-და წინასწარმეტყველება თავის ისტორიაში შეჰქონდა, 300 წელიწადი არაბთა შემოსევიდან უკვე აღსრულებული და არაბთა ბატონობაც შესუსტებული იყო, ესე იგი XI ს. პირველ ნახევარში [116:191].

ივ. ჯავახიშვილმა ჯუანშერი რადგან XI ს-ში მოღვაწე ისტორიკოსად მიიჩნია, ახლა საჭირო იყო, XI ს-ში ასეთი პიროვნება მოეძებნა. ამ მხრივ მან ყურადღება მიაქცია ათონის ივერთა მონასტრის № 50 ხელნაწერში მოხსენებულ ილარიონ-ჯუანშერს. მაგრამ იქვე დასძინა: „სამწუხაროდ ცნობა მეტად მოკლეა, რომ საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდეს, ჩვენი ისტორიკოსი და ის ილარიონ ჯუანშერი ერთი და იგივე პირი იყო თუ არა“ [116:191].

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ავტორთა შესახებ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, როგორც ითქვა, კ. კეკელიძემ არ გაიზიარა. 1923 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია“ იგი წერდა: „მე ვფიქრობ, რომ ცხოვრება ვახტანგ გორგასლანისა არის განუყოფელი ნაწილი ეგრეთწოდებულის მეფეთა ცხოვრებისა, ის დაწერილია არა ჯუანშერის, არამედ ლეონტი მროველის მიერ“ [57:18]. კ. კეკელიძემ გაანალიზა რა „ქართლის ცხოვრების“ ის მინაწერი, რომლის თანახმად „ქართლის ცხოვრება“ „ვახტანგისადმდე“ ლეონტი მროველმა აღწერა, დაასკვნა: „...თუ მოყვანილს მაგალითებში ფრაზა „ვახტანგისითგან“ (აგრეთვე „მირიანისითგან“) ჰგულისხმობს ვახტანგის შემდეგს ხანას, იმ memento-შიც „ვახტანგისითგან“ უნდა გავიგოთ, exclusive, ვახტანგის ცხოვრება ჯუანშერის შრომაში არ შედის, ის წინაეპოქის აღმწერელს ეკუთვნის [57:20]. „ამნაირად, ის ერთადერთი ბაზა, რომელზედაც ემყარებიან ლეონტისა და ჯუანშერის შრომათა მოცულობის გარკვევისას,—ზემომოყვანილი memento—არ არის ურყევი; memento დაწერილია ისეთი პირისაგან, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ამ ისტორიკოსთა შესახებ, შინაარსი მისი მეტად გაურკვეველია, თან, პარალელურ ადგილთა მიხედვით, არც შეიცავს იმ აზრს, რომ

ვახტანგის ცხოვრება ჯუანშერს ეკუთვნის“ [57:20]. „ერთი სიტყვით, — ასკვნის იგი, — ლეონტი მროველს აღუწერია მამათა და მეფეთა ცხოვრება, ესე იგი მთელი ხანგრძლივი პერიოდი მამათა და მეფეთა გამგებლობისა, როგორც წარმართულ დროში, ისე ქრისტიანულშიაც, მეექვსე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, როდესაც მეფობა გაუქმდა ჩვენში, ხოლო ეპოქა ერისმთავართა დამყარებიდან, ან გურამ კუროპალატიდან, აღუწერია უკვე ჯუანშერ ჯუანშერიანს“ [57:22—23; 62:260][8]. „ამნაირად, ლეონტის საისტორიო შრომის გეგმის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვახტანგ გორგასლანის ცხოვრებაც მისი დაწერილი უნდა იყოს“ [57:24; 62:252—253].

იმის დასადასტურებლად „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორი რომ ლეონტი მროველია, კ. კეკელიძემ ერთმანეთს შეუდარა დასახელებულ თხზულებათა ცალკეული ადგილები და აღნიშნა: „...ორივე ცხოვრებაში მოთხრობას ერთგვარი უაღრესად ზღაპრულ-ლეგენდარული ხასიათი აქვს, ენაც მათი თავიდან ბოლომდე ერთგვარია; აქ ჩვენ გვხვდება ერთი და იგივე აზრები, ერთი და იგივე სტერეოტიპული წინადადებები და ფრაზები, რომელნიც ეჭვს არ ტოვებენ იმაში, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერთისა და იმავე მწერლის ნაწარმოებთან“ [57:24]. შემდეგ, კ. კეკელიძეს ორივე თხზულებიდან მოაქვს სათანადო მაგალითები და აღნიშნავს: „წარმოდგენილი მასალა, მე ვფიქრობ, საკმარისია იმის სათქმელად, რომ ცხოვრება ვახტანგ გორგასლანისა არის განუყოფელი ნაწილი ეგრეთწოდებულის მეფეთა ცხოვრებისა, რომელიც ლეონტი მროველის კალამს ეკუთვნის; იგივეობა აზრებისა, მოთხრობის ხასიათისა, წინადადებათა, ცალკე სიტყვებისა და მთელი ადგილებისა ამის უტყუარი საბუთია; ასეთს დასკვნამდის მივდივართ ჩვენ ლიტერატურული წყაროების თვალსაზრისითაც“ [57:32].

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ის მატიანეები, რომლებშიც უძველესი დროიდან ახ. წ. VI ს. 30-იანი

---

[8] უფრო გვიან კ. კეკელიძე წერდა: „ლეონტის შრომა გააგრძელა ვიღაც ჯუანშერმა“ [62:259]. „ვინ არის ჯუანშერი, არ ვიცით, ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ შენახულა“ [62:266].

მინაწერის შინაარსს ჯერ კიდევ 1962 წელს შეეხო შ. ბადრიძე და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებისადმი“ ლეონტის ავტორობა უარყო (იხ. მისი, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სარედაქციო შენიშვნების შესახებ, „ცისკარი“, 1962, № 3. გვ. 146).

წლების ბოლომდე საქართველოს ისტორიაა გადმოცემული კ. კეკელიძემ XI ს-ში მოღვაწე ლეონტი მროველის დაწერილად მიიჩნია. საერთოდ უარყო ჯუანშერის პიროვნება, როგორც საკუთრივ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ აღმწერი, იქნებოდა იგი VIII თუ XI ს. მეორე ნახევრის ავტორი. ჯუანშერი მხოლოდ VI ს. 30-იანი წლების შემდგომი ე. წ. „ერისმთავართა ეპოქის დამყარებიდან“ მოთხრობილი ისტორიის ავტორად ჩათვალა. ლეონტი მროველის მთელი წყაროებისულ რაღაც 3—4 თხზულებით განსაზღვრა. რაც მთავარია, როგორც ვახტანგ გორგასლის წინა ხანის, ისე ვახტანგის მოღვაწეობის დროისათვის არავითარ ისტორიული რეალობის ამსახველ მაგალითზე არ მიუთითა.

ს. კაკაბაძემ 1924 წელს მართალია ლეონტი მროველი რედაქტორად მიიჩნია, მაგრამ ასეთი თვალსაზრისი მან იმავე წელს შეცვალა. „ლეონტი მროველი, — წერდა იგი, — შეიძლებოდა მიკუთვნებულიყო მე-10 საუკუნის დასაწყისის, ახლო დროს“. „ლეონტი მროველს კარგათ ახსოვს ჯუანშერის ავტორობა, მის მიერ ვახტანგ გოოგასლის „ცხოვრების შედგენა“ [54:181]. ს. კაკაბაძის მტკიცებით, ჯუანშერი რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის, კერძოდ კი არაბების ხანის მოღვაწეა[9], ამას მოწმობს, მის მიერ ისეთი არაბული სიტყვების ხმარება, როგორებიცაა: ეჯიბი, შუამდინარეთის არაბული სახელი — ჯაზირა, მდ. ტიგროსის არაბული სახელი — დიჯლა, გურგანის არაბული ფორმა ჯურჯანი, შემდეგ ასკვნის: „ამრიგად, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ვიდრე სტეფანოზ II-მდის დაწერილი უნდა იყოს ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, უკეთ მესამე მეოთხედში“ [54:188].

„ქართლის ცხოვრებაში“ შესული საქართველოს ძველი ისტორიის ამსახველ თხზულებათა ავტორთა საკითხს პ. ინგოროყვა 1939 წელს შეეხო. VII ს-ში, — წერდა იგი, — „არსებულა მატიანე ქართველი განთქმული სახელმწიფო მოღვაწისა, ...ვახტანგ გორგასარისა“. და „ეს ძველი მატიანე ექსცერპტულად არის გამოყენებული უფრო გვიანი დროის უჯარმოელის თხზულებაში, და აგრეთვე არსენის მეტაფრასში, რომლებიც ვახტანგ გორგასარის მეფობას ეხებიან“ [46:№ 4 გვ. 107].

---

9 1957 წ. სოფ. თრეხვთან (ქარელის რ-ნი) გამოქვაბულში აღმოჩენილ. 1066 წლით დათარიღებულ წარწერასა და ათონის ერთ-ერთ ხელნაწერში მოხსენიებულ ლეონტი მროველს, რადგან „ქართლის ცხოვრების“ მინაწერში „მეფეთა ცხოვრებისა“ და „არჩილის წამების“ ავტორად დასახელებულ ლეონტი მროველთან აიგივებენ, ლეონტი მროველი დღეისათვის XI ს. მოღვაწედ არის მიჩნეული.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ჯუანშერის XI ს. ავტორად მიჩნევის შემდეგ, როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძემ საერთოდ უარყო ვახტანგის „ცხოვრებისადმი“ ჯუანშერის ავტორობა, სხვებმა კი ჯუანშერი სხვადასხვა საუკუნის ავტორად მიიჩნიეს. ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორის ვინაობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ კამათი აღნიშნულით არ დამთავრებულა. 1968 წელს ა. ბოგვერაძე წერდა: „სამწუხაროდ, კ. კეკელიძის სავსებით სწორმა შეხედულებამ ჩვენს წყაროთმცოდნეობაში ვერ მოიკიდა ფეხი“-ო. ამის შემდეგ, მან თვით სცადა კ. კეკელიძის მოსაზრების გამყარება. თუმცა, ლეონტი მროველს კ. კეკელიძე თუ იმ მატიანეთა ავტორად თვლიდა, რომლებშიც უძველესი დროიდან VI ს. 30-იანი წლების ბოლომდეა თხრობა, ა. ბოგვერაძემ ლეონტის მიაკუთვნა „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელშიც „დასაბამიდან ვიდრე VIII ს. ბოლომდე“ ამბებია მოთხრობილი [17:30, 37. ასეთივე შეხედულება გაიმეორა მან 1979 და 1987 წლებში. იხ. 16:38; „მაცნე“, 1987 № 4, გვ. 173, შენ. 1].

1987 წელს ჟურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნებულ გამოკვლევაში გ. არახამიამ ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის იმ ნაწილის ავტორად ჩათვალა, რომელშიც გადმოცემულია ამბები უძველესი დროიდან აშოტ კურაპალატის (IX ს.) გამეფეაის შესახებ ცნობების ჩათვლით [4:74]. 1987 წელსავე ჟურნალ „მაცნეს“ რედკოლეგიამ „ქართლის ცხოვრების პრობლემების“ შესახებ დისკუსია წამოიწყო და ამ დისკუსიის დროს გ. არახამიამ კვლავ გაიმეორა თავისი დებულება [3:173]. დისკუსიის მონაწილეებიდან ს. კაკაბაძის თვალსაზრისის სათანადო დასაბუთება სცადა გ. ანჩაბაძემ. მან სამართლიანად დაუჭირა მხარი იმ მკვლევართა შეხედულებას, რომელთა მიხედვით, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ არ შეიძლებოდა თავიდანვე იმ მოცულობისა ყოფილიყო, როგორც დღეს არის იგი წარმოდგენილი [2:185]. რაც შეეხება გ. ანჩაბაძის მიერ მოტანილ საბუთებს ჯუანშერის VIII ს. ავტორად მისაჩნევად, ამ მხრივ, იგი ეყრდნობა „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ იმ მინაწერს, რომელშიც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ აღმწერად წმინდა არჩილის ძმისწულის ქმარი ჯუანშერი არის დასახელებული. ეს ჯუანშერი VIII ს-ში მცხოვრები მეფე არჩილს თანამედროვედ მიაჩნია [2:185—186] და თვლის რომ სწორედ VIII ს. II ნახევარში, ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისის დროს. რათა თანამემამულეებისათვის „გაეღვიძებინა ეროვნული სიამაყის გრძნობა“, ჯუანშერმა დაწერა ეპიკური ხასიათის თხზულება ვახტანგ გორგასლის შესახებ [2:186—187].

როგორც ქვემოთ ვნახავთ, წმინდა არჩილი სწორედ V ს-ში ცხოვრობდა და VIII ს-ში მისი ძებნა ხელოვნურია. ასევე ვერ გავიზიარებ ივ. ჯავახიშვილიდან მომდინარე [116:191] გ. ანჩაბაძის მოსაზრებას თითქოს VI—VIII სს. ამბების აღმწერელი პირი უკეთ იცნობს მსოფლიო ისტორიის მოვლენებს და მისი თხრობა უფრო რეალურია, ვიდრე საკუთრივ ვახტანგის „ცხოვრების“ შინაარსი.

*

* *

ამ ბოლო დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ვნახეთ, განსაკუთრებული სურვილი შეიმჩნევა ლეონტი მროველი არა მარტო „მეფეთა ცხოვრების“, არამედ „ქართლის ცხოვრებაში“ შესული უფრო გვიანდელი ხანის ამსახველ თხზულებათა ავტორად გამოაცხადონ. შაშინ, როცა, მისი „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად მიჩნევაც კი არ შეიძლება. ასეთი თვალსაზრისი კარგა ხანია გამოითქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქვემოთ მასზე შევჩერდები.

კ. გრიგოლიას თანახმად, „ლეონტი მროველის დამკვიდრება ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ისტორიკოსისა, უფრო გვიან არის მომხდარი და იგი უთუოდ ივანე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. უკანასკნელის მიხედვით, ლეონტის დაუწერია „მამათა და მეფეთა ცხოვრება“, ქართველი ხალხის უძველესი ისტორია დასაბამიდან V საუკუნემდე. გარდა ამ თხზულებისა, — დასძენს კ. გრიგოლია, — ივანე ჯავახიშვილი მასვე მიაწერს „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილ კიდევ ორ თხზულებას „ნინოს მიერ ქართლის მოქცევას“ და „არჩილის წამებას“ [39:224].

მართლაც, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ლეონტი მროველი თუნდაც მხოლოდ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად ამ ბოლო ხანაში რომ დამკვიდრდა, ეს შემდეგიდანაც ჩანს: „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ ნუსხაში (XVII ს.) ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად არაა დასახელებული. ამიტომ, 1906 წელს ამ ნუსხის გამოცემისას ე. თაყაიშვილმა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად ლეონტი არ მიუთითა [95:1, 978], ხოლო 1942 წელს „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხის (XV ს.) გამოცემისას, რადგან ივ. ჯავახიშვილის მიერ ლეონტი უკვე „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად

იყო მიჩნეული, ს. ყაუხჩიშვილმა „მეფეთა ცხოვრების“ წინ ლეონტი მროველი კვადრატულ ფრჩხილებში ჩასვა [94:1].

ასე რომ, ლეონტის „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად დამკვიდრება ამ ბოლო დროს მოხდა, მაშინ როცა ჯუანშერ ჯუანშერიანი იმთავითვე ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად იყო მიჩნეული.

იმის გარკვევას XI ს-ში მოღვაწე ლეონტი მროველი იყო თუ არა „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის. როგორც ზემოთ ითქვა, ს. კაკაბაძემ ჯერ კიდევ 1924 წელს მიიჩნია ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორად. მართალია მან ეს მოსაზრება ჩქარა უარყო, მაგრამ აზრი ლეონტი რომ ავტორი არ უნდა ყოფილიყო თანდათან მწიფდებოდა. 1941 წელს არმაზის ბილინგვის გაშიფვრასთან დაკავშირებით გ. წერეთელმა დასვა საკითხი „მეფეთა ცხოვრებისადმი“ არსებული სკეპტიკური დამოკიდებულების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ [197:67—70]. 1954 წელს კ. გრიგოლიამ მოითხოვა როგორც „მეფეთა ცხოვრების“ ისე ჯუანშერის თხზულებისადმი მეტი ყურადღება გამოეჩინათ [38:77—79].

1959 წელს საქართველოს ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გ. მელიქიშვილმა მდიდარი არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული მასალის, ასევე ძველაღმოსავლური და ბერძნულ-რომაული წყაროების ქართულ წყაროებთან შეჯერების საფუძველზე საქართველოს ძველი ისტორიის გაბმული თხრობა წარმოადგინა. იმავე ნაშრომში მან მიუთითა, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანეებისადმი ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი „სერიოზულ ეჭვს იწვევსო“ [163:30. ასეთი მოსაზრება გაიმეორა მან „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში. 77:51—52; შდრ. მისივე, ლეონტი მროველი, ქსე, ტ. 10].

1960 წელს კ. გრიგოლია კვლავ შეეხო „მეფეთა ცხოვრების“ ცნობათა სანდოობის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ თხზულების „ცალკეული ნარკვევები ლეონტი მროველს რომელიღაც ძველი წყაროდან პირდაპირ აქვს ამოღებულიო“ [39:230].

1962 წელს კი, სათანადო მასალის გაანალიზების შემდეგ შ. ბადრიძემ მოითხოვა „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანეების ავტორად მიჩნეული ლეონტი მროველი, რადგან მხოლოდ „გადამწერი“ ჩანს, ლეონტისათვის „ფსევდო ლეონტი მროველი“ გვეწოდებინა [7: 179]. იმავე წელს, შ. ბადრიძის ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ ს. ყ>-

უხჩიშვილი გამოვიდა. „ლეონტი მროველი არის ქართული ისტორიოგრაფიის ჰეროდოტე“, — წერდა იგი, — მისი „ავტორობის საკითხი არ შეიძლება გახდეს განხილვის საგანი“ [100:191]. ს. ყაუხჩიშვილის ასეთმა მკაცრმა გამოსვლამ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ავტორობაში დაეჭვების საკითხი კვლავ მომავლის საქმედ გახადა. ამჟამად, „ქართლის ცხოვრების“ მიმართ ასეთი მიდგომა შედარებით დაძლეულია. ძველი ქართული მატიანეების ავტორთა ვინაობის საკითხი ახლა შეიძლება „განხილვის საგანი გახდეს“. ამ მიზნით, როგორც ითქვა, 1987 წელს ჟურნალმა „მაცნემ“ სპეციალური დისკუსიაც კი წამოიწყო.

აღსანიშნავია ის, რომ თითქმის ყველა მკვლევარმა, ვინც კი „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს შეეხო, ამ თხზულებაში წინაქრისტიანული პლასტები დაინახა. თვით ივ. ჯავახიშვილმაც კი, რომელიც „მეფეთა ცხოვრებას“ „ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის“ სრულიად გამოუდეგარად თვლიდა [116:187], აღიარა, რომ ცნობა მამასახლისობის შესახებ ლეონტის, „რომელიღაც ძველ საუკეთესო ქართულ საისტორიო წყაროთგან“ უნდა ამოეღო. მისივე თქმით, ლეონტის „ქართული წარმართობის შესახებ რაღაც სანდო ცნობები“, ხოლო „საქართველოს სხვადასხვა თემისა და სამთავროს საზღვრებისათვის... უეჭველია რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონია“ [116:185—187]. ივ. ჯავახიშვილის ასეთ დასკვნამდე მისვლა თავისთავად იგულისხმებოდა, ქართული ანბანის შექმნას იგი ხომ ძვ. წ. VII ს-ში ვარაუდობდა [113:236].

„მეფეთა ცხოვრების“ წყაროების ძიებისას კ. კეკელიძემ დაასკვნა: წარმართობის ხანის ქართლის ისტორიის შედგენისას „ლეონტის ხელთ ჰქონია რაღაც ძველი ისტორიული ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანას“ და ლეონტიმ „მთლიანად გადმოწერა მზამზარეული უძველესი შრომა, რომელშიც მექანიკურად ჩააკერა სხვადასხვა წყაროებიდან ამოკითხული ეპიზოდები“ [59:30].

მ. ლორთქიფანიძის სამართლიანი მითითებით „ნაგვიანევი ხანის ისტორიკოსები (ლეონტი მროველი, ჯუანშერი. — ვ. გ.) ვერ მოგვცემდნენ უტყუარ ცნობებს წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისას, მათ განკარგულებაში ძველი ხანის წყაროები რომ არ ყოფილიყო“ [74:14].

ლეონტი რომ ძველ თხზულებებს უკეთებდა რედაქციას, ვფიქრობ, ეს „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული იმ მინაწერით მტკიცდება, რომლის თანახმად „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება,

და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ [120: 244]. იქვე არსებული ცნობით, ლეონტიმ „არჩილის წამების წიგნი“ ხომ „იპოვა... სულ მცირედ აღწერილი“ [68:248]. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებით, რომ იმ თხზულებებიდან, რომელიც მინაწერის შინაარსიდან გამომდინარე ლეონტი მროველმა „აღწერა“[10], „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან, „მეფეთა ცხოვრება“ თვით „ქართლის ცხოვრებაში“ დართული ერთი მინაწერით „ჟამითი-ჟამად“ იწერებოდა, ხოლო „არჩილის წამების“ (რომელიც ლეონტიმ „მცირედ აღწერილი“ იპოვა) ავტორად, ამ ნაწარმოების XII ს. მეტაფრასული რედაქციის უცნობი აგიოგრაფი, თვით არჩილის თანამედროვეს (VIII ს.) მიიჩნევს (იხ. ქსე, ტ. 6, სტ. ლეონტი მროველი, ავტ. გ. მელიქიშვილი), ლეონტის ავტორობის საკითხი სერიოზულად დაგვაეჭვებს.

აღნიშნულთან ერთად, თუ „ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე“ ჯერ კიდევ არსებობდა „ძველი წყაროების გარკვეული ნაწილი“ (მ. ლორთქიფანიძე), ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ „ადრეულ საუკუნეებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებებია საკვლევით დასრულებული სახით“ შემონახული [რ. ბარამიძე. 9:78], თანაც XI ს. ისტორიკოსები როცა თავისი წინამორბედი ხანის ისტორიკოსთა თხზულებებით სარგებლობდნენ „...შუა საუკუნეებში არსებული ტრადიციის თანასმად, თავის წინამორბედთა ნაშრომები თითქმის მთლიანად და უცვლელად შეჰქონდათ თავის საისტორიო თხზულებებში“ [მ. ლორთქიფანიძე. 74:12], ლეონტის კი, როგორც კ. კეკელიძემ დაასკვნა „დამოუკიდებელი კვლევა-ძიების უნარი მაინცდამაინც დიდი არ ჰქონდა, და მას უფრო მზამზარეული მასალის გადაწერა ეხერხებოდა“ [59:30], მაშინ ცხადია, ლეონტი არათუ ვახტანგ გორგასლისა და შემდგომი ხანის საქართველოს ისტორიის, თვით „მეფეთა ცხოვრების“ ავტორიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, რა საფუძველზე ვაკუთვნებთ მას „ქართლის ცხოვრების“ უძველეს მატიანეებს? „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული მინაწერით ვახტანგის წინადროინდელი ისტორია ხომ „ჟამითი-ჟამად“ აღიწერებოდა, ხოლო ვახტანგის „ცხოვრება“ ჯუანშერ ჯუანშერიანმა დაწერა.

---

10 როგორც შ. ბადრიძემ 1962 წელს მიუთითა „აღწერა“ ძველად გადაწერასაც ნიშნავდა [7:175]. „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ვარიანტში ნათქვამია: ესე „ლეონტი მროველმა აღწერა, და ახლა იოანე დეკანოზმან აღწერა“ [94:156].

თეიმურაზ ბაგრატიონს იქნებ ჰქონდა რაიმე ცნობა „მეფეთა ცხოვრების“ ერთ-ერთ ავტორად III ს. შუახანებში მოღვაწე მაეყან სპასპეტი რომ მიაჩნდა[11] [43:33. გორგასლის „ცხოვრების“ ავტორად კი ჯუანშერ სპასპეტს თვლიდა. 43:33]. ვფიქრობ, მართალი იყო თ. ჟორდანია, 1892 წელს „ქართლის ცხოვრებაში“ „არჩილის წამებამდე“ ხუთი ავტორის თხზულება რომ ივარაუდა [88:XXX—XXXVIII].

როგორც ცნობილია, „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ტექსტების ანალიზის შედეგად კ. კეკელიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ უძველესი დროიდან არჩილის მეფობამდე „...იმ სახით, რა სახითაც მას ჩვენ ვიცნობთ მატიანეში, ეკუთვნის არა ლეონტი მროველს და ჯუანშერს, არამედ იმ რედაქტორს, რომელმაც მათი შრომა შეაერთა და მათგან ერთი კრებული შეადგინა. ამ რედაქტორს კი იმდენად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია აღნიშნულ ისტორიკოსთა შესახებ, რომ ჯუანშერს... ისა სთვლის არჩილ მეფის ძმისწულის ქმრად, ესე იგი მერვე საუკუნის მწერლად“ [57:18—19].

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, ს. კეკელიძეს მიაჩნია რა ლეონტი „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგის „ცხოვრების“ (უფრო სწორად იმ ისტორიისა, რომელიც ფარნავაზიდან ქართლში მეფობის გაუქმებამდე ამბავს მოიცავს. ჯუანშერს კი შემდგომ ნაწილს აკუთვნებს) ავტორად, ასეთ დასკვნას იგი „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილის ტექსტის ანალიზზე ამყარებს[12]. მეორე მხრივ, ტექსტების ასეთი მსგავსება მან იმით ახსნა, ეს თხზულებანი რომელიღაც რედაქ-

---

[11] სწორედ თეიმურაზს აქვს დაცული ტრადიციული ცნობა, რომლის თანახმად „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა“ [103:125]. წინაქრისტიანულ ხანაში ქართული საისტორიო მწერლობის არსებობის შესახებ აზრი გამოთქვეს: რ. ბარამიძემ [9:73], ლ. სანიკიძემ [90:26, 37], ივ. ლოლაშვილმა [69:17]. რ. პატარიძემ კი ამ საკითხს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა (იხ. 86).

[12] „მეფეთა ცხოვრება“ და ვახტანგის „ცხოვრება“ რომ ერთ ავტორს ეკუთვნის კ. კეკელიძის თანახმად ამაზე მიგვითითებს: 1. „საზოგადო გეგმა ლეონტი მროველისა, რომელსაც მიზნად ჰქონია საერთოდ მ ე ფ ე თ ა ცხოვრების დაწერა... მეფობის გაუქმებამდე“. 2. „იგივეობა ორისავე ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ლიტერატურული ანალიზის თვალსაზრისით“. 3. „ერთობა ლიტერატურული წყაროებისა და მათი ერთი და იმავე მეთოდით გამოყენება“. ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურული წყარო, რომელიც გამოუყენებია ლეონტი მროველს მ ე ფ ე თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს დაწერისას, არის მოსე ხონელის სადევგმირო რომანი ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი [57:46—47. „ამირანდარეჯანიანის“ წყაროდ გამოყენება კ. კეკელიძემ შემდეგ უარყო. 62:76—77].

ტორს რომ უნდა გადაემუშავებინა. ამ რედაქტორს კი, კ. კეკელიძის მტკიცებით, როგორც ლეონტის ისე ჯუანშერის პიროვნების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. კ. კეკელიძეს ლეონტი რადგან ავტორად მიაჩნდა, რედაქტორი ვინ უნდა ყოფილიყო ვეღარ მიუთითა, მაგრამ ჩემს მიერ ზემომოტანილ მასალას თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, მაშინ რედაქტორად ლეონტი მროველი უნდა იქნას მიჩნეული. ცხადია, XI ს-ში მოღვაწე ლეონტი მროველს, როგორც კ. კეკელიძეც მიუთითებს, ბუნდოვანი წარმოდგენა ექნებოდა ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ჯუანშერ ჯუანშერიანის პიროვნებაზე, რის გამოც მან ძველი მინაწერი დაურთო რა ბოლოში VIII ს-ში მოღვაწე არჩილისადმი მიძღვნილ „წამებას“, ვახტანგის თანამედროვე პირებიც VIII ს-ში გადაიყვანა, რის შედეგადაც აურია და ძნელი გასაგები გახადა თუ რომელ არჩილზე იყო მინაწერში საუბარი. მაგრამ, ამავე მინაწერში არსებულმა მითითებამ, რომლის თანახმად ვახტანგის „ცხოვრების“ აღმწერის ჯუანშერ ჯუანშერიანის მეუღლე წმინდა არჩილ [რევიანის] ძმისწული იყო, შესაძლებელი გახადა მინაწერის ნამდვილი შინაარსი გაგვერკვია.

ყოვლად დაუჯერებელია, XI ს. ავტორს ძვ. წ. IV ს. დასასრულიდან ახ. წ. VI ს. 30-იანი წლების ბოლომდე თხრობის შემცველი ისეთი ისტორიული ნაწარმოები შეექმნა, როგორიც „მეფეთა ცხოვრება“ და ვახტანგის „ცხოვრებაა“. მით უმეტეს, როგორც კ. კეკელიძე ამტკიცებდა, ახ. წ. V ს. 20-იან წლებამდე ქართული დამწერლობა თუ არ არსებობდა.

რა თქმა უნდა, ლეონტი მროველს, როგორც რედაქტორს ხელთ ექნებოდა, მის დროისთვის არსებული ძველი ქართული ქრონიკები. როგორც ჩანს, ეს ქრონიკები გამართა ლეონტიმ თავის დროის კვალობაზე — ამიტომ ჰგავს ასე ერთმანეთს „მეფეთა ცხოვრება“ და ვახტანგის „ცხოვრება“. გაერთიანებულ თხზულებაში, მან როგორც ჩანს, თავისი თანადროული ამბავიც შეიტანა, რამაც ზოგ მკვლევარს საბაბი მისცა ძველი ქართული მატიანეები XI ს. თხზულებებად მიეჩნია.

გარდა იმისა, რომ იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია, როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, — სამ „წმინდა წიგნს“— სახარებას, ვეფხისტყაოსანსა და „ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობოდა, „მეფეთა ცხოვრების“ წინაქრისტიანულ ხანაში შექმნილად მიჩნევას, ხოლო ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ჯუანშერ

ჯუანშერიანისათვის თავისი კანონიერი თხზულების დაბრუნებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისა და კერძოდ წინაქრისტიანული ხანის საისტორიო მწერლობისათვის.

*
* *

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლეონტი მროველს არათუ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორადაც ვერ მივიჩნევთ. მაგრამ, რადგან დღეს დამკვიდრებული მოსაზრებით ჯუანშერისადმი მიკუთვნებული „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ მოიცავს „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილს, რომელშიც გადმოცემულია ქართლის ისტორია V ს. დამდეგიდან VIII ს. ჩათვლით (ე. ი. ვახტანგის წინაპრების ამბების თხრობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვახტანგის „ცხოვრებას“ მიეკუთვნება ვახტანგის გარდაცვალების შემდგომი სამი საუკუნის ისტორიაც), უნდა გაირკვეს რა მოცულობისა უნდა ყოფილიყო თავიდან ჯუანშერის თხზულება — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.

დღეისათვის ჯუანშერის ავტორობით ცნობილი საისტორიო თხზულების სათაური — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რა თქმა უნდა, პირობითია. ამ სათაურის ქვეშ, რორგორც ითქვა, თვით ვახტანგის მოღვაწეობის გარდა, მოთხრობილია ვახტანგის მამისა და პაპის შესახებაც, რასაც შეიძლება ერთგვარი გამართლება ჰქონდეს. მაგრამ, ყოვლად გაუმართლებელია ვახტანგის გარდაცვალების შემდგომი სამი საუკუნის ისტორია კვლავ ვახტანგის „ცხოვრებას“ რომ მიეწერება. ასეთი რამ იმიტომ მიაჩნდათ დასაშვებად, ჯუანშერი XI ს-ში მცხოვრებად რომაა მიჩნეული.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორი მაინცდამაინც XI ს-ში მცხოვრები ჯუანშერი იყო, ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილის მიერ ზემომოტანილი არგუმენტების შედეგად დამკვიდრდა. ამიტომ ვნახოთ, რამდენად სარწმუნოა ივ. ჯავახიშვილისეული დასაბუთება ჯუანშერის XI ს. ავტორად მისაჩნევად და რა მოცულობისა უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ვახტანგის „ცხოვრება“.

1. ჯუანშერის XI ს. ავტორად ჩასათვლელად ივ. ჯავახიშვილმა, როგორც ვნახეთ, ივერთა მონასტრის № 50 ხელნაწერში „ილარიონ-

ჯუანშერის“ მოხსენიება მიიჩნია. მაგრამ, როგორც თვითონაც წერს, ამ ცნობის შინაარსი [იხ. 159a:15] არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ილარიონ-ჯუანშერი „ქართლის ცხოვრების“ „მინაწერში“ ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად დასახელებულ წმინდა არჩილის ძმისწულის ქმართან — ჯუანშერ ჯუანშერიანთან გავაიგივოთ. წმინდა არჩილის ვინაობის ძიებისას ყურადღება უნდა მიექცეს „მინაწერის იმ მითითებას, რომლის თანახმად წმინდა არჩილის ძმისწულის ქმარი ჯუანშერ ჯუანშერიანი მირიანის ძის რევის ნათესავი იყო [68:248. ამ საკითხს ქვემოთ ვრცლად შევეხები].

2. ჯუანშერის XI ს. ავტორად მისაჩნევად ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილი მეორე არგუმენტიც არაა მყარი. მისი მტკიცება თითქოს შიო მღვიმელისა და იოანე ზედაზნელის „ცხოვრებანი“ მაინცდამაინც X—XI სს-შია შექმნილი და აქედან გამომდინარე ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორსაც XI ს-ში უნდა ეცხოვრა, ჯუანშერის მოღვაწეობის დროის დასადგენად არ გამოდგება. ჯერ ერთი, ასირიელ მამათა ქართლში მოსვლა VI ს. 20-იანი წლების შემდეგ ივარაუდება (120:207). თხზულების ეს ნაწილი კი საკუთრივ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებას“ არ ეკუთვნის. მეორეც, ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ ასირიელ მამათა „ცხოვრების“ არქიტიპებს თუ გავითვალისწინებთ [6:9—10], არაა გამორიცხული შიო მღვიმელისა და იოანე ზედაზნელის „ცხოვრებანი“ VI ს-ში შექმნილიყო.

3. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნას დღეს ჩვენს ხელთ არსებულ, ჯუანშერისადმი მიკუთვნებულ თხზულებიდან რა ნაწილი უნდა მიეკუთვნოს საკუთრივ ჯუანშერ ჯუანშერიანს, რა ნაწილი უნდა ჩაითვალოს გვიანდელ დანამატად.

ქვემოთ სწორედ ამ საკითხზე და ივ. ჯავახიშვილის მეოთხე არგუმენტზე — ტექსტში პაჭანიკების მოხსენიებაზე შევჩერდები.

ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს, ვახტანგის პიროვნებისადმი მიძღვნილი თხზულების თავდაპირველ-ავტორისეულ დედანში მხოლოდ ვახტანგის ცხოვრება და მოღვაწეობა რომ უნდა ყოფილიყო აღწერილი. მართალია, ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1916 წელს მიუთითა, „ქართლის ცხოვრების“ ანა და მარიამ დედოფლებისეულ ნუსხებში თხზულებას რადგან სათაურად აქვს: „ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასრისა მეფისა მშობელთა და შემდგომად თჳთ მის დი-

დისა და ღ˝თის მოყუარისა მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა სახელ-განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ [115:127]. ამიტომ, მასში მხოლოდ ვახტანგისა და მისი მშობლების ამბავი უნდა ყოფილიყო გადმოცემულიო [115:127], მაგრამ ამ სათაურის მიხედვით თხზულების გამიჯვნა მას არ უცდია.

თხზულების ძველი სათაურიდან გამომდინარე, ვახტანგის „ცხოვრებაში“ რადგან მხოლოდ თვით ვახტანგზე და მის მშობლებზე ყოფილა თხრობა, ცხადია, როგორც ამის შესახებ გ. წულაიამაც მიუთითა, ვახტანგის „ცხოვრების“ ჯუანშერისეული ტექსტი ვახტანგის გარდაცვალების ამბების აღწერით იქნებოდა დასრულებული [140:45].

„ცხოვრების“ ტექსტის სათანადო შესწავლამ ცხადჰყო: საკუთრივ ვახტანგ გორგასლის შესახებ მოთხრობილი ამბები უფრო რეალურია, ვიდრე ვახტანგის გარდაცვალების შემდგომი ხანისა. არ დადასტურდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება თითქოს „ცხოვრების“ „მთელი მოთხრობა არსად არ შეიცავს იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს უტყუარ სურათს“ და „პირიქით, რაც უფრო ავტორი (ე. ი. XI ს-ში მცხოვრები ჯუანშერი. — ვ. გ.) თავის დროს უახლოვდება, მისი ცნობები თანდათან უფრო და უფრო შინაარსიანი ხდება“ [115:130].

დღეისათვის ჯუანშერისადმი მიკუთვნებულ მთელ ნაწარმოებს თუ ისე გავმიჯნავთ, რომ ვახტანგის მშობლებისა და თვით ვახტანგის შესახებ თხრობა ცალკე დარჩება, მაშინ ჯუანშერის, როგორც XI ს. ავტორის შესახებ ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტებიდან მხოლოდ თურქთა დაწოლით პაჭანიკთა მოძრაობის ცნობა დაგვრჩება (პაჭანიკები ტექსტში ვახტანგ გორგასლის ჩრდ. კავკასიაში ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიებიან).

თხზულების თავდაპირველ ტექსტში პაჭანიკები არ უნდა ყოფილიყვნენ ნახსენები. ისინი ვახტანგის „ცხოვრებაში“ გვიანდელი გადამწერ-რედაქტორის (ასეთი რედაქტორი არაა გამორიცხული თვით ლეონტი მროველი იყო) ჩანამატად უნდა იქნას მიჩნეული. პაჭანიკები, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, VIII—IX სს-ში მდ. ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ველებზე მომთაბარეობდნენ. IX ს-ში ოღუზთა დაწოლით გადალახეს მდ. ვოლგა და ჯერ მდ. დონსა და დნეპრს შორის მომთაბარე უგრები (მადიარები) შეავიწროეს, შემდეგ მდ. დუნაიმდე შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველები დაიკავეს (იხ. 170). ეს იყო IX ს-ში, მაგრამ რა მდგომარეობა იყო ვახტანგის თანადროულად ჩრდ. კავკასიაში?

როგორც VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრეს ცნობებიდან ვიცით, 558 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მოსულ თურქებს ოსები უკვე ბინადარ ცხოვრებაზე გადასულები დახვდათ [164:321. შდრ., СИЭ ტ. I. სტ. Аланы] და ისინი, ისევე როგორც უფრო ადრე ბუა და ცენტრალური აზიიდან მოსული და იმ ხანად ოსების მეზობლად მომთაბარე ჰუნურ-თურქული მოდგმის სხვადასხვა ხალხები, თურქებმა დაიმორჩილეს.

ასე რომ, V ს-ში ჩრდ. კავკასიაში მობინადრე ოსების გვერდით მრავლად იყვნენ თურქული მოდგმის ხალხები, რომლებიც ოსებთან ერთად ხშირად ლაშქრობდნენ ქართლში. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის საპასუხოდ, როცა ვახტანგ გორგასალმა ჩრდ. კავკასიაში გაილაშქრა, „ცხოვრებაში“ არსებული ცნობით პაჭანიკები [ე. ი. ის ხალხი, რომელნიც გვიანდელმა რედაქტორმა პაჭანიკებით შეცვალა[13]. შდრ., გ. ანჩაბაძის მოსაზრება. 2:187], ჯერ კიდევ ოსების მეზობლად ცხოვრობდნენ და ვახტანგმა ისინიც დაამარცხა. „და განვიდეს პაჭანიკეთს, — აღნიშნულია „ცხოვრებაში“, — რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთ მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო“ [120:156]. თუ „პაჭანიკეთის“ მაგიერ ტექსტში, იმ ხანად ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე რომელიმე თურქული გაერთიანების სახელს ჩავსვამთ, თხრობა სწორი შინაარსისა გახდება, და უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახტანგს ოსებთან ერთად თურქთა რომელიღაც გაერთიანება დაუმარცხებია (ამ ლაშქრობის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი VI).

ჩაასწორა რა ტექსტში „თურქის“ მაგიერ პაჭანიკი, რედაქტორს კარგად სცოდნია, მის დროისათვის (XI ს. ?) პაჭანიკები ჩრდილო კავკასიაში ოსებისა და ჯიქების მეზობლად რომ არ სახლობდნენ. მეორე მხრივ, რადგან პაჭანიკები ვახტანგის თანადროულად ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ეგონა, მის დროისათვის კი პაჭანიკები უკვე დუნაისპირეთში იყვნენ, რედაქტორი იძულებული გამხდარა ტექსტი კვლავ ჩაესწორებინა და პაჭანიკები ჩრდილო კავკასიიდან გაეყვანა. „შემდგომად ჟამთა მრავალთა, — აღნიშნულია „ცხოვრებაში“, — იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით-

---

13 ასეთი ჩასწორება ძველ ტექსტებში ხშირად ხდებოდა. ასე მაგ., ძველი რომაელი ავტორის დიონისეს იმ ტექსტში, რომელიც შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს ეხება, XII ს. კომენტატორს ევსტათი თესალონიკელს ხაზარები აქვს ჩამატებული [145:181, 194].

ჭერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი, და შეიქცა, და მოადგა ოვსეთსავე" [120:156—157].

ზემომოტანილი ცნობებიდან გამოდის: ვახტანგის თანადროულად ჩრდ. კავკასიაში ოსებისა და ჯიქების მეზობლად მცხოვრებმა პაჭანიკებმა „შემდგომად ჟამთა მრავალთა" (ე. ი. IX ს-ში) დატოვეს ჩრდილო კავკასია. იმავე დროსვე, თურქთა დაწოლით ჯიქები აფხაზეთის ბოლოს დამკვიდრდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ახ. წ. I ს-შიც კი ჯიქებს (ანტიკური წყაროების ზიგები, ზიხები) მდ. ყუბანის ზემო დინების აუზი და შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ველები (ახლანდელ ნოვოროსიისკიდან ტუაფსემდე) ეკავათ და აფხაზების მეზობლად ცხოვრობდნენ (საზღვარი მდ. ფსოუზე გადიოდა. იხ. ქსე, ტ. 11, სტ. ჯიქები). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯუანშერის თავდაპირველ ტექსტში ჯიქების მოძრაობის (აფხაზთა ბოლოს დამკვიდრება) შესახებ ცნობა თითქოს არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ჩრდ. კავკასიაში მკვიდრი ხალხი მოსულთა დაწოლით ხშირად ხომ იძულებული ხდებოდა კავკასიონის ხევებში უფრო ღრმად შესულიყო [176:80]. რაც ჯუანშერთანაც ასახულა.

ასე რომ, ვახტანგის „ცხოვრებაში" არსებული ცნობა ოსთა მეზობლად მცხოვრები თურქების (და არა პაჭანიკების) დასავლეთში წასვლის, ხოლო ჯიქების აფხაზთა მეზობლად დამკვიდრების შესახებ ზუსტად ასახავს V ს-ში ჩრდილო კავკასიის ველებზე მიმდინარე პროცესებს. თუ ტექსტის თავდაპირველ შინაარსს ასე აღვადგენთ, მაშინ „ცხოვრების" თანამედროვე ტექსტში პაჭანიკთა შესახებ არსებული ცნობა იმის სამტკიცებლად აღარ გამოგვადგება თხზულება მაინცდამაინც XI ს-ში რომაა დაწერილი. ს. ყაუხჩიშვილისა არ იყოს, ყველა რედაქტორსა და გადამწერს ტექსტში ხომ თავისუფლად შეჰქონდა ის, რასაც იგი საჭიროდ თვლიდა ხოლმე [99:028].

თ ა ვ ი III.

ჯუანშერ ჯუანშერიანის ვინაობა. მოღვაწეობის დრო

ერთი მხრივ, ჯუანშერის მიერ მოთხრობილი ამბების საყრდენი თარიღის მიკვლევამ, ხოლო მეორე მხრივ, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში" არსებულმა ქრონოლოგიურმა მითითებებმა განსაკუთრებული

მნიშვნელობა შესძინა ჯუანშერის თხზულებას. გაირკვა, რომ 60 წლის მანძილზე (ცალკეულ გამონაკლისებს გარდა) ჯუანშერი თითქმის დაწვრილებით გადმოგვცემს ქართლის სამეფო კარის ამბებსა (სამეფო ოჯახის წევრთა შესახებ ისეთი მრავალმხრივი ცნობების შემცველი თხზულება, როგორც ვახტანგის „ცხოვრებაა“ V ს. ბიზანტიის საიმპერატორო კარისათვისაც კი არ არსებობს) და ქართლის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, საინტერესო ცნობებს გვაწვდის არა მარტო ქართლის უშუალო მეზობელი, არამედ შორეული ქვეყნების შესახებაც.

შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ თხზულების ის 60-წლიანი მონაკვეთი, რომელშიც ვახტანგის მოღვაწეობის ამბებია მოთხრობილი, სათანადო შესწავლის შემდეგ მრავალ ახალ და საინტერესო ფურცელს გადაშლის აღრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს თ. ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, ვახტანგის „ცხოვრებაში“ ამბები ისე „დაწვრილებით არის მოთხრობილი“, მემატიანე თანამედროვე უნდა იყოს და „თვთ-მხილველი მოთხრობილისა“, რომ „მთელი მატიანე სავსეა უტყუარი ნიშნებით, რომელნიც ამოწმებენ ამ მატიანის თანაშედროვისაგან დაწერას“ [88:XXIV—XXXV], თანდათან რეალურ საფუძველს იძენს.

XI ს-ში მცხოვრები ავტორი (ასეთი პიროვნება თუნდაც რომ ჩანდეს იმ დროისათვის) ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანიდან ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, ისეთი რეალური თხრობის შემცველ საისტორიო თხზულებას, როგორადაც დღეს ვახტანგის „ცხოვრება“ წარმოგვიდგება, ვერ დაწერდა. საეჭვო არ უნდა იყოს, დღეს ჩვენს ხელთ არსებული თხზულების ის ძირითადი პლასტი, რომელიც ვახტანგის მოღვაწეობას ეხება, V ს-ში შექმნილი საისტორიო ნაწარმოებიდან რომ მომდინარეობს. დასახელებული ნაწარმოების სახით, ვფიქრობ, ჩვენს ხელთაა V ს-ში ვახტანგის თანამედროვე აკტორის მიერ დაწერილი „ცხოვრების“ ოდნავ გადაკეთებული ვერსია, სადაც კარგად ჩანს, „ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერ ჯუანშერიანი მის მიერ აღწერილი ზოგი ამბის თვითმხილველი, ზოგის კი თანადამხვდური რომ იყო. ცხადია, ჯუანშერმა ვახტანგის „ცხოვრება“ შექმნა, როგორც ქართლში არსებული ფარნავაზიანთა სახლის ისტორიის გადმომცემი უძველესი ქრონიკების გამაგრძელებელი ნაწარმოები.

ძველ საქართველოში არსებული ტრადიცია, რომლის თანახმად ვახტანგის „ცხოვრების“ აღმწერად ვახტანგისავე სპასპეტი ჯუანშერ

ჯუანშერიანი ითვლებოდა, ჩანს, თეიმურაზ ბაგრატიონის მოღვაწეობის დროისათვის ჯერ კიდევ კარგად იცოდნენ. „ჯოვანშერ სპასპეტი, — წერს სწავლული ბატონიშვილი, — იყო დიდისა და მის ღირსსახსოვრისა თჳთ-მპყრობელისა მეფისა ვახტანგ გორგასლანისა, სწავლული და ივერიისა ისტორიისა აღმწერი“ [43:33]. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ არსებულ ისტორიულ რეალიებთან ერთად, ალბათ, თეიმურაზ ბაგრატიონის ზემომოტანილი მითითებაც ჰქონდა მხედველობაში თ. ჟორდანიას, როცა იგი ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორს, ვახტანგის თანამედროვე მოღვაწედ თვლიდა.

თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიაში საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ რადგან მრავლადაა ისეთი ცნობები, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაში“ არა გვაქვს, აღნიშნული იქნებ იმის საწინდრად უნდა მივიჩნიოთ, თეიმურაზის დროს ჯერ კიდევ რომ არსებობდა ისეთი საისტორიო წყარო, რომელშიც ჯუანშერ სპასპეტი ვახტანგის ცხოვრების აღმწერად იყო დასახელებული.

საქართველოს ძველი ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ „ქართლის ცხოვრებასთან“ შედარებით თეიმურაზის ისტორიაში არსებულ განსხვავებებს სწორედ თ. ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება. „...თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიაში არსებული ცნობები, — წერდა იგი, — განსხვავდება „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის ცნობებისაგან. „ვახუშტი თავისს შრომაში სიტყვა-სიტყვით „ქართლის ცხოვრებას“ მისდევს, მხოლოდ ამოკლებს ვრცელს ანუ გაზვიადებულ და უმნიშვნელო ამბებს... ვახუშტის რომ ხელში ჰქონოდა „ქართლის ცხოვრება“ თეიმურაზის ვარიანტით... აუცილებლად შეიტანდა თავის ისტორიაში ისეთ ამბებს...“ [88. VIII. ამის შემდეგ თ. ჟორდანია ჩამოთვლის განსხვავებულ ცნობებს 88:VIII—IX].

როგორც თვით თეიმურაზი წერს, ქართლის კათალიკოსს ანტონ I-ს (1720—1788) ჰქონია „შემოკლებით აღწერილი საქართველოს ისტორია“ უძველესი დროიდან. თავისი ისტორიისათვის ზოგი ცნობა თეიმურაზს სწორედ ანტონ I-ის მიერ „გამოწერილთა ფურცელთაგან“ აუღია [43:58]. იქნებ ანტონ I-ის მასალებში იყო მითითება ვახტანგის თანამედროვე ჯუანშერის ისტორიკოსობის შესახებ?[14].

---

[14] ვახტანგის თანამედროვე რაჟდენის წამების ამსახველი თხზულება XVIII ს-ში კათალიკოსმა ბესარიონ ორბელიანმა (გარდ. 1735 წ.) ხელახლა დაწერა (რაჟდენზე საკითხავი შეუთხზავს ანტონ პირველსაც). ამიტომ, ივ. ლოლაშვილი ვარაუდობს, რომ „ძველად არსებულა მოთხრობა რაჟდენის ღვაწლის შესახებ, ბესარიონს კი ხელთ ჰქონია „ძველი მატიანენი“ და „მიმოგანთესულნი უწყებანი“ [69:74, 78].

*
* *

ჯუანშერის ავტორობის საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ დღეისათვის უძველეს XV ს. (ივ. ჯავახიშვილის დათარიღებით) ანა დედოფლისეულ ნუსხაში არსებული შემდეგი მინაწერი: „...წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა[15] აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად, ვიდრე ვახტანგისამდე. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა ჯონბერ ჯუანბერიანმან[16], ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან, რევისამან, მირიანის ძისამან“ [94: 159].

ზემომოტანილი მინაწერი რადგან XII ს-ში შესრულებულ „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანშიცაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენისას უკვე არსებობდა. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში მინაწერი ასეა წარმოდგენილი: „და მოპოებულ იქმნა ეს მოკლე თხრობა არეულობის დროს, და დაიდვა წიგნში, რომელსაც ეწოდება ქართლის ცხოვრება, რომელიცაა ქართლის ისტორია. იპოვა ეს ჯუანბერმა, დაწერილი ვახტანგ მეფემდის, ხოლო აქამდის თვით შემატა ჯუანბერმა, მერმისი კი მიანდო [თავის] დროზე მხილველთა და დამხვდურთ“ [96:207—208].

როდის იყო არეულობა?

„ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანიდან ისე გამოდის, თითქოს არეულობა ვახტანგის „ცხოვრების“ შედგენის წინა ხანაში იყო. მაგრამ, ეს ასე რომ არ უნდა გავიგოთ, „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხიდან ჩანს. მასში „ჟამთა შლილობა“ „არჩილის წამებას“ ეკუთვნის [94:159; შდრ., 68:248]. რადგან ნათქვამს „წიგნი ესე წამებისა მისისა (ე. ი. არჩილისა. — ვ. გ.) იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღე-

---

15 ამ ადგილს „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში მოსდევს „ვიდრე ვახტანგისამდე“, ხოლო „მირიანის ძისმან“-ის მაგიერ არის „მირიანის ძმისაგან“ [95:215].

16 მინაწერის ეს ადგილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ ასეა წარმოდგენილი: „...წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან...“ [68:248]. „მინაწერის“ შინაარსის შესახებ უარყოფითი შეხედულებისაა გ. წულაია. „მინაწერის“ დეზინფორმაციული ხასიათი, — წერს იგი, — რომელიც ავლენს რომელიღაც რედაქტორის საქმეში ჩაუხედაობას შკვლევართა მიერ დიდი ხანია აღნიშნულია [140:19. იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს].

წერა“ [94:159], მოსდევს ზემომოტანილი ციტატა („ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა...“).

ასე რომ, „ჟამთა შლილობის“ გამო არჩილის წამება ვერ აღიწერა სათანადოდ, VIII ს-ში მოღვაწე არჩილის შემდგომ ყოფილა არეულობა. ამიტომ, „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში არეულობის დროს ჯერ „მოკლე თხრობის“ პოვნაზე და „ქართლის ცხოვრებაში“ დადებაზე რომაა მითითება, შემდეგ კი კვლავ ნათქვამი — „იპოვა ეს ჯუანბერმა, დაწერილი ვახტანგ მეფემდის“ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჯუანშერმა „მოიპოვა“ „არჩილს წამება“ და მანვე „იპოვა“ ვახტანგის წინადროინდელი ქართლის ისტორიის - ამსახველი თხზულება. ჯუანშერის წინ — „იპოვა“ ზედმეტი რომაა, ეს „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ნუსხაში არსებული მინაწერიდან აშკარად ჩანს. მინაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. ლეონტი მროველს მის მიერ ნაპოვნი მოკლედ აღწერილი „არჩილის წამება“ როცა განუვრცია და „ქართლის ცხოვრებაში“ დაუდვია, იქვე მიუწერია: რომ, მან „წიგნი ესე წამებისა მისისა (ე. ი. არჩილისა. — ვ. გ.) იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა“. ამ მინაწერისათვის შემდეგ შეუერთებია ძველი მინაწერი, „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“-ო და ასე შემდეგ [94:159. სომხურ თარგმანში ამ ორ სხვადასხვა მინაწერს ერთიანი სახე აქვს მიღებული].

რაც შეეხება საკითხს „არჩილის წამება“ რომ ნამდვილად ლეონტიმ განავრცო, ეს „ქართლის ცხოვრების“ იმ მინაწერიდან ჩანს, რომელშიც ნათქვამია; „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხორება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ [94:156; 120:244].

ამრიგად, „ქართლის ცხოვრებაში“ არჩილის წამების ბოლოში დართული მინაწერი ორი ნაწილისაგან შედგება, ერთი ლეონტი მროველის მიერ არჩილის წამების განვრცობას ეხება და ლეონტის თანადროულია. ხოლო მეორე ნაწილი ვახტანგის წინადროინდელი ისტორიის „ჟამითი-ჟამად“ შედგენასა და ჯუანშერის მიერ ვახტანგის „ცხოვრების“ დაწერის ამბავს გვამცნობს. მინაწერის ეს მეორე ნაწილი ვახტანგის თანამედროვე ჯუანშერ ჯუანშერიანს უნდა მივაკუთვნოთ.

მინაწერის მეორე ნაწილში არსებული ცნობა, რომლის თანახმად ჯუანშერ ჯუანშერიანი „წმიდა არჩილის“ ძმისწულის ქმარი იყო, როგორც ვხედავთ, დიდ წინააღმდეგობას უქმნის ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რათა ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად XI ს-ში მოღვა-

წე ჯუანშერი იქნას მიჩნეული. საქმე ისაა, რომ თუ „ცხოვრების“ ავტორად XI ს-ში მოღვაწე რომელიმე ჯუანშერს მივიჩნევთ, მაშინ მინაწერის შინაარსს, რომელიც XI ს-ზე ბევრით ადრეა შედგენილი, აზრი ეკარგება. უნდა დასაბუთდეს მინაწერის ცნობების არარეალურობა. მაგრამ, იმ ცნობათა მცდარობაზე ლაპარაკი, რომელიც უკვე XI ს. წინა ხანაში არსებობდა, უსაფუძვლოდ მეჩვენება. პირიქით, მინაწერში არსებული ცნობების დადასტურებაზე უნდა ვიზრუნოთ.

მინაწერის ცნობები დავუშვათ საეჭვო არაა, მაგრამ ვინაა მასში მოხსენიებული „წმიდა არჩილი“, რომლის ძმისწულის ქმარიც ვახტანგის „ცხოვრების“ აღმწერი ჯუანშერ ჯუანშერიანი იყო?

დღეს მიღებული გაგებით, მინაწერში VIII ს-ში მოღვაწე ქართლის ერისმთავარი — არჩილ სტეფანოზის ძე იგულისხმება (არჩილი არაბებმა აწამეს, ლეონტი მროველმა სწორედ მისი წამება განავრცო). რა მასალას ეყრდნობიან ასეთი მტკიცებისას?

არჩილ ერისმთავრის შესახებ ცნობები ძირითადად ვახტანგის „ცხოვრების“ გაგრძელებასა და ლეონტი მროველის „არჩილის წამებაში“ გვაქვს. არჩილი რადგან VIII ს. მოღვაწედ ითვლება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებიდან[17] გამომდინარე, არჩილის თანადროული ამბები „ცხოვრებაში“ უფრო რეალურად უნდა იყოს გადმოცემული, ვიდრე ვახტანგ გორგასლისა.

ახლა ამ მხრივ ვნახოთ „ცხოვრების“ გაგრძელებაში არსებული ცნობები. 735—736 წლებში როცა საქართველოში არაბთა სარდალმა ზურვან ყრუმ ილაშქრა, ქართლს მირი და მისი ძმა არჩილი განაგებდნენ. ისინი განერიდნენ არაბებს და დასავლეთ საქართველოში — ანაკოფიის ციხე-ქალაქში გამაგრდნენ. ამ დროისათვის (ე. ი. 736 წ.), მირს 7 ქალიშვილი ჰყავდა, არჩილი კი ჯერ კიდევ უცოლო იყო. ბრძოლაში მირი სასიკვდილოდ დაიჭრა და სანამ გარდაიცვლებოდა არჩილს სთხოვა მისი ასულები გაეთხოვებინა. ეგრისიდან არაბთა უკუქცევის შემდეგ არჩილმა შეასრულა ძმის ანდერძი. მირის ერთი ქალიშვილი მიათხოვა „მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა“. მეორე მისცა პიტიახშსა „ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“. მესამე „ნერსე ნერსიანსა, რომელი-იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა“; მეოთხე

---

[17] გავიხსენოთ მისი დებულება: „რაც უფრო ავტორი თავის დროს უახლოდება, მისი ცნობები თანდათან უფრო და უფრო შინაარსიანი ხდება“ [116:191]. როგორც ზემოთ ვაჩვენე, ეს დებულება გაიმეორა გ. ანჩაბაძემ როცა ჯუანშერის VIII ს. ავტორად მიჩნევა სცადა [2: 185].

— ადარნასე ადარნასიანსა, და ორივეს (ე. ი. ნერსესა და ადარნასეს) „განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი"; მირის მეხუთე ქალიშვილი მიათხოვა ვარზმანს, რომელიც იყო „ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა"; მეექვსე „მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელი — იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისთა" [ანასეულშია „რევის ძეთასა" 94:154] და ბოლოს მეშვიდე ქალიშვილი გურანდუხტი ლეონ აფხაზთა ერისთავს მიათხოვა [120:241—242].

ეს ამბავი, როგორც ითქვა, 736 წლის შემდეგ ახლო ხანაში მოხდა. ახლა მირის სიძეების ვინაობას დავაკვირდეთ. მირის მესამე ქალიშვილის ქმარზე — ნერსე ნერსიანზე პირდაპირაა ნათქვამი, რომ „იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა"-ო, ხოლო მეოთხე ქალიშვილის ქმარმა — ადარნასე ადარნასიანმა რადგან ნერსე ნერსიანთან ერთად მიიღო სამფლობელო, იგულისხმება, რომ ისიც ნერსეს (უფრო სწორად ვახტანგის) თანამედროვე იყო. რაც შეეხება დანარჩენ სიძეებს, მირის პირველ სიძედ ქართლის ერისმთავრის გუარამ კურაპალატს ძეა დასახელებული. გუარამ კურაპალატი ქართლში მეფობის გაუქმების [დაახლ. 537 წ. იხ. 30:159] შემდეგ ბიზანტიელთა დახმარებით ქართლის ერისთავთა მთავრად „განჩენილი" პირია და იგი VI ს. II ნახევარში მოღვაწეობდა [32:122]. ამიტომ წარმოუდგენელია VI ს-ში მცხოვრები გუარამის ძეს VIII ს. 30-იანი წლების ბოლოს მირის ქალიშვილი შეერთო. რაც შეეხება მირის მეორე ქალიშვილის ქმარს „ფეროზის ნათესავ" პიტიახშს, აქ შემდეგი წინააღმდეგობაა: „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული ცნობით, 368 წელს, როცა ქართლში ირანელები შემოვიდნენ „...ერისთავმან სპარსთამან წარიყვანნა ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისნი". მისი ქვეყანა კი ქართლის მეფეს ვარაზ-ბაკურს მისცა [67:137]. ამის შემდეგ IV—VII სს-ში ფეროზის შთამომავალნი მამაკაცის ხაზით წყაროებში აღარ იხსენიებიან. ამიტომ, მირის სიძედ დასახელებული „ფეროზის ნათესავი" პიტიახში როდის მოღვაწეობდა ჩემთვის უცნობია.

მირის მეხუთე სიძედ დასახელებული, ვახტანგის პაპის ქართლისა და ალბანეთის მარზპანის ბარზაბოდის ნათესავი — ვარზმანი, ბარზაბოდის უშუალო შთამომავალი იყო თუ არა, წყაროებიდან არა ჩანს. საქმე ისაა, რომ ბარზაბოდის გარდაცვალების შემდეგ, მისი სახელო მისივე ძემ ვარაზ-ბაკურმა მიიღო. 456 წელს ბიზანტიელებთან ბრძოლაში ვარაზ-ბაკურის დაღუპვის (იხ. გვ. 139) შემდეგ დარჩა თუ არა მას მემკვიდრე ან სახლისშვილი წყაროებიდან არა ჩანს. ერთი

შეიძლება ვივარაუდოთ: რადგანაც ქართლ-ალბანეთის მარზპანები მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს განეკუთვნებოდნენ და ასევე მიჰრანები იყვნენ ალბანეთის მთავრები, მირის სიძედ დასახელებული ვარზმანი მართლაც შეიძლებოდა ბარზაბოდის ნათესავი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ქართული წყაროს ვარზმანი და მოვსეს კალანკატვაცის თხზულებიდან ჩვენთვის ცნობილი ალბანეთის მთავართა სახლის წარმომადგენელი ვარაზმანი მართლაც შეიძლება იდენტური პირები იყვნენ. მოვსეს თხზულებიდან ორი პიროვნება ვიცით ვარაზმანის სახელით. ერთი ვარაზ-გრიგოლის ძე — ვარაზმანი, რომლის ძე ვარაზ-თრდატი სომხური წელთაღრიცხვის 270 (ე. ი. 827) წლის ახლო ხანაში იხსენიება [79:158] და მეორე — ვარაზმანი ალბანეთის კათალიკოსის ვიროს (გარდ. დაახლ. 630 წ.) თანამედროვე [79:88]. რადგან ვარაზ-გრიგოლის ძე ვარაზმანი არჩილზე გაცილებით გვიან ცხოვრობდა, მირის სიძედ ვიროს თანამედროვე ვარაზმანი უნდა მივიჩნიოთ და ამ შემთხვევაში გამოვა, რომ ეს ვარაზმანი მირის პირველი სიძის — გუარამ კურაპალატის ძის თანამედროვე იყო.

მირის მეშვიდე ქალიშვილის — მირანდუხტის მეუღლე ლეონ აფხაზთა ერისთავი დაახლ. 720/740 წლებში განაგებდა აფხაზეთს (იხ. ქსე, ტ. 6, სტ. ლეონ I, ავტ. ვ. გუჩუა) და იგი მართლაც „არჩილის თანამედროვე გამოდის (რაც შეეხება მირის მეექვსე ქალიშვილის ქმარს ჯუანშერ ჯუანშერიანს, მასზე ქვემოთ შევჩერდები).

ახლა ვნახოთ, თვით არჩილს როდის უნდა ეცხოვრა. არჩილის შესახებ ვახტანგის „ცხოვრების“ გაგრძელებაში, ლეონტის „არჩილის წამებასა“ და „დავით და კონსტანტინეს წამებაში“ გვაქვს ცნობები. პირველ მათგანში არსებული მითითებით, ძმისშვილების გათხოვების შემდეგ არჩილი ერთხანს ისევ ეგრისში იმყოფებოდა. 12 წლის შემდეგ, ე. ი. დაახლ. 748 წ. ქართლში გადმოვიდა „დაჯდა ნაციხარსა ხიდრისასა“ [120:243]. შემდეგ კახეთში წავიდა „შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა“ და მისგან შეეძინა ორი ძე და ოთხი ასული (120:243—244). ე. ი. გამოდის, რომ არჩილმა დაახლოებით 736 წელს ჯერ თავის ძმისშვილს შერთო VI ს-ში მოღვაწე გუარამ კურაპალატის ძე, დაახლ. 748 წლის შემდეგ თვითონაც გუარამ კურაპალატის ასული შეირთო.

რაც შეეხება „არჩილის წამების“ ცნობებს. მათში ნათქვამია, რომ არჩილი იყო „ძე სტეფანოზისი, ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო ნათესავისაგან მირიანისა“ (68:246. იქვე არჩი-

ლის პაპად „ადარნასე მეფე“ არის დასახელებული). „წამების“ ავტორის ცნობით, ქართლში როცა არაბთა სარდალი ჰიჭნაუმი (ასამი) შემოვიდა, მან არჩილს მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა და ის განძი, რომელიც თითქოს იმპერატორმა ჰერაკლემ ქართლში ლაშქრობისას სადღაც დაფლა. არჩილმა ქრისტიანობის დატოვებაზე უარი უთხრა. განძის შესახებ კი არაბთა სარდალს მოახსენა, რომ იგი იყო „მცირე ასაკითა, ოდეს-იგი განვლო ქუეყანა ესე ერაკლე მეფემან“ [68:247]. ასეთი პასუხის შემდეგ, ლეონტის ცნობით, „თუესა მირკანისსა, რომელ არს მარტი, ოცსა მის თკსასა“ ასამის ბრძანებით არჩილს თავი მოკვეთეს [68:247]. იმ ხანად არჩილის შესახებ „სულ მცირედ აღწერილი“ წამება შექმნილა, რომელიც შემდეგ ლეონტიმ იპოვა და განავრცო.

ზემომოტანილი ცნობიდან გამოდის, რომ 628 წელს როცა იმპერატორმა ჰერაკლემ ქართლშე ილაშქრა არჩილი მცირეწლოვანი იყო, 748 წლამდე მეუღლე არ ჰყავდა, შემდეგ შეირთო ცოლი და 6 შვილი ეყოლა.

628 წლის წინ დაბადებული კაცი რომ VIII ს. შუახანებში კვლავ ცოცხალი არ იქნებოდა ეს ცხადია. თუ არადა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ერთი მხრივ ვახტანგის „ცხოვრების“ გაგრძელება გვარწმუნებს: არჩილი და მირი მურვან ყრუს ქართლში ლაშქრობის თანამედროვენი იყვნენო (არჩილის VIII ს-ში მოღვაწეობა ივარაუდება „წამების“ ცნობებითაც), მეორე მხრივ, იგივე „ცხოვრებისა“ და „წამების“ ცნობები არჩილ სტეფანოზის ძეს დაახლოებით VII ს. დამდეგის მოღვაწედ წარმოგვიდგენენ. არჩილის შესახებ ცნობებს კიდევ უფრო არადამაჯერებელს ხდის დავითისა და კონსტანტინეს „წამებაში“ არსებული მასალა. დასახელებულ თხზულებაში მირი და მისი შვიდი ქალიშვილი საერთოდ არ იხსენიება. მურვან ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის აღწერისას „შვილნი დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისანი“ [109:443, 446] არჩილად და დარჩილად იწოდებიან. თანაც აქ „უხუცესი“ ძმის არჩილის სიკვდილზეა მითითება [109: 443]. ყოველივე აღნიშნული, რა თქმა უნდა, იმაზე მიგვითითებს ცნობები არჩილის შესახებ წყაროებში ძალიან დამახინჯებული რომაა.

ახლა რაც შეეხება მირის მეექვსე სიძის ნათესავით რევიანი ჯუანშერ ჯუანშერიანის მოღვაწეობის დროსა და ვინაობას. ვფიქრობ, მისი იდენტურობა მინაწერში ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორად და წმინდა არჩილის ძმისწულის ქმრად დასახელებულ ჯუანშერ ჯუანშერიანთან საეჭვო არ არის. მაგრამ, რადგან, VIII ს-ში არჩილ ერისმთავრის თანადროულად ჯუანშერის სახელის მოღვაწე არა ჩანს, თანაც რევია-

ნებს იმ ხანად უკვე თითქმის 300 წლის წინათ ჰქონდათ მეფობა დაკარგული, რის გამოც VIII ს-ში მცხოვრები პიროვნების ვინაობის განსასაზღვრავად მის რევიანობაზე აღარავინ მიუთითებდა, ჯუანშერს VIII ს. მოღვაწედ ვერ მივიჩნევ.

ჯუანშერის ვინაობის დასადგენად ყურადღება სწორედ მის რევიანთა ნათესაობისა და წმინდა არჩილის ძმისწულის ქმრად დასახელების ცნობას უნდა მიექცეს. თავის მხრივ, რევიანები ქართლის ერთ ნაწილში რადგან V ს. 30-იანი წლების ბოლომდე მეფობდნენ, მინაწერში ვახტანგის „ცხოვრების“ აღმწერლად დასახელებული რევიანთა ნათესავი ჯუანშერ ჯუანშერიანი და მისი მეუღლის ბიძა — წმინდა არჩილი V ს-ში უნდა ვეძიოთ. და მართლაც, თეიმურაზ ბაგრატიონთან შემონახული ძველი საისტორიო ტრადიციით ვახტანგ გორგასლის სპასპეტი ჯუანშერი ხომ ივერიის ისტორიის აღმწერიც იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯუანშერი ფარნავაზიანთა დინასტიის რევიანთა შტოს წარმომადგენელი გამოდის, რაც მე საეჭვოდ მეჩვენება.

ქართლის სამეფოში შექმნილი ტრადიციით ფარნავაზიანთა ერთი შტო — არმაზში მჯდომი ქართლის პიტიახშები (მეფის შემდგომ მეორე პირები), მართალია გვიანობამდე ფლობდნენ სპასპეტის სახელოს [30:11], მაგრამ მას შემდეგ რაც ახ. წ. III ს. შუა ხანებში ფარნავაზიანთა არმაზული შტოს წარმომადგენელმა მირიანმა ქართლის ტახტი დაიკავა, არმაზელ პიტიახშთა ასეთი სახელო მოიშალა [30:115]. ამიტომ, ვახტანგის სპასპეტს — ჯუანშერს სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლად ვეღარ ჩავთვლით. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თვით ჯუანშერი V ს. შუა ხანებისათვის რევიანებიდან მხოლოდ მირიანსა და გრიგოლს ასახელებს (თვითონაც რომ რევიანი ყოფილიყო იგი აუცილებლად მიუთითებდა), თან ჯუანშერ სპასპეტი თუ შიდა ქართლის მპყრობელი იყო, რევიანები მხოლოდ კუხეთს ფლობდნენ (პ. ინგოროყვას ვარაუდით მე-9 ს-ში მცხოვრები ვახტანგის ცხოვრების ავტორი უჯარმის მხრიდან უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ამის დასასაბუთებლად იგი არაფერს წერს. იხ. მისი, თხზ. ტ. IV, გვ. 419).

აღნიშნულთან ერთად, 447 წელს როცა ვახტანგი ჩრდ. კავკასიაში სალაშქროდ წავიდა (იხ. ქვემოთ) ანდერძით თავის მემკვიდრედ რევიანთა წარმომადგენელი ზემოდასახელებული მირიანი დატოვა, რაც იმაზე მიგვითითებს ვახტანგის დროს ქართლში სპასპეტები მეფის შემდგომ მეორე პირები რომ აღარ იყვნენ. ჯუანშერის რევიანთა ნათესავად მიჩნევას ისიც ეწინააღმდეგება იოანე რუფუსი რევიანთა

სახლის წარმომადგენლის — პეტრე იბერის ნათესავებს შორის ჯუანშერსა და მის მამას საურმაგ სპასპეტს რომ არ ასახელებს.

ამრიგად, მირის შვიდი სიძიდან მხოლოდ ლეონ I ჩანს საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობის თანამედროვე. დანარჩენი ექვსიდან სამი — ჯუანშერ ჯუანშერიანი, ნერსე ნერსიანი და ადარნასე ადარნასიანი [460 წლის ამბების აღწერისას ჯუანშერი იხსენიებს ხუნანის ერისთავს ნერსარანს და სამშვილდის ერისთავს ადარნასეს. 94:125] აშკარად ვახტანგ გორგასლის თანამედროვენი არიან. გურამ კურაპალატის ძე და ვარზმანი VII ს. დამდეგს ცხოვრობდნენ. გაურკვეველია როდის ცხოვრობდა მირის მეშვიდე სიძე „ფეროზის ნათესავი“[18].

მირის სიძეებად ვახტანგის თანამედროვე ერისთავების დასახელება იმაზე მიგვითითებს, გვიანდელმა გადამწერ-რედაქტორმა V ს. ცნობების გადაკეთებისას, ზოგი რამ მასში უცვლელად რომ დატოვა. თუმცა, გარკვეული გადაკეთების მიუხედავად, მირის სიძედ დასახელებული ჯუანშერ ჯუანშერისათვის შეცდომით, მაგრამ მაინც დაუტოვებია მითითება, რომ იგი „იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისთა“ (უნდა იყოს: ჯუანშერ ჯუანშერიანი იყო ქმარი წმინდა არჩილ რევიანის ძმისწულისა). ორ სხვადასხვა წყაროში ჯუანშერ ჯუანშერიანის წმინდა არჩილ რევიანის ძმისწულის ქმრად დასახელება, ვფიქრობ, მინაწერის ცნობათა სანდოობაზე მიგვითითებს.

მინაწერის შინაარსის სრულად გაგებას ამ ბოლო დრომდე „წმიდა არჩილის“ VIII ს-ში მოღვაწე არჩილ ერისმთავართან გაიგივება ართულებდა. ყურადღება არავინ მიაქცია მინაწერში ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერი რევიანთა ნათესავად რომაა დასახელებული. ასეთი რამ, ვფიქრობ, გამორიცხული იყო. რადგან ქართლში ბაქარიანთა და რევიანთა მეფობის ფაქტი ჩემს მიერ ამ ბოლო ხანში იქნა გარკვეული (დაწვრილებით იხ. 30). ასე რომ, მინაწერის ცნობიდან გამომდინარე, წმინდა არჩილი და მისი ძმისწულის ქმარი — ჯუანშერ ჯუანშერიანი V ს. მოღვაწეები იყვნენ.

ჯუანშერი (სპასპეტი) რომ ვახტანგის თანამედროვე მოღვაწე იყო ეს ვახტანგის „ცხოვრებიდან“ კარგად ჩანს, მაგრამ იყო V ს-ში „წმიდა

---

18 ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული დებულება VIII ს-ში არჩილის მიერ ჩატარებული რეფორმის შესახებ გადასინჯვას მოითხოვს. ასევე არ დადასტურდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება „რაც უფრო ავტორი (ე. ი. XI ს-ში მცხოვრები ჯუანშერი) თავის დროს უახლოვდება მისი ცნობები უფრო და უფრო შინაარსიანი ხდება“.

არჩილი“? დიახ, V ს. პირველ ნახევარში ქართლში მეფობდა მეფე არჩილი, რომელსაც პეტრე იბერის სირიული ცხოვრების ავტორი წმინდანად ასახელებს [107:81, 84]. ამის შემდეგ თუ მინაწერის იმ ცნობას გავიხსენებთ, ვახტანგის „ცხოვრების“ აღმწერი ჯუანშერ ჯუანშერიანი რომ წმინდა არჩილის ძმისწულის ქმარი იყო მინაწერის შინაარსი ნათელი გახდება.

ზემომოტანილი მასალის შემდეგ ერთი საკითხიც დგება: რადგან VIII ს-ში მოღვაწე არჩილის ძმის — მირის სიძეებიდან მხოლოდ ლეონ I არის VIII ს. მოღვაწე, სამი კი ვახტანგის ერისთავები არიან, მეორე მხრივ კი „დავით და კონსტანტინეს წამებაში“ (რომელშიც VIII ს. ამბებია აღწერილი) არჩილ ერისმთავრის ძმა დარჩილად იწოდება, ჯუანშერის თხზულების გაგრძელებაში ჯუანშერის უფროს ძმად დასახელებული მირი და V ს-ში მოღვაწე წმინდა არჩილის უფროსი ძმა — ქართლის მეფე ბოზმარიოსი (ბუზ-მირი) იდენტური პირები ხომ არ არიან? ეს მოსაზრება თუ მისაღებია, მაშინ ქართლის სპასპეტი ჯუანშერი პეტრე იბერის დის ქმარი გამოდის [იოანე რუფუსის ცნობით პეტრეს ერთი და ჰყავდა. 107:81].

ვფიქრობ, ანგარიშგასაწევია ისიც, წყაროს ავტორმა მირის შვიდი ქალიშვილიდან მხოლოდ ერთის — აფხაზთა ერისთავის ლეონისადმი მითხოვებული გურანდუხტის სახელი რომ იცის [120:242]. აღნიშნულთან ერთად, თვით არჩილის ერთ-ერთ ასულსაც, რადგან გურანდუხტი ერქვა [120:244], ლეონი არჩილის სიძე ხომ არ იყო?

რა განსხვავებაა VIII ს-ში (?) მოღვაწე წმიდა არჩილსა და V ს. I ნახევარში მოღვაწე წმიდა არჩილს შორის? მართალია ორივე წმინდანადაა შერაცხული, მაგრამ როგორც ითქვა და ქვემოთაც ვნახავთ, თუ V ს-ში მოღვაწე არჩილი ჩამომავლობით რევიანი იყო, VIII ს-ში მოღვაწე არჩილზე ამას ვერ ვიტყვით და აი რატომ.

ვახტანგის „ცხოვრების“ გაგრძელებაში VIII ს-ში მოღვაწე არჩილი, როგორც ვნახეთ, ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის ძედაა დასახელებული. თუ ძველ წყაროებს დავუჯერებთ, ეს სტეფანოზი ბიზანტიის საიმპერატორო კარის დახმარებით ქართლის ერისთავთა მთავრის ტახტზე დასმული გუარამის (კურაპალატის) ძე, ხოლო თვით გუარამი, ვახტანგის ძის მირდატის დისწული იყო [120:218]. ასე რომ, ეს არჩილი ვახტანგის შთამომავალი გამოდის. ვახტანგი კი, როგორც ეს „მეფეთა ცხოვრებიდან“ ვიცით მირიანის უმცროსი ძის ბაქარის (ბაკურის) უშუალო შთამომავალი იყო და ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიანთა შტოს განეკუთვნებოდა (იხ. 30). აღნიშნულთან

ერთად, გარდა იმისა, რომ VIII ს-ში მოღვაწე არჩილ ერისმთავარი ფარნავაზიანთა სახლის რევიანთა შტოს ჩამომავალი არ იყო, მისი მოღვაწეობის დროისათვის რევიანებს თითქმის 350 წლის წინათ ჰქონდათ მეფობა დაკარგული. ამიტომ, საეჭვოა VIII ს-ში მცხოვრები პიროვნების ჩამომავლობის განსასაზღვრავად, მის რევიანებთან ნათესაობაზე მიეთითებინათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მინაწერში მოხსენიებული [ნათესავით რევიანი] „წმიდა არჩილი" VIII ს-ში მცხოვრები არჩილ ერისმთავარი არაა. რატომ უნდა ვეძიოთ ნათესავით რევიანი წმიდა არჩილი VIII ს-ში, როცა „წმიდა არჩილიცა" და მისი ძმისწულის ქმრად — ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერად დასახელებული ქართლის სპასპეტი ჯუანშერ ჯუანშერიანი V ს-ში ცხოვრობდნენ?

უფრო ნათელი რომ გახდეს V ს-ში მცხოვრები წმინდა არჩილის ფარნავაზიანთა სახლის რევიანთა შტოსადმი კუთვნილება ქვემოთ ამ საკითხზეც შევჩერდები.

*

* *

რევიანთა ვინაობის დასადგენად საჭიროა IV ს. მეორე ნახევრიდან ქართლში შექმნილ ვითარებაში ზუსტად გავერკვეთ. სათანადო კვლევის შედეგად არ დადასტურდა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება თითქოს 369 წელს ირანსა და რომის იმპერიას შორის გაყოფილი ქართლი 374 წლიდან (ან IV ს. 70-იანი წწ. ბოლოდან) კვლავ ერთიანად ირანისადმი დამორჩილებული ქვეყანა იყო. გაირკვა: 369 წლიდან V ს. 30-იანი წლების ბოლომდე მდ. მტკვრის მარცხნივ მდებარე ირანის გავლენაში მყოფ ქართლში მირიანის უმცროსი ძის ბაქარის (ბაკურის) შთამომავლები — ბაქარიანები, ხოლო მდ. მტკვრის მარჯვენივ მდებარე რომის (შემდეგში ბიზანტიის) გავლენაში მოქცეულ ქართლში მირიანის უფროსი ძის რევის ჩამომავლები — რევიანები მეფობდნენ.

ფარნავაზიანთა სამეფო სახლში წარმოქმნილი ამ ორი შტოდან ბაქარიანები თუ მეფობას აგრძელებდნენ ქართლში მეფობის გაუქმებამდე (დაახლოებით 537 წ.), რევიანებმა უკვე V ს. 30-იანი წლების ბოლოს დაკარგეს ტახტი. უკანასკნელი რევიანი მეფე სწორედ „წმიდა არჩილი" იყო.

ქართლში ბაქარიანთა და რევიანთა მეფობა ქართულ ისტორიოგრაფიას ამ უკანასკნელ ხანებამდე რომ შეუმჩნეველი დარჩა, ეს შემთხვევითი არაა. ქართლის სამეფოს ოფიციალური ისტორიის ამსახველ ისეთ თხზულებაში, როგორიც „მეფეთა ცხოვრებაა" ქართლში ორმეფობის შესახებ არაფერია ნათქვამი. თუმცა, ამ წყაროში არსებული ცნობა — ვარაზ ბაკურის ძე მირდატი რომ იყო „მამულად ბაქარიანი", ხოლო „დედულად რევიანი" ორთავე მირიანის ძეთა ნათესავი [67:138] იმის მაჩვენებლად უნდა იქნას მიჩნეული მირდატის (398—399) თანადროულ ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიის ორი შტო რომ არსებობდა.

პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებიდან" კარგად ჩანს, რევიანები თავს ქართლის მეფეებად რომ თვლიდნენ[19]. ამ წყაროში ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მირიანი კი არა, ბაკურ დიდია დასახელებული [107:80—81] (თვით პეტრე იბერი ფარნავაზიანთა სახლის რევიანთა შტოს უკანასკნელი მეფის არჩილის — იგივე წშინდა არჩილის ძმისწული იყო). თუ პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში" აშკარად რევიანთა შტოს ისტორიაა გადმოცემული, „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ჩემი დაკვირვებით, ძალიან შეფარულად, მაგრამ მაინც, ძირითადად რევიანებზე მოგვითხრობს.

რაც შეეხება თვით ვახტანგის „ცხოვრებას", როგორაა მასში ასახული ქართლში არსებული ორმეფობა. „ცხოვრების" ავტორმა ვახტანგის თანამედროვე ჯუანშერ ჯუანშერიანმა, როგორც რევიანთა შტოს სიძემ რა იცის ქართლში არსებული ორმეფობის შესახებ?

ქართლში არსებული ორმეფობის შესახებ ჯუანშერის ცნობები რომ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროდ მიმაჩნია, ჩემს მიერ დადგენილი ორმეფობის დროინდელი ბაქარიანთა და რევიანთა გენეალოგია მოვიტანო.

---

[19] ქართლში ორმეფობის არსებობაზე მიგვითითებს იოანე რუფუსის შემდეგი ცნობა. რუფუსი ბაქარიანთა შტოს წარმომადგენლის ფარსმანის კონსტანტინოპოლიდან გამოქცევისა და თეთრი ჰუნების დახმარებით ქართლში გამეფების ამბავს როცა გადმოგვცემს წერს: ფარსმანის გამეფება „ეინც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მათთვის მრავალი უბედურების მიზეზი გახდაო" [107:81], რომელთა ქვეშევრდომებში, რა თქმა უნდა, ბიზანტიის გავლენაში მყოფი რევიანთა კუთვნილი ქართლი იგულისხმება. როგორც ჩანს, ირანის გავლენაში მყოფ ქართლში გამეფებულმა ფარსმანმა ჰუნებს რევიანთა ქართლი დაარბევინა. რუფუსის ზემომოტანილი ცნობა ა. ბოგვერაძემ ისე გაიგო თითქოს ფარსმანმა საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორია დაარბია [16:24].



ახლა ჯუანშერის ცნობებს ჩავხედოთ. ჩრდილოეთ კავკასიაში 447 წელს (ამ თარიღის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი VI) სალაშქროდ მიმავალმა ვახტანგმა, ჯუანშერის ცნობით, „...დაუტევნა განმგებელად სამეფოსა თუსისა დედა მისი საგდუხტ და დაჲ მისი ხუარანძე, და დაწერა ანდერძი ესრეთ: „უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა, მან შეირთოს დაჲ ჩემი, და მან იპყრას მეფობა“. „...ესე დაწერილი, — დასძენს ჯუანშერი, დედასა მისსა მისცა, და სხუასა არვის აუწყა. და იგი მირიან, მამის ძმისწული მისი, დაუტევა მცხეთას“ [120:151].

ზემომოტანილ ციტატაში, როგორც ვხედავთ, ჯუანშერი ორჯერ ხაზგასმით აღნიშნავს მირიანი ვახტანგის „მამის ძმისწული“ იყოო.

„მამის ძმისწულს“ თუ პირდაპირი შინაარსით გავიგებთ, მაშინ გამოდის, რომ მირიანიც ბაქარიანი უფლისწული, ე. ი. ვახტანგის მამის — მირდატის ძმისწული იყო და ცდება ჯუანშერი მირიანს სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის თრდატ III-ის სიძის რევ მირიანის ძის შთამომავლად რომ ასახელებს.

ჯუანშერის იმ გამოთქმას, რომლის თანახმად მირიანი ვახტანგის „მამის ძმისწული“ იყო, ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა: ჯუანშერი „ძმა“-ს ცოტა ფართოდ ხმარობს... მისთვისვე ცნობილი გენეალოგიით ვახტანგის მამის ძმისწული მირიანი ვერ იქნებოდა. „ასეთი მამის „ძმისწული“ [ვახტანგის] მხოლოდ შორეული სახლიკაცი იყოო“ [13:29].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, ქართლი IV ს. 70-იანი წლებიდან ისევ ერთ სამეფოს წარმოადგენდა, ნ. ბერძენიშვილმა, როგორც ვხედავთ, ჯუანშერის ცნობებში ვერც ორმეფობის კვალი და ვერც ვახტანგის თანამედროვე რევიანი უფლისწულები ვერ დაინახა.

რას გულისხმობს ჯუანშერი გამოთქმაში „ძმისწული“? მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის მამას მირდატს ძმა არ ჰყავდა, ჯუანშერს ასეთი გამოთქმა შემთხვევით არა აქვს ნახმარი. ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა მის მიერ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის (რომელიც ვახტანგის დაბადებამდე თითქმის საუკუნით ადრე გარდაიცვალა) ვახტანგის „მამად“ და „მამის მამად“ დასახელება. ბიზანტიის წინააღმდეგ 453 წელს დაწყებული ლაშქრობის ერთი ეპიზოდის აღწერისას (ამ ლაშქრობის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი VII) ვახტანგი ამბობს „მამის მამა ჩემი მირიან“ [120:160]. რა თქმა უნდა, ჯუანშერის მიერ როგორც ვახტანგის თანამედროვე მირიანის ვახტანგისთან ნათესაობის აღსანიშნავად ნახმარ გამოთქმას „მ ა მ ი ს ძ მ ი ს წ უ ლ ი“, ისე ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის ვახტანგის „მამის მამად“ დასახელებას უფრო ღრმა შინაარსი უდევს, ვიდრე უბრალოდ, სახლისკაცის აღმნიშვნელი ტერმინით ეს იგულისხმება.

მირიანის შთამომავალნი „მამაში“ აშკარაა ფარნავაზიანთა ორი სახლის წინაპრებს — მირიანის ძეებს ბაქარსა (ბაკური) და რევის გულისხმობდნენ. სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს ჯუანშერი ამ ტერმინს, როცა იგი ვახტანგს ათქმევინებს: „მ ა მ ი ს მ ა მ ა ჩ ე მ ი მ ი რ ი ა ნ“. ვახტანგისათვის მირიანი რადგან „მამის მამა“, ე. ი. მათი შტოს დამაარსებლის — ბაქარის მამა იყო, მაშინ ჯუანშერი უფრო ადრე, ვახტანგის თანამედროვე მირიანს რომ ვახტანგის „მამის ძმის-

წულად“ იხსენიებს, ცხადია, ამ შემთხვევაში ვახტანგის მამის ძმაში მირიანის უფროსი ძე რევი იგულისხმება, ხოლო ვახტანგის თანამედროვე მირიანი ამ რევის წული, ე. ი. რევიანთა შტოს დამაარსებლის წული (შთამომავალი) გამოდის.

ბაქარიანთა და რევიანთა ურთიერთობის აღმნიშვნელად „მამის ძმისწულისა“ და „მამის მამის“ გარდა ჯუანშერს კიდევ ერთი, მეტად საინტერესო გამოთქმა აქვს ნახმარი. ბიზანტიის წინააღმდეგ 453—456 წლების ლაშქრობის აღწერისას ჯუანშერი ვახტანგს ათქმევინებს: „შეიწყნარა მ ა მ ა მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ მ ი რ ი ა ნ სახარება ქრისტესი ნინოს მიერ“ [120:163], რომ სარწმუნოება, რომელიც „დანერგნა მ ა მ ა მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ მ ი რ ი ა ნ, გინა თრდატ, დედით ნათესავმან ჩემმან“-ო [120:169].

ამჯერად, როგორც ვხედავთ, ჯუანშერი მირიანს ვახტანგის მ ა მ ა დ ასახელებს, რაც მთავარია, რადგან ამ შემთხვევაში „თრდატ, დედით ნათესავი“ ვახტანგისა, სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფე, რევ მირიანის ძის სიმამრი თრდატ III (298—330) არის, ვახტანგი მამით ბაქარიანთა, ხოლო დედით რევიანთა ნათესავად (შთამომავლად) გამოჰყავს.

ვახტანგი რადგან ბაქარიანთა შთამომავალი იყო, მეორე მხრივ კი, ჯუანშერის მიერ ვახტანგის დედით სომეხთა მეფის თრდატ III-ის ნათესავად დასახელება, ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს. მაგრამ, ჯუანშერი არც ამჯერად ცდება. იგი სწორად გადმოგვცემს ვახტანგის წინაპართა ნათესაურ დამოკიდებულებას. თუ ვახტანგის პაპისპაპის ვარაზ-ბაკურის ოჯახურ ამბებს გავითვალისწინებთ, ვახტანგს მართლაც შეეძლო ქართლის პირველ ქრისტიან მეფესთან — მირიანთან (რომელიც ვახტანგის „მამა“ ან „მამის მამა“ იყო) ერთად, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფე თრდატი „დედით ნათესავად“ მიეჩნია. ჯუანშერის ამ უკანასკნელი გამოთქმის შინაარსში რომ გავერკვეთ, ვახტანგის პაპისპაპის ვარაზ-ბაკურის ნათესაურ ურთიერთობას უნდა გადავავლოთ თვალი. „მეფეთა ცხოვრებაში“, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ვარაზ-ბაკურის ძე მირდატი მამით ბაქარიანად, დედით კი რევიანად არის დასახელებული. ამავე წყაროს ცნობით, მირდატის დედა იყო ვარაზ-ბაკურის მეორე მეუღლე, რევიანთა შტოს პირველი მეფის თრდატის[20] ასული. მეორე მხრივ, ეს მირდატი რადგან ვახტან-

---

20 სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფე თრდატ III, თრდატ რევის ძის პაპა (დედის მამა) იყო. ქართველი უფლისწული, როგორც ვხედავთ, პაპის სახელს ატარებდა.

გის პაპის — არჩილის მამა იყო, დედით რევიანი პაპის მამის მირდატის გამო, ვახტანგს მართლაც შეეძლო თავი სომეხთა მეფის — თრდატ III-ის „დედით ნათესავად“ მიეჩნია.

ჯუანშერ ჯუანშერიანის მოღვაწეობის დროისათვის ქართლი ორ სამეფოდ აღარ იყო გაყოფილი. რევიანი უფლისწულები, როგორც თვით ჯუანშერი წერს, V ს. შუა ხანებში უკვე „ურთიერთისა კვლითა შემცირებულნი“ მხოლოდ კუხეთს ფლობდნენ და რუსთავში ისხდნენ [120:159], აღნიშნულის მიუხედავად, ჯუანშერს როგორც რევიანთა სიძეს (წმინდა არჩილის ძმისწულის ქმარს) რევიანთა და ბაქარიანთა ურთიერთნათესაობის წვრილმანი დეტალებიც კი სცოდნია. XI ს. ავტორს (თუნდაც VIII საუკუნისას) საიდან ეცოდინებოდა ბაქარიანები და რევიანები მირიანის ძეებიდან რომ იღებდნენ სათავეს, მირიანის ძეები ამ შტოთა მამებად, ხოლო მირიანი „მამად“ და „მამის მამად“ ითვლებოდა. „მამის ძმისწულად“ ვახტანგს ზოგადად რევის ყველა შთამომავალი რომ ეკუთვნოდა.

მირიანის ძის რევის „ნათესავი“ „წმიდა არჩილი“ ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ ქართლში დაახლოებით 428 — დაახლოებით 439 წლებში მეფობდა. მაგრამ, ქართულ ისტორიოგრაფიაში რადგან ქართლის ორ სამეფოდ გაყოფის ფაქტი იყო უარყოფილი, ჩვენს ისტორიკოსებს იგი „მეფეთა ცხოვრებაში“ ქართლის მეფედ დასახელებული არჩილ მირდატის ძის (ბაქარიანის) იდენტურ პირად მიაჩნდათ[21]. მაგრამ, მათი იდენტურობის საფუძველს დასახელებული წყაროები არ იძლევა. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ვახტანგ გორგასლის პაპა, არჩილ მირდატის ძე (ბაქარიანი) სრულიად ახალგაზრდა, ქართლში სამწლიანი უმეფობის შემდეგ დასვეს ქართლის ერისთავებმა ტახტზე 402 წელს [120:139; 30:158], მაშინ როცა პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ცნობით, არჩილ რევიანი ტახტზე მოხუცებული ავიდა და მას ძე არ ჰყავდა [107:81, 84].

არჩილ ბაქარიანისა და არჩილ რევიანის იდენტურ პირებად მიჩნევამ სხვა წინააღმდეგობაც წარმოშვა: ასე მაგ., რადგან არჩილ რევიანი უშვილო იყო, ა. ბოგვერაძემ „მეფეთა ცხოვრების“ ის ცნობა, რომლის თანახმად არჩილ მირდატის ძეს შთამომავალი ჰყავდა, რის გამოც ქართლში მეფობა გრძელდებოდა, შეცდომად მიიჩნია და ქართლში ვახტანგ გორგასლის გამეფების წინ უმეფობა ივარაუდა

---

[21] ალბათ ამით უნდა აიხსნას ქართულ ენციკლოპედიაში მხოლოდ არჩილ მირდატის ძის შესახებ რომაა წერილი.

[16:36—37]. რა თქმა უნდა, ყოველივე ასეთი წინააღმდეგობა მოიხსნება არჩილ მირდატის ძეს თუ ბაქარიანთა, ხოლო არჩილ თრდატის ძეს რევიანთა კუთვნილი ქართლის ტახტზე მივუჩენთ ადგილს.

ამრიგად, ძველ წყაროთა ცნობებს თუ ორმეფობის მხრივ მივუდგებით, ნათელი გახდება არჩილ თრდატის ძე (წმინდა არჩილი) ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ რევიანთა კუთვნილ ქართლში რომ მეფობდა. არჩილ თრდატის ძე, რევ მირიანის ძის შვილიშვილი იყო და რევიანთა ქართლში არსებული ტახტის მონაცვლეობის წესის [ტახტზე სიგვარეულოში უფროსი ადიოდა. 114:163] გამო ტახტზე მოხუცებული ავიდა დაახლოებით 428 წელს. დაახლოებით 439 წელს გარდაიცვალა. პეტრე იბერის „ცხოვრების" ავტორი იოანე რუფუსი სწორედ მას ასახელებს წმინდანად[22] [107:81]. როგორც ჩანს, ამ არჩილს წმინდანად თვლიდა ქართული ტრადიციაც, რაც სათანადოდ არის ასახული ზემომოტანილ მინაწერში [94:159].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს მინაწერში დასახელებული „წმიდა არჩილი" — არჩილ თრდატის ძე რევიანი რომაა, ხოლო მისი ძმისწულის ქმარი — ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" აღმწერი, ვახტანგის სპასპეტი „მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა" [120:185] ჯუანშერ ჯუანშერიანი რომ იყო.

ვახტანგის „ცხოვრების" ავტორის ვინაობისა და მოღვაწეობის დროზე საუბრისას ზემოთქმულთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს მინაწერში ვახტანგ მეფის ამბების აღმწერად დასახელებული პიროვნების სახელის არქაულ ფორმას — ჯუანშერ ჯუანშერიანი. ასეთი ფორმით ვახტანგის „ცხოვრებაში" სწორედ ვახტანგის თანამედროვე მოღვაწენი (მაგ., სუმბატ ბივრიტიანი, ნერსე ნერსიანი, ადარნასე ადარნასიანი და სხვანი) არიან დასახელებულნი. მაშინ როცა XI ს-ში უკვე ძე-ზე დაბოლოებული გვარები გვაქვს.

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორი, როგორც ამის შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონი მიუთითებდა, ქართლაც ჯუანშერ ჯუანშერიანი რომ იყო, ეს თვით მისივე თხზულებიდანაც კარგად ჩანს. „ცხოვრე-

---

22 იოანე რუფუსი არჩილზე წერს, რომ მან „მეფეთმონაცვლეობის წესის თანახმად, თავისი ცხოვრება ქალწულებასა და ღვთისმოსაობაში დაასრულა" [107:81], „უმანკოებით მეფობდა იბერიაში" [107:8] და „თავისი ლოცვა-ვედრებით სასწაულებს ახდენდა" [107:85].

ბაში“ აშკარა რეალურობით გამოირჩევა იმ ბრძოლათა აღწერა, რომელშიც თვით ჯუანშერ სპასპეტი მონაწილეობდა. ასეთი ბრძოლების აღწერისას ზუსტად არის მითითებული მტრის შემოსვლის გზები, ბრძოლის ადგილები, ზუსტია გეოგრაფიულ სახელთა მითითება [101:47—54]. ამ მხრივ სანიმუშოა ქართლში ირანელთა პირველი და მეორე ლაშქრობების, ასევე ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურისა და ვახტანგის ერთობლივი ლაშქრობა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ.

თ ა ვ ი IV

ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი

§ 1. X—XI სს-ში შექმნილი ვითარება, რამაც განაპირობა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ზოგიერთი ცნობის არარეალური ხასიათი

„მეფეთა ცხოვრებასა“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებას“, როგორც ამას კ. კეკელიძე ამტკიცებდა, მართლაც ერთი რედაქტორის ხელი ამჩნევია. როდის და ვინ ჩაასწორა ან გადააკეთა დასახელებული საისტორიო თხზულებანი ზუსტად ამის თქმა ძნელია. უფრო სავარაუდებელია ასეთი გადამუშავება მათ XI ს-ში „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენისას განეცადათ (XII ს-ში შესრულებულ „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი ამის დამადასტურებლად უნდა იქნას მიჩნეული). ჯუანშერ ჯუანშერიანის ხელიდან გამოსული თხზულება — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ჩვენამდე რომ თავდაპირველი სახით არაა მოღწეული და იგი გავრცობილი და გადაკეთებულია ეს ცხადია.

ჯუანშერის თხზულების თავდაპირველი ტექსტის გადასაკეთებლად, როგორც ჩანს, XI ს. რედაქტორს (როგორც ჩანს, ლეონტი მროველს?) საფუძველი მისცა იმ დროის საქართველოში ვახტანგ გორგასლის პიროვნების შესახებ მრავლად არსებულმა ხალხურმა გადმოცემამ და წერილობითმა მასალამ. აღნიშნულთან ერთად, XI ს. საქართველოში რეალური საფუძველი არსებობდა, რათა ჯუანშერის თხზულებაში ცვლილებები შეეტანათ[23].

---

23 ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, „ქართლის ცხოვრებაში“ „...რედაქტორებს შეჰქონდათ ესა თუ ის ტექსტუალური შესწორება ან ჩაურთავდნენ ხოლმე ამა თუ იმ ახალ ტექსტს; ყოველ რედაქტორს ხელთ ჰქონდა თავის წინამორბედთა ნუსხები, რომელთა ტექსტებს ის, თავისი შეხედულებისდა მიხედვით, შერწყამდა ხოლმე; ხშირად მას ჰქონდა წინანდელ რედაქტორთა მიერ დართული კომენტარებიც, რომელთაც საკუთარ კომენტარებსაც დაურთავდა ხოლმე“ [99:028].

მიუხედავად იმისა, რომ გორგასლის მოღვაწეობის დროიდან 500-ზე მეტი წელი იყო გასული, ვახტანგ გორგასლის პიროვნებისადმი ინტერესი, პატივისცემა და სიყვარული XI ს. საქართველოში, როგორც ჩანს, მაინც დიდი იყო. ასეთი პატივისცემისათვის თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად გამოცხადების ფაქტიც კმაროდა. რა თქმა უნდა, მეფე, რომლის სახელი ქვეყნის დედაქალაქის სატახტოდ გადაქცევას უკავშირდება ქართველი ხალხის თვალში ადრევე შარავანდედით შეიმოსებოდა და თავისი ხალხის მუდმივი სიყვარულისა და შთაგონების წყაროდ იქცეოდა. ამიტომ, ცხადია, იმ ისტორიულ პირთა შორის, რომელნიც მაშინდელი საქართველოს გმირულ წარსულს ამშვენებდნენ, ვახტანგ გორგასალს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა. ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ხალხის წინაშე უდიდესი ღვაწლის გამო ვახტანგ გორგასლის სახელი ადრიდანვე შარავანდედით რომ შეიმოსა შემთხვევითი არ იყო.

ქართველი ხალხის წინაშე ვახტანგ გორგასლის ღვაწლი და დამსახურება, რა თქმა უნდა, მარტო აღნიშნულით არ განისაზღვრებოდა. XI ს. მეორე ნახევრის ქართლის სამეფოში კარგად ეცოდინებოდათ: ვახტანგ გორგასლის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი თავგანწირული რომ იბრძოდა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ; ასევე, ვახტანგის მიერ ქართლის სამეფოსათვის, ადრე ბიზანტიელთაგან მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ძველი ქართული მიწების დაბრუნება, იქ არტანუჯის საერისთავოს შექმნა, ანტიირანული აჯანყება 482—484 წლებში, ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვება და ახალი საეპისკოპოსოების დაარსება, დიდი საერო (ქ. არტანუჯი, უჯარმა, თბილისი და სხვ.) და საეკლესიო (სვეტიცხოველი, ნინოწმინდა, ნეკრესი და სხვ.) აღმშენებლობითი საქმიანობა ვახტანგ გორგასლის სახელთან რომ იყო დაკავშირებული.

ვახტანგ გორგასალი, თავისი დროისათვის უძლეველი მებრძოლი და გამოჩენილი სარდალი ქართველი მხედრებით, რომელთაც წინ მიჰქონდათ შემდეგში „გორგასლიანად“ წოდებული საბრძოლო დროშა, ირანის შაჰების მოთხოვნით მონაწილეობდა ბიზანტიის წინააღმდეგ ომებში; ჩრდ. კავკასიაში, შუა აზიასა, ინდოეთსა, სინდეთსა და აბაშეთში ებრძოდა ჰუნებს, რომლებიც იმ ხანად ირანის იმპერიისათვის ყველაზე ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდნენ (ჩრდ. კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდ. ველებზე მომთაბარე ჰუნ-თურქთა ძლიერი გაერთიანებებისათვის დარიალის ჩაკეტვა ირანის შაჰებისაგან

სწორედ ქართველებს ჰქონდათ დავალებული). ვახტანგ გორგასლის სარდლობით ქართველთა მონაწილეობა ირანის მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში შაჰებისათვის ხშირად გადამწყვეტი გამარჯვების მომტანი იყო.

ვახტანგ გორგასალი დიდი ფიგურა და გამოჩენილი პიროვნება რომ ყოფილა მაშინდელ საერთაშორისო ასპარეზზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასთან დანათესავებას ესწრაფვოდნენ არა მარტო ბიზანტიის იმპერატორები, არამედ ქართლის სამეფოს მაშინდელი სიუზერენნი — ირანის შაჰებიც კი. მათ კარგად იცოდნენ, ასეთი დანათესავება გარკვეულწილად ვახტანგის პოლიტიკურ ორიენტაციასაც განსაზღვრავდა.

ირანელებთან „იორსა ზედა“ ბრძოლაში ვახტანგ გორგასლის სასიკვდილოდ დაჭრისა და უჯარმაში გარდაცვალების შემდეგ, მისი შთამომავლების ზეობის ხანაში ქართლის სამეფომ ჯერ 482—484 წლების ანტიირანული აჯანყებით მოპოვებული შეღავათები დაკარგა. შემდეგში, დაახლოებით 537 წელს სასანიანმა შაჰინ-შაჰმა ხოსრო I ანუშირვანმა (531—579) ქართლში სამეფო ხელისუფლებაც გააუქმა [30:159]. იმ დროისათვის რვაასწლოვანი ისტორიის მქონე ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ჩამომავალი — მეფე ბაკური ხოსრო I-მა ტახტიდან გადააყენა და ქართლი ირანის პროვინციად გადაიქცა[24].

ვახტანგ გორგასლის ძლევამოსილ გამარჯვებათა შემდეგ, მართალია ქართველმა ხალხმა დიდი ძნელბედობა გაიარა, მაგრამ მის გმირულ სახელზე მადლიერი შთამომავლობა ლეგენდებს თხზავდა, ხოლო საბრძოლო დროშას, აბჯარსა და სამოსელს სათუთად ინახავდა, უყლიდა. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ვახტანგ გორგასლის სამხედრო იარაღი და სამოსელი თურმე არსენ კათალიკოსის (IX ს.) დროსაც კი ინახებოდა [111:281]. „გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა“ ვახტანგის სამოსელი და აბჯარი, — წერს არსენი, — „აწცა საცნაურ არს“ [5:81].

საუკუნეთა მანძილზე „გორგასლიანი“ დროშა ქართველებს უმძიმესი ბრძოლების ჟამს თავიანთი დიდი წინაპრის საგმირო საქმეებით აღაფრთოვანებდა. თვით დავით აღმაშენებლისა და თამარის ბრწყინვალე ეპოქაშიც კი ვახტანგ გორგასლის კულტი იმდენად ძლიერი ყო-

---

24 ამ აქტის შემდეგ ისტორიის ბედის ტრიალი არც სასანიანთა სამეფო სახლს უქადდა დიდხანს არსებობას. არაბებისაგან დევნილმა შაჰმა იეზდიგერდ III-მ. ხოსრო I-ის მიერ ქართლში მეფობის გაუქმების 114-ე წლის თავზე—651 წელს, შეა აზიაში ქ. მერვის მახლობლად წისქვილში დალია სული.

ფილა, რომ „გორგასლიანი“ დროშა „დიდ ლაშქრობათა დროს კვლავ ჯარის წინ მიჰქონდათ“ [51:80]. 1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასულმა დავით IV აღმაშენებელმა მართალია ახალი საბრძოლო დროშა შემოიღო, მაგრამ დიდ ბრძოლებში ახალი „დავითიანი“ დროშის გვერდით „გორგასლიანი“ დროშა მაინც გაჰქონდათ. „გორგასლიანი“ დროშა დავითის დროსაც ისევ ქართველთა ძველი გმირობისა და ვაჟკაცობის, მტერზე გამარჯვების სიმბოლოდ რომ რჩებოდა, ამას იოანე შავთელის „აბდულ-მესიიდან“ ქვემომოყვანილი სტროფიც მოწმობს:

„იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა
გულის-მდებელად თვისთა სპათათვის,
გორგასლიანი, დავითიანი
დროშა იახლის მსრველად მტერთათვის“ [49:329].

თამარის ისტორიკოსი — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დროშა, რომელიც ქართველ ლაშქარს ბრძოლებში მიჰქონდათ სწორედ „...დროშა იგი გორგასლიანი“ იყო, „რომელი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკდებოდა“ [50:71].

ქართველი ხალხის სიყვარული თავისი დიდი წინაპრის — ვახტანგ გორგასლისადმი მარტო მისი „სამოსელისა და აბჯრის“, „გორგასლიანი“ დროშისადმი პატივისცემითა და მოკრძალებით რომ არ განისაზღვრებოდა, ამას ძველ დროში შექმნილი და დღემდე შემონახული საყოველთაოდ ცნობილი ხალხური ლექსიც მოწმობს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა“ [92:73].

ვახტანგ გორგასლის სახელს ომში მყოფი ქართველები არა მარტო XI—XII სს-ში, უფრო გვიანი ხანის საქართველოშიც რომ სიამაყით წარმოსთქვამდნენ, ამას მოწმობს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“ ვახტანგისადმი მიძღვნილი სტრიქონები:

„ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ“ [83:91].

ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორის — ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ შედგენილ „ცხოვრებაში“ XI ს. რედაქტორს გარკვეული ცვლილებები რომ შეუტანია, ვფიქრობ, ეს სწორედ ზემოაღნიშნულით უნდა აიხსნას. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, გმირი მეფის ფიზიკური სიძლიერის, ცხოვრებისა და ბრძოლების შესახებ ხალხმა ისეთი ლეგენდარული ამბები შეთხზა, რომ ვახტანგის თანამედროვე ავტორის მიერ შედგენილი, მისი მოღვაწეობის ამსახველი თხზულება აღმავლობის გზაზე მიმავალი ქართული ფეოდალური საზოგადოების სულიერ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. როგორც ჩანს, ამის გამო XI ს. ქართველმა ისტორიკოს-რედაქტორმა ძველი ჯუანშერისეული „ქრონიკა“ — ვახტანგ გორგასლის ღვაწლისა და გმირობის გადმოსაცემად ნაკლულად მიიჩნია. ამიტომ იგი ვახტანგ გორგასლის შესახებ, მის დროისათვის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული ლეგენდარული ხასიათის ამბებით გაამდიდრა და ისეთი „სარაინდო“ შინაარსის თხზულება შექმნა, რომ დღეს, როცა ვახტანგის თანამედროვე ავტორის — ჯუანშერის თხზულება ცალკე აღარ მოგვეპოვება და მხოლოდ გვიანდელი, გადამუშავებულ-გავრცობილი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ გვაქვს, მასში ძნელია ისტორიულად რეალურისა და ლეგენდარულის გამიჯვნა. თუმცა, ძირითადი ბირთვი რადგან ჯუანშერისეული თხზულებიდან მომდინარე ცნობებია, რომლებშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ზუსტათაა ასახული ვახტანგ გორგასლისა და მისი ოჯახის წევრთა ცხოვრების წლები, მაშინდელ ქართლის სამეფოში მიმდინარე ამბები, პოლიტიკური ვითარება, ვახტანგ გორგასლის საშინაო საქმიანობა და საგარეო ომები, უნდა ვცადოთ რეალურის არარეალურისაგან გამიჯვნა.

XI ს. რედაქტორს ჯუანშერის თხზულებაში რომ ცვლილებები შეჰქონდა, ეს გასაკვირი არაა. მისი და მისი დროის ქართული საზოგადოების თვალში — პიროვნება, რომლის დროშა ომებში ლაშქრის წინ მიჰქონდათ, ამ მოლაშქრეთა წარმოდგენაში უძლეველი გმირი, დაუმარცხებელი მეფე უნდა ყოფილიყო, ისეთი მეფე, რომელსაც ასიათასობით მეომარი ჰყავდა. აღნიშნულის გამოა, ჩვენს ხელთ არსებულ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ ზოგიერთი არარეალური ამბავი რომაა, გაზრდილია ჯარის რაოდენობა, მოხსენიებულია გვიან დაარსებული ქ. ბაღდადი და სხვ.

ჯუანშერის თხზულებაში არსებული ისტორიული რეალობის ამსახველი მრავალი ფაქტი და მოვლენა ჯერ კიდევ „საიდუმლოებითაა“ მოცული. ჯუანშერის თხზულების გაცნობისას აუცილებლად გაგახსენდებათ X ს. ცნობილი ქართველი მოღვაწის — იოანე-ზოსიმეს სიტყვები: ამ ნაწარმოებში „მრავალი საიდუმლო არს დამალული“. „საიდუმლოთა“ დიდი ნაწილი თვით ვახტანგ გორგასლის ეპოქის მოვლენების, მისი და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების თარიღების გარკვევის შედეგად აიხსნება.

სამწუხაროდ, ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწის, ვახტანგ გორგასალის ცხოვრების ზუსტი წლები ამ უკანასკნელ ხანამდე გარკვეული არ იყო (ამ საკითხზე 1983 წელს გამოქვეყნდა ჩემი გამოკვლევა. იხ. 25). საქმეს ის ართულებდა, რომ თარიღი, რომლიდანაც ჯუანშერს ათვლილი აქვს ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობისა და ქართლის სამეფოში მიმდინარე ამბები, არ იყო ცნობილი (ჯუანშერი ათვლას ვახტანგის დაბადების წლიდან იწყებს და ეს ასათვლელი თარიღი, როგორც ჩანს, იმთავითვე არ არსებობდა). ასევე, დღეისათვის „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ რედაქციაში ვახტანგის დაბადების ან გარდაცვალების წელზე არავითარი მითითება არაა.

ვახტანგ გორგასლის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღის შესახებ, როგორც ჩანს, არც ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიას“ ჰქონდა ზუსტი ცნობა და არც დიდ ქართველ ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს.

ვახტანგ გორგასლის დაბადების ან გარდაცვალების ზუსტი თარიღის დასადგენად საკმარისი ცნობა ჩემამდე ვერც უცხოურ საისტორიო წყაროებში იქნა მიკვლეული. V ს. სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი ვახტანგ გორგასალს მხოლოდ ამიერკავკასიის ხალხების 482—484 წლების ანტიირანულ აჯანყებასთან დაკავშირებით იხსენიებს [118:243 და შემდეგი]. რაც შეეხება ჩვენთვის ცნობილ ბიზანტიურ და სხვა საისტორიო წყაროებს, მათში ვახტანგ გორგასალი საერთოდ არაა ნახსენები.

საისტორიო წყაროთა ასეთი მონაცემების მიუხედავად, ვახუშტიდან მოკიდებული საქართველოს ისტორიის არაერთმა მკვლევარმა სცადა ვახტანგ გორგასლის დაბადებისა და ზეობის წელთა დადგენა. მაგრამ, რადგან მისი ცხოვრების წელთა განსასაზღვრავად ჯუანშერის მონაცემები ხელმოსაკიდ მასალას არ იძლევა, ამ მკვლევართა ნაშრო-

მებში ვახტანგის გარდაცვალების თარიღი თითქმის 50 წლის ფარგლებში მერყეობს. ასე მაგ., ვახუშტიმ ვახტანგის გარდაცვალება 499 წლით განსაზღვრა [41:115]. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების ვახუშტისეული დათარიღება გაიზიარეს: ი. კლაპროთმა [204:165], დიუბუა დე მონპერემ [202:62—66], ს. ბარათაშვილმა [130:42], მ. ბროსემ [19:80] და დ. ბაქრაძემ [11:162, 176]. მ. ჯანაშვილმა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღი 532 წელზე გადაიტანა [119:225—226]. ს. გორგაძის მტკიცებით, ვახტანგი 503 წელს გარდაიცვალა [37:94—95]. ს. კაკაბაძემ 1928 წ. გამოცემულ ნაშრომში ვახტანგის გარდაცვალება 488 წლის დაათარიღა, ხოლო 1959 წელს ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში — 484 წლით [55:20; 52:12, 58]. კ. კეკელიძემ ვახტანგის ცხოვრების წლები 436—496 წწ. განსაზღვრა [58:340].

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული 502 წელი არის მიღებული [111:329; ქსე, ტ. 4, ვახტანგ I; 75:87—83; 117:105—106]. ჯუანშერს ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგი მის მეფობაში მომხდარ „ბერძენ-სპარსელთა“ მეორე ომის დასაწყისში დაიჭრა და გარდაიცვალა [120:202—203; 118:164, შენ. 213]. აქედან გამომდინარე, ს. გორგაძემ „ბერძენ-სპარსელთა“ მეორე ომი ბიზანტია-ირანის 502—506 წლების ომად მიიჩნია და ვახტანგის გარდაცვალება, როგორც ითქვა, 503 წლით დაათარიღა [37:64—67]. ივ. ჯავახიშვილმა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად 503 წლის ნაცვლად, 502 წლის შემოდგომა მიიღო [111:329]. მაგრამ, ლ. ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, ეს თარიღი „დამყარებულია მეტად არასაიმედო საფუძველზე“ [118:164, შენ. 213]. ამიტომ იყო, რომ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღის დასაზუსტებლად კვლევა გრძელდებოდა. კ. თუმანოვმა 1963 წ. გამოცემულ ნაშრომში ვახტანგის გარდაცვალება 522 წელზე გადაიტანა [212:370, 372, 378].

ვახტანგ გორგასლის ცხოვრების წლების დასადგენად ძირითადი ცნობები ჯუანშერის თხზულებაში გვაქვს. ამიტომ ჯერ ვნახოთ, რა მასალაა ამ ნაწარმოებში ვახტანგ გორგასლის ზეობის წელთა გასარკვევად.

ჯუანშერის თანახმად, თავისი მეფობის განმავლობაში ვახტანგმა ორჯერ იომა ირანელებთან (თანამედროვე მკვლევართა მიერ ორივე ეს ომი ბიზანტია-ირანის ომებადაა მიჩნეული). ჯუანშერის ცნობები ამ ომების შესახებ დაწვრილებით გააანალიზა ლ. ჯანაშიამ. ამიტომ, მის მსჯელობას ქვემოთ შედარებით სრულად მოვიტან.

„ბიზანტია-ირანის პირველი ომის დროს,— წერს ლ. ჯანაშია, — ჯუანშერის სიტყვით, ბერძნების კეისარი იყო ლეონ დიდი, ხოლო სპარსთა მეფე — ურმისდი“. „ლეონ დიდი, — განაგრძობს იგი, — უეჭველია, არის ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I (457—474), ურმისდი კი — შაჰი ჰორმიზდ III (457—459), რომლის შემდეგ ირანის ტახტზე იჯდა... მისი... უმცროსი ძმა პეროზი (459—484)... რაც მთავარია, ლეონ I-ის, ჰორმიზდ III-ისა და პეროზის მეფობაში არავითარი ომი ბიზანტიასა და ირანს შორის არ ყოფილა“ [118:163]. „ბიზანტია-ირანის მეორე ომის დაწყების წინ, ჯუანშერის სიტყვით, ლეონ დიდის ნაცვლად ტახტზე დამჯდარა... ზენონი. ამავე დროს ირანში ტახტზე ასულა ახალი შაჰი, ისევ „ხუასრო“. ლ. ჯანაშიას თანახმად, ზენონი 474—491 წლებში იყო ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე, „ხუასრო“ კი ირანის შაჰი ვალარში [484—488] უნდა იყოს, მაგრამ არც მათ დროს მომხდარა ბიზანტია-ირანის ომი [118:163]. ამის შემდეგ ლ. ჯანაშია აღნიშნავს, რომ „ვახტანგ გორგასლის მეფობის მაბლობელ ეპოქაში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი მოხდა 442-სა და 502—505 წლებში. შეიძლებოდა მხედველობაში არ მიგვეღო ჯუანშერის მიერ ბიზანტიისა და ირანის მეფეების ხსენება და გვეფიქრა, რომ ჯუანშერის ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომი არის 442 წლის ომი, ხოლო მეორე — 502—506 წლებისა; მაგრამ რიგი გარემოებებისა ეწინააღმდეგება ამ ვარაუდს.

442 წ. ბიზანტია-ირანის ომი ცოტა ხანს გაგრძელდა და მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებს ადგილი ამ დროს არ ჰქონია, რადგან იმპერატორ თეოდოსიუსს ომი არ უნდოდა და იგი სწრაფად დაეზავა სპარსელებს. ჯუანშერის აღწერით კი ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომი მეტად სისხლისმღვრელი იყო და სულ მცირე ათ წელიწადს გაგრძელებულა [118:163—164].

„ამასთან ჯუანშერის მიხედვით ბიზანტია-ირანის პირველსა და მეორე ომს შორის ოცდათხუთმეტ წელს გაუვლია (პირველი ომის დამთავრებისას ვახტანგი ოცდახუთი წლისა იყო, ხოლო მეორე ომის დაწყებისას სამოცისა). მაგრამ, — შენიშნავს ლ. ჯანაშია, — 442-სა და 502 წლებს შორის სამოცი წელია. ასე რომ, თუ ჯუანშერის პირველ ომს მივიჩნევთ 442 წ. ომად, მაშინ მეორე ომი უნდა მომხდარიყო 477 წ., ხოლო თუ მეორე ომს მივიჩნევთ 502—506 წლების ომად, მაშინ პირველი ომი უნდა მომხდარიყო 467 წ. ჩვენ კი ვიცით, რომ არც 467-სა და არც 477 წლებში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი არ ყოფილა“. ამის შემდეგ ლ. ჯანაშია ასკვნის: „...ჯუანშერს მეტად არა-

სწორი ცნობები ჰქონია ბიზანტიასა და ირანის ისტორიაზე და ამიტომ ძნელი დასადგენია, რომელი ომები უნდა ვიგულისხმოთ ჯუანშერის მიერ ნახსენებ ბიზანტია-ირანის ომებში. ეს კი ძალიან ართულებს ჯუანშერის მიერ ნახსენებ ვახტანგ გორგასლის სპარსელებთან ომის დათარიღებასაც" [118:164]. რასაც თავის მხრივ „...დიდი მნიშვნელობა აქვს ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღებისათვის" [118:164, შენ. № 213]. საბოლოოდ ლ. ჯანაშიას დასკვნა ასეთია: „ჯუანშერს მეტად არასწორი ცნობები ჰქონია ბიზანტია-ირანის ისტორიაზე". „ის ცნობები, რომლებიც აქვს ჯუანშერს ქართლის ბრძოლების შესახებ ირანის წინააღმდეგ, მეტად საეჭვოდ გამოიყურებიან" [118:165]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ჯანაშიამ ვახტანგის გარდაცვალების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ 502 წელზეც უარი თქვა და მიუთითა: „...ჩვენს ხელთ არსებული ცნობები საშუალებას არ იძლევიან ზუსტად დავათარიღოთ ვახტანგ გორგასალის მეფობა. ჯერჯეობით ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ვახტანგის მეფობა მოდიოდა V ს. მეორე ნახევარზე" [118:168, შენ.; 117:106—107].

ლ. ჯანაშიას შემდეგ ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობით ვახტანგ გორგასლის ცხოვრების წლების დადგენა ივ. ლოლაშვილმა სცადა. „ჯუანშერის ეს საინტერესო თხრობა, — წერს იგი, — რომელიც ეხება ვახტანგ გორგასლის მეფობის პირველ წლებს, ჩვენი კულტურის ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ იგი თარიღებით იყოს შემკობილი და ავტორს არ ერეოდეს ერთმანეთში ისტორიულ პირთა სახელები" [69:63]. ჯუანშერის ცნობებს, განაგრძობს იგი, „...ლეგენდურ მხარეს თუ მოვაცილებთ, მათში მრავალ საყურადღებო საისტორიო ფაქტს დავინახავთ". ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ქრონოლოგიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თარიღი სადავოა. „არ ვიცით ზუსტად, როდის დაიბადა იგი, როდის გამეფდა, ან როდის გარდაიცვალა და ა. შ. ვფიქრობ, — დასძენს შემდეგ ივ. ლოლაშვილი, — ამ თარიღების დადგენა უნდა დავიწყოთ იქიდან, თუ ვახტანგ გორგასალმა როდის შეირთო ცოლად სპარსთა მეფის ასული ბალენდუხტი" [69:63]. თავისი გაანგარიშების საფუძველზე ვახტანგის დაბადების თარიღად ივ. ლოლაშვილმა 437 წელი მიიჩნია და ამ თარიღზე დაყრდნობით შეეცადა ვახტანგის ცხოვრების სხვა წლები განესაზღვრა [69:64—66].

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად მიღებული 502 წ. მართლაც „მეტად არასაიმედო საფუძველზე" არის დამყარებული. ბი-

ზანტია-ირანის 502—505 (6) წლების ომის შესახებ მოღწეული ისტორიული წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ ომი ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის შაჰმა კავად I-მა (488—497, 499—531) დაიწყო და ომის პირველსავე წელს ბრძოლები მცირე აზიაში ჰქონდა. იგი ქართლში არ შემოსულა [195:149—169; 177:93]. ჯუანშერის ცნობით კი ვახტანგ გორგასალი „იორსა ზედა“ ბრძოლაში დაიჭრა და უჯარმაში გარდაიცვალა. ამიტომ, ცხადია, ომი, რომელშიც ვახტანგი დაიჭრა ბიზანტია-ირანის 502—505 (6) წლების ომი არ იგულისხმება. ისეთ ომზე კი რომელიც ბიზანტია-ირანს V ს. ბოლოს ქართლის ტერიტორიაზე ჰქონდა, როგორც ითქვა, ჩემი წერილის გამოქვეყნებამდე არაფერი იყო ცნობილი. სწორედ აღნიშნული ართულებდა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენას[25].

ბიზანტია-ირანის ამ უცნობი ომის შესახებ ყურადღება მივაქციე ანონიმი ავტორის მიერ სირიულ ენაზე შეთხზული აგიოგრაფიული ძეგლის ერთ ცნობას. დასახელებულ ძეგლში ქართლ-ალბანეთის მარზპანის ფირან-გუშნასპის გაქრისტიანებისა და მარტვილობის ამბავია გადმოცემული. ამიტომ მასში არსებული ზოგიერთი ცნობა მეტად მნიშვნელოვანია V—VI სს. საქართველოს ისტორიისათვის (იხ. 31).

ვახტანგ გორგასლის ცხოვრების წლების დასადგენად, სირიული ძეგლის ცნობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ჯუანშერის

---

25 ვახტანგ გორგასლის ზეობის წელთა საკითხთან დაკავშირებით ახსნას მოითხოვდა ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერაში ვახტანგის მოუხსენებლობა. ბოლნისის სიონის მშენებლობა 493 წელს დამთავრებულად ითვლება (იხ. ქსე, ტ. 2, სტ. ბოლნისის სიონი) და 502 წელს გარდაცვლილი ვახტანგი თითქოს სააღმშენებლო წარწერაში უნდა მოეხსენებინათ. ასე მაგ., ა. ბოგვერაძემ წარწერაში ვახტანგის მოუხსენებლობა იმის მოწმობად ჩათვალა, საპიტიახშო ვარსქენის სიკვდილის შემდეგაც ქართლის მეფის იურისდიქციის გარეშე რომ რჩებოდა [16:54, შენ. 70]. შესაძლოა მართლაც აღნიშნულით იყოს განპირობებული ვახტანგი მისი თანამედროვე იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ რომ არ იხსენიება (საპიტიახშოს ტერიტორია იქნებ, მართლაც უშუალოდ ირანის შაჰს ექვემდებარებოდა? ისე რატომაა აუცილებელი მეფე მის თანადროულად შექმნილ თხზულებასა და შესრულებულ ყველა წარწერაში იყოს მოხსენიებული?). მაგრამ, ბოლნისის სიონის მშენებლობა, როგორც ამის შესახებ ძველი ქართული საისტორიო წყაროები მოგვითხრობენ [67: 138; 80:325] და სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღინიშნა [85: 149—159] IV ს. ბოლოს უნდა იყოს დამთავრებული (შდრ. 30). ამიტომ, ცხადია, წარწერაში ვახტანგი არ იქნება მოხსენიებული.

ბოლნისის სიონის მშენებლობის შესახებ ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები სპეციალურად გავაანალიზე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ისინი არ უნდა ცდებოდნენ [30:120—126].

თხზულებაში არსებულ მონაცემებს. საბედნიეროდ, ჯუანშერს, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილიც მიუთითებდა, თავისი თხრობა ვახტანგის დაბადების თარიღიდან აქვს გადმოცემული. ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგი „იორსა ზედა“ ბრძოლაში დაჭრის შემდეგ 60 წლისა გარდაიცვალა [120:200—203]. ამიტომ, საკმარისი იყო თვით ვახტანგის გარდაცვალების წელი გარკვეულიყო, რომ ჯუანშერის მთელმა ქრონოლოგიურმა მონაცემებმა სანდო საისტორიო ხასიათი მიიღო.

ახლა თვით სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ცნობებს გადავხედოთ.

ძეგლის ავტორის ცნობით, „როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო... [ზავის დადების] მეორმოცე წელს ტახტზე ავიდა ხოსრო...“ [31:98—99, შდრ., იქვე, გვ. 91—92].

ძეგლში მოხსენიებული „გურზანი და არანი“ ქართლი და ალბანეთია, ხოლო „მეფე ხოსრო“ — ირანის შაჰინ-შაჰი ხოსრო I ანუშირვანი. იგი 531 წელს ავიდა ირანის ტახტზე. მეორე მხრივ, მისი ტახტზე ასვლის წელი რადგან ამიერკავკასიაში „გურზანისა და არანისათვის“ მიმდინარე ომის დამთავრების მეორმოცე წელი იყო, ირანსა და ბიზანტიას შორის ზავი (531—40) 491 წელს დადებულა.

სათანადო მასალის გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ჯუანშერის მიერ აღწერილი ბიზანტია-ირანის ის ომი, რომელშიც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა (იგი ამ დროს „დღეთა მიწევნილ იყო ვითარ სამოცისა წლისა“. 120:200] იგივე, სირიულ ძეგლში მითითებული ირან-ბიზანტიის 491 წლის ომია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვახტანგის გარდაცვალება 491 წლით უნდა დათარიღდეს. რადგან გარდაცვალებისას ვახტანგი 60 წლისა იყო, მისი დაბადება 431 წელზე მოვა.

სირიული აგიოგრაფიული ძეგლისა და ჯუანშერის ცნობების შეჯერების საფუძველზე ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად მიღებული 491 წლის სისწორე შემდეგითაც დასტურდება: ჯუანშერის თანახმად, აღმოსავლეთიდან კახეთზე გამოვლით შემოსულ ირანელებს ქართველები „იორსა ზედა შეებნენ“. „სამ დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს“. მეოთხე დღეს კი „ღამესა ნისლისაგან განცისკრებულსა ოდენ დაესხა ვახტანგ სპარსთა ზედა... შევლო ვიდრე პალატამდე მეფისა...“ მოკლა შაჰის ძე „...და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე“. შემდეგ კი „...დამძიმდა წყლულება ვახტანგისი“ და „წარვიდა უჯარმოს“ ირანის შაჰი კი „რუსთავს ჩადგა“ [120:201—202].

„იორსა ზედა“ ბრძოლის აღწერას „ცხოვრებაში“ მოსდევს ცნობა: „...ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისი, მოკუდა, და დაჯდა მეფედ ზენონ...“ [120:203]. ვახტანგის სიმამრად „ცხოვრებაში“ რადგან ლეონ დიდი (457—474) იგულისხმება (იხ. გვ. 86, შენ. 29), ზემომოტანილი ცნობიდან ისე გამოდის, თითქოს „იორსა ზედა“ ბრძოლის თანადროულად ლეონ დიდი გარდაიცვალა და ზენონი გამეფდა. მაგრამ, ნამდვილად 491 წლის 9 აპრილს, რადგან თვით ზენონი გარდაიცვალა, ამიტომ, ვფიქრობ, ჯუანშერის თხზულების თავდაპირველ ტექსტში ზენონის გარდაცვალების შესახებ უნდა ყოფილიყო მითითება და აი რატომ: „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხის (ამ ნუსხას სწავლულ კაცთა კომისიის ხელში არ გაუვლია) ტექსტის იმ ადგილას, სადაც ვახტანგ გორგასლის სიმამრის გარდაცვალებაზეა საუბარი, მართალია ზენონი აკლია [94:138], მაგრამ, როგორც ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, ვახტანგის მეცნიერ კაცთა მიერ რედაქტირებულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში „ზენონ“ მათი ჩამატებული არაა. მათ, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — „შეიძლება ჰქონოდათ ისეთი ძველი ნუსხა, რომელშიც ეწერა „ზენონ“. ასეთი ვარაუდის დამადასტურებლად ს. ყაუხჩიშვილს XII ს-ში შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის შესაბამის ადგილას ზენონის სახელის მოხსენიება მიაჩნია[26] [99:029]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილი ასკვნის: „ჩანს, „ზენონ“ ეწერა „ქართლის ცხოვრების“ იმ ძველ, XII—XIII სს. ნუსხაში, რომელიც ხელთ ჰქონდა სომეხ მთარგმნელს“ [99:029]. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ ნუსხების ტექსტში,— დასძენს იგი, — ასევე გვიანდელი ჩანამატია ცნობა ლეონ დიდის ვახტანგის სიმამრად დასახელების შესახებ, მაგრამ ეს ჩანამატი „სინამდვილეს შეეფერება“ [99:029].

---

26 ჯუანშერის ცნობით, ომის დაწყების წინ, ირანის ტახტზეც მოხდა ცვლილება „მოკუდა ხუასრო და დაჯდა ძე მისი ხუასრო“ [120:199]. 491 წლის წინ, კერძოდ, 488 წელს ირანის ტახტზე მართლაც მოხდა ცვლილება. ამ წელს შაჰი ვალარში ტახტიდან ჩამოაგდო მისმა ძმისშვილმა (და არა ძემ, როგორც ეს ტექსტშია). როგორც ვხედავთ, ბიზანტიისა და ირანის მეფეების შესახებ ჯუანშერის ცნობები არც ისე უზუსტოა, როგორც ეს დღემდე ეგონათ.

ჯუანშერს ირანის შაჰების საერთო სახელად „ხოსრო“ აქვს გამოყენებული. „ხოსრო“ ირანის შაჰების ზოგად სახელად მიაჩნდა ნ. პიგულევსკაიას [174:287]. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ჯუანშერის თავდაპირველ დედანში ირანის მეფეები წოდებულნი უნდა ყოფილიყვნენ „ხოსროუ“-დ, რაც „ძლიერ მეფეს“ ნიშნავს [111:328].

ამრიგად, ვახტანგის „ცხოვრების“ თავდაპირველ ტექსტში ზენონი თუ იმთავითვე ეწერა, მაშინ ცხადია, ჯუანშერისეულ ტექსტში ზენონის გარდაცვალებაზე უნდა ყოფილიყო მითითება. მაგრამ, ასეთი ცნობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის შესრულებამდე შეცვალეს, რითაც ტექსტი საგრძნობლად დამახინჯდა. თუმცა, ამ დამახინჯებულ ცნობაში „იორსა ზედა“ ბრძოლის თანადროულად ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მომხდარ ცვლილებაზე მითითება, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, „იორსა ზედა“ ბრძოლა, რომელშიც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა, 491 წლის გაზაფხულზე რომ მოხდა.

„იორსა ზედა“ (იგივე უჯარმის) ბრძოლა ჯუანშერის ცნობათა გაანალიზების საფუძველზე გენერალ-მაიორმა ივ. შაიშმელაშვილმა 3 გაზაფხულზე მომხდარად მიიჩნია. მისი მონოგრაფია 1978 წელსაა გამოცემული და ცხადია, ის ომი, რომელშიც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა, მას 502 წლით აქვს დათარიღებული. ქართლის წინააღმდეგ ირანელთა ლაშქრობა, — წერს ივ. შაიშმელაშვილი, — ბიზანტიის წინააღმდეგ ომსაც ნიშნავდა, რის გამოც ქართლში ბრძოლის გარდა..., „ხუასრო მეფეს“ წინ ედო ბიზანტიაზე გალაშქრების პროგრამა, რისთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა 502 წლის ზაფხული ან შემოდგომა“ [101:49]. ივ. შაიშმელაშვილის თანახმად, ბრძოლის დროს გაზაფხულის მიჩნევას სხვა გარემოებაც ადასტურებს. ჯუანშერის ცნობით, — დასძენს იგი, — ირანელთა ლაშქარი საქართველოში აღმოსავლეთიდან — ალბანეთის მხრიდან კახეთზე გავლით შემოიჭრა. საქმე ისაა, რომ ძველი ქართველი ავტორის მიერ დასახელებული გზა მართლაც ყველაზე ხელსაყრელი იყო ადრე გაზაფხულზე ქართლში სალაშქროდ. საქართველოს ტერიტორიის სხვა ნაწილები ამ დროს ხშირად თოვლიანია და გაუვალიც არის. რაც დამაბრკოლებელი იქნებოდა დიდი ლაშქრის გადასაადგილებლად. როგორც ივ. შაიშმელაშვილი შენიშნავს, გარდა იმისა, რომ კახეთის გზით ირანის შაჰი „...მხარს უქცევედა ძველი და მძლავრი სათავდაცვო ნაგებობებით მოფენილ თბილისი-მცხეთის მიმართულებას. მოქმედების ამ ზოლში სპარსელებს თავისი... ურიცხვი ლაშქრის სურსათით მომარაგების მეტი შესაძლებლობა ეძლეოდათ...“ [101:47]. ასევე, „სპარსელების მიერ არჩეული მოქმედების მიმართულებაზე კავკასიონიდან ალაზანში ჩამდინარე წყლები და თვით ალაზანიც ამ დროს ადიდებული არ იქნებოდა. ამ ზონაში მდებარე საძოვრებიც, ალბათ, ჯერ ისევ სავსე იყო კახეთ-ჰერეთის პირუტყვით ..“ [101:48—49].

ქართლში ირანელთა შემოჭრის შესახებ ჯუანშერის თხზულებაში არსებული ცნობების ანალიზის შედეგად ივ. შაიშმელაშვილის მიერ შიღებული დასკვნა, ვფიქრობ, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, „იორსა ზედა“ ბრძოლა 491 წლის გაზაფხულზე — ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მომხდარი ცვლილების თანადროულად რომ მოხდა.

კავად I-მა სწორედ 491 წლის ადრე გაზაფხულზე რომ დაიწყო ომი და ისიც საქართველოს ტერიტორიაზე, ეს შემთხვევითი არ იყო. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ხალხების ანტიირანული აჯანყება 482—484 წლებში მართალია მარცხით დამთავრდა, მაგრამ თვით ირანში დატრიალებულმა მოვლენებმა (შაჰის დაღუპვა, ბრძოლა ტახტისათვის) და სხვა წინააღმდეგობებმა აიძულა ახალი შაჰი ვალარში (484—488) ამიერკავკასიის ხალხთა მიმართ მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო. ვარაუდობენ, რომ ქართლშიც გაუმჯობესდა მდგომარეობა, აქედან გაწვეული იქნა ირანის ჯარი [75:86]. აღნიშნულთან ერთად, ლაზარ ფარპეცის ცნობით, ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების იდეა ხომ ქართლიდან, კერძოდ ვახტანგ გორგასლიდან მოდიოდა [118:243]. მან პირველმა დაიწყო ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანის შაჰს პეროზს, ყველაზე საშიშ პიროვნებად ამიერკავკასიაში ისევ ქართლის მეფე მიაჩნდა. ამიტომ შემოუთვალა მან თავის სარდალს, ზარმიჰრ ჰაზარავუხტს „...წასულიყო ქართლში და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეძევებინა...“ [118:263].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალარშის მაგიერ 488 წელს ირანის ტახტზე ასული ენერგიული შაჰი კავად I, შინაური საქმეების მოგვარებისთანავე შეეცდებოდა ქართლში (საერთოდ ამიერკავკასიაში) ადრე შერყეული ირანის პოზიციები აღედგინა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ მის ასეთ ნაბიჯს ბიზანტიასთან შეტაკებაც მოჰყვებოდა.

კავადმა ამიერკავკასიის ხალხთა 482—484 წლების ანტიირანული აჯანყების გამოცდილებით იცოდა, სანამ ვახტანგი ცოცხალი იყო მას ქართლის დამორჩილება გაუძნელდებოდა — პირველ რიგში ვახტანგს შოშორება იყო საჭირო. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს ქართლის კათალიკოს პეტრესადმი მიმართული ვახტანგის სიტყვები: „უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათჳს გუბრძვანან“. ასევე შემთხვევითი არ იყო, „სპარსმან ვინმე ისარი [რომ] სცა მკერდსა ვახტანგისსა“, რის შედეგადაც ირანელებმა ამიერკავკასიაში თავიანთი ყვე-

ლაზე დიდი მოწინააღმდეგე თავიდან მოიშორეს (ი. შაიშმელაშვილის აზრით, ვახტანგი რევიანებმა მოკლეს. 101:63).

ამრიგად, ომი, რომელშიც ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ დაიჭრა, სირიულ აგიოგრაფიულ ძეგლში მითითებული ქართლ-ალბანეთში 491 წელს მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო.

ვახტანგის მონაწილეობით მიმდინარე ბიზანტია-ირანის პირველი ომის დამთავრებისას, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგი რადგან 25 წლისა იყო (ამ ომის დაწყებისას ვახტანგი 22 წლისა იყო, ომი კი 3 წელი გაგრძელდა), მეორე ომის დროს კი იგი 60 წლისა გარდაიცვალა, გამოდის რომ ამ ომებს შორის 35 წელი გავიდა. მეორე ომი რადგან 491 წელს მოხდა, პირველი ომი (491 — 35 =) 456 წელს დამთავრებულა და 431 წელს დაბადებული ვახტანგი 456 წელს მართლაც 25 წლისა იქნებოდა. ასე რომ, ჯუანშერს სიზუსტით აქვს გადმოცემული ვახტანგის ბიოგრაფიის წლები (453—456 წლების ბიზანტია-ირანის ომის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი VII), ზუსტია მისი ცნობები ირან-ბიზანტიის ომების შესახებ.

*

* *

ჩემი გამოკვლევა, რომელშიც სირიული აგიოგრაფიული ძეგლია და ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობით ვახტანგ გორგასლის დაბადება-გარდაცვალების წლები დავადგინე, მიუხედავად იმისა, რომ 1983 წელს გამოქვეყნდა, 1989 წლამდე არავინ გამომხმაურებია. 1989 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ნ. ლომოურმა მოინდომა ჩემს მიერ მოტანილი მასალათა უსაფუძვლობა ეჩვენებინა და ამ მხრივ ვახტანგის დაბადება-გარდაცვალების დათარიღება უარეყო. ამ მიზნით, მან მოიტანა რა ჩემი ის მსჯელობა, რომელიც ვახტანგის გარდაცვალების თარიღის დადგენას ეხება [73:44—45], იმ მიზეზით, რომ თურმე ამ მოვლენათა თანამედროვე სირიელი ქრონისტის, იეშუ სტილიტის თხზულებაში, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი 491—492 წლების მოლაპარაკება ირანსა და ბიზანტიას შორის, 491 წლის ომზე არავითარი ცნობა არაა — ჩემი „მსჯელობა სრულიად არადამაჯერებლად“ გამოაცხადა [73:45]. ნ. ლომოურის მტკიცებით, იეშუს ცნობით, ირანის შაჰი ბიზანტიისაგან მოითხოვდა ადრე დადებული ხელშეკრულებით იმპერიის მიერ ნაკისრი

გადასახადის გადახდას. იმპერატორმა ანასტასიმ კი უარი უთხრა, მოლაპარაკება ჩაიშალა, მაგრამ არც მანამდე და არც მერე ბიზანტიასა და ირანს შორის ომი არ მომხდარა [73:45. იმოწმებს იეშუს სტილიტის ქრონიკას, გვ. 60—61. როგორც ქვემოთ ვნახავთ, იეშუს ასეთი ცნობა აქვს][27]. ამის შემდეგ იგი ასკვნის: შეუძლებელია იეშუ სტილიტს „...არაფერი სცოდნოდა ამ ომის შესახებ, მას რომ მართლაც ჰქონოდა ადგილი. ეს, ჩვენის აზრით, სრულიად საკმარისი საბუთია, აღნიშნული ძეგლის (ე. ი. ფირან გუშნასპის მარტვილობის. — ვ. გ.) ცნობის სიზუსტეში შევიტანოთ ეჭვი. როგორც ჩანს, აქ ისეთივე ანაქრონიზმია, როგორიც არაერთი გვხვდება იგივე ჯუანშერის თხზულებაში“ [73:46]. აგიოგრაფი, — განაგრძობს ნ. ლომოური, — ასევე ცდება, როცა ფირან გუშნასპს ქართლისა და ალბანეთის მარზპანად აცხადებს [73:46].

ნ. ლომოურის თანახმად ძეგლის ავტორი თურმე იმიტომაა „უზუსტო“, ქართლი და ალბანეთი ერთ ადმინისტრაციულ ოლქში მხოლოდ ხოსრო I-ის დროს გაერთიანდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, — ასკვნის იგი, — ხოსრო I-ის გამეფებამდე 40 წლით ადრე (ე. ი. 491 წელს) დატყვევებული ფირანი ქართლისა და ალბანეთის მარზპანი ვერ იქნებოდა, რის გამოც, „თავისთავად იხსნება ბიზანტია-ირანს შორის“ 491 წელს მომხდარი ომის რეალობის საკითხიც, მით უფრო, რომ ამ ომის შესახებ სხვა წყაროებში არაა ცნობებიო [73:46]. თითქოს დაადასტურა რა 491 წელს „იორსა ზედა“ ბრძოლის შესახებ ჩემს მიერ მოტანილი მასალის არარეალურობა, ჩემი დასკვნა, რომ ჯუანშერის ცნობები ბიზანტიისა და ირანის მეფეების შესახებ არც ისე უზუსტოა“ ამჯერად უკვე „სრულიად გაუგებრად“ გამოაცხადა [73:46].

როგორც ვხედავთ, ნ. ლომოური უარყოფს რა ჩემს მიერ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების 491 წლით დათარიღებას, პირველ საბუთად ის მოაქვს, ამ ამბების თანამედროვე სირიელმა ქრონისტმა იეშუ სტილიტმა თითქოს არაფერი იცის ამ წელს ბიზანტია-ირანის ომის შესახებ; მეორე საბუთად კი ის მიაჩნია, რომ 491 წელს ფირან გუშნასპი არ შეიძლებოდა ქართლისა და ალბანეთის მარზპანი ყოფილიყო, რადგან ასეთი საგამგეო ერთეული 531 წლის შემდეგ შეიქმნაო.

ახლა ამ მხრივ გადავხედოთ ჯერ იეშუს ცნობებს, შემდეგ ვნახოთ 491 წლისათვის თუ შეიძლებოდა ყოფილიყო ფირანი ქართლისა და ალბანეთის მარზპანი.

---

27 60—61 გვერდებზე ნ. პიგულევსკაიას გამოკვლეულია. 491 წლის ომის შესახებ კარგი იყო ნ. ლომოურს თვით იეშუ სტილიტის ტექსტისათვის მიექცია ყურადღება.

§ 3. დამატებითი მასალა სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი ბიზანტია-ირანის 491 წლის ომის შესახებ

სირიულ აგიოგრაფიულ ძეგლში არსებული ცნობით, როგორც ვაჩვენე, ირან-ბიზანტიის ომი, ირანის შაჰის ხოსრო I-ის ტახტზე ასვლამდე 40 წლით ადრე, ე. ი. 491 წელს „გურზანისა და არანისათვის" (ქართლისა და ალბანეთისათვის) მოხდა.

491 წლის გაზაფხულზე ორ იმპერიას შორის მომხდარი ომი სირიულ აგიოგრაფიულ ძეგლში („ფირან გუშნასპის მარტვილობა") და ჯუანშერის თხზულებაში რომ აისახა, ეს გასაგებია — ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ბიზანტია-ირანის ომის დროს „იორსა ზედა" ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. იგი იყო ამ ომის ერთ-ერთი გმირი. სირიული აგიოგრაფიული ძეგლის მთავარი მოქმედი პირი ფირან გუშნასპი კი ქართლ-ალბანეთის მარზპანი იყო და ომი მის საგამგეო ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ომის შესახებ განა სხვა ძველ წყაროებში არავითარი მითითება არა გვაქვს?

სხვა საისტორიო წყაროშიც თუ აღმოჩნდა სათანადო მასალა, რომელიც მხარს დაუჭერს ჯუანშერისა და ანონიმი სირიელი ავტორის ცნობებს 491 წლის ბიზანტია-ირანის ომის შესახებ, მაშინ ეს დამატებითი მასალა, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი საბუთი იქნება იმის დასადასტურებლად ჯუანშერის ცნობა ზემოდასახელებული ომის შესახებ ისტორიული რეალობის ამსახველი რომაა.

488 წელს ირანის ტახტზე ახალგაზრდა, ენერგიული შაჰინ-შაჰის — კავად I-ის ასვლით ძირეულად შეიცვალა მისი წინამორბედი შაჰის კავად I-ის ბიძის — ვალარშის ოთხწლიანი მმართველობის დროინდელი უნიათო პოლიტიკა. ირანის ტახტზე ვალარშის ასვლისას, მისი წინამორბედი შაჰის პეროზის დროს ჰუნების წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლების გამო ქვეყანა დასუსტებული იყო. მისი ეკონომიკური მოძლიერება მხოლოდ ბიზანტიის იმპერიისაგან მიღებული ოქროთი შეიძლებოდა. კავკასიის ზეკარების დაცვისათვის ბიზანტიის იმპერია, როგორც ცნობილია, ადრე ფულად სუბსიდიას უხდიდა ირანს. მაგრამ, შემდეგ შეუწყვიტა. 488 წელს ირანის ტახტზე ასულმა კავად I-მა ქვეყნის საშინაო საქმეები მოაგვარა თუ არა, ძველი ჩვეულებისამებრ იმპერიისაგან ფული მოითხოვა. როცა უარი მიიღო, ომი დაიწყო.

ბიზანტიის წინააღმდეგ 491 წელს წამოწყებული ამ ომის შესახებ ანონიმი სირიელი ავტორის გარდა, სწორედ ნ. ლომოურის მიერ უარყოფილ ძველ სირიელ ავტორს — იეშუ სტილიტს აქვს ცნობა. იეშუ

სტილიტის ქრონიკის რუსულ ენაზე მთარგმნელისა და გამომცემლის ნ. პიგულევსკაიას თანახმად, იეშუს თხზულებაში ძირითადად ბიზანტიისა-ირანის 502—505(6) წლების ომია აღწერილი და იგი სანდო საისტორიო წყაროა. მისი სიტყვით, ქრონიკაში მოხსენიებული უკანასკნელი თარიღია 506 წლის 28 ნოემბერი [175:13]. ქრონიკა დაწერილია ახლადგანცდილი უბედურების (ნ. პიგულევსკაიას მხედველობაში აქვს 502—505/6 წწ. ომი) უშუალო შთაბეჭდილებებით. ქრონიკა 507 ან 518 წელზე გვიან არ უნდა იყოს შედგენილი [175:13—14].

რაც შეეხება ქრონიკაში გადმოცემულ, ჩვენთვის საინტერესო 502—505(6) წლების ომის წინადროინდელ ამბებს, ნ. პიგულევსკაიას თანახმად, იეშუ სტილიტს ისინი ევსტაფი ეპიფანელის მიერ ორ ნაწილად ბერძნულ ენაზე შედგენილი ისტორიიდან უნდა აეღო [175:16, 21), თუმცა, აღნიშნავს იგი, — იეშუმ ევსტაფისაგან აიღო თხრობის ძირითადი ქარგა და იგი პირდაპირ არ გადმოუწერია [175:27].

ირანის მიერ ბიზანტიასთან დაწყებული ომის მიზეზად იეშუ იმპერიის მიერ ოქროს მიუცემლობას ასახელებს. იეშუს ცნობით, ჰუნებთან ბრძოლაში დაღუპული პეროზის შემდეგ ირანის ტახტზე ასული ვალარშს, რომელიც მშვიდობისმოყვარე და თვინიერი იყო, ირანის სამეფო საგანძური ცარიელი დახვდა, ხოლო მიწები ჰუნთა თავდასხმებისაგან აოხრებული [195:134]. რადგანაც ვალარშს ჯარის შესანახავად ოქრო არა ჰქონდა, იგი ჯარის თვალში არარაობას წარმოადგენდა. ჯარი მას პატივს არ სცემდა. ამის გამო ვალარში დააპატიმრეს და მის ნაცვლად ტახტზე ადრე ჰუნებთან მძევლად ნამყოფი კავადი პეროზის ძე დასვეს [195:134].

იეშუსავე ცნობით, რადგან რომაელებმა ოქროს მიცემაზე უარი თქვეს, კავადმა „მ ა შ ი ნ ვ ე ბ რ ძ ა ნ ა ო მ ი რ ო მ ა ე ლ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ“[28] [195:134].

როგორც ვხედავთ, იეშუ აშკარად მიუთითებს კავადის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ. მაგრამ საიდან დასტურდება 488 წელს ტახტზე ასულმა კავადმა მაინცდამაინც რომ 491 წელს დაიწყო ომი იმპერიის წინააღმდეგ?

ომის დაწყებასთან ერთად, კავადს ბიზანტიის იმპერატორისათვის

---

28 მკითხველისათვის რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, აქვე მომაქვს იეშუს ცნობის რუსული ტექსტი. იეშუს ცნობით, მას შემდეგ, რაც კავადმა ტახტი დაიკავა „...Он—то повел войну с ромеями из-за того, что ему не было дано золото“ [195:134].

ელჩები გაუგზავნია და თან საჩუქრად სპილო გაუტანებია [ი. კულაკოვსკის თანახმად სპილოს გაგზავნის შესახებ ცნობა კომიტ მარცელინუსაც აქვს. 152:448—449]. სანამ ელჩები ქ. ანტიოქიას (უნდა ვიგულისხმოთ ქ. ნისიბისი. იხ. ქვემოთ, თავი X) მიაღწევდნენ იმპერატორი ზენონი გარდაიცვალა (იგი როგორც ითქვა, 491 წლის 9 აპრილს გარდაიცვალა და ტახტი ანასტასიოს II-მ დაიკავა). როცა ელჩებმა კავადს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მომხდარი ცვლილების შესახებ შეატყობინეს, მას ელჩებისათვის უბრძანებია, სასწრაფოდ ისევ გამგზავრებულიყვნენ იმპერატორთან და როგორც წესი იყო, მოეთხოვათ ოქრო თუ არა ეთქვათ მისთვის რომ „ომი მიეღო“ [195:135; შდრ., 175:88—89].

როგორც ვხედავთ, იეშუ სტილიტის „ქრონიკიდან“ ზემომოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს ბიზანტიასთან ომი კავადს 491 წლის გაზაფხულზე — ზენონის გარდაცვალებამდე რომ დაუწყია (მართლაც, როგორც ჯუანშერის თხზულებიდან ვიცით, 491 წლის გაზაფხულის დამდეგიდან ირანელთა ლაშქარი ხომ ქართლში იბრძოდა). ზენონის გარდაცვალების შემდეგ მან იმპერიის ტახტზე ახლად ასულ ანასტასიოსს მოთხოვა ან ოქრო გაეგზავნა, ან „ომი მიეღო“. მაგრამ, ანასტასიოსმაც უარი უთხრა მას ოქროს მიცემაზე, რამაც საფუძველი მისცა კავადს ქართლში დაწყებული ომი იმპერიის ტერიტორიაზე გაეგრძელებინა.

ქართლში ირანელთა შემოქრის შესახებ საიმპერატორო კარი, როგორც ეს ჯუანშერის თხზულებიდან ჩანს, ინფორმირებული ყოფილა. ახალი იმპერატორი „გამოვიდა სპერად, — წერს ჯუანშერი, — გამოსვლად ქართლს“, მაგრამ შეიტყო რა ვახტანგის დაჭრის ამბავი „...დაადგრა კარნუ-ქალაქსა. და მივიდა მუნ ხუასრო, და შეიბნეს ხუასრო და კეისარი კარნიფორას... ვერ სძლეს ერთმანეთსა“ [120:203].

კავადის შენათვალი იმპერატორს „ომი მიეღო“ მართლაც უკვე დაწყებულ ომს რომ ნიშნავდა, ამას მოწმობს იეშუს თხზულებაშიც არსებული სხვა ცნობა. 502 წელს, როცა კავადმა ომი დაიწყო ბიზანტიის წინააღმდეგ, მხოლოდ ამის შემდეგ გაგზავნა კონსტანტინოპოლში ელჩები იმპერატორთან ან ოქრო მიეცა, ან „ომი მიეღო“ [195:152].

491 წლის ბიზანტია-ირანის ომის დროს ამიერკავკასიაში მომხდარი ამბების შესახებ ასევე საინტერესოა იეშუს შემდეგი ცნობა. იეშუს თანახმად, როცა სომხებმა შეიტყვეს, რომ ანასტასიოსმა უარყო კავადის მოთხოვნა მისთვის ოქროს გაგზავნის შესახებ, მაშინვე აჯანყ-

დნენ და მათ წინააღმდეგ გაგზავნილი მარზპანიც კი დაამარცხეს. თან იმპერატორს მფარველობა სთხოვეს, მაგრამ, — დასძენს იეშუ, — იმპერატორმა მფარველობაზე უარი უთხრა, რათა არ ეფიქრათ, რომ იგი იწვევდა ომს ირანის წინააღმდეგ [195:135].

იეშუ სტილიტის მიერ მოთხრობილი ამბავი — 491 წელს ირანის წინააღმდეგ სომეხთა აჯანყებისა და მათ მიერ ირანელი მარზპანის დამარცხების შესახებ, ქართლში ირანელთა შემოჭრის თანადროულად ან მომდევნო ახლო ხანაშია სავარაუდებელი.

როგორც ვხედავთ, სირიული აგიოგრაფიული ძეგლის, იეშუ სტილიტისა და ჯუანშერის ცნობები გარკვეულწილად ავსებენ ერთმანეთს 491 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის მომხდარი ომის შესახებ. ჯუანშერის ცნობებიდან დამატებით ვგებულობთ ამ ომის ცალკეული ბრძოლების მიმდინარეობის ადგილსა და მათ შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორმა ანასტასიოსმა ომს თავი აარიდა, სამხედრო შეტაკება ბიზანტიასა და ირანს შორის მაინც მომხდარა.

491 წლის გაზაფხულზე ირანსა და ბიზანტიას შორის დაწყებული ომი, ჩქარა ორივე მხარისათვის უშედეგოდ დამთავრდა. ამ დროისათვის ირანს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ შეეძლო იმპერიასთან ბრძოლა, რის გამოც კავადი იძულებული იყო 491 წელსვე (ალბათ ზაფხულში) ბიზანტიასთან დროებითი ზავი დაედო.

იეშუსავე ცნობით, 491 წლის შემდეგაც კავადმა 502 წლის ომის დაწყებამდე, არაერთხელ წამოიწყო იმპერიის წინააღმდეგ მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაციები. 502 წელს კი ირანელთა მიერ დაწყებული ომი მართლაც ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი იყო.

ბიზანტიასთან საბრძოლველად იმხანად ირანს თუ ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა, ქართლის სახელმწიფოსთან შედარებით იგი მაინც გაცილებით ძლიერი იყო. მით უმეტეს იორის ბრძოლის შემდეგ ვახტანგ გორგასალს სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა. ამიტომ, 491 წლის ზაფხულიდან ირანელთა ბატონობა ქართლში ძველი ფორმით აღდგა.

სტილიტის ქრონიკიდან ზემომოყვანილ ცნობასა და სომხურ წყაროებზე დაყრდნობით 492 წელს ირანის წინააღმდეგ სომხებისა და ქართველების აჯანყების შესახებ, ს. ერემიანმა ჯერ კიდევ 1958 წელს მიუთითა [143:210]. ს. ერემიანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ყურადღება მიაქცია ა. ბოგვერაძემ. „ქართლის ცხოვრება“, — წერს იგი, — ვახტანგის გარდაცვალებას იმპერატორ ზენონის გარდაცვალებას უკავშირებს (474—491), მაგრამ არათუ იმ დროს, არამედ საერთოდ მის მმართველობაში, ბიზანტია-ირანს შორის ომი არ ყოფილა“. შემდეგ

იქვე უმატებს, „ს. ერემიანი კავად შაჰის... დროს მომხდარ სომხების 492 წლის აჯანყებაზე საუბრისას ქართველების აჯანყებასაც ახსენებს, მაგრამ რა წყარო აქვს მხედველობაში, არ ვიცით. ეს თუ მართალია, ვახტანგის სიკვდილი შეიძლებოდა ამ ამბებთანაც დაგვეკავშირებინა. საერთოდ, მგონია, რომ ვახტანგი V ს. 90-იან წლებში დაიღუპა თუ გარდაიცვალა, მაგრამ ცხადია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამას ადგილი ჰქონდა VI ს. დამდეგს" [16:57].

როგორც ვხედავთ, ა. ბოგვერაძის ეჭვი ვახტანგ გორგასლის 491 (ან 492) წელს გარდაცვალების შესახებ, ერთი მხრივ იმან გამოიწვია ზენონის გარდაცვალების ახლო ხანაში მისთვის ბიზანტია-ირანის ომი, რომ არ იყო ცნობილი. მეორე მხრივ კი, წერს რა ს. ერემიანი, 492 წელს ქართველთა და სომეხთა აჯანყებაზე, წყაროს არ უთითებს, რის გამოც, ა. ბოგვერაძემ იეშუ სტილიტის ცნობა ვერ შეამოწმა. ჩემს მიერ ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობ, თავისთავად იხსნება ის წინააღმდეგობა, რაზეც ა. ბოგვერაძე მიუთითებს.

ახლა რაც შეეხება ნ. ლომოურის მეორე არგუმენტს.

ნ. ლომოურმა, როგორც ითქვა, ხოსრო I-ის ტახტზე ასვლამდე 40 წლით ადრე (ე. ი. 491 წ.) ქართლისა და ალბანეთის ერთი მარზპანისადმი მორჩილების ფაქტი (აქედან გამომდინარე, სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ცნობა) იმ მოტივით უარყო, თითქოს 491 წლისათვის ასეთი საგამგეო ერთეული ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი და იკი 531 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა [73:23, 46].

ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, ირანის იმპერია ოთხ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად ოფიციალურად ხოსრო I დაჰყო და ქვეყნის ოთხი მხარის შესაბამისად ოთხი სპაჰბედი დანიშნა [201:370; 141:290; 192:311—312, 315]. ირანის სახელმწიფოს ჩრდ. პროვინციების მოსახლეობა დამორჩილებულ ხალხებთან ერთად კავკასიის ქუსტაკში გაერთიანდა [123:214]. კავკასიის ქუსტაკში შედიოდა ქართლი და ალბანეთი [126:94—136; 123:217] და მათ ცალკე ირანელი მოხელე განაგებდა. მაგრამ, ნ. ლომოურს მხედველობიდან გამორჩა, იმავე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითება ხოსრო I-მა თავისი რეფორმებით ადრე არსებული დაყოფა რომ დაადასტურა [123:218, შენ. 1; 141:312].

1982 წელს ამიერკავკასიაში სასანიანთა მიერ შექმნილი მმართველობის სისტემისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში სათანადო მასალის მოტანის საფუძველზე ვაჩვენე ალმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბა-

ტონებისთანავე სასანიანებმა ქართლი და ალბანეთი რატომ დაუმორჩილეს ერთ ირანელ მოხელეს (ამ გამოკვლევას ნ. ლომოური რომ გაცნობოდა, იქნებ სირიული ძეგლის ცნობა არ უარეყო), ამ მხრივ, სირიული ძეგლისა და ჯუანშერის ცნობები ერთმანეთს რომ ავსებენ (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. 23, 31).

ამრიგად, სირიულ აგიოგრაფიულ ძეგლში არსებული ცნობით, ქართლსა და ალბანეთში ირანსა და ბიზანტიას შორის ბრძოლა, რადგან 491 წელს მოხდა, მეორე მხრივ, კი იეშუ სტილიტის თანახმად, ირანის მიერ ბიზანტიასთან დაწყებული ომის დროს გარდაიცვალა იმპერატორი ზენონი; ასევე, რადგან ჯუანშერიც, ქართლში შემოჭრილ ირანელებთან ქართველთა ბრძოლის თანადროულად მიუთითებს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მომხდარი ცვლილების (მასთანაც ზენონი იხსენიება) შესახებ — საეჭვო აღარ უნდა იყოს ქართლში ირანელთა ლაშქრობა 491 წლით რომ უნდა დათარიღდეს. სწორედ ამ ლაშქრობის ერთ-ერთ „იორსა ზედა" ბრძოლაში 491 წლის აპრილში დაიჭრა სასიკვდილოდ ვახტანგ გორგასალი. როგორც „იორსა ზედა" ისე, ირანსა და ბიზანტიას შორის კარნიფორთან მომხდარი ბრძოლა 491 წლის ირან-ბიზანტიის ომის ცალკეულ ეპიზოდებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ბრძოლების შესახებ ჯუანშერის ცნობები უნიკალურია და მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ V ს. დასასრულის ბიზანტია-ირანისა და ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის უფრო სრულად შესასწავლად. ასე რომ, ომი, რომელშიც ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ დაიჭრა სახეზე გვაქვს. ამის შემდეგ მკვლევრები ვეღარ იტყვიან, თითქოს, V ს. ბოლოს ბიზანტია-ირანის ომის შესახებ წყაროებში ცნობები არაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ლომოურის დასკვნა 491-წელს ბიზანტია-ირანს შორის რომ არავითარი ომი არ იყო არასწორ არგუმენტებზეა დამყარებული და სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ცნობის უგულებელსაყოფად არ გამოდგება. ასევე საკითხის სათანადო ცოდნაზე არაა დამყარებული ნ. ლომოურის მტკიცება, თითქოს ქართლი და ალბანეთი ერთ ირანელ მოხელეს მხოლოდ ხოსრო I-ის რეფორმების შემდეგ დაემორჩილა. ასეთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ადრევე არსებობდა.

თავი V

ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგიის შესახებ

ვახტანგ გორგასლის ზეობის წლებზე რადგან ზემოთ მქონდა საუბარი, ამჯერად მხოლოდ მის ოჯახურ ქრონოლოგიას შევეხები.

ერთი მხრივ, ვახტანგის დაბადების თარიღის ცოდნა, მეორე მხრივ, კი ვახტანგის ოჯახის წევრთა შესახებ ჯუანშერის თხზულებაში არსებული მითითებანი საშუალებას გვაძლევს მისი ოჯახის წევრთა ქრონოლოგია გავარკვიოთ.

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის მშობლებს მირდატსა და საგდუხტს პირველად ასული შეეძინათ. „მიუდგა დედოფალი საგდუხტ, — წერს იგი, — და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი ხუარანძე". ჯუანშერი იქვე დასძენს: „კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუხტ, რათა მოსცეს ძე. და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუდგა და შვა ძე, და უწოდა სახელი... ვახტანგ" [120:143].

ზემომოტანილი ცნობიდან გამომდინარე, რადგან ვახტანგი ხუარანძეს დაბადებიდან ოთხი წლის შემდეგ დაიბადა, ხვარანძეს დაბადების თარიღი 427 წლით უნდა განისაზღვროს.

შემდეგ ჯუანშერი წერს, რომ ვახტანგის დაბადებიდან (ე. ი. 431 წ.) „შემდგომად... მეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა, და უწოდა სახელი მისი მირანდუხტ" [120:143], ე. ი. ვახტანგის უმცროსი და მირანდუხტი ვახტანგის დაბადებიდან მეექვსე 437 წელს დაბადებული. მირანდუხტის დაბადებაზე მითითების შემდეგ ჯუანშერი იქვე დასძენს: „შემდგომად ამისსა, წელსა მეორესა, მოკუდა მეფე მირდატ; და დარჩა ვახტანგ შვდისა წლისა ყრმა" [120:143]. 437 წელს დაბადებული მირანდუხტის დაბადებიდან „შემდგომად მეორე წელი" 438 წელია — ეს ახალი მითითებაა ვახტანგის მამის მირდატის გარდაცვალების შესახებ. როგორც ჯუანშერი წერს, ამ დროს ვახტანგი „შვდისა წლისა ყრმა" დარჩა. 431 წელს დაბადებული ვახტანგი438 წელს — მირდატის გარდაცვალებისას მართლაც 7 წლისა იქნებოდა.

ამის შემდეგ ჯუანშერი ვახტანგის ოჯახური ქრონოლოგიის მითითებისას თითქოს ოდნავ უზუსტობას უშვებს. „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, — წერს იგი, — გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი... და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი" [120:145]. 437 წელს დაბადებული მირანდუხტი 441 წელს, როცა ვახტანგი „წლისა ათისა იქმნა", 4 წლისა იქნებოდა (იქნებ ეს უზუსტობა

იმ ხანად ახალი წლის განსხვავებული დასაწყისით არის გამოწვეული?).

ახლა რაც შეეხება ვახტანგის შვილების დაბადების წლებს. ჯუანშერის მითითებანი საშუალებას გვაძლევს მიახლოებით განვსაზღვროთ როდის შეირთო ვახტანგმა ცოლად ირანის შაჰის ასული ბალენდუხტი, ზუსტად დავადგინოთ ვახტანგის პირველი ძის — დაჩისა და მისი ტყუპისცალი დის (ჯუანშერი მის სახელს არ უთითებს) დაბადებისა და ბალენდუხტის გარდაცვალების თარიღები.

დაჩისა და მისი დის დაბადების თარიღის დასადგენად ჯუანშერის თხზულებაში არსებული ცნობები უშუალო კავშირშია, ბიზანტიის წინააღმდეგ დაწყებული ომისა და ირანის შაჰთან ერთად ვახტანგის ჰუნების წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლის წლებთან. ამიტომ, მათზე ქვემოთ მოკლედ შევჩერდები.

ჯუანშერის თანახმად, ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყებისას ვახტანგი 22 წლისა იყო [120:159]. ამ მითითების საფუძველზე ომის დაწყების თარიღად 453 წელი უნდა ჩაითვალოს. ომი 3 წელი გაგრძელდა და 456 წელს ვახტანგი „ვითარ... მოვიდა ქალაქად თჳსად მცხეთად“, — წერს ჯუანშერი, — „უშვნა ცოლმან ძე და ასული მარჩბივად, და მოკუდა შობასა შინა ბალენდუხტ დედოფალი, ასული სპარსთა მეფისა“ [120:178], ე. ი. დაჩი და მისი ტყუპისცალი დაბ 456 წლის წინა ხანაში დაბადებულა, ხოლო ბალენდუხტი მშობიარობას გადაჰყოლია, მაგრამ, კერძოდ რომელ წელს მოხდა ეს?

ჯუანშერის ცნობით, ბიზანტიასთან ომის დამთავრების (456 წ.) შემდეგ, როცა ირანის შაჰმა ბიზანტიელთა მხარეზე ვახტანგის გადასვლის ამბავი შეიტყო „შეიქცა სპარსეთად და მოკუდა“ [120:178]. ამ ცნობის თანახმად გამოდის, რომ ირანის შაჰი 456 წლის შემდეგ ჩქარა გარდაცვლილა. როგორც ცნობილია, იეზდიგერდ II მართლაც 456-ის მომდევნო — 457 წელს გარდაიცვალა. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ჯუანშერი სწორედ იეზდიგერდის გარდაცვალებაზე რომ მიუთითებს. გარდაცვლილი შაჰი ჯუანშერის ცნობით ხომ ვახტანგის სიმამრი — ბალენდუხტ დედოფლის მამა იყო.

ამის შემდეგ, როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, გარდაცვლილი შაჰის ნაცვლად ირანის ტახტზე ასულმა ახალმა მცირეწლოვანმა შაჰმა მხოლოდ 3 წლის შემდეგ შეძლო ვახტანგის წინააღმდეგ გამოლაშქრება [120:178]. ქართლში ირანელთა ეს ლაშქრობა რადგან იეზდიგერდის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ მოხდა — 460 წელზე მოვა. 460 წელს ქართლში ირანელთა ლაშქრობა ბიზანტიელთა ჩარევის გამო

ჩქარა ზავით დამთავრდა. ქართლში მყოფმა ირანის შაჰმა (ამჯერად პეროზი 459—484 წწ. იგულისხმება) ვახტანგს დაჲ სთხოვა ცოლად, თვით ვახტანგს კი თავისი მტრების წინააღმდეგ შემწეობა [120:184]. და აი, ჯუანშერი ირანის შაჰის მტრების წინააღმდეგ სალაშქროდ მიმავალი (460 წ.) ვახტანგის ოჯახთან გამოთხოვების ამბავს როცა გადმოგვცემს, წერს, რომ ვახტანგის ძე დაჩი ამ დროს 5 წლისა იყო [120:185].

460 წელს დაჩი თუ 5 წლისა იყო, ერთი მხრივ, მისი და ძისი ტყუპისცალი დის დაბადება, ხოლო მეორე მხრივ, ვახტანგის პირველი შეუღლის — ბალენდუხტის გარდაცვალება 455 წელზე მოვა. და მართლაც, 456 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობიდან დაბრუნებულ ვახტანგს, როგორც ზემოთ ვნახეთ, დაჩი ხომ ახალი დაბადებული დახვდა.

აქვე დგება ერთი საკითხი. თუ ბალენდუხტი 455 წელს გარდაიცვალა, 456 წელს მცხეთაში დაბრუნებულმა ვახტანგმა არაფერი იცოდა ამის შესახებ?

გარდა იმისა, რომ მეუღლის გარდაცვალებისა და ტყუპი ქალვაჟის დაბადების ამბავს მეფეს მაშინვე შეატყობინებდნენ, იმ ხანად ვახტანგს ბიზანტიასთან დაახლოებაც ჰქონდა გადაწყვეტილი. სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას, 456 წელს ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას ვახტანგმა თანხმობა რომ განაცხადა ცოლად შეერთო იმპერატორის ასული. ამ დროს მას ბალენდუხტის გარდაცვალების ამბავი რომ არ სცოდნოდა, ქრისტიანული კანონიკური სამართლიდან გამომდინარე, ვახტანგი ბიზანტიის იმპერატორის ასულის შერთვას არ მოიწადინებდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართლში მებრძოლი ირანის შაჰი ბიზანტიელთა შუამდგომლობით როცა ვახტანგს დაუზავდა, ვახტანგს დაჲ სთხოვა ცოლად. ვახტანგი შაჰის ამ წინადადებას დათანხმდა „და მისცა სპარსთა მეფესა დაჲ მისი... ცოლად, რომელსა ერქუა მირანდუხტ, რომელი წარტყუენულ იყო ოვსთაგან და გამოეხსნა ვახტანგს. ხუარანძე ამისთჳს არა მისცა, რამეთუ დაწინდებულ იყო სომეხთა პიტიახშისა“ [120:185]. ეს ამბავი, როგორც ვაჩვენე, 460 წელს ხდება და ამ დროისათვის ხუარანძე „დაწინდული“, ე. ი. „განთხოვილი“ ყოფილა. ამიტომ, ვახტანგს ირანის შაჰისათვის მირანდუხტი მიუთხოვებია.

მირანდუხტი 437 წელს დაიბადა და 460 წლისათვის იგი 23 წლისა იქნებოდა. ერთ შეხედვით, იმ დროისათვის 23 წლის ქალიშვილი გასა-

თხოვარი აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯუანშერი არც ამჯერად ცდება.

როდის უნდა შეერთო ვახტანგს ცოლად ირანის შაჰის ასული ბალენდუხტი?

447 წელს, ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა ირანის შაჰს დიდი ძღვენი გაუგზავნა „და ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად; ხოლო სპარსთა მეფემან მოსცა ასული მისი ცოლად, რომელსა ერქუა ბალენდუხტ“ [120:158]. მაგრამ, ჩრდილო კავკასიიდან ბრძოლა ვახტანგმა რადგან უშუალოდ ეგრისში გააგრძელა, და სამი წელი მოანდომა ბიზანტიელებისაგან მიტაცებული მიწების უკან დაბრუნებას, ამის გამო, როგორც ჩანს, შაჰმა იმ ხანად თავისი ასული ქართლში არ გამოგზავნა. ხოლო როცა ვახტანგი 22 წლისა შესრულდა, შაჰმა მას „მოუწოდა ბრძოლა“ ბერძენთა ზედა. უნდა ვივარაუდოთ, რომ 453 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლამდე შეირთო ვახტანგმა ბალენდუხტი, 455 წელს კი, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ბალენდუხტი მშობიარობას გადაჰყვა.

როდის უნდა შეერთო ვახტანგს მეორე ცოლი?

როგორც ითქვა, ჯერ კიდევ 456 წელს, ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას შეჰპირდა ვახტანგს იმპერატორი თავის ასულს. მაგრამ, ვახტანგმა მისი ქართლში მოყვანა დიდხანს ვერ მოახერხა. თუმცა, ვახტანგი მას, როგორც ეს ჯუანშერის ცნობიდან ჩანს, თავის ცოლად თვლიდა. ამიტომ იყო, რომ ირანიდან მომავალ ვახტანგს შაჰმა როცა ცოლად შესთავაზა „თჳსთაგანი მეფეთა“ (ე. ი. სასანიანთა საგვარეულოს ქალი), ვახტანგმა უპასუხა: „არა ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პყრობა, რამეთუ მივის მე ცოლი ასული კეისრისა“ [120:196].

468 წ. ირანიდან ქ. ურჰაში (ქ. ედესა, ახლანდ. ქ. ურფა თურქეთში) მოსულ ვახტანგს იერუსალიმიდან მობრუნებული ხუარანძე და დედა — საგდუხტი (ე. ი. 468 წელს საგდუხტი ისევ ცოცხალი იყო, ამის შემდეგ ჯუანშერი მასზე აღარაფერს გვამცნობს) დახვდნენ და როცა მოადგნენ გზასა „განსაყოფელსა ბერძენთასა და სომეხთასა“ ვახტანგმა ბიზანტიაში „წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა“ [120:196]. და იმპერატორმა მისცა „ასული თჳსი, სახელით ელენე“[29] [120:198]. ამ ცნობის საფუძველზე, ელენეს ქართლში მოყვანა დაახლოებით 469 წელს ივარაუდება.

---

29 ჯუანშერის ცნობით, ვახტანგმა რადგან 456 წელს ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას დანიშნა იმპერატორის ასული, თითქოს უფრო სწორი იქნებოდა,

ელენე დედოფალსა და ვახტანგს ჯუანშერის თხზულებაში არსებული ერთი ცნობით სამი ძე და ორი ასული შეეძინათ [120:199], მაგრამ შემდეგში ორ ძეზე (ლეონი და მირდატი) არის მითითება [120:204; „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში აღნიშნულია: „...ელენემ შვა ვახთანგისგან სამი ვაჟი და ერთი ქალი“. 96:183].

როდის დაიბადნენ ვახტანგის ძეები — ლეონი და მირდატი, ასევე ასული ჯუანშერი არ უთითებს. მაგრამ, არაპირდაპირი მონაცემებით მათი დაბადების წელთა მიახლოებითი განსაზღვრა მაინც ხერხდება (მესამე ძეზე, რომელიც სომხურ თარგმანშიც იხსენიება არაფრის თქმა არ შემიძლია, შეიძლება იგი ვახტანგის უმცროსი ძე იყო და ადრევე გარდაიცვალა).

468 წელს ირანიდან დაბრუნებული ვახტანგის სააღმშენებლო საქმიანობის აღწერის შემდეგ, ჯუანშერი გვამცნობს: „ვითარცა წარხდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე“ ირანის ტახტზე ახალი შაჰი ავიდა, რომელმაც „მოუვლინა გორგასალსა მოციქული“ და სთხოვა ასული მიეცა ცოლად და თან ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად წაყოლოდა [120:199—200]. როცა აღნიშნული სათხოვარით შაჰის მოციქული ქართლში მოვიდა, „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“. „მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამოცისა წლისა“ [120:200]. ვახტანგმა ირანის შაჰს შემონათვალზე უარი უთხრა, რის გამოც შაჰი ქართლში შემოიჭრა. „იორსა ზედა“ ბრძოლაში 60 წელს მიღწეული ვახტანგი 491 წლის გაზაფხულზე, როგორც ზემოთ ვაჩვენე, სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა.

ამ ელჩობისა და ბრძოლის თარიღი ვახტანგის ძეებისა და ასულის დაბადების თარიღთა გასარკვევად მოვიტანე. ჯუანშერის მონაცემებიდან ივარაუდება, რომ ვახტანგის ასული, რომელსაც შაჰი ცოლად სთხოვდა, ლეონზე და მირდატზე უმცროსი უნდა ყოფილიყო. თუმცა,

---

დედოფალი ელენე იმპერატორ მარკიანეს (450—457) ასულად მიგვეჩნია. მაგრამ, რადგან მარკიანეს ერთი ქალიშვილი ჰყავდა და ისიც არმიის მაგისტროსის პროკოპიოსის ძეს ანთიმიოსს ჰყავდა ცოლად [152.311], ელენე მარკიანეს შემდეგ გამეფებული ლეონის ასული უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს როგორც ჯუანშერი გვამცნობს ვახტანგის უფროს ძეს ელენესაგან ლეონი ერქვა. იქნებ ვახტანგმა თავის ძეს სიმამრის სახელი უწოდა (საიმპერატორო ტახტზე ასვლამდე ლეონი სამხედრო მოსამსახურე იყო). თუმცა, ბიზანტიური წყაროებით ლეონის ორი ასულია ცნობილი. ერთი არიადნა იმპერატორ ზენონს (გარდ. 491 წ.) ჰყავდა ცოლად, მეორე ლეონტია — ასპარის ძეს.

როგორც ჩანს, 490/491 წლისათვის იგი უკვე გასათხოვარი წლოვანებისა იყო.

მეორე მეუღლე ვახტანგს, როგორც ზემოთ ვაჩვენე, დაახლოებით 469 წელს უნდა ჩამოეყვანა ქართლში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვახტანგის უფროსი ძის ლეონის დაბადებას თუ 470, ხოლო მომდევნო ძის — მირდატისას 472 წელს ვივარაუდებთ, მაშინ ვახტანგის ქალიშვილი დაახლოებით 474 წელს მაინც თუ დაიბადა, 490/491 წლისათვის იგი 16/17 წლისა იქნებოდა. ასე რომ, ჯუანშერის ცნობები ამჯერადაც მისაღებია. როგორც ზემოთაც შევნიშნე, ვახტანგის სიმამრი თუ მართლაც ლეონი იყო, მაშინ გამოდის, რომ ვახტანგს საქართველოში უძველესი დროიდან არსებული ტრადიციისამებრ თავისი ძეებისათვის სიმამრისა და მამის სახელები დაურქმევია.

491 წლისათვის დაჩის ტყუპისცალი და ან შეიძლება ცრცხალი აღარ იყო, რადგან ირანელთა ქართლში ლაშქრობის წინ ჯუანშერის თხზულებაში მხოლოდ დაჩისა და მისი დისწულის კახეთში — ლოპოტის ხევში გახიზვნაზე არის მითითება [120:200].

491 წელს ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტზე დაჩი ავიდა. ამავე წლიდან დედოფალი ელენე და მისი ორი ძე, ვახტანგისაგან მიცემულ „დასავლეთს ქართლისას“ ფლობდნენ. ზაფხულობით წუნდას, ზამთრობით ოძრხეს იყვნენ. ამის შემდეგ, ელენეს უფროსი ვაჟი ლეონი გარდაიცვალა [120:205], რაც შეეხება მირდატს, მას დაჩიმ ვახტანგისაგან მიღებული სამფლობელოს მაგიერ მისცა „ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე“. ამ აქტით მირდატის სამფლობელომ მოიცვა ტერიტორია „ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზლუამდე სპერისა“ [120:205].

ამის შემდეგ, როგორ წარიმართა დედოფალ ელენესა და მირდატის ცხოვრება ჯუანშერი აღარაფერს გვამცნობს. ჩემი ვარაუდით, მირდატის ძე უნდა ყოფილიყო დაახლოებით 523 წელს პროკოპიოს კესარიელის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული გურგენი, რომელიც ამ წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ თავისი ცოლ-შვილით იმპერიაში გადასახლდა.

ამრიგად, ჯუანშერის თხზულებაში არსებული ცნობების გაანალიზების საფუძველზე შედარებით სრული წარმოდგენა შეგვექმნა ვახტანგ გორგასლის ოჯახის წევრთა ცხოვრების წლების შესახებ.

თავი VI.

ქართლში ოსთა, ხოლო ეგრისში ბიზანტიელთა ერთდროული ლაშქრობის შესახებ ჯუანშერის ცნობათა სანდოობისათვის

ჯუანშერის თანახმად, ვახტანგი ათი წლისა გახდა თუ არა, ქართლის სამეფო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. აი როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს იგი. ვახტანგი „ვითარ იქმნა... წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისაჲ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრნეს ველნი არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი“ [120:145]. შემდეგ „...ჩავლეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“ [120:146]. ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში ოსთა შემოჭრის თანადროულად, — წერს ჯუანშერი, — „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე“ [120:146].

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში შემოჭრილთ, კასპის გარდა სხვა ციხექალაქები ვერ აუღიათ. კასპის აღება კი, როგორც ჩანს, საგულდაგულოდ სცადეს, რათა იქ მყოფი ვახტანგის უმცროსი დაჲ მირანდუხტი დაეტყვევებინათ. კასპის აღების შემდეგ, ქვეყანა ხუნანამდე გაძარცვეს და დიდი ნადავლით დარუბანდის გზით უკან გაბრუნდნენ. ჯუანშერის ცნობიდან იმასაც ვგებულობთ, ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა შემოჭრის თანადროულად ბიზანტიელებს დასავლეთ საქართველოში რომ ულაშქრიათ, დაუპყრიათ ტერიტორია „ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე“.

ქართლის სამეფოს მაშინდელ მესვეურებს ოსთა ქართლში ლაშქრობა და ბიზანტიელთა მიერ ეგრისის ტერიტორიების დაპყრობა მეფე ვარაზ-ბაკურის დროს დაკარგული კლარჯეთის მსგავსად, დიდ უბედურებად და ღვთის რისხვის გამოვლენად მიუჩნევიათ. „მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა, — წერს ჯუანშერი, — და იტყოდეს: „განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა, და მიგკლო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი“ [120:146].

ჟლარჯეთის დაკარგვა (ბიზანტიელთა მიერ მისი დაპყრობა) თუ „ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი“, — დასძენს ჯუანშერი, — ქართლი რომ დღეს ამ მდგომარეობაში ჩავარდა „...ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნ, არამედ ერისა ცოდვათაგან“ [120:146].

შეიძლებოდა გვეფიქრა, ქართლ-ეგრისის მაშინდელმა მეზობლებმა ამ ქვეყნების სისუსტით ისარგებლეს (მაშინდელი ქართლის ტახტზე ჯუანშერის ცნობიდან გამომდინარე, ხომ 10 წლის ვახტანგი იჯდა) და ამიტომ მოაწყეს ერთობლივი ლაშქრობა. მაგრამ, თავისთავად ის ფაქტი, ქართლში შემოჭრილმა დამპყრობლებმა კასპის გარდა სხვა ციხის აღება რომ ვერ შეძლეს, მოწმობს ქართლის სამეფოს ხელისუფალნი და ქართლის მაშინდელი სიუზერენი ირანი ჩრდილოელთა შემოსევას გარკვეულწილად მომზადებულნი დახვედრიან[30].

როდის მოხდა ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა, ხოლო ეგრისში ბიზანტიელთა შემოჭრა? რამდენად რეალურია ჯუანშერის ცნობები საქართველოში ოსთა და ბიზანტიელთა ერთობლივი ლაშქრობის შესახებ?

1939 წელს პ. ინგოროყვამ, ხოლო 1989 წელს ნ. ლომოურმა ჯუანშერის ცნობები ვახტანგის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის შესახებ არარეალურად მიიჩნიეს [46:182, № 1; 73:26]. გ. კოკოჩაშვილის თანახმად, ვახტანგის ლაშქრობას ოსეთში მიზნად ჰქონდა ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვრების განმტკიცება [65:153]. გ. წულაიას ფიქრით, კი ჯუანშერის ცნობები ჩრდილო კავკასიაში ვახტანგის ლაშქრობის შესახებ მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს ქართლის სამეფოს ისტორიაში სამაგალითო მონარქი [140:9].

რაც შეეხება თარიღს. ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა შემოჭრის თარიღით „ქართლის ცხოვრების“ გადამწერ-რედაქტორები ადრევე დაინტერესებულან. „ქართლის ცხოვრების“ აშიაზე არსებულ ერთ მინაწერში, ეს ლაშქრობა უჯზ (ე. ი. 467) წლით არის დათარიღებული [120:146, შენ. 1]. ქართლში ოსთა, ხოლო ეგრისში ბიზანტიელთა შეჭრას ვახუშტი ბატონიშვილი იმპერატორ მარკიანეს (451—457) დროს მომხდარ ამბად თვლის [41:101].

ისეთი დიდი მასშტაბის დამარბეველი ლაშქრობა, როგორიც ჯუანშერის ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში ოსებმა მოაწყეს, რა თქმა

---

30 ჩრდილო კავკასიიდან ქართლში გადმომავალი დარიალისა და სხვა ზეკარების დაცვა, ქართლ-ალბანეთის მარზპანებს (იმ ხანად ვარაზ-ბაკური იყო) ევალებოდა.

უნდა, მხოლოდ მათ მიერ არ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული. იმ ხანად ჩრდილო კავკასიაში მობინადრე ხალხებზე, ცენტრალური და შუა აზიიდან მოსული ჰუნ-თურქები ბატონობდნენ. ამიტომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე სამართლიანად იქნა მითითებული, რომ ჯუანშერის თხზულებაში ოსთა ლაშქრობად მიჩნეულ ამ თავდასხმაში, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან ერთად, სხვა მომთაბარე ხალხებიც უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი. ასეთი ვარაუდის დამადასტურებლად მიჩნეულია V ს. ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის პრისკოს პანიელის დღემდე ფრაგმენტების სახით მოღწეულ თხზულებაში არსებული ცნობა „იუროპახის გზით" საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჰუნების შემოჭრის შესახებ. პრისკოსის თანახმად, ამ ლაშქრობისას ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი ჰუნები ქართლისა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების გაძარცვის შემდეგ დიდი ნადავლით დარუბანდის გზით გაბრუნდნენ უკან [186:93—94].

ჯუანშერისა და პრისკოს პანიელის ცნობებში რომ ერთი და იგივე ამბავია გადმოცემული, ეს თითქოს საეჭვო არა ჩანს. ორივე ავტორი ერთხმად მიუთითებს როგორც ქართლის, ისე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა მხარეთა გაძარცვის შემდეგ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ლაშქარი დარუბანდის გზით როგორ გაბრუნდა უკან. სწორედ აღნიშნულის გამო, ფიქრობენ, რომ ორივე ავტორის ცნობაში ერთი და იგივე ლაშქრობაა ასახული. მაგ., ნ. ლომოურმა ქართლში ოსთა შემოჭრა, რომელიც ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის მცირეწლოვანებისას მოხდა, პრისკოს პანიელის მიერ აღწერილ ჰუნთა ლაშქრობად მიიჩნია და 466 წლით დაათარიღა [72:80]. ლ. ჯანაშიას თანახმად, ამიერკავკასიაში ჰუნების შემოჭრის შესახებ პრისკოს პანიელის მიერ მოთხრობილი ამბავი V ს. 60-იანი წლების შუა ხანებში მოხდა. „ჩრდილოეთიდან შემოსევის ამბავი, — წერს იგი, — ჯუანშერსაც აქვს აღწერილი. მისი ცნობით, ჯერ კიდევ ვახტანგის მცირეწლოვანობის დროს ქართლი დაულაშქრავთ ოსებს... თუ ეს ცნობა ჰუნების იმავე ლაშქრობას გულისხმობს, უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიონზე გადმოსასვლელებით ჰუნებზე ადრე ოსები შემოჭრილან" [117:92]. ა. ბოგვერაძეც იმ აზრისაა, რომ „მემატიანის მიერ აღნიშნული ოსების დიდი შემოსევა, რომელსაც ვახტანგი ებრძვის ირანელთა დამხმარე რაზმით, რეალურ-ისტორიულად სწორედ ჰუნების 466 წლის შემოსევას უნდა გულისხმობდეს". შემდეგ დასძენს: „ქართლის ცხოვრებამ" საერთოდ არაფერი იცის ჰუნების შესახებ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მისი წერილობითი

წყაროები V ს. ქართლის შესახებ საკმაოდ გვიანდელი ყოფილა. რაც შეეხება ხალხურ თქმულებებს ვახტანგზე, საუკუნეების სიგრძეზე, უეჭველია, მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. მათში კერძოდ, მომთაბარე ჰუნების ადგილი, რომელთა ჩრდილოეთ კავკასიაში დროებით ცხოვრების ფაქტი შემდეგ დავიწყებას მიეცა, სრულიად ბუნებრივად, საქართველოს საუკუნოვანმა მეზობლებმა ოსებმა დაიკავეს. არც ისაა გამორიცხული, რომ ქართლში შემოჭრილ ჰუნებში ოსებიც რომ ყოფილიყვნენ" [16:40—41].

„ქართული წყაროს ცნობას, ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა შემოჭრის შესახებ, — წერს მ. ლორთქიფანიძე, — ამ პერიოდში ბიზანტიური წყაროც ადასტურებს, რომელიც ჰუნ-სარაგურთა მიერ ქართლისა და სომხეთის დარბევაზე მოგვითხრობს" [75:41]. მ. ლორთქიფანიძე იქვე შენიშნავს, რომ მას უფრო მართებულად მიაჩნია „ეს ორი ცნობა ერთსა და იმავე ფაქტს [რომ] ასახავს" [75:118, შენ.]. ჰუნი სარაგურების შემოსევა ქართლში რადგან დაახლოებით 466 წლით თარიღდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯუანშერის მიერ მოთხრობილ ოსთა ლაშქრობას ამიერკავკასიაში, მ. ლორთქიფანიძე 466 წლით განსაზღვრავს.

ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობის გაანალიზებისას საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვა რუსმა მკვლევარმა ა. გადლომ. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჯუანშერი ერთდროულად მოგვითხრობს ქართლში ოსთა და დასავლეთ საქართველოში (ეგრისში) ბიზანტიელთა შემოჭრის ამბავს. ა. გადლოს თანახმად, ჯუანშერის ეს ცნობა V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკოს პანიელის მონაცემით დასტურდება და მისი დათარიღებაც კი შეიძლება. ჯუანშერის მიერ აღწერილ ქართლში ოსთა ლაშქრობის შესახებ ცნობაში, ა. გადლოს მტკიცებით, პრისკოს პანიელის მიერ მოთხრობილი აკაცირების, სარაგურებისა და სხვა ჰუნების ამიერკავკასიაში ლაშქრობის ამბავია გადმოცემული. მეორე მხრივ, ქართველი ავტორი, ოსთა შემოჭრის პარალელურად რადგან დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა ლაშქრობაზეც მოგვითხრობს, ეს ლაშქრობა კი პრისკოსის ცნობებიდან გამომდინარე 455 წელს იყო, ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსთა შემოჭრაც 455 წელს უნდა მომხდარიყო [132:45]. ა. გადლოსავე მოსაზრებით, ვახტანგ გორგასლის საპასუხო ლაშქრობა ჩრდილო კავკასიაში 460 (ან 461) წელს შედგა, რასაც თავის მხრივ, ვახტანგისაგან განცდილი მარცხისათვის რევანშის ასაღებად მოჰყვა 463 წელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში აკაცირთა

და სარაგურთა საპასუხო ლაშქრობა [132:47, 53]. პრისკოს პანიელის მონაცემების ასეთ ინტერპრეტაციას ა. გადლოს თანახმად, ძველი სომეხი ისტორიკოსის ელიშეს ცნობებიც უჭერს მხარს. ელიშე, — წერს იგი, — ჩრდილო კავკასიიდან სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებული ალბანთა და სომეხთა დასახმარებლად ჰუნების გადმოსვლის შესახებ ავარაირის ბრძოლის (451 წ.) შემდეგ მოგვითხრობს. ეს სამხედრო მოქმედებანი 458 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს კი სპარსელებმა მოახერხეს ჩრდილოეთის ტომები კვლავ თავიანთ ქვეყნებში გადაერეკათ [132:45—46].

როგორც ვხედავთ, ჯუანშერისა და პრისკოს პანიელის ცნობები ა. გადლომ თითქოს ლოგიკურ და ისტორიულ თანხმობაში მოიყვანა. მაგრამ, რამდენად სწორია მისი მოსაზრებები?

ა. გადლოს მეტად საინტერესო ნაშრომის რეცენზირებისას ოსთა ამიერკავკასიაში ლაშქრობის 455 წლით დათარიღება საეჭვოდ მივიჩნიე. აღვნიშნე: „იუროპახის გზით“ ამიერკავკასიაში აკაცირების, სარაგურებისა და სხვა ჰუნების შემოჭრა პრისკოს პანიელის თხრობიდან გამომდინარე, 463 წლის შემდეგ ხდება, რის გამოც, ი. მარკვარტმა ეს ლაშქრობა 466 წლით დაათარიღა. რომ, ამავე აზრისაა მ. არტამონოვიც [206:58; 127:76, 462]. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამავე აზრისანი არიან ქართველი მკვლევრებიც.

ჯუანშერის ცნობა ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა ლაშქრობის, ხოლო მეორე მხრივ, პრისკოს პანიელის მითითება ქართლსა და ამიერკავკასიაში ჩრდილო კავკასიიდან აკაცირების, სარაგურებისა და სხვა ჰუნების შემოჭრის შესახებ, რაც მთავარია, მათ მიერ აღწერილი გზები ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ იმხანად (ე. ი. როცა ა. გადლოს ნაშრომზე რეცენზიას ვწერდი) ვიზიარებდი რა ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ მოსაზრებას ჯუანშერის XI ს. ავტორობის შესახებ, ვარაუდი გამოვთქვი ჯუანშერის ცნობის პრისკოს პანიელის თხზულებიდან მომდინარეობის შესახებ [136:186]. შემდეგში, ჩემს მიერ ვახტანგ გორგასლის ზეობის ზუსტი თარიღის დადგენამ, როგორც ითქვა, სულ სხვა შინაარსი შესძინა ჯუანშერის თხზულებას. ადრე ზღაპრულად მიჩნეული ზოგიერთი ცნობის რეალურობა დადასტურდა. რაც მთავარია, ჯუანშერის მთელი თხრობა, მათ შორის, ცნობა ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა ლაშქრობის შესახებ, სულ სხვა ქრონოლოგიურ თარგზე გაიმართა.

ა. გადლოსთან კამათისას ი. მარკვარტისა და მ. არტამონოვის მოსაზრებებზე დაყრდნობით ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობა, ა. გადლოს მიერ შემოთავაზებული 455 წლის საწინააღმდეგოდ თუ 4ირ წლით დავათარიღე, ახლა ჩემს მიერ ვახტანგ გორგასლის დაბადების თარიღად მიღებული 431 წლიდან ათვლით, ვახტანგი 10 წლის ყმაწვილი 441 წელს იქნებოდა და ჯუანშერის მიერ მოთხრობილი ამბავი ქართლსა და ამიერკავკასიაში ოსთა, ხოლო იმავდროულად დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა შეჭრის შესახებ 441 წლით უნდა განსაზღვროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯუანშერისა და პრისკოსის მიერ მოთხრობილი ამბები სხვადასხვა წელს მომხდარა.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჯუანშერისა და პრისკოსის ზემომოტანილი ცნობები იდენტური შინაარსისანი არ არიან. მათ თხრობაში ერთი დიდი განსხვავებაა. თუ ჯუანშერის თანახმად ჩრდილო კავკასიიდან ოსთა შემოჭრის თანადროულად, დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელები შემოვიდნენ და მნიშვნელოვან ტერიტორიასაც დაეუფლნენ, პრისკოს პანიელი აღწერს რა ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში აკაცირთა, სარაგურთა და სხვა ჰუნების შემოჭრის ამბავს, ამ შემოჭრის თანადროულად დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა ლაშქრობის შესახებ არაფერს წერს. რაც მთავარია, მისი თხრობიდან გამომდინარე, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ჰუნების შემოჭრა ამიერკავკასიაში 463 წლის შემდეგ (ი. მარკვარტისა და მ. არტამონოვის თანახმად დაახლ. 466 წ.) ხდება. ასე რომ, განსხვავება ჯუანშერისა და პრისკოსის ცნობებს შორის საკმაოა.

ვახტანგ გორგასლის დაბადებიდან ათვლილი ქრონოლოგიის საფუძველზე ქართლსა და ამიერკავკასიაში ოსთა ლაშქრობა რადგანაც 441 წელზე მოდის, ამჯერად საჭიროა ამ წელს ჩრდილო კავკასიიდან მართლაც რომ მოხდა ქართლში მომთაბარეთა შემოჭრა, ხოლო იმავდროულად დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა ლაშქრობა, სხვა სანდო წყაროთი დადასტურდეს.

ახლა ამ მხრივ გადავავლოთ თვალი იმ დროის საერთაშორისო ვითარებას და ვნახოთ 441 წლისათვის რა მდგომარეობა იყო აღმოსავლეთში. რაიმე ცნობა ხომ არაა წყაროებში ამ წელს ამიერკავკასიაში სამხედრო ოპერაციების წარმოების შესახებ.

438 წელს ირანის ტახტზე იეზდიგერდ II-ის ასვლის შემდეგ. — წერს ი. კულაკოვსკი, — ირანსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა დაიძაბა. არაბებმა დაიწყეს იმპერიის ტერიტორიების ძარცვა. იმპერიის ტერიტორიებზე თარეში დაიწყეს იმპერიის ქვეშევრდომმა ისავ-

რების ტომებმა. ჩრდილოეთი კავკასიიდან შემოიჭრნენ ჰუნები. იმპერიის საზღვრებს მიადგა ირანის შაჰი. 440 წელს იმპერიამ აღმოსავლეთში გამოგზავნა ლაშქარი არმიის მაგისტროსების ანატოლის და ასპარის სარდლობით. ჩვენს წყაროებში, — დასძენს იგი, — არავითარი ცნობა არ შემორჩა საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ, მხოლოდ კომიტ მარცელინუსის ქრონიკაში 441 წლის ქვეშ მოთავსებულია მოკლე ცნობა ბიზანტიასა და ირანს შორის 1 წლით ზავის დადების შესახებ [152:270—271].

კომიტ მარცელინუსი, რომლის ქრონიკაშიც არის ცნობა 441 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის 1 წლით ზავის დადების შესახებ [205:80] VI ს. ბიზანტიელი სამხედრო მოღვაწე და ისტორიკოსი იყო. საიდან მოდის მისი ცნობა 441 წლის ზავის შესახებ, ცნობილი არაა. მაგრამ, გამორიცხული არაა, ასეთი ცნობა თავის დროზე პრისკოს პანიელის თხზულებაში ყოფილიყო და მარცელინუსს მისგან აეღო. პრისკოსის საისტორიო თხზულებიდან დღეს ხომ მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია მოღწეული.

ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში ჰუნთა შემოჭრა, როგორც ი. კულაკოვსკი წერს, 440 წელს ირანის შაჰის იეზდიგერდ II იმპერიის საზღვართან მისვლას მოჰყვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ 440 წელს იეზდიგერდმა დაიწყო თუ არა სამხედრო ოპერაციები იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, ბიზანტიელებმა ჩრდილო კავკასიიდან ჰუნთა შემოჭრით — ამიერკავკასიულ სამფლობელოებში ირანს სიძნელე შეუქმნეს და იეზდიგერდ II აიძულეს თავისი სამხედრო ძალები ამიერკავკასიაში გამოეყენებინა. ალბათ, აღნიშნულით უნდა აიხსნას (რ ი-გორც ეს ჯუანშერის ცნობიდან ჩანს) ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილმა ოსებმა (უფრო სწორად ჰუნებმა) ქ. კასპის გარდა სხვა ციხექალაქების აღება რომ ვერ შეძლეს, სასწრაფოდ დატოვეს ამიერკავკასია და დიდი ნადავლით დარუბანდის გზით უკან გაბრუნდნენ.

ჩემი ვარაუდით, სწორედ 441 წლის ლაშქრობა უნდა იგულისხმებოდეს ამიერკავკასიაში მოწყობილ ჰუნთა იმ ლაშქრობაში, რომელიც პრისკოსის ცნობით, 448 წლის წინა ხანაში შედგა [186:62]. ამ ლაშქრობის ამბავი მან 448 წელს, ჰუნების ბელადის ატილას (გარდ. 453 წ.) კარზე ელჩად ყოფნის დროს გაიგო. პრისკოსს იქ აცნობეს, რომ „ცოტა ხნის წინათ“, შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებიდან წამოსული ჰუნები ვასიხისა და კურსიხის მეთაურობით 15 დღეში ამიერკავკასიაში შემოჭრილიყვნენ [186:62]. ასეთი სასწრაფო გამოლაშქრება ამიერკავკასიაში ჰუნებს, რა თქმა უნდა, ბიზანტიის დიპლომა-

ტიის მოთხოვნითა და საიმპერატორო კარის მიერ სათანადო საზღაურის გაღების საფასურად უნდა მოეწყოთ. ცხადია, შავი ზღვის ჩრდილოეთ ველებზე მომთაბარე ჰუნებისათვის, როგორც კავკასიის ზეკარები, ისე ამიერკავკასიის გზები უცნობი იქნებოდა. ამ მხრივ, მათთვის გზის მაჩვენებელნი ქართველთა ძველი მეზობლები ოსები იქნებოდნენ (ვახტანგის დის — მირანდუხტის ადგილსამყოფელი ალბათ ოსებს ეცოდინებოდათ).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ოსთა იმ ლაშქრობას, რომლის შესახებ ჯუანშერი მოგვითხრობს ბიზანტიის წინააღმდეგ იეზდიგერდ II-ის სამხედრო მოქმედებათა შეჩერება რომ უნდა ჰქონოდა მიზნად.

თავისთავად ცხადია, იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ირანის შაჰის იეზდიგერდის წინააღმდეგ, იმპერია საკუთარ ლაშქარსაც გამოიყვანდა. ამით უნდა აიხსნას, ჯუანშერი ამიერკავკასიაში ოსთა შემოჭრის თანადროულად, დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა ლაშქრობის ამბავსაც რომ მოგვითხრობს. როგორც დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული V ს. შუა ხანებისათვის ეგრისის სამეფო ირანული ორიენტაციისა იყო [75:46; 73:83]. სხვათა შორის, აღნიშნულით უნდა აიხსნას ჯუანშერი დასავლეთ საქართველოს შესახებაც რომ გვაწვდის ცნობებს. ამიტომ, ცხადია, იმ დროს, როცა ჩრდილო კავკასიიდან ირანის ამიერკავკასიულ სამფლობელოებში ჰუნთა შემოჭრის გამო იეზდიგერდი იძულებული შეიქმნებოდა დაეტოვებინა ბიზანტიის სასაზღვრო პროვინციები და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გადმოსულიყო, საიმპერატორო კარის მიერ ირანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღმოსავლეთში გამოგზავნილი ანატოლი და ასპარი შეეცდებოდნენ ეგრისში ბიზანტიელთა გავლენა აღედგინათ. სწორედ მათ უნდა დაეპყროთ ტერიტორია „ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე“.

ჯუანშერის ცნობიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში შემოჭრილმა ბიზანტიელებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. მაგრამ, რამ აიძულა იმპერია 441 წელს, როგორც ამას კომიტ მარცელინუსი გვამცნობს, ირანთან სასწრაფოდ ზავი დაედო?

პრისკოს პანიელის თანახმად, შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მომთაბარე ჰუნები 448 წელს ატილას რადგან ახალი დამორჩილებული ჰყავდა, 441 წლისათვის ისინი ალბათ ჯერ კიდევ ცალკე გაერთიანებას წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, თუ ბიზანტიელებმა შავი ზღვის ჩრდილოეთ ველებზე მომთაბარე ჰუნების მოსყიდვა შე-

ძლეს და ისინი ირანის ამიერკავკასიურ სამფლობელოებს შემოუსიეს, გამორიცხული არაა, ირანელებს ატილა მოესყიდათ, რათა იგი იმპერიის დასავლეთ პროვინციებს დასხმოდა თავს[31].

ვფიქრობ, აღნიშნულით უნდა აიხსნას, 441 წელს ატილამ გამანადგურებელი თავდასხმები რომ დაიწყო დასავლეთში. ჯარი ახლა დასავლეთში იყო საჭირო. იმპერიამ სასწრაფოდ დადო ზავი ირანთან. იმპერატორი თეოდოსიუსი (408—450) ბაჰრამ V-თან ჯერ კიდევ 421 წ. დადებული ზავით ვალდებულობდა ირანის საზღვრის ახლოს ახალი ციხესიმაგრეები არ აეგო [153:20. სწორედ ამ დროს იქნა გამაგრებული კარნუ-ქალაქი და მას თეოდოსიოპოლი ეწოდა].

როგორც ვხედავთ, 441 წელს ბალკანეთში ატილას სამხედრო მოქმედებას უნდა აეძულებინა ბიზანტიის საიმპერატორო კარი, აღმოსავლეთში სასწრაფოდ შეეწყვიტა ომი, ირანთან დროებითი ზავი დაედო და მთელი თავისი სამხედრო შესაძლებლობა ძლიერი მტრის — ატილას წინააღმდეგ გამოეყენებინა.

ასე რომ, ჯუანშერის ცნობა 441 წელს ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსების, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა შეჭრის შესახებ კარგად ესადაგება იმ დროის საერთაშორისო ვითარებას. რაც მთავარია, ჯუანშერის ცნობა VI ს. ბიზანტიელი ქრონისტის კომიტი მარცელინუსის მონაცემებით დასტურდება. ჯუანშერის დასახელებულ ცნობას საერთო არაფერი აქვს V ს. ბიზანტიელი ავტორის პრისკოს პანიელის იმ ცნობასთან, რომელშიც 463 წლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიაში „იუროპახის გზით" აკაცირების, სარაგურებისა და სხვა ჰუნების შემოჭრის შესახებაა მოთხრობილი. პრისკოსის მიერ გადმოცემული ამბავი 463 წლის შემდეგ, დაახლოებით 466 წელს მოხდა. მაშინ როცა, ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა ლაშქრობა, ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე, 441 წლით თარიღდება. ჯუანშერი და პრისკოსი სხვადასხვა ლაშქრობის შესახებ რომ მოგვითხრობენ, ამას ისიც მოწმობს, ჯუანშერი ოსთა და ბიზანტიელთა ერთდროული ლაშქრობის ამბავს გვამცნობს, მაშინ როცა პრისკოსის ცნობაში მხოლოდ ჰუნთა შემოსევაზეა თხრობა.

ბიზანტიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ი. კულაკოვსკი, რო-

---

[31] ვარაუდობენ, რომ 441 წელს ატილამ ვანდალების მეფესთან გენზერიხთან დადო ზავი და მიადგა მდ. დუნაის, სადაც რომაელი მოქალაქეები დახოცა. იგი ბიზანტიელებს ბრალს დებდა ხელშეკრულების დარღვევაში [198:50].

გორც ზემოთ ვნახეთ, ჩიოდა: 441 წელს მომხდარი ირან-ბიზანტიის კომფლიქტის შესახებ მხოლოდ კომიტი მარცელინუსის ქრონიკაში არის ცნობაო. მაგრამ, 441 წლის ამბები რადგან ჯუანშერთანაც არის ასახული, ამიერიდან 441 წლის ბიზანტია-ირანის ომის შესახებ გაცილებით მეტი ვიცით.

ძველი ქართველი ავტორის — ჯუანშერის ცნობები მნიშვნელოვნად ავსებენ 441 წლის ზავის შესახებ კომიტ მარცელინუსის მწირ მითითებას. ამიტომ, ჯუანშერის მონაცემები ძვირფასია არა მარტო საქართველოს, არამედ ბიზანტიის, ირანის, ასევე ჩრდილო კავკასიაში იმ ხანად არსებული ოსთა და ჰუნთა გაერთიანებების ისტორიისათვის. ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობ, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, ჯუანშერი ვახტანგის თანამედროვე და მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი რომ იყო.

*
* *

441 წელს ბიზანტია-ირანს შორის ზავი დაიდო, ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი ჰუნ-ოსები ჩქარა გავიდნენ ქართლიდან. მაგრამ, როგორც ჯუანშერი წერს, მომხდურებმა კასპიდან ხომ ვახტანგის 3 წლის დაჲ მირანდუხტი გაიტაცეს. ამ ამბავს ქართლის სამეფო კარზე ძალიან წუხდნენ და შესაფერ დროს უცდიდნენ, რათა ჩრდილო კავკასიაში საპასუხო ლაშქრობა მოეწყოთ.

და აი, ეს დროც დადგა. როცა ვახტანგი 15 წლისა გახდა, — წერს ჯუანშერი, — „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა“ [120:147]. და მოითხოვა ეძიათ „შური ოვსთა ზედა“, იქვე დასძინა: „უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ ბერძენთა მეფისაგან, მო-მცავითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა ხამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათჳს“ [120:148], ე. ი. ის რაც ოსებმა გვიქნეს, ირანელებს ან ბიზანტიელებს რომ გაეკეთებინათ მოუთმენდით, ოსებს კი ვერ მოუთმენთო. აქ საინტერესოა ის, რომ ჯუანშერ სპასპეტის სიტყვით, ხუთი წელი იყო გასული რაც ოსთაგან ამ მწუხარებაში იყო ქვეყანა [120:149]. რადგან ქართლში ოსთა შემოჭრა 441 წელს, როცა ვახტანგი 10 წლისა იყო, მაშინ მოხდა, 15 წლისა ვახტანგი 446 წელს შესრულდებოდა და როგორც ჯუანშერი ამბობს 441 წლიდან 446 წლამდე, მათ

მართლაც 5 წელი მოითმინეს სანამ ოსეთს გასალაშქრებლად მზადებას დაიწყებდნენ.

ლაშქრობისათვის მზადებისას ვახტანგმა დახმარება სთხოვა თავის ბიძას ვარაზ-ბაკურს. ვარაზ-ბაკური, როგორც ქართლ-ალბანეთის მარზპანი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანის ქვეშევრდომი ქვეყნების სამხედრო ძალების მთავარსარდლად ითვლებოდა (იხ. ქვემოთ), მას უპირველეს მოვალეობას სწორედ კავკასიონის ზეკარების დაცვა შეადგენდა. ამიტომ იგი ვალდებულიც კი იყო თავისი ლაშქრით მონაწილეობა მიეღო ვახტანგის მიერ წამოწყებულ ლაშქრობაში, რომელიც ფაქტობრივად, ჩრდილოეთ კავკასიაში ირანის ჩრდილოეთი მხარის (შემდეგში ირანის ჩრდილო ქუსტაკი) ლაშქრის სამხედრო ოპერაციად უნდა ჩაითვალოს.

წარვიდა ვახტანგ, — წერს ჯუანშერი, — და დადგა თიანეთს". „...შესლვასა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა" [120:151]. ამრიგად, ოსეთში საპასუხო გალაშქრება 447 წელზე მოდის. ამ ლაშქრობისას „რამეთუ ქუეყანა ტყუე-ქმნილ იყო ოვსთაგან" (441 წელს ჰუნ-ოსებმა ხომ ალბანეთიც მოაოხრეს და შემდეგ დარუბანდის გზით გაბრუნდნენ უკან), ვარაზ-ბაკურმა ვახტანგს მხოლოდ 12000 კაცი გამოუგზავნა.

447 წელს ქართლის ლაშქარი ვარაზ-ბაკურის მეომრებთან ერთად გადავიდა ჩრდილო კავკასიაში. ეს ლაშქრობა ჯუანშერის ცნობით, რადგან 4 თვე გაგრძელდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვახტანგის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციები საგრძნობლად გასცდა ჩრდილო კავკასიაში ოსთა განსახლების ადგილებს. და მართლაც ჯუანშერი ხომ მიგვითითებს, რომ „ოვსთა ქალაქების შემუსვრის" შემდეგ ვახტანგი „განვიდა პაჭანიკეთს" და მათი დამარცხების შემდეგ მოადგა ოსეთსავე" [120:156—157].

447 წელს ჩრდილო კავკასიაში ვახტანგის ლაშქრობის დამადასტურებელი ცნობა უცხოენოვან საისტორიო წყაროებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე, მაგრამ, არაა გამორიცხული ვახტანგის ეს ლაშქრობა 447 წელს ხერსონესთან ბიზანტიელებსა და ჰუნებს შორის მომხდარ ბრძოლასთან [186:25] იყოს კავშირში. ასეთი კავშირი შეიძლება იმას განეპირობებინა, რომ ჩრდილო კავკასიისა და შავი ზღვის მიმდებარე ველებზე არსებული ჰუნთა გაერთიანებების დასუსტებით ბიზანტიასთან ერთად ირანიც რომ იყო დაინტერესებული. შესაძლოა როგორც ირანის ჩრდილო მხარის სარდალს ვარაზ-ბაკურს ჰქონდა ინფორმაცია ჰუნების წინააღმდეგ ბიზანტიელთა ლაშქრობის შესახებ და მანაც ვახ-

ტანგის ექსპედიცია ჩრდილო კავკასიაში ჰუნების წინააღმდეგ ბიზანტიელთა ლაშქრობას დაუკავშირა [447 წ. ხერსონესთან ბრძოლის თანადროულად ატილას ჰუნები კვლავ შეიჭრნენ ბალკანეთში. 198:51].

*
* *

ჩრდილო კავკასიაში 447 წელს ოთხთვიანი ლაშქრობიდან უკან გამობრუნებულმა ვახტანგმა, როგორც ჯუანშერი წერს, „...განუტევნა ნიჯადნი (მეშველი ლაშქარი — საბას ახსნით. — ვ. გ.) იგი სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა, წარმოგზავნნა დაჲ მისი მირანდუხტ და ტყუე იგი ყოველი გზასა დარიალისასა, და თჳთ სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა[32]. სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი[33] უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე. და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთასა“ [120:157], ე. ი. დაიბრუნა ის ტერიტორიები, რომლებიც 441 წელს ეგრისში ლაშქრობისას ბიზანტიელებმა დაიპყრეს. ჯუანშერის სიტყვით, ამ დროს იმპერატორი „უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს“ [120:157].

ვახტანგის ეგრისში ლაშქრობა მისი დაბადების თარიღიდან ათვლილი ქრონოლოგიით, 448—450 წლებზე მოვა. იმ სამი წლის განმავლობაში როცა ვახტანგმა ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯამდე „ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი“ დაიპყრო, იგი როგორც ჩანს შაჰის მითითებით (ალბათ, ირანელ მოლაშქრეებთან ერთად) მოქმედებდა. ხოლო ჯუანშერის სიტყვა, ვახტანგის ეგრისში ბრძოლის დროს, ბიზანტიის იმპერატორი „უცალო იყოო ბრძოლისაგან სპარსთასა“, იმას ნიშნავს, ამ

---

32 ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში ვახტანგი იმ გზით უნდა გადასულიყო, რომლითაც, უფრო გვიან, ნერსე ერისთავი გადავიდა. VI ს-ში ამავე გზას იყენებდნენ ბიზანტიელი ელჩები. მენანდრე მას დარიანის გზას უწოდებს [164:383].

33 ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი თეოდოსიუს მცირე (408—450) იყო. ამიტომ, ტექსტში ლეონ დიდი (იგულისხმება იმპერატორი ლევ I, 457—474) გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს.

ბრძოლის თანადროულად იმპერიის წინააღმდეგ სპარსელები დიდ სამხედრო ოპერაციებს რომ აწარმოებდნენ, ე. ი. ვახტანგის მოქმედება დასავლეთ საქართველოში ირან-ბიზანტიის ომის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა იქნას მიჩნეული. ომის შედეგად ეგრისის სამეფოს დიდი ნაწილი ვახტანგმა ირანს დაუმორჩილა. ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობ, კიდევ ერთი დადასტურებაა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებისა V ს. 50—60-იან წლებში ეგრისის სამეფო ირანის ქვეშევრდომობაში რომ იყო.

თ ა ვ ი VII

ბიზანტიის წინააღმდეგ 453—456 წლებში ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის ლაშქრობა

§ I. რამ განაპირობა ლაშქრობის დაწყება

453 წელს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ წამოწყებული სამწლიანი ომი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძირითადად ირანის ჩრდილოეთ ნაწილში (შემდეგში ირანის ჩრდილოეთის ქუსტაკი) შემავალი ქვეყნების ერთობლივი ლაშქრობა იყო ბიზანტიის წინააღმდეგ. ქართლის სამეფო ამ ომში მონაწილეობდა, როგორც სასანიანთა პოლიტიკურ გავლენაში მყოფი ქვეყანა. მაგრამ, აქვე ისმება კითხვა: თვით ქართლის მეფეს — ვახტანგ გორგასალს ამოძრავებდა რაიმე ინტერესი როცა ამ ომში მონაწილეობდა? საერთოდ ბიზანტიის წინააღმდეგ წამოწყებული ომის ერთ-ერთი მიზანი ხომ არ იყო ირანელთა მიერ რევიანთა კუთვნილ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ ქართლში შექმნილი ვითარების სტაბილიზაცია?

*

* *

როგორც ზემოთ ითქვა, 369 წლიდან მოკიდებული V ს. 30-იანი წლების ბოლომდე ქართლი ბიზანტიისა და ირანის გავლენაში მყოფ ორ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ირანის გავლენაში მოქცეულ ქართლში ვახტანგ გორგასლის წინაპრები — ბაქარიანები, ხოლო ბიზანტიის გავლენაში მყოფ ქართლში პეტრე იბერის წინაპრები — რევიანები მეფობდნენ. დაახლოებით 439 წელს ბიზანტიის გავლენაში

მოქცეული ქართლის მეფის უძეო არჩილის (იგივე წმინდა არჩილ.) გარდაცვალების შემდგომი ახლო ხანიდან კი ქართლი უკვე გაერთიანებული და ირანის ხელდებული ქვეყანა ჩანს. ამიტომ საინტერესოა, რევიანებმა რა ვითარებაში დაკარგეს ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ ქართლში მეფობა.

დასმული საკითხის შესახებ მართალია ჯუანშერი არაფერს წერს, მაგრამ, იმ დროის ქართლის შესახებ არსებული ცნობების გათვალისწინებით, მასზე პასუხის გაცემა მაინც შეიძლება.

ფარნავაზიანთა სახლის რევიანთა შტოს უკანასკნელ მეფე არჩილს (დაახლოებით 428 — დაახლოებით 439), როგორც ითქვა, მართალია ძე არ ჰყავდა [107:81], ასევე მისი წინამორბედი მეფის — ბოზმარიოსის (დაახლოებით 416 — დაახლოებით 428) ერთადერთი ძე მურვანი (შემდგომში პეტრე იბერი) 423 წელს ბიზანტიაში წასვლის შემდეგ ქართლში აღარ დაბრუნებულა, მაგრამ, მეორე მხრივ, ჯუანშერი ჯერ 447 წელს ჩრდილო კავკასიაში ვახტანგ გორგასლის სალაშქროდ გამგზავრებისას რევიანთა სახლიდან ხომ ასახელებს რევიან უფლისწულს მირიანს, შემდეგ 453 წელს იგივე მირიანს და გრიგოლს? ასე რომ, დაახლოებით 439 წელს არჩილ რევიანის გარდაცვალებისას ქართლში რევიანი უფლისწულები იყვნენ. მაშ, მათ რატომ ვერ დაიკავეს რევიანთა კუთვნილი ტახტი და რამ განაპირობა მათი „ურთიერთისა კლვითა“ შემცირება?

რევიანებმა რადგან დაახლოებით 439 წელს არჩილის გარდაცვალების შემდეგ დაკარგეს მეფობა, 438 წელს ბაქარიანთა კუთვნილ ქართლში კი ვახტანგი 7 წლისა ავიდა ტახტზე, რევიანი უფლისწულები რომ ვერ გამეფდნენ ამაში ცხადია, ვახტანგის ხელი არ ერია.

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის მამის მირდატ მეფის გარდაცვალებისთანავე დედოფალი საგდუხტი „წარვიდა ბარდავს მამისა თჳსისა იანა“ და შეეევედრა „...რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა, და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფესა წინაშე“ [120:144]. ამის შემდეგ საგდუხტ დედოფალი თვით „განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თჳსისათა“ [120:145. ბარზაბოდის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-ალბანეთის მარზპანი მისი ძე ვარაზ-ბაკური გახდა].

ამრიგად, რადგან ვახტანგისა და დედოფალ საგდუხტის მეურვე ბარზაბოდი იყო, 439 წელს არჩილის გარდაცვალებისას რევიანთა კუთვნილი ქართლის საქმეებში იგი უნდა ჩარეულიყო. სავარაუდებელი ერთია, 453 წლისათვის რევიანები რადგან „შემცირებულ იყვნეს ურთიერთისა კლვითა“, არჩილ რევიანის უძეოდ გარდაცვალების შემდეგ

რევიანთა ქართლში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესის (ამ წესით ტახტზე გვარში უფროსი ადიოდა) გამო რევიანებში ალბათ შინაომი დაიწყო, რითაც ისარგებლა ბარზაბოდმა და რევიან უფლისწულებს ვამეფების საშუალება არ მისცა. ამ დროიდან რევიანები იძულებულნი შეიქმნენ, ისე როგორც 369 წელს ქართლის ორ სამეფოდ გაყოფამდე, მხოლოდ კუხეთის მფლობელობით დაკმაყოფილებულიყვნენ. რევიანები საბოლოოდ დამარცხდნენ. იმ ხანად, როგორც ჩანს, ბიზანტიამ სათანადო ძალები ვერ გამონახა, რათა თავისი ხელდებული ქვეყნის მეფეთა უფლებები დაეცვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, 438 წლიდან ბაქარიანთა ქართლს ვახტანგი და დედოფალი საგდუხტი ჯერ ბარზაბოდის, შემდეგ ვარაზბაკურის შეწევნით განაგებდნენ. მაგრამ V ს. სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის ცნობის საფუძველზე სომეხი დიდებულის ვასაკ სიუნელის ქართლში მარზპანობაც ხომ დაახლოებით 439 წლიდან ივარაუდება [ს. ერემიანის თანახმად, ვასაკი ქართლის მარზპანად იყო 439—443 წლებში. 144:38; 143:196].

1985 წელს ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგიისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ს. ერემიანის მოსაზრება მეც გავიზიარე და ვწერდი: იმ ხანად ვახტანგის მცირეწლოვნების გამო ქართლის სამეფოს რადგან დედოფალი საგდუხტი განაგებდა, დედოფალს კი არ შეეძლო ის სამხედრო ვალდებულებანი შეესრულებინა, რაც ქართლის მეფეებს ირანის შაჰისაგან ევალებოდა [ამ ვალდებულებებიდან მთავარი იყო ჩრდილო კავკასიის ველებზე მომთაბარე ჰუნ-თურქებისაგან დარიალის კარის ჩაკეტვა. იხ. 23. სხვათა შორის, ამის შესახებ თვით ვასაკიც მიუთითებდა. 118:238], ირანელებს ვასაკი ვახტანგის მცირეწლოვნების გამო უნდა დაენიშნათ ქართლის მარზპანად. მაგრამ, როგორც ზემოთ ვაჩვენე, საგდუხტი სამეფოს ხომ ჯერ მამის, შემდეგ ძმის შემწეობით განაგებდა და ცხადია კავკასიის ზეკარების დაცვაზეც ისინი იზრუნებდნენ. მეორე მხრივ, ლაზარ ფარპეცის ცნობიდან გამომდინარე, დაახლოებით 439 წლიდან ქართლის მარზპანი რადგან ვასაკ სიუნელიც ყოფილა, იგი როგორც ჩანს, ბარზაბოდის მიერ რევიანთა კუთვნილი ქართლის მარზპანად იქნა დადგენილი[34].

---

[34] აქვე დგება ერთი საკითხი. როგორც ვამტკიცებ, ჯუანშერი თუ ვახტანგის თანამედროვე მოღვაწე და მისიანი სპასპეტი იყო, მაშინ მის თხზულებაში რატომ არ აისახა ვასაკის ქართლში მარზპანობის ფაქტი?

როგორც დავრწმუნდი, ისევე როგორც „მეფეთა ცხოვრების“ ავტორები, ჯუანშერიც თავის თხზულებაში ქართლის სამეფოს ძირითადი შტოს ისტორიას გადმოგვ-

რამდენ ხანს განაგებდა რევიანთა ქართლს ვასაკი ამის შესახებ ლაზარ ფარპეცი არაფერს გვამცნობს, მაგრამ დაახლოებით 443 წელს ვასაკი, რადგან სომხეთის მარზპანად იხსენიება[35] [118:181], მეორე მხრივ კი V ს. 40-იანი წლების ბოლოდან ქართლი უკვე ერთიანი სამეფოა, ჩანს, 450 წლის წინა ხანაში ირანელებმა რევიანთა კუთვნილი ქართლიც ვახტანგს დაუმორჩილეს (447 წელს ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობისას ვახტანგმა გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ირანის შაჰს ასული სთხოვა ცოლად, რითაც შაჰის ნდობა დაიმსახურა).

ვახტანგის ხელქვეით ქართლის გაერთიანება დიდი მნიშვნელობის აქტი იყო. ალბათ აღნიშნულით უნდა აიხსნას 453 წლის ქვეშ ჯუანშერი ქართლის ისტორიის ერთგვარ შემაჯამებელ ცნობას რომ გვაწვდის. ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად მიმავალი ვახტანგის შესახებ იგი საგანგებოდ აღნიშნავს: „მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა: ...და მარტო იყო იგი ძე მამისა მისისა, და ერთი დაჲ მისი ხუარანძეცა იყო ძლიერი და შუენიერი. და ნათესავისაგან მირიან მეფისა მორწმუნისა ვახტანგ და დანი მისნი დარჩომილ იყვნეს: იგინი იყვნეს ნათესავნი ბაქარ მირიანის ძისა“. შემდეგ იქვე დასძენს:

„ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხექალაქსა. რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთიერთსა კლვითა.

მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგ მეფისამდე გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათნი, და წელიწადი ას ორმოცდაჩვიდმეტი, ხოლო ეპისკოპოსნი წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხუანი შემშლელნი წესისანი“ [120:159].

ამრიგად, 453 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ დაწყებული ომის წინა ხანა და ომის მიზანი ასე წარმოგვიდგება: V ს. 40-იანი წლების დამდეგიდან რევიანთა კუთვნილ ქართლში ოფიციალურად გაუქმდა მეფობა. ქართლის ეს ნაწილი ირანელებმა ჯერ ცალკე მარზპანს, 443 წლიდან ვახტანგ გორგასალს დაუქვემდებარეს. შემდეგ საჭირო იყო ფაქტობრივი მონაპოვარი ირანის მთავრობას ბიზანტიისაგან იურიდიულადაც დაედასტურებინა. ამ მიზნით, 453 წელს ვარაზ-ბაკურმა ირანის ჩრდილოეთი მხარის ჯარით ბიზანტიის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობა

ცემს. ამიტომ, მას მხოლოდ ბაქარიანთა კუთვნილ ქართლში მომხდარი ამბები აქვს აღწერილი.

35 ივ. ჯავახიშვილს ვასაკ სივნელის ქართლში მარზპანობა 439—457 წლებით აქვს დათარიღებული [111:320].

წამოიწყო (რა თქმა უნდა, თავის კუთვნილ ქართლს არც იმპერია დათმობდა უომრად). ამ ომში ვახტანგს სხვა მიზანიც ჰქონდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ომის შედეგად მან 368 წელს ბიზანტიელთაგან მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორია დაიბრუნა.

§ 2. ბიზანტიის წინააღმდეგ 453—456 წლების ლაშქრობის ასახვა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის მეთაურობით ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის შესახებ როგორც ბიზანტიისა და ირანის, ისე საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჯუანშერი მის მიერ აღწერილი ლაშქრობის მონაწილე და თვითმხილველი იყო, თანაც ამ ლაშქრობის ასეთი ვრცელი და დეტალური თხრობა სხვა წყაროებში არა გვაქვს (როგორც ქვემოთ ვნახავთ, V ს. ბიზანტიელ ავტორებთან არის არაპირდაპირი მითითება ამ ომის შესახებ), ლაშქრობის შესახებ ჯუანშერის ცნობები უნიკალურად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯუანშერის ცნობები უცხოელებს[36] თუ არა, ჩვენს მკვლევრებს მაინც უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინათ. მაგრამ, ეს ასე არ მოხდა. XIX ს-ში ძველი ქართული წყაროებისადმი დამკვიდრებული ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება როგორც ითქვა, დღესაც არაა მთლიანად დაძლეული. ისევ ჩვენი მიზეზით, ძველ ქართულ წყაროთა ავტორიტეტი როგორც ჩვენში ისე უცხოეთში უმნიშვნელოა. ამ ბოლო დროის სამეცნიერო ლიტერატურაში ჯუანშერის თხზულება კვლავ ჰიპერკრიტიკული თვალსაზრისითაა შეფასებული. სწორედ ზემოთქმულით უნდა აიხსნას, ბიზანტიის წინააღმდეგ ქართლ-ალბანეთის მარზპანის ლაშქრობის ჯუანშერისეული აღწერა დღემდე სპეციალური კვლევის საგანი რომ არ გამხდარა. მართალია, ჯუანშერის ცნობების კვლევას ვახტანგ გორგასლის ზეობის წელთა დაუდგენლობაც ართულებდა, მაგრამ ჯუანშერისადმი უყურადღებობის ძირითადი მიზეზი მაინც მისი ცნობებისადმი უნდობლობა იყო. 1973 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში ლ. ჯანაშიამ ჯუანშერის ის ცნობები, რომლე-

---

36 მ. ბროსეს მიერ 1849—1858 წლებში „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის გამოცემის შემდეგ, ჯუანშერის თხზულება უცხოელთათვისაც ხელმისაწვდომი გახდა.

ბიც ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობას ეხება მხოლოდ ერთი სიტყვით ასახა [117:94]. V ს. საქართველოს ისტორიის გადმოცემისას ჯუანშერის ცნობებს ამ ლაშქრობის შესახებ ა. ბოგვერაძემ მდუმარედ აუარა გვერდი [16:37—58]. ჯუანშერის ჩვენთვის საინტერესო ცნობებს მ. ლორთქიფანიძე V ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში შეეხო. „ჯუანშერის თანახმად, ამ ომის დროს „იყო ვახტანგ წლის ოცდაორის". ე. ი. — წერს იგი, — ეს ამბები ხდება დაახლოებით V ს. 60-იან წლებში. რადგან საკითხი ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ ამ დროს ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ომი არ ყოფილა, ამიტომ მკვლევართა ნაწილი ამ ცნობას ეჭვის ქვეშ აყენებს" [75:45]. „V ს. 60-იან წლებში ბიზანტიასა და ირანს შორის, — დასძენს შემდეგ მ. ლორთქიფანიძე, — მართალია, ომი არ ყოფილა, მაგრამ რადგან ქართლის მეფე ირანის ვასალი იყო, ჯუანშერმა შეიძლება ვიფიქროთ, თავს მისცა უფლება ამ ომისათვის ბიზანტია-ირანის ომი ეწოდებინა" [75:46].

მიუხედავად იმისა, რომ მ. ლორთქიფანიძემ ჯუანშერის ის ცნობები, რომლებშიც ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაა აღწერილი სამართლიანად მიიჩნია ბიზანტია-ირანის ომის ასახვად, იქვე (კ. თუმანოვზე და ა. ბოგვერაძეზე დაყრდნობით), ეს ომი 467—468 წლებში დასავლეთ საქართველოში ვახტანგის სამხედრო ექსპედიციად ჩათვალა [75:46—47].

ჯუანშერის თხზულების რუსული თარგმანისადმი დართულ შესავალსა და კომენტარში გ. წულაია წერს, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობის აღწერისას ჯუანშერს თითქოს მიზნად აქვს დასახული ვახტანგის „მოღვაწეობისა და პიროვნების ჰიპერბოლიზაცია" [140:9], რომ აქედან იწყება „ახალი თავი ვახტანგ გორგასლის ლეგენდარული ბიოგრაფიისა, რომელიც გამოირჩევა მისი იდეალიზაციის შეუზღუდაობით" [140:121, № 76].

ჯუანშერის იმ ცნობებს, რომლებშიც ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაა აღწერილი ნ. ლომოური მართალია ჯერ კიდევ 1968 წელს ეჭვეხო და ჯუანშერის ცნობები „მეტად არადამაჯერებლად" მიიჩნია [72:82—83]. მაგრამ, რადგან იგი 1989 წელს სპეციალურად საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობისადმი (V ს-ში) მიძღვნილ მონოგრაფიაში უფრო ვრცლად განიხილავს ჯუანშერის ცნობებს, ამ მონოგრაფიაში მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე უფრო ვრცლად შევჩერდები.

როგორც ყველა მკვლევარი, ნ. ლომოურიც იმ აზრისაა, რომ არც ჰორმიზდ III-ისა და არც ლეონ I-ის მეფობის მანძილზე ირანსა და

ბიზანტიას შორის არა თუ ომი, რაიმე ოდნავ მნიშვნელოვანი სამხედრო კონფლიქტიც კი არ ყოფილა [73:31]. „მაშასადამე, — განაგრძობს იგი, — მთელი... მონათხრობი გამოგონილია და ვერაფრით ვერ მიესადაგება რეალურ სინამდვილეს. ...არ შეიძლებოდა ირან-ბიზანტიას შორის ზავიც დადებულიყო და თვით ზავის პირობებიც, რომელთაც გადმოგვცემს ჯუანშერი, სრულიად არარეალურია“ [73:31]. ნ. ლომოური უარყოფს რა ჯუანშერის ცნობებს ვახტანგ გორგასლის მიერ ბიზანტიასთან დადებული ზავის შესახებ, იქვე დასძენს, რომ ბიზანტიას ირანი ვერ დაუბრუნებდა მესოპოტამიის ნაწილს, რადგან „ჩრდილოეთ მესოპოტამია ნიზიბინითა და ედესათი ამ დროს ისედაც ბიზანტიის ხელში იყო“ [73:31].

ჯერ ერთი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბიზანტიასთან ვახტანგის მიერ დადებული ზავის პირობები (ვახტანგმა ამ ზავით ადრე იმპერიის მიერ მიტაცებული ქართლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი დაიბრუნა) სულაც არაა არარეალური. რაც მთავარია, ჯუანშერი ჯერ 456 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავის შესახებ მოგვითხრობს [120:177], შემდეგ გვაწვდის ცნობას 460 წელს ირანის შაჰის ქართლში ლაშქრობისა და ამჯერად უკვე ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული ზავის ამბავს გადმოგვცემს [120:182—183. იხ. ქვემოთ, თავი IX]. ნ. ლომოურმა კი ამ სხვადასხვა ფაქტის შესახებ ჯუანშერის ცნობები რატომღაც გააიგივა. ასევე, ნ. ლომოური ტყუილად დებს ბრალს ჯუანშერს თითქოს, იგი წერდეს ირანის მიერ ბიზანტიისათვის ქ. ნისიბისისა და ქ. ედესის გადაცემის შესახებ. ჯუანშერის ცნობით, იმპერიამ ირანს „ხუთნი ქალაქნი ჯაზირისანი“ (ე. ი. შუამდინარეთისა) დაუბრუნა [120:183] და ნ. ლომოურმა რატომ ივარაუდა ამ ხუთ ქალაქში მაინცდამაინც ქ. ნისიბისი და ქ. ედესა გაუგებარია. ქ. ნისიბისის ირანისადმი გადაცემაზე ჯუანშერი იმიტომაც არ მიუთითებდა, რომ 363 წლიდან ეს ქალაქი ისედაც ირანს ეკუთვნოდა (რაც კარგად სცოდნია ჯუანშერს. ამ საკითხზე ჩემი გამოკვლევა 1986 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ როგორც ამ გამოკვლევამ, ისე სხვამ ნ. ლომოურის მონოგრაფიაში ასახვა ვერ ჰპოვა)[37] და ასე დარჩა იგი ირანში არაბთა გაბატონებამდე (იხ. ქვემოთ თავი X).

---

[37] ნაშრომის 43 გვერდზე ნ. ლომოური წერს, რომ მისთვის „საინტერესო საკითხზე“ (ე. ი. ჯუანშერის შესახებ) უკანასკნელ წლებში ჩემი ორი სტატია გამოქვეყნდა (მხედველობაში აქვს. 25,28), მაშინ, როცა, ნ. ლომოურის მონოგრაფიის გამოსვლის დროსათვის ჯუანშერის შესახებ დასახელებულ სტატიათა გარდა ჩემი კიდევ ოთხი გამოკვლევა (26, 27, 29, 33) არსებობდა.

§ 3. მცხეთიდან კარნუ-ქალაქამდე ლაშქრის სავალი გზის შესახებ ჯუანშერის ცნობების სანდოობისათვის. სად მდებარეობდა ქ. პეროჟა-კაფა?

ვახტანგ გორგასლისა და მისი ბიძის ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის ერთობლივი ლაშქრობის მარშრუტი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ლაშქრის მიერ განვლილი გზა ორ ეტაპად აქვს ჯუანშერს წარმოდგენილი. 1. გზა მცხეთიდან ბიზანტიის სასაზღვრო ციხე-ქალაქ კარნუ-ქალაქამდე და 2. საომარი მოქმედებანი თვით იმპერიის ტერიტორიაზე.

ჯუანშერი ამ ლაშქრობის შესახებ თხრობას ასე იწყებს: „წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად. და მიიწივნეს სომხითს, და მოერთნეს პეროჟა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ხსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი“ [120:159]. პეროჟა-კაფაში მოხდა ჯარის თავმოყრა და აქედან გაემართნენ კარნუ-ქალაქისაკენ.

ლაშქრის მოძრაობის მიმართულების დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, პეროჟა-კაფას ლოკალიზაცია უნდა გაირკვეს. ამ ტოპონიმის ადგილმდებარეობის გარკვევას კი აძნელებს ჯუანშერის მიერ დასახელებული „სომხითი“, რადგან ტექსტიდან ძნელი გასარკვევია მასში საკუთრივ სომხეთი იგულისხმება თუ ქვემო ქართლი, რომელიც გვიან (XI ს.) სწორედ „სომხითად“ იწოდებოდა (იხ. ქსე, ტ. 9, სტ. სომხითი).

ჯუანშერის მიერ დასახელებული ფეროზი, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის სიძე (ასულის ქმარი) ფეროზია. ამიტომ, ვნახოთ სად იყო მისი სამფლობელო და სად შეიძლებოდა აეგო მას პეროჟა-კაფა. „მეფეთა ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან შეწუხებულმა მირიანმა „...მოიყვანა სპარსეთით თუსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; და მან მოიტანა თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თუსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ“ [67 : 68—69, 71].

მოტანილი ცნობის საფუძველზე ფეროზის სამფლობელოდ მიჩნეული უნდა იქნას ტერიტორია ხუნანიდან (ქართლის სამეფოს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი იყო) ალბანეთის დედაქალაქ ბარდამდე (იგივე პარტავი) მდ. მტკვრის ორივე მხარეს. მაგრამ, როგორც „მეფეთა ცხოვრების“ შემდეგი ცნობიდან ვგებულობთ ფეროზის გამგებლობაში

ეს მიწები დიდხანს არ დარჩენილა. მირიანის გარდაცვალების (334 წ.) შემდეგ, დაახლოებით 338 წელს მირიანის უფროსი ძის ქვრივმა სალომემ და მისმა ძემ თრდატმა სომეხთა დახმარებით მოინდომეს ბაკურ მირიანის ძისათვის ტახტი წაერთმიათ. სამაგიეროდ ბაკური „ეზრახა სპარსთა მეფესა", დაემოყვრა მას და „გაუცვალა ქუეყანა... ფეროზს. რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის[38] მიცემულად მირიანისაგან, და მისცა მის წილ სამშჳლდითგან მილმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა. მაშინღა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმან" [120:130—131]. ასე რომ, ქ. პეროჟა-კაფა ფეროზის ყოფილ სამფლობელოებში — ალბანეთში „ხუნანითგან ბარდავამდე" ან ქართლში — „სამშვილდითგან... ვიდრე თავადმდე აბოცისა" არის საძიებელი. მაგრამ ამ ვრცელ ტერიტორიებზე სად მდებარეობდა ქ. პეროჟა-კაფა, სადაც ფეროზმა ციხე ააგო?

როგორც ჯუანშერი გვამცნობს ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალმა ლაშქარმა ჯერ „სომხითი" გაიარა („მიიწივნეს სომხითს") და შემდეგ შეუერთდნენ მათ პეროჟა-კაფაში სომეხი ერისთავები.

„სომხითში" თუ საკუთრივ სომხეთი იგულისხმება, მაშინ მცხეთიდან ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალი ლაშქარი ატენის ხეობით თრიალეთზე გავლით შეიძლებოდა მისულიყო პეროჟა-კაფას, შემდეგ კი სომხური პროვინციებით ბიზანტიის სასაზღვრო ციხესიმაგრეს კარნუ-ქალაქს მიადგებოდა. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბაკურ მირიანის ძისაგან დაახლოებით 338 წელს მილებული ფეროზის ახალი სამფლობელო მოიცავდა ტერიტორიას „სამშვილდითგან მოღმართ... ვიდრე თავადმდე აბოცისა" და როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს გზა აბოცზე ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველეს დროში[39], მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯუანშერის თხზულებაში დასახელებული „სომხითი" საკუთრივ სომხეთია.

---

38 „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „ეპყრა რანის [სახლი] პარტავამდის" [96:116].

39 „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული ცნობით, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — II ს-ში, როცა სომხებმა ხელთ იგდეს წუნდა და დემოთის ციხე „...მეფენი ქართლისანი მცხეთით გაღმართ ევნებოდიან სომხეთის გზასა აბოცისსა" [12ა: 102]. ეს გზა ცნობილი იყო გვიანაც: მცხეთიდან „შევლო ატენი, განვლო თრიალეთი, აბოცი და მივიდა ერევანს" [12ა:47, ერევნიდან კი გზა კარნუ-ქალაქამდე მიდიოდა]. ეს გზა სომხური წყაროებითაც არის ცნობილი. ბიზანტიიდან მცხეთაში ჯავახეთზე გავლით რომ მოდიოდა გზა, ამის შესახებ ჯუანშერიც უთითებს [120: 180—181]. ასევე, XIX ს-ში აღზევანს მარილზე მიმავალი ქართველები ქართლიდან

აღნიშნულთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არაბი ავტორის ალ-ბალაზურის (დაახლოებით 820—892) ცნობით, ხოსრო I-მა (531—579) „ააგო ჯურზანში (ე. ი. საქართველოში. — ვ. გ.), ამ მხარეს, რომელიც რუმს (ბიზანტიას) ესაზღვრება ციხე წოდებული ფირუზიკობადის კარად“ [129:6]. მეორე მხრივ, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევისას დ. მუსხელიშვილი რადგან შესაძლებლად თვლის ალ-ბალაზურის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დასახელებული „ფირუზი კობადის კარი“ სომხური წყაროს პეროზკავატისა და ქართული პეროჟა-კაფას იდენტური იყოს [82:21], ჯუანშერისეული პეროჟა-კაფას ლოკალიზაცია აღარ უნდა გაჭირდეს და იგი „სამშვილდითგან მოღმართ ...ვიდრე თავადმდე აბოცისა“ რეგიონშია საძიებელი. მაგრამ დ. მუსხელიშვილი დასახელებული ტოპონიმების საბოლოო იდენტიფიკაციისაგან მაინც თავს იკავებს და იქვე დასძენს, რომ მათი „იდენტიფიკაცია ჯერჯერობით მაინც ჭირს“-ო [82:21]. შემდეგ ჩამოთვლის, რა ალ-ბალაზურის თანახმად ხოსრო I-ის მიერ ქართლის ტერიტორიაზე აგებულ ციხესიმაგრეებს აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტთა უმეტესობის ზუსტი ლოკალიზაცია უცნობია, მაინც ადვილი დასანახია, რომ ისინი მოიცავენ ტერიტორიას დარიალიდან ქვემო ქართლის ჩათვლით ეგრისამდე და შავ ზღვამდე, ე. ი. სწორედ ძველი ქართლის სამეფოს, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას“ [82:21].

გარდა იმისა, რომ, როგორც დ. მუსხელიშვილი წერს, პეროჟა-კაფას ფირუზი კობადის კართან იდენტურობა საეჭვოა, ბიზანტიის მოსაზღვრე ქართლში ასეთი ციხესიმაგრის არსებობის შესახებ, არც ბიზანტიელ (პროკოპიოს კესარიელი, აგათია, მენანდრე) და არც ძველ ქართველ ავტორებს ცნობა არა აქვთ. ამიტომ, ახლა ვნახოთ პეროჟა-კაფა ფეროზის პირველ სამფლობელოში ხომ არ მდებარეობდა. თუ ასეთ შესაძლებლობას დავუშვებთ, მაშინ ჯუანშერის მიერ დასახელებულ „სომხითში“ ქვემო ქართლი უნდა ვიგულისხმოთ. როგორც დ. მუსხელიშვილი წერს, მართალია, „სომხითი“ ქვემო ქართლის სახელად პირველად XI ს-ში გვხვდება (იხ. მისი სტატია სომხითი, ქსე, ტ. 9), მაგრამ გამორიცხული არაა „სომხითი“ ტექსტში ან გვიან იყოს ჩასწორებული, ან არადა, ეს მიწები ძვ. წ. II ს-ში რადგან სომხეთმა შეიერთა [ქართლის სამეფოს იგი ახ. წ. I ს. 30-იან წლებში უნდა დაებრუნებინა.

სოფ. ქვათახევზე, მანგლისსა და წალკაზე, ხოლო კახეთიდან სოფ. სართიჭალაზე, ბორჩალოსა და გუმბრზე (ახლანდელი ლენინაკანი) გავლით მიდიოდნენ.

77:511—512], შესაძლოა, ამ მხარეს „სომხითი“ ადრევე ერქვა და არ ცდება ჯუანშერი მას „სომხითს“ რომ უწოდებს.

დავუშვათ, პეროჟა-კაფა ალბანეთში მდებარეობდა და ალბანეთის მიმართულებით როცა ლაშქრის მოძრაობაზე მიუთითებს ჯუანშერი მართალია, მაგრამ გადიოდა ალბანეთზე გზა ბიზანტიის იმპერიისაკენ? როგორც ქვემოთ ვნახავთ გადიოდა.

„გზა რანისა“

ფეროზის მიერ აგებული ციხით ქ. პეროჟა-კაფა რადგან ფეროზის ადრინდელ სამფლობელო ტერიტორიაზე „ხუნანითგან ბარდავამდე“ არის საძიებელი, გამოდის, რომ ქართლიდან ბიზანტიისაკენ მიმავალი ლაშქარი კარნუ-ქალაქამდე ატენის ხეობასა და თრიალეთზე გავლით კი არა, ქვემო ქართლზე გავლით ალბანეთისაკენ გაემართა.

ქართველთა და ვარაზ-ბაკურის ლაშქართან სომეხი ნახარარების პეროჟა-კაფაში შეყრის ამბავი „ქართლის ცხოვრების“ სომეხ მთარგმნელს გამოტოვებული აქვს [96:153—154]. ეს ამბავი არც ვახუშტი ბატონიშვილს აქვს შეტანილი თავის ისტორიაში [41:104—105]. მცხეთიდან ლაშქრის აღმოსავლეთით მოძრაობა სომეხმა მთარგმნელმა და ვახუშტიმ შეცდომად მიიჩნიეს და ამიტომ გამოტოვეს, თუ უბრალოდ შეამოკლეს თხრობა ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ მათ პეროჟა-კაფაში სომეხთა ლაშქრის მისვლის შესახებ ცნობა არა აქვთ და ლაშქრის უშუალოდ კარნუ-ქალაქთან მისვლაზე მოგვითხრობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმება კითხვა. სომეხი მთარგმნელი და ვახუშტი ლაშქრობის ჯუანშერისეულმა მარშრუტმა ხომ არ დააეჭკა და ამის გამო ხომ არ გამოტოვეს მათ ქართლიდან ლაშქრის აღმოსავლეთისაკენ მოძრაობის ამსახველი თხრობა?

არა, ჯუანშერი არ ცდება. იგი ამავე გზას ასახელებს ირანის შაჰთან ერთად ჰუნების წინააღმდეგ სალაშქროდ მიმავალი ვახტანგის, ასევე მათთან ერთად იერუსალიმში გამგზავრებული ვახტანგის დედისა და დის გზად (იხ. ქვემოთ თავი IX). „ხოლო ვახტანგს ეევედრნეს დედა და დაჲ მისი ხუარანძე, — წერს ჯუანშერი, — რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს. წარიტანნა, და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარბადაგანისასა; და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაჲ მისი იერუსალემს“ [120:186].

როგორც ვხედავთ, ჯუანშერი „ადარბადაგანის გზის“ დასახელების შემდეგ იქვე ხაზგასმით, მეორედ მიუთითებს, რომ სწორედ „მუნით წარვიდნენ“ ვახტანგისთან ერთად მისი დედა და დაჲ იერუსალიმსო.

ჯუანშერი „ადარბადაგანის გზას“ „რანის გზასაც“ უწოდებს. მისი ცნობით, იერუსალიმში წასულ ვახტანგს, საგდუხტსა და ხვარანძეს შაჰი ქ. ანტიოქიაში (ამ ქალაქის მდებარეობის შესახებ იხ. ქვემოთ თავი X) ელოდა. როცა ისინი იერუსალიმიდან დაბრუნდნენ, შაჰმა ვახტანგს სთხოვა: „ვინათგან დედა და დაჲ შენი აქამდის დამაშურალ არიან, მოვიდენ იგინიცა სამეფოდ ჩემდა, რათა ერთობით აღვასრულოთ სიხარული ჩუენი. მერმე თუ ინებონ წარსლვა ქართლს, წარვიდენ იგინი გზასა რანისასა. ხოლო თუ ინებონ ლოდინება შენი, გელოდიან ურაჰას ქალაქსა შინა“[40] [120:187]. ასე რომ, ამჯერად ჯუანშერის მიერ „რანის გზის“ დასახელება ნათელს ხდის, ქართლიდან ბიზანტიისაკენ მიმავალ ლაშქარს მართლაც რანის გზა რომ უნდა გაევლო და ჯუანშერის მიერ დასახელებული ქ. პეროჟა-კაფა ამ გზაზე, სწორედ ფეროზის ადრინდელ სამფლობელო ტერიტორიაზე — „ხუნანითგან ბარდავამდეა“ საძიებელი.

ჯუანშერის შემდეგი ცნობიდან ჩანს, რომ სწორედ ზემოდასახელებული ადარბადაგანის გზით შემოვიდა 491 წელს ქართლში ირანის შაჰი (შდრ., ზემოთ თ. IV, § 3). ასევე რანის გზით ილაშქრა ქართლში 628 წელს იმპერატორმა ჰერაკლემ — „და აღმოვლო ერაკლე კეისარმან გზა რანისა და მეორედ შემოვიდა ქართლად“ [120:231].

როგორც სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, უძველესი დროიდან მოკიდებული, აქემენიანთა ხანის ყოფილი „სამეფო გზის“ ჩრდილო განშტოება ქ. ეკბატანიდან სელევკიის, ედესისა და ნისიბისის გავლით ამიერკავკასიის ქვეყნებში, შემდეგ კი შავი ზღვისაკენ სწორედ ატროპატენზე (ძველი ქართული წყაროების ადარბადაგანი — მდ. არაქსისა და ურმიის ტბის რაიონი. იხ. ქსე, ტ. I, სტ. ადარბადაგანი) გადიოდა [159:26; 184:150].

---

[40] ჩრდ. შუამდინარეთში მდებარე ქ. ურჰა (იგივე ედესა), სადაც ვახტანგის დედამ და დამ რამდენიმე წელი გაატარეს, გარდა იმისა, რომ ქრისტიანობის დიდი ცენტრი იყო, როგორც ჩანს, იმ ხანად იქ ქართველთა კოლონიაც არსებობდა. დ. ბაქრაძე ერთ ძველ ცნობაზე დაყრდნობით მიუთითებს მაშინდელ ედესაში ქართველთა აბანოების არსებობის შესახებ.

*

* *

ქართლიდან ბიზანტიისაკენ მიმავალმა ლაშქარმა აღმოსავლეთიო რომ დაიწყო მოძრაობა, ეს ერთი მხრივ იმით იყო გამართლებული აქეთ რომ მდებარეობდა უძველესი „გზა რანისა“, მეორე მხრივ როგორც ქვემოთ ვნახავთ, ალბანეთში იყო ამ ლაშქრობის მთავარსარდლის ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის რეზიდენცია. მაგრამ, კერძოდ რომელი ქალაქი იყო პეროჟა-კაფა?

პეროჟა-კაფას ადგილმდებარეობის დასადგენად ისევ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობას გადავხედოთ. როგორც ამ წყაროშია ნათქვამი, ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე ხალხების დარუბანდის გზით თავდასხმებმა აიძულა მირიანი, რათა ირანიდან მოეყვანა „ნათესავი მეფეთა“ ფეროზი. ფეროზმა „თანა მოიტანა სპა დიდი“.

„დიდი სპა“ ფეროზს, რა თქმა უნდა, ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში დარუბანდის გზით შემოჭრილი მომთაბარეთა მოსაგერიებლად სჭირდებოდა, თვით „დიდ სპას“ კი სამყოფი, რის გამოც ფეროზმა პეროჟა-კაფაში ციხე ააგო.

დ. მუსხელიშვილის თანახმად, ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი მირიანის მეფობაში მდ. ბერდუჯზე გადიოდა [81:158—159]. შემდეგ ალბანეთის სამეფოს ტერიტორია იწყებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართლის მეფე მირიანი თავის სიძეს, თუნდაც იგი ირანის შაჰის ნათესავი ყოფილიყო, სამფლობელოდ სხვის ტერიტორიას ვერ მისცემდა. რა თქმა უნდა, უფრო სწორი იქნება, ფეროზი ირანის შაჰისაგან დადგენილ მოხელედ მივიჩნიოთ[41]. იმ დროს, როცა „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ფეროზმა მირიანისაგან მიიღო ტერიტორია — „ხუნანითგან ბარდავამდე“ ალბანეთი და სომხეთი უკვე იოანის შაჰის

---

41 ამიერკავკასიაში მოსამსახურე ირანელი მოხელეები რადგან მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს განეკუთვნებოდნენ, შესაძლოა, ფეროზი ამ საგვარეულოს ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო. მიეხედავად იმისა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, 368 წელს ქართლში შემოსულმა ირანელმა ერისთავმა „წარიყვანნა... ტყუედ შვილნი ფეროზისნი“ [67:137], მისი შთამომავალნი, როგორც ჩანს, მაინც ფლობდნენ ბაკურ მირიანის ძის მიერ მიცემულ ტერიტორიას „სამშვილდითგან... ვიდრე თავადმდე აბოცისა“. ასეთი მოსაზრებისაკენ გვიბიძგებს ქართული წყაროს მიერ VIII ს. შუა ხანებში ქართლის ერისმთავრის მირის ერთ-ერთ ხიძედ „პიტიახშის ნათესავის ფეროზისსა, რომელი მთავრდება თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“ [120:241] დასახელება.

შაბურ II-ის (309—379) გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამიტომ, ფეროზი შაბურ II-ს უნდა გამოეგზავნა ამიერკავკასიაში დარუბანდის ზეკარის დასაცავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული წყაროს ცნობა, თითქოს ტერიტორია „ხუნანითგან ბარდავამდე“ ფეროზს მირიანმა მისცა, არაა სწორი. ეს ადგილი ტექსტში იმ დროს უნდა იყოს ჩასწორებული, როცა გვიანდელმა რედაქტორმა, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფისათვის დიდი წინაპრის გამოძებნის მიზნით, მირიანი მიჰრანთა გვარის მხევალი ქალისაგან ნაშობ სასანიან უფლისწულად გამოაცხადა. ჩამსწორებლის თვალსაზრისიდან გამომდინარე სასანიან უფლისწულსა და ქართლის მეფეს — მირიანს, რა თქმა უნდა, შეეძლო თავისი სიძისათვის სამფლობელოდ ალბანეთის ტერიტორია მიეცა. მით უმეტეს ჩამსწორებელს, მირიანი არა მარტო მთელი ამიერკავკასიის, ირანის იმპერიის თითქმის ნახევრის მფლობელადაც ჰყავს გამოცხადებული [67:67].

ამრიგად, ირანის შაჰისაგან ამიერკავკასიაში დანიშნულმა მირიანის სიძემ ფეროზმა ირანიდან „დიდი სპა“ იმიტომ მოიყვანა, რათა დარუბანდის ზეკარიდან გადმოსული მომთაბარეები შეეჩერებინა. ამ „დიდ სპას“ და თვით პეროზს ციხე ესაჭიროებოდა და ააგო იგი ქალაქ პეროჟა-კაფაში, რომელიც „ხუნანითგან ბარდავამდე“ მდებარეობდა. რადგან პეროჟა-კაფა ალბანეთის ტერიტორიაზეა საძიებელი, ახლა ძველი ალბანელი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის ცნობებს გადავხედოთ. მოვსესის თხზულებაში მართალია პეროჟა-კაფა არ იხსენიება, მაგრამ არის ქალაქები: „პეროზაპატი“ და „პეროზ-კავატი“. კალანკატვაცის თხზულების რუსულ ენაზე გამომცემელი შ. სმბატიანი პეროზაპატს პარტავთან (იგივე ბარდა) აიგივებს, ხოლო პეროზ-კავატი ცალკე ტოპონიმად აქვს გატანილი [168:252]. ასეთი განსხვავებული მითითების მიუხედავად, მოვსესის თხზულებაში ძნელი გასარჩევია, რა დროს რომელ ქალაქზეა საუბარი. ალბათ აღნიშნულით უნდა აიხსნას, სომხეთისა და ალბანეთის ძველი ისტორიის ისეთი ცნობილი მკვლევრები, როგორებიც არიან. ს. ერემიანი და კ. ტრევერი ზემოდასახელებული პუნქტების რაობაში რომ ვერ გაერკვნენ. სასანიანთა ხანის საკაჭრო გზების დადგენისას ს. ერემიანი როცა ალბანეთის მარზპანთა ადგილსამყოფელის საკითხს შეეხო, ორივე პუნქტი ბარდასთან გააიგივა. „პეროზ-აპატის resp. პეროზ-კავატის, resp. პარტავის დაწინაურებამდე, წერს იგი, — ალბანეთის მარზპანთა რეზიდენცია ქ. კაბალა იყო“ [145:89]. კ. ტრევერმა ჯერ პეროზაპატი გააიგივა ბარდასთან და მიუთითა: მოვსეს კალანკატვაცის ცნობით, პეროზაპატი, რომელიც

ახლა პარტავად იწოდება, ირანის შაჰის ბრძანებით დააარსა ალბანეთის მეფემ ვაჩე მეორემ“ [190:217, 230—233]. აღნიშნულის მიუხედავად, კ. ტრეევერს საეჭვოდ მოჩვენებია პეროზაპატისა და პარტავის იგივეობა, ამიტომ იქვე შენიშნავს: იყო პეროზაპატი პარტავის მეორე სახელწოდება, თუ ამ სახელწოდების ქვეშ პარტავის მახლობლად აგებული რეზიდენცია იგულისხმება, გაურკვეველი რჩება. გვაქვს კიდევ ერთი სახელწოდება „პეროკავატი“, რომელშიც იმყოფებოდა აღმოსავლეთის დიდი მთავარი ჯუანშერი და ეპისკოპოსი უხტანესი თავიანთი დიდებულებით. შესაძლოა ეს იგივე პეროზაპატია აღდგენილი კავადის მიერ, არაბი გეოგრაფი ალ-ბალაზური ხომ მას მიაწერს პარტავის დაარსებას [190:266].

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ კ. ტრეევერმა ეჭვი შეიტანა პეროზ-კავატის ბარდასთან გაიგივებაში, საბოლოოდ, პეროზაპატისა და პეროზ-კავატის ბარდასთან იდენტურობა ივარაუდა. კალანკატვაცის მიერ დასახელებული პეროზაპატი და პარტავი (ბარდა) მართლაც ერთი და იგივე ქალაქები რომაა ეს საეჭვო არაა. ამიტომ, ქვემოთ პეროზ-კავატთან დაკავშირებულ ცნობებს გავაანალიზებ.

ამ ქალაქის პირველი მოხსენიებისას მოვსესი წერს, რომ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლიდან დაბრუნებული ალბანეთის მთავარი ჯუანშერი (ჯავანშირი. იხ. ქსე, ტ. 11) მამასთან ერთად ლაშქრით გავიდა ქ. პეროზაპატიდან (ე. ი. ბარდადან. — ვ. გ.) ჩრდილოეთისაკენ. გზაში გაიგო სპარსელთა ჯარის შემოჭრა, ამიტომ გამობრუნდა უკან და დაამარცხა ისინი. იმავე დროს სპარსელები ქალაქ პეროზ-კავატშიც[42] შესულიყვნენ და მისი დედა და ძმები დაეტყვევებინათ [168: 96]. მოვსესის გადმოცემით, უკან გამობრუნებული ჯუანშერი „სწრაფად გავიდა თავისი სამშობლოს საზღვრებიდან და გადავიდა მტკვრის იქითა მხარეს კაპიჭანის (ე. ი. კამბეჩოვანის. — ვ. გ.) გავარში“[43]

---

42 ქართულ თარგმანშია „პეროზის ქალაქი“ [79:91].

43 კალანკატვაცის თხზულების რუსულ სმბატისეული თარგმანით ჯუანშერი „სწრაფად შევიდა თავის საგვარეულო სამფლობელოში — მტკვრის იქითა მხარეს კამბეჩოვანის გავარში“ [168:97]. როგორც ვხედავთ, კალანკატვაცის თხზულების ეს ადგილი ქართულ და რუსულ თარგმანებში განსხვავებული შინაარსითაა წარმოდგენილი. ქართული თარგმანიდან გამომდინარე ჯუანშერის სამშობლო თუ მდ. მტკვრის ჩრდ. მხარესაა, რუსული ტექსტით კამბეჩოვანი გამოდის. ჩემი თხოვნით, კალანკატვაცის თხზულების ქართულად მთარგმნელმა ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა ქართული თარგმანის ზემომოტანილი ადგილი ხელახლა შეუდარა სომხურ დედნებს. გაირკვა, რომ სმბატიანის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში შეცდომითაა(?) გადმოტა-

[79:91]. მაგრამ ბრძოლისას თავში დაიჭრა. აქედან გაემართა ქართლის საზღვრისაკენ, სადაც მას შეხვდა ქართლის მთავარი ადარნასე. მასთან ზავი დადო და ადარნასეს მიერ მიცემული ქართველთა ჯარით გაემართა უტის ოლქში. გზაში ისევ გაანადგურა სპარსელები და საჩქაროდ გაემართა თავის საზამთრო რეზიდენციაში [პეროზაპატში], აიღო იგი და გაანთავისუფლა თავისი ღვიძლი ძმები [168:97].

შ. სმბატიანს ჯუანშერის საზამთრო რეზიდენციად, როგორც ვხედავთ, პეროზაპატი მიუჩნევია, ამიტომ იგი ზემომოტანილ ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში აქვს შეტანილი.

ასე რომ, შ. სმბატიანის თანახმად ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია ქ. ბარდა იყო, მოვსესის თხზულებიდან ზემომოტანილი ტექსტიდან მართლაც ძნელი გასაგებია, რომელი ქალაქი იყო ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია. რადგან ჯუანშერი პეროზაპატ-ბარდადან მამასთან ერთად გაემართა ჩრდილოეთისაკენ, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მისი დედა და ძმები იმავე ქალაქში ე. ი. ბარდაში იქნებოდნენ და გამოდის რომ სპარსელებმა ამ ქალაქში დაატყვევეს ჯუანშერის დედა და ძმები, შემდეგ ჯუანშერმა ქართველთა დახმარებით გაათავისუფლა ისინი. თუ ზემომოტანილ ცნობას ასე გავიგებთ, მაშინ შ. სმბატიანის მიერ ტექსტში ჩამატებული პეროზაპატი, ე. ი. ამ ქალაქის საზამთრო რეზიდენციად მიჩნევა სწორი იქნება.

ახლა ისევ ზემომოტანილ ტექსტს ჩავუკვირდეთ. ჯუანშერი მამასთან ერთად პეროზაპატ-ბარდადან ჯერ ჩრდილოეთისაკენ გაემართა, შემდეგ უკან გამობრუნდა, დაამარცხა სპარსელები და იქვე გაიგო სპარსთა ჯარის პეროზ-კავატში (და არა პეროზაპატ-ბარდაში) შესვლისა და მათ მიერ მისი დედისა და ძმების დატყვევების ამბავი. ამიტომ, იგი სწრაფად გავიდა თავისი საგვარეულო სამფლობელოდან მტკვრის იქითა მხარეს კამბეჩოვანში, სადაც სპარსელებთან ბრძოლაში დაიჭრა. აქედან გაემართა ქართლის საზღვრისაკენ, იქ შეხვდა ქართლის მთავარს ადარნასეს და მის მიერ მიცემული ჯარით გაემართა უტის ოლქში. სადაც სპარსელები ნახა ერთიანად მოსრა, შემდეგ აიღო თავისი საზამთრო რეზიდენცია[44] და გაათავისუფლა დედა და ძმები.

ნილი ჯუანშერის საგვარეულო სამფლობელო კამბეჩოვანის გავარში. ქართული თარგმანის ადექვატურია კალანკატვაცის თხზულების ძველი ქ. პატკანოვისეული თარგმანის შესაბამისი ადგილი [147:141—142].

44 ქართულ თარგმანშია „საზამთრო ქალაქი" [79:92]. ამ ტოპონიმის განმარტებისას ლ. დავლიანიძე-ტატიშვილი შენიშვნაში წერს: „ალვანთა მეფეების საზამთრო ქალაქებად მიჩნეული იყო ხალხალი და პარტავი" [79:180, № 84].

ე. ი. 1. ჯუანშერის საგვარეულო სამფლობელო მდებარეობდა მტკვრის მარცხნივ, ხოლო მტკვრის მარჯვენა მხარეს ქართლის საზღვრიდან (ხუნანიდან) აღმოსავლეთით იყო მისი საზამთრო რეზიდენცია.

2. საზამთრო სამყოფელთან ბრძოლაში დაჭრილი ჯუანშერი ჯერ ქართლის საზღვართან მივიდა, შემდეგ იქიდან ქართლის ჯარით გაემართა უტის ოლქში [აქ მდებარეობდა პეროზაპატი-პარტავი. 79:104], დაამარცხა სპარსელები, შემდეგ აიღო თავისი საზამთრო რეზიდენცია.

საზამთრო რეზიდენცია რომ პეროზ-კავატი იყო, ეს ვფიქრობ, კალანკატვაცის შემდეგი ცნობითაც დასტურდება. მოვლენათა შემდეგი მსვლელობიდან ირკვევა, რომ ჯუანშერი ცალკე ცხოვრობდა, მაშა კი ცალკე. როცა ჯუანშერი ძმებთან ერთად შევიდა თავის სამემკვიდრეო მამულში, სპარსელთა სარდალმა დაარღვია ზავი და „მოღალატურად რაღაც მიზეზით თავისთან იხმო ჯუანშერის მამა, რათა იგი დაემორჩილებინა და ალვანეთში სხვა მმართველი დაენიშნა". ჯუანშერი და მისი უფროსი ძმა სასწრაფოდ გაემართნენ ქალაქ პეროზკავატისაკენ, შორი სავალი შეიმოკლეს, აიღეს ქალაქი, გაწყვიტეს შიგ მდგომი სპარსელი სარდლის ჯარი [168:97; 79:92], ე. ი. გამოდის, რომ ჯუანშერის მშობლები ცალკე, საზამთრო რეზიდენციაში პეროზ-კავატში ცხოვრობდნენ. შემდეგში თვით ჯუანშერიც საზამთრო რეზიდენციაში ჩანს.

მოვსესის თანახმად, ჯუანშერი და კათალიკოსი ეპისკოპოსებთან ერთად გაემგზავრა პეროზ-კავატიდან ჩრდილოეთით ერთი დღის სავალზე მდებარე მონასტერში. მონასტრიდან უკან გამობრუნებულმა ჯუანშერმა თავის საზამთრო სამყოფელში — პეროზ-კავატში გაატარა მთელი წელი [168:102]. ამის შემდეგ მოვსესი ისევ მოგვითხრობს სახალიფოდან დაბრუნებული ჯუანშერის კვლავ საზამთრო რეზიდენციაში ყოფნის შესახებ, სადაც ეპისკოპოსები დაუბარებია. როგორც მოვსესი წერს ისინი დაუყოვნებლივ გამოცხადდენ დიდ ქალაქ პეროზ-კავატში, სადაც აღმოსავლეთის დიდი მთავარი ჯუანშერი იმყოფებოდა [168:111]. მაჰმადიანთა წელთაღრიცხვის 62 წლის (ე. ი. 684 წ.) მეჰეკანის თვის 18 რიცხვში ჯუანშერის მემკვიდრემ პეროზ-კავატიდან გაგზავნა ელჩობა ჰუნთა ქვეყანაში. ელჩობის წევრებმა გადალახეს მტკვარი და 12 დღის [ქართულ თარგმანშია 14 დღე. 79:111] მგზავრობის შემდეგ მივიდნენ ლფინთა ქვეყანაში [168:123]. ელჩობა რადგან მეჰეკანის (იგივე, მიჰრაკანის, მირკანის) თვეში გავიდა — ეს თვე

კი მარტს შეესაბამება[45], ჩანს იმ წლის ზამთარი მთავარმა პეროზ-კავატში გაატარა.

ახლა ვნახოთ სხვა წყაროებში რომელი ქალაქია დასახელებული ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციად. „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული ცნობით, ალბანეთის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ქ. ხილახილა (ხალხალა. — ვ. გ.) სომხეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია იყო [67:61]. ხალხალას ახ. წ. III საუკუნისათვის სომხეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციად ასახელებს V ს. სომეხი ისტორიკოსი აგათანგელოსიც. კ. ტრევერის შენიშვნით, ეს ხალხალა, გვიან ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია იყო [190:264].

ჩვენთვის საინტერესო 453 წლის (როცა ლაშქარი პეროჟა-კაფაში თავს იყრიდა) წინა ხანაში — 451 წლის სომეხთა ანტიირანული აჯანყებისას, ამ აჯანყების თანამედროვე ლაზარ ფარპეცი ქ. ხალხალას ქართლის საზღვრის მახლობლად იხსენიებს. მისი ცნობით, აჯანყებულ ვარდან მამიკონიანს ჩრდილოეთიდან მომავალი ირანელი მარზპანი სებუჰტი მდ. მტკვრის გადალახვის შემდეგ ქართლის საზღვრის მახლობლად ალბანეთის მეფეთა საზამთრო სადგომ ქ. ხალხალის პირდაპირ შეხვდა [190:207].

როგორც ვხედავთ, ლაზარ ფარპეცი გარდა იმისა, რომ ქ. ხალხალის მდებარეობის შესახებ მიუთითებს, იმასაც აღნიშნავს, ეს ქალაქი ალბანეთის მეფეთა საზამთრო სადგომი რომ იყო. მეორე მხრივ, მოვსეს კალანკატვაცის თხზულებიდან ზემომოტანილი მასალიდან ხომ ნათლად გამოჩნდა ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია პეროზ-კავატი მტკვრის მარჯვენა მხარეს ქართლის საზღვრიდან აღმოსავლეთით რომ მდებარეობდა. ეს ქალაქი ძველ წყაროებში ხალხალადაც იწოდება.

ქართლიდან ალბანეთში მიმავალ გზაზე მდებარე პეროზ-კავატი-ხალხალა დარუბანდის ზეკარით ალბანეთში შემოჭრილი ჩრდილოელ მომთაბარეთა ქართლში შემოსასვლელი ძირითადი პუნქტი ყოფილა. „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული ცნობით, ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში მომავალმა ოსებმა „...გარდამოვლეს... ფეროშ და კავტია და განრყუნეს ქართლი"[46] [67:67—68].

---

45 ლეონტი მროველის თანახმად არჩილი აწამეს „თუესა მირკანისსა, რომელ არს მარტი, ოცსა მის თჳსასა" [68:247].

46 „ქართლის ცხოვრების" I ტომისადმი დართულ საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში ს. ყაუხჩიშვილს მხოლოდ ფეროში აქვს გამოტანილი და იგი

„მეფეთა ცხოვრებაში“ დასახელებული ფეროშ და კავტია, ვფიქრობ, საეჭვო არაა იგივე პეროზ-კავატი (ხალხალა) რომაა.

პეროჟ-კავატი (იგივე ქართული წყაროს ფეროშ და კავტია)-ხალხალა დიდი ეკონომიკური და სავაჭრო ცენტრი იყო, ამიტომ მას ჩრდილოეთიდან შემოსული მომთაბარენი ხშირად ირჩევდნენ საყრდენ პუნქტად. როგორც მოვსესი მოგვითხრობს, VI ს. დამდეგს დარუბანდის ზეკარით შემოსული ჩრდილოელი მომთაბარენი მდ. მტკვრის გადალახვის შემდეგ ქ. ხალხალის ახლოს გაჩერებულან. კ. ტრევერის თანახმად, მომთაბარეთა ასეთი არჩევანი იმით იყო განპირობებული ხალხალა სამხედრო და სავაჭრო გზების თავშესაყარზე რომ მდებარეობდა. ხალხალიდან გზა მიემართებოდა იბერიისაკენ მცხეთაში, სომხეთისაკენ დვინსა და ვალარშაპატში [190:227].

ზემომოთხრობილი ამბის გადმოცემისას მოვსესი იქვე წერს, რომ მომთაბარეთა მეფემ აარჩია სამი სარდალი და უბრძანა თავს დასხმოდნენ ალბანთა, სომეხთა და ქართველთა ქვეყნებს [79:51].

როგორც ვხედავთ, მოვსესის თხზულებიდან ზემომოტანილ ცნობაში პირდაპირაა მითითებული პეროჟ-კავატი (ხალხალა) ქართლიდან ალბანეთში მიმავალ მთავარ გზაზე რომ მდებარეობდა. იქიდანვე მიემართებოდა გზები როგორც სომხეთში, ისე ალბანეთის დედაქალაქისაკენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, პეროჟ-კავატი („მეფეთა ცხოვრების“ ფეროშ და კავტია)-ხალხალა და ჯუანშერის პეროჟა-კაფა იდენტური ტოპონიმები რომ არიან. მხოლოდ ჯუანშერთან, როგორც ჩანს, ამ ქალაქის სახელის მეორე ნაწილის თურქული თარგმანი არის შემონახული და აი რატომ. სუმბატ დავითის ძის თანახმად, კლარჯეთში გადასული აშოტ კურაპალატი „მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ [93:377]. მეორე მხრივ, ბარდას რადგან პეროჟაპატიც ერქვა, შეიძლებოდა ძველად **„ბარდავის კარის ქალაქის“** მაგიერ „პეროზის (პეროჟის) კარის ქალაქი“ ეხმარათ. ასე რომ, ქ. პეროჟის კარი (ხალხალა) ალბანეთის დედაქალაქის — ბარდას დამცავი ციხე-ქალაქი იყო, ხოლო თვით ქ. ბარდა, „ბარდას კარის ქალაქით“ (იგივე „პერ.ი-

---

ადამიანის საკუთარ სახელად აქვს მიჩნეული. ამიტომ წერს: ფეროშe (ოვსი) [99: 424. საძიებლები]. მაგრამ ტექსტში „ფეროშ და კავტია“ ხომ ერთ გეოგრაფიულ სახელადაა დასახელებული. ოსთა ბელადი კი ვინ იყო მასში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი [67:68]. სხვათა შორის, ტოპონიმი „ფეროშ და კავტია“ ოსთა ბელადების სახელებად მიაჩნდა მ. ბროსესაც [19:49].

ეის კარის ქალაქი") იყო დაცული. და მართლაც, ბარდას ირანული სახელი „პეროზაპატი" („პეროჟაპატი") პეროზის მიერ დაცულს ნიშნავს [შდრ., Ahurapata — აჰურას, ე. ი. აჰურამაზდას მიერ დაცული. 105:21]. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. როგორც ჯუანშერი წერს, პეროჟ-კაფაში ირანიდან მოსულმა ფეროზმა ციხე ხომ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული მომთაბარეების საწინააღმდეგოდ ააგო. ამ ციხეს ქართლისა და ალბანეთის დედაქალაქებისაკენ მიმავალი გზების ჩაკეტვა ევალებოდა.

„ბარდას კარის ქალაქს" (პეროჟ-კაფას), როგორც ჩანს, ბარდასათვის ისეთივე როლი ენიჭებოდა, როგორსაც ასრულებდა 368 წელს ირანელი მოხელის მიერ მცხეთის კარად აგებული თბილისის ციხე მცხეთისათვის [„აღაშენა... ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად". 67:136].

ამრიგად, ხალხალას ძველად „ბარდავის კარის ქალაქი"[47] ერქვა [ლ. დავლიანიძე-ტატიშვილს კალანკატვაცის თხზულების ქართულ თარგმანში სწორად აქვს გადმოტანილი „პეროზის ქალაქი". 79:91]. ეს ქალაქი „მეფეთა ცხოვრებაში" „ფეროშ და კავტია"-ს, სუმბატ დავითის ძესთან „ბარდავის კარის ქალაქად", ჯუანშერის თხზულებაში კი პეროჟა-კაფა-დ („კაფა" ქართული „კარის" თურქულ თარგმანს წარმოადგენს. თურქ. „ყაფა" — კარი) იწოდება.

მართალია, საეჭვოა ჯუანშერის მოღვაწეობის დროისათვის ქალაქის სახელის მეორე ნაწილი უკვე თურქულად ყოფილიყო ნათარგმნი, მაგრამ შემდგომ ხანაში, როცა ჩრდ. კავკასიიდან გადმოსულმა ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხებმა ალბანეთში მყარად მოიკიდეს ფეხი, მათ როგორც ჩანს, „პეროჟის კარის ქალაქის" სახელის მეორე ნაწილი — კარი თურქულად თარგმნეს და მას პეროჟ კაფა უწოდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ გვიანდელმა გადამწერ-რედაქტორმა სწორედ ამის შემდეგ ჩაასწორა ტექსტში ქალაქის ძველი ქართული სახელი პეროჟის კარი — პეროჟა-კაფად („ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში ეს ადგილი გამოტოვებული რომ არ იყოს, ჩასწორების დროზე უფრო მეტი სიზუსტით შეგვეძლო გვემსჯელა).

ზემოთქმულის შემდეგ თუ ისევ ალ-ბალაზურის ცნობას გადავხედავთ, მისი მითითება საქართველოს ტერიტორიაზე „ფირუზი კობადის კარად" წოდებული ციხის არსებობის შესახებ სხვა შინაარსს შეიძენს.

---

47 ე. ი. აშოტ კურაპალატი ხელმეორედ დაუფლებია ტერიტორიას ქ. ხალხალამდე.

ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ალ-ბაზურის მიერ დასახელებული „ფირუზ კობადის კარი“ ბარდას კარად წოდებული — იგივე პეროზ-კავატი რომაა. რაც შეეხება იმას, ამ ქალაქს ალ-ბალაზური ბიზანტიის საზღვარზე რომ ასახელებს და მას ხოსრო I-ის აშენებულად თვლის, ეს შემდეგით უნდა აიხსნას: ნ. ადონცის თანახმად, ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დროს 576 წელს ხოსრო I-ის ლაშქარი ბიზანტიის საზღვრის ახლოს იდგა და ირანელები სწორედ აქედან გაიჭრნენ თეოდოსიოპოლის მიმართულებით [123:20]. სპარსელთა მეფე — დასძენს იგი, — დიდად აფასებდა... თეოდოსიოპოლის სტრატეგიულ მდებარეობას და ცდილობდა მას დაუფლებოდა [123:21].

რადგან ხოსრო I თეოდოსიოპოლის (იგივე კარნუ-ქალაქი) მისად გომებთან იდგა, მეორე მხრივ კი როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „ფირუზი კობადის კარად“ წოდებულ ციხე-ქალაქს ბიზანტიის საზღვარზე არც ბიზანტიელი და არც ქართველი ავტორები არ ასახელებენ, ჩანს ალ-ბალაზურის არასწორი ინფორმაცია ჰქონდა საქართველო-ბიზანტიის საზღვარზე მდებარე ციხეების შესახებ და შეცდომით სხვა ტოპონიმი მიიჩნია „ფირუზი კობადის კარად“ წოდებულ ციხედ. საქმე ისაა, რომ ბიზანტია-საქართველოს საზღვრიდან 40 კმ დაშორებით მდებარეობდა ხალხალის მთა[48] [ნ. ადონცის თანახმად, ეს მთა ბუნებრივ კედელს წარმოადგენდა. 576 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობისას სწორედ ამ ადგილებში იბრძოდა ხოსრო I. 123:20]; ასევე, როგორც ი. მარკვარტი წერს, თვით კარნუ-ქალაქის სახელწოდება იყო Qaliqal [208:106] და ალ-ბალაზურიმ ან მისმა წყარომ ბიზანტია-საქართველოს საზღვარზე მდებარე ეს ციხე-ქალაქი, როგორც ჩანს, ძველ ხალხალასთან გააიგივა[49]. იქნებ მან არ იცოდა „ფირუზი კობადის კარი“ და ხალხალა ერთი და იგივე ქალაქი რომ იყო[50]. ამით ხომ არ უნდა აიხსნას, ალბანეთში მდებარე ხალხალას იგი იქვე ცალკე რომ იხსენიებს? საქმე ისაა, რომ იმ მხარეებს შორის, რომლებთანაც ჰაბიბ იბნ-მასლამამ ზავი დადო ალ-ბალაზურის დასახელებული აქვს ქ. „ბაბ ალ-ლალა“

---

48 ხალხალის მთა (ზღვის დონიდან 2480 მ.) მდ. მერადისა და არაქსის წყალგამყოფი აგრი-დაღის მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში არის [102:177—178].

49 ალ-ბალაზური ამ ქალაქის აშენებას ხოსრო I-ს რომ მიაწერეს, ესეც შეცდომაა. ირანში, შუა საუკუნეებშიეე შექმნილი ტრადიცია, როგორც ცნობილია, ყველა მნიშვნელოვანი ციხისა და ქალაქის მშენებლობას ხოსრო I-ს მიაწერდა და ჩანს, ეს აისახა ალ-ბალაზურთან.

50 ალ-ბალაზურის მსგავსად არაბი ავტორები იბნ ალ-ფაკიჰი და იაკუბი „ბაბ ფაირუზ კუბაზ“-ს მეორე ორმენიაში ათავსებენ [42:112].

[129:13], ე. ი. ლალას კარი. მეორე მხრივ, ლალა რადგან იგივე ხალ-ხალაა [145:85, 190:31, 152, 264], ალ-ბალაზურის „ბაბ ალ-ლალა“ — ლალას კარს (ხალხალას), ანუ პეროჟის კარს ნიშნავს [და არა დარიალის კარს, როგორც ამას ტექსტის მთარგმნელი და გამომცემელი პ. ჟუზე განმარტავს[51]. 129:13].

ალ-ბალაზური (ან მისი წყარო), როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა კარნუ-ქალაქის არაბულმა სახელწოდებამ „კალიკალა“ [არაბებმა VII ს. 40-იან წწ. უწოდეს კარნუ-ქალაქს კალიკალა[52], იხ. ქსე, ტ. 4, სტ. ერზურუმი, 42:109]. ალ-ბალაზურიმ კალიკალა-კარნუ-ქალაქი მიიჩნია რა „ფირუზი კობადის კარად“ ასეთი იდენტიფიკაციისათვის მას შეიძლება იქვე მდებარე ხალხალის მთამაც უბიძგა.

ამრიგად, I. „გზა რანისა“ იგივე „გზა ადარბადაგანისა“ დიდი „სამეფო გზის“ შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ ამ გზით ხორციელდებოდა ქართველთა კავშირი როგორც სასანიანთა ირანთან ისე სირია-პალესტინასთან. ამ გზით მივიდა ვარაზ-ბაკურის ლაშქარი ბიზანტიის სასაზღვრო ციხე-ქალაქ კარნუ-ქალაქთან.

II. ჯუანშერის მიერ დასახელებული „პეროჟა-კაფა“, რომელიც მისი ცნობით, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის სიძემ — ირანელმა მოხელემ ფეროზმა ააგო და სადაც მოხდა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალი ლაშქრის თავმოყრა, ფეროზის მიერ აგებული იქნა, როგორც ჩრდ. კავკასიიდან გადმოსული შომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის პუნქტი.

III. ჯუანშერის მიერ დასახელებული პეროჟა-კაფა ალბანეთის ტერიტორიაზე მდებარე, ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია ქ. ხალხალაა (იგივე ლალა). ფეროზის მიერ აშენებულ ციხეს ძირითადად ალბანეთის დედაქალაქის ბარდას (იგივე პეროზაპატი) დაცვა ევალებოდა. ამიტომ იხსენიება ძველ წყაროებში იგი „ბარდავის კარის

---

51 ალ-ბალაზურის რომ დარიალის კარის შესახებ ნდომოდა ცნობის გადმოცემა „ბაბ ალ-ლალას“ არ დაწერდა. არაბულ წყაროებში დარიალი გვხვდება შემდეგი ფორმით: „ალ-ბაბი“ (კარიბჭე), „ალ ბაბ ვა ალ-აბვაბ“ (კარიბჭე და კარიბჭეები) [42:113].

52 ყაზვინის თანახმად, კალიკალა ქალაქია არმენიაში. იგი კალიმ ააშენა [42: 44]. „კალი“ არაბ ავტორთა განმარტებით ლამაზსაც ნიშნავს და კალის მიერ აშენებულსაც [42:149]. არც ამ მხრივ შეიძლება დავეთანხმოთ არაბ ავტორს. არაბების მცირე აზიაში მოსვლისას კარნუ-ქალაქი დიდი ხნის აგებული იყო. „კალიკალა“ ციხეთა-ციხეს უნდა ნიშნავდეს. ჯუანშერის ცნობით კარნუ-ქალაქი ხომ სამ გალავნიანი ციხე იყო [120:160].

ქალაქად“ (იგივე პეროზის კარი ან პეროჟის კარის ქალაქი). თვით ბარდას სახელი „პეროზაპატი“ კი პეროზის მიერ დაცულს ნიშნავს. ჯუანშერის თხზულებაში პეროზ-კავატის (პეროზის კარის) თურქული ფორმა — პეროჟა-კაფა არის შემონახული. „მეფეთა ცხოვრებაში“ ეს ქალაქი „ფეროშ და კავტია“-დ იწოდება, ხოლო მოვსეს კალანკატ-ვაცისთან როგორც „პეროჟკავატი“.

ასევე პეროჟა-კაფა იგულისხმება ალ-ბალაზურის მიერ დასახელებულ ქალაქებში: „ბაბ ალ-ლალა“ და „ფირუზი კობადის კარი“. ეს უკანასკნელი მის მიერ შეცდომითაა გაიგივებული კარნუ-ქალაქთან.

IV. ირანელთა ბატონობის დროს პეროჟა-კაფა ბარდასათვის იგივე როლს ასრულებდა, როგორსაც ირანელი მოხელის მიერ აგებული თბილისის ციხე ქართლის ძველ დედაქალაქ მცხეთისათვის.

V. ჯუანშერის ცნობა მირიანის სიძის ფეროზის მიერ ალბანეთის ტერიტორიაზე ციხის აგების შესახებ უძველესია და კარგად ესადაგება იმ დროის ისტორიულ ვითარებას.

ასე რომ, ჯუანშერი ქართლიდან ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად მიმავალი ლაშქრის თავშეყრის ადგილად რომ ქ. პეროჟა-კაფას ასახელებს არ ცდება.

§ 4. სასანიანთა მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შექმნილი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის ასახვა ჯუანშერთან

მცხეთიდან ბიზანტიის წინააღმდეგ სალაშქროდ მიმავალ ქართლის ლაშქარს, როგორც ჯუანშერი გვამცნობს, გზადაგზა ირანის ქვეშევრდომი ქვეყნების მოლაშქრენი უერთდებოდა. პეროჟა-კაფაში ლაშქართან სომეხი ნახარართა რაზმების შეერთებით დამთავრდა ჯარის თავმოყრა და ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის დროშის ქვეშ გაერთიანებული ლაშქარი კარნუ-ქალაქისაკენ გაემართა.

ამ ლაშქრობისას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართლის მეფეს მართალია საკუთარი მიზნები ჰქონდა, მაგრამ ჯუანშერის მითითება „წარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად“ ისე არ უნდა გავიგოთ, თვით ვახტანგი რომ იყო მთელი ლაშქრის მთავარსარდალი. ამ ლაშქრობაში ვახტანგიც ირანელთა მოთხოვნით რომ მონაწილეობდა, ეს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიდან ჩანს. მასში ნათქვამია: „გააწყო ვახტანგმა... ლაშქარი და გავიდა სომხეთს, რადგან მათაც მიეღოთ იგივე ბრძანებაო“ [96:153—154], ე. ი. ისევე როგორც სო-

მეხი ნახარარები, ქართლის მეფეც ირანელი მარზპანის მიწვევით მი-
დიოდა ლაშქრობაში და ეს შემთხვევითი არ იყო.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონებუ-
ლი სასანიანები ჩრდილოეთ კავკასიიდან — დარიალისა და დარუბან-
დის ზეკარებით მომთაბარეთა ხშირმა თავდასხმებმა აიძულა, თავიანთი
ქვეშევრდომი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების სამხედრო ძა-
ლები ერთ მსხვილ სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულში, ე. წ.
„ჩრდილოეთის ქუსტაკში" გაეერთიანებინათ (სპეციალურ ლიტერა-
ტურაში არსებული მითითებით, შემდეგში ხოსრო I-მა ეს ადმინის-
ტრაციული დაყოფა მხოლოდ ოფიციალურად დააკანონა). „ჩრდილო-
ეთის ქუსტაკში" ერთ-ერთ მსხვილ სამხედრო ერთეულს ქართლ-ალ-
ბანეთის მარზპანის საგამგეო წარმოადგენდა. ასეთი სამხედრო ერთე-
ულის შესახებ ჯუანშერი ჯერ კიდევ მეფე არჩილის გამეფების (402 წ)
წინახანისათვის მიუთითებს [120:140], ხოლო სირიული აგიოგრაფი-
ული ძეგლის „ფირან გუშნასპის მარტვილობის" ავტორი V ს. დასას-
რულისათვის [31:98—99].

ქართლ-ალბანეთის მარზპანის ძირითადი რეზიდენცია ალბანეთის
ქ. ბარდა იყო. ბარდაში მჯდომი მარზპანები ირანის იმპერიაში ცნობილ
მიჰრანთა საგვარეულოს განეკუთვნებოდნენ და მემკვიდრეობით ფლობ-
დნენ ამ სახელოს [23:112—113]. ქართლ-ალბანეთის მარზპახებს, რო-
გორც ეს ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, აღმოსავლეთი ამიერკავკასიის
სხვა რეგიონების სამხედრო ძალებიც ემორჩილებოდა. მათდამი და-
ქვემდებარებულ ქვეყნებში მარზპანი შაჰის შემდეგ, უმაღლესი სამო-
ქალაქო და სამხედრო ხელისუფალი იყო. ომიანობის დროს იგი თავს
საგამგეო ქვეყნების ჯარების მთავარსარდლად ითვლებოდა [23:121].

აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვო არ უნდა იყოს ლაშქრობის
საერთო სარდალი ვახტანგის ბიძა ქართლ-ალბანეთის მარზპანი ვარაზ-
ბაკური რომ იყო. სწორედ ზემოთქმულით უნდა აიხსნას, ბიზანტიის
წინააღმდეგ საომრად მიმავალ აღმოსავლეთი ამიერკავკასიის ქვეყნე-
ბის ლაშქრის თავმოყრა ვარაზ-ბაკურის უშუალო სამფლობელო ტე-
რიტორიაზე მდებარე პეროჟა-კაფაში რომ მოხდა და მცხეთიდან წასულ
ქართველთა ლაშქარს პეროჟა-კაფაში „მოერთნენ" სომეხი ნახარარები
თავიანთი ლაშქრით. როგორც ჯუანშერის შემდეგი ცნობებიდან ირკვე-
ვა, ამავე ქალაქში უნდა შეერთებოდა მათ მოვაკანელები მეფე ბორ-
ზოს, ლეკები მეფე იპაჯაჯის მეთაურობით და დარუბანდელები. აქ თუ
იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ამ მხარეზე გადიოდა იმპე-
რიისაკენ მიმავალი „გზა რანისა", მაშინ ბიზანტიისაკენ საომრად მი-

მავალი ლაშქარი სწორედ ამ გზაზე მდებარე პეროჟა-კაფას გავლით რომ მივიდა ბიზანტიის სასაზღვრო ციხესთან, ამ მხრივ ჯუანშერის ცნობა საეჭვოდ აღარ მოგვეჩვენება.

ამრიგად, ვარაზ-ბაკურის დროშის ქვეშ ირანის ქვეშევრდომი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (ბიზანტიის ტერიტორიაზე შესულ ვარაზ-ბაკურის ლაშქარში ეგრისის სამეფოს მოლაშქრენიც უნდა ყოფილიყვნენ) ქვეყნების ლაშქარი იყო გაერთიანებული. ჯუანშერის ცნობები ამ მხრივ ზუსტად ასახავს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სასანიანთა მიერ შექმნილ სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის სისტემას. არანაკლებ საინტერესოა ისიც, ჯუანშერი ამ ლაშქრობის აღწერისას სწორედ იმ სომეხ ნახარარებს[53] რომ ასახელებს, რომელთა სამფლობელოები 387 წელს. ირანსა და რომს შორის სომხეთის გაყოფისას, ირანის მფლობელობაში დარჩა.

ნ. ადონცის თანახმად, ამ გაყოფის შემდეგ, სასაზღვრო ხაზი რომის იმპერიასა და ირანს შორის ჩრდილოეთში გადიოდა თეოდოსიოპოლი-ერზურუმის ახლოს, ხოლო სამხრეთში ქ. ნისიბისთან. ამასთან ერთად თეოდოსიოპოლი ბიზანტიის, ხოლო ნისიბისი ირანის ტერიტორიაზე რჩებოდა [123:4].

ამ გაყოფიდან გამომდინარე, ჯუანშერის მიერ დასახელებული ნახარართა სამფლობელოები (სივნეთი, ვასპურაგანი, ტაროონი) სწორედ ირანის კუთვნილ სომხეთის ტერიტორიაზე მოხვდნენ. ამიტომ, მათი გამგებლები ვალდებულნი იყვნენ სამხედრო კონტიგენტით გამოსულიყვნენ ირანის მხარეზე.

არც ისაა შემთხვევითი, ამ ომის აღწერისას ჯუანშერი სომეხთა მეფეს რომ არ ასახელებს. იმ დროს სომხეთის ირანულ ნაწილში კარგა ხნის გაუქმებული იყო მეფობა და ჯუანშერი ამ მხრივაც სწორია. მართალია ჯუანშერი მაშინაც, ბიზანტიის წინააღმდეგ ირანელთა ლაშქრობისას ირანის შაჰს რომ არ იხსენიებს. როგორც ეს სომეხი ისტორიკოსის ელიშეს (V ს.) ცნობიდან ჩანს, სწორედ იმ წლებში ირანის შაჰი იეზდიგერდ II შუა აზიაში ქუშანებს ებრძოდა [142:127, შდრ., გვ. 186, შენ. 1].

---

53 ესენი იყვნენ: „სივნელი არეე, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროონელი ამაზასპ გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატ ნათესავისაგან დიდისა თრდატისა" [120:159].

§ 5. ლაშქრობის მარშრუტი იმპერიის ტერიტორიაზე. ეკლეციის, ანძორეთის, სტერისა და პონტო ქალაქის ლოკალიზაცია

ჯუანშერის მიერ დასახელებული კარახპოლა, უფრო გვიანდელი ქართული წყაროების კარნუ-ქალაქი, თავისი სტრატეგიული მდებარეობით მეტად მნიშვნელოვან ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. მასზე გადიოდა გზა იმპერიის შიდა პროვინციებისაკენ. 453 წლისათვის ეს ქალაქი უკვე ბიზანტიის საზღვრებში შედიოდა და როგორც ჯუანშერი წერს სამგალავნიანი სასაზღვრო ციხე-ქალაქი იყო. სახელი თეოდოსიოპოლი ახალი შერქმეული ჰქონდა[54].

ჯუანშერის ცნობები ბიზანტიის ტერიტორიაზე ვარაზ-ბაკურის ლაშქრის მოძრაობის შესახებ, თვით ბიზანტიის ისტორიისა და მცირეაზიის ძველი ხანის ისტორიული გეოგრაფიისთვისაა განსაკუთრებით საინტერესო, მაგრამ ეს მარშრუტი დღემდე არავის უკვლევია. ჯუანშერის ცნობებისადმი ასეთი უყურადღებობა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმით იყო განპირობებული, მისი თხზულება XI ს-ში შენათხზ არარეალური ამბების კრებულად რომაა მიჩნეული.

ქვემოთ შევეცდები ამ ლაშქრობის შესახებ ჯუანშერისეული მარშრუტის სისწორე და აქედან გამომდინარე, ჯუანშერის ცნობათა სანდოობა ვაჩვენო. ვარაზ-ბაკურის ლაშქარმა კარნუ-ქალაქი ვერ აიღო. ამიტომ მან ქალაქის ალყისათვის დატოვა ორი ერისთავი 12000 მხედრით, დანარჩენი ლაშქრით ბიზანტიის იმპერიის შიდა რაიონებისაკენ გაემართა. „წარვიდა ვახტანგ პონტოს, — წერს ჯუანშერი, — და მოაოხრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვს კიდესა; და ბრძოდეს სამ თუე, და მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქისა მის კოსტანტინისა“ [120:160; 94:105].

ზღვის კიდეს პონტოს დიდ ქალაქთან მისულმა ლაშქარმა, ქალაქს ალყა შემოარტყა. სამთვიანი ალყის დროს, როგორც ჯუანშერი გვამცნობს, „სპარსნი რომელ ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურთა, დაჰკლვი-

---

54 გ. წულაიას შენიშვნით, კარნუ-ქალაქი იმპერატორ თეოდოსიუსის (408—450) მმართველობის ხანაში ბიზანტიელების მ ერ იქნ, აგებული და სახელი თეოდოსიოპოლი იმპერატორის პატივსაცემად ეწოდა [140:121 № 77]. ქალაქს ბიზანტიელებმა კი შეუცვალეს სახელი, მაგრამ იგი მათ არ აუგიათ. ვახტანგის „ცხოვრებაში“ კარნუ-ქალაქი რომ კარახპოლად იწოდება, თანაც ჯუანშერმა მისი ახლად შერქმეული სახელი რომ არ იცის, ვფიქრობ, იმის დამადასტურებლად უნდა იქნას მიჩნეული, ჯუანშერი მართლაც ვახტანგის თანამედროვე რომ იყო.

დეს". ამიტომ ვახტანგმა გააფრთხილა სპანი „სომხითისათა და ყოველთა სპარსთა" მოწესენი კი არ მოეკლათ, დაეტყვევებინათ. თან დასძინა: „მამის მამა ჩემი" მირიანი როცა ირანის შაჰთან ერთად ბერძნებს ებრძოდა, მაშინაც „ესევითარსა უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიისა მსახურთა", და ამიტომ „იძლივნეს ძლევითა ბოროტითა ურიცხუნი სპანი მცირეთა ლაშქართაგან. მიერითგან მიიღეს საზღვარი ესე ბერძენთა ჩუენ, ქართველთაგან, აღმოსავალით ზღვსა ამის. ხოლო წყობა პირველთა მეფეთა იყო ანძიანძორს, სადა უკუე აწ არს საფლავი დიდისა მოძღუარისა გრიგოლისი, და მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი. ხოლო ჩუენ ათისა დღისა სავალი ჩამოგვკვლია, ჩრდილოთ მოქცეულ ვართ. და ჩუენცა ვართ სჯულსა ზედა ბერძენთასა აღმსარებელ ქრისტესა..."[55] [120:160].

ჯუანშერის თხზულებიდან ზემომოტანილ ციტატაში მკვლევართა განსაკუთრებულ უნდობლობას იწვევს ცნობა ლაშქრის კონსტანტინოპოლამდე მიღწევის შესახებ. მართლაც, საეჭვოა ვარაზ-ბაკურის ლაშქარს იმპერიის დედაქალაქამდე მიეღწია [ასე არის ეს ადგილი სომხურ თარგმანშიც. 96:154], მაგრამ ჯუანშერის ცნობიდან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთი რამ არ იგულისხმება. ამიტომ, ჯერ ლაშქრის მოძრაობის ჯუანშერისეული მარშრუტის სისწორე შევამოწმოთ.

როგორც ჯუანშერი წერს, ზღვის კიდეზე მდებარე პონტოს დიდ ქალაქამდე [ვარიანტია — პონტო ქალაქი. 120:163, 172] ლაშქარმა სამი ქალაქი — ანძორეთი, ეკლეცი და სტერი მოაოხრა. ჯუანშერის ცნობების სანდოობისათვის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია იმ გზის სისწორის დადასტურება, რომელიც კარნუ-ქალაქიდან ლაშქარმა ანძორეთზე, ეკლეცსა და სტერზე გავლით პონტო ქალაქამდე გაიარა. დაბოლოს, იმის დადგენა თუ რომელი ქალაქი იგულისხმება პონტო ქალაქში.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჯუანშერის თხზულების რუსულ თარგმანში, გ. წულაიამ ტექსტის ის ადგილი, რომელშიც ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის აღწერა იწყება [140:68, შენ. 76], ვახტანგ გორგასლის ლეგენდარული ბიოგრაფიის გამორჩეულად შეუზღუდავი იდეალიზაციის ახალ თავად მიიჩნია [140:121, შენ. 76]. ჯუანშერის

---

55 კ. კეკელიძე (მას ვახტანგის „ცხოვრების" ავტორად ლეონტი მროველი მიაჩნდა) ამ თხრობას წყაროდ გიორგი ამასტრიდელის (IX ს.) „ცხოვრებას" თელიდა [62:255], რაც ყოველად გაუმართლებელია. გიორგი ამასტრიდელის „ცხოვრებაში" კონკრეტული ამბავი XI ს. 60-იან წლებში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ქ. ამასტრიდასთან რუსთა თავდასხმაა აღწერილი [131a:66—70].

ცნობების ასეთი შეფასების შემდეგ გ. წულაია თითქოს ზემოდასახელებული ტოპონიმების ადგილმდებარეობის გარკვევით აღარ უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ თავისი აზრი ანძორეთისა და ანძიანძორის გარდა ყველა მათგანზე მაინც გამოთქვა. მისი ვარაუდით, პონტო ქალაქი ტრაპიზონი უნდა იყოს [140:121, შენ. 81], ეკლეცი სტრაბონის გეოგრაფიაში მოხსენიებული აკილისენე[56] [140:121, შენ. 79], ხოლო სტერი რომელიღაც ქალაქის ან ოლქის დამახინჯებული სახელია. მაგრამ, — დასძენს შემდეგ იგი, — ვახტანგის „ცხოვრებაში" „ეკლეცი და სტერი" რადგან ერთად იხსენიება, სტრაბონი კი აკილისენეს გვერდით სისპირიტიდის ოლქს ათავსებს, შესაძლებლობა ჩნდება „სტერი" ისტორიულ სისპირიტიდთან გავაიგივოთ [140:121, შენ. 80].

ჯერ ერთი სტრაბონთან დასახელებული აკილისენე ოლქია, ჯუანშერი კი ქალაქ ეკლეცს ასახელებს. ასევე სტერიც ქალაქად აქვს ჯუანშერს, დასახელებული და მისი სისპირიტიდის ოლქთან გაიგივება არ შეიძლება. თანაც, სტრაბონი ამ ოლქებს მართალია ერთად ახსენებს [188:477], მაგრამ სტრაბონის გეოგრაფიაში ჩართულ რუკაზე ამ ოლქების ადგილმდებარეობას თუ გავითვალისწინებთ [იხ. 188:544], მაშინ გ. წულაიას მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. რაც შეეხება ტრაპიზონის პონტო ქალაქად მიჩნევას, რადგან ტრაპიზონი თამარის მიერ პონტოს ტერიტორიაზე შექმნილი ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქი იყო, შეიძლებოდა მათი იგივეობა დაგვეშვა, მაგრამ ამის შესაძლებლობას თვით ჯუანშერის ცნობები არ იძლევა. კარნუ-ქალაქიდან პონტო ქალაქამდე ლაშქრის მიერ გავლილი გზის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქ. ანძორეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრას.

ჯუანშერი, როგორც ვნახეთ, ქ. ანძიანძორს „დიდისა მოძღურისა გრიგოლის" საფლავის ადგილსამყოფელად ასახელებს და აღნიშნავს, რომ ანძიანძორიდან პონტო ქალაქამდე ლაშქარმა ათი დღის სავალი განვლო.

ახლა უნდა გაირკვეს, ვინ იყო ჯუანშერის მიერ დასახელებული „დიდი მოძღვარი გრიგოლი" და ქ. ანძიანძორიდან პონტო ქალაქამდე თუ იყო ათი დღის სავალი.

„ქართლის ცხოვრების" I ტომისათვის დართულ საკუთარ სახელთა საძიებელში ს. ყაუხჩიშვილმა, ჯუანშერის მიერ დასახელებული

---

56 ფარნავაზის „ცხოვრებაში" მოხსენიებული ეკლეცი ჯერ კიდევ გ. მელიქიშვილმა მიიჩნია აკილისენად [163:47, 262, 291].

„დიდი მოძღვარი გრიგოლი“ [120:160, 168] და „გრიგოლ ღმრთისმეტყველი“ იდენტურ პირებად მიიჩნია[57] [99:398, გრიგოლ ნაძიანძელი].

„დიდი მოძღვარი გრიგოლი“ და გრიგოლ ნაძიანძელი (იგივე გრიგოლ ნაზიანზელი დაახლოებით 330 — დაახლოებით 390, ქსე, ტ. 3) თუ იდენტური პირები არიან, მაშინ ქ. ნაზიანზი მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში, კაპადოკიის დედაქალაქ კესარიის (ახლანდელი ქ. კაისერი თურქეთში) სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა [191:470; შდრ., იტალ. ენციკლოპედია, ტ. 24, გვ. 534, რუკაზე ქ. Nenizi]. ქ. ნაზიანზის მახლობლად იყო ქ. არიანზი, სადაც გრიგოლი დაიბადა. იქვე იყო მისი საფლავი [191:492; ქსე, ტ. 3, სტ. გრიგოლ ნაზიანზელი].

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კარნუ-ქალაქიდან ზღვის პირას მდებარე პონტო ქალაქისაკენ მიმავალმა ლაშქარმა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქ. არიანზი (არიანძი) გაიარა. ამ გზაზე აიღო ქალაქები: ეკლეცი, სტერი, ანძორეთი.

ქ. კესარიაში მართლაც თავს იყრიდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზები [138:98]. კესარიას გზა აკავშირებდა ამიერკავკასიასთანაც. ქ. ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავი მთიდან საქართველოში მომავალმა გიორგი მთაწმიდელმა და მისმა თანამგზავრებმა როცა გაიგეს რომ თურქებს „ყოველი შუა-მდინარე და ისაური და საბერძნეთი“ დაეპყროთ, შუა მდინარეთიდან ქ. სებასტიაში (ახლანდელი ქ. სივასი თურქეთში) მივიდნენ (სებასტიიდან გზა კარნუ-ქალაქზე გავლით საქართველოში შემოდიოდა)[58]. მაგრამ, რადგან, იქაც თურქები დახვდათ „დღე და ღამე სლვითა კესარიაში“ ჩავიდნენ, და იქიდან მიაღწიეს „სამისონს, ქალაქსა ზღუს-კიდესა“. სამსუნიდან (ძველი ამისოსი) კი ნავებით გამოემგზავრნენ საქართველოში [21:377—378].

კარნუ-ქალაქიდან კესარია-არიანზისაკენ მიმავალმა ლაშქარმაც თუ ქ. სებასტიაზე გაიარა, მაშინ, მას ჯერ ქ. სებასტიის აღმოსავლეთით, კარნუ-ქალაქიდან სებასტიაში მიმავალ გზაზე მდებარე ქ. ეკლეცი (ახლანდელი ერზინჯანი თურქეთში) უნდა გაევლო. მეორე მხრივ,

---

57 გ. წულაიას თანახმად, ჯუანშერის მიერ დასახელებული „დიდი მოძღვარი გრიგოლი“ გრიგოლ ნოსელის რემინისცენცია უნდა იყოს [140:122 № 82].

58 V ს. ისტორიკოსის აგათანგელოსის ცნობით, ქ. კესარიაში ლეონტი კესარიელის მიერ ხელდასხმულმა, სომხეთსა, ეგრისსა და აფხაზეთში მომავალმა სასულიერო პირებმა სებასტიაზე გამოიარეს [161:123].

ჯუანშერის ცნობიდან გამომდინარე, პონტო ქალაქამდე ლაშქარი რადგან ქ. ეკლეცზე, ანძორეთზე და სტერზე გავლით მივიდა, თანაც, თუ ეკლეცი ქ. ერზინჯანია, ხოლო ანძორეთი ქ. არიანზი, მაშინ ქ. სტერი არიანზსა და ქ. ამისოს შუა არის საძიებელი. რაც მთავარია, გამოდის, რომ პონტო ქალაქამდე ვარაზ-ბაკურის ლაშქარი სწორედ ზემოდასახელებული გზით მივიდა (დღესაც ახლანდელ ერზურუმიდან გზა მიდის ერზინჯანში, იქიდან მიემართება ყარა სუს დინების კვალდაკვალ, გაივლის ქ. კაისერს და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მიადგება. კაისერიდან სამსუნამდე სარკინიგზო ხაზიც ასე გადის. იხ. იტალ. ენციკლოპედია, ტ. VII, გვ. 123, რუკა).

ერთი შეხედვით, ზემომოტანილი მარშრუტი მისაღები ჩანს, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, ლაშქრის მოძრაობის მარშრუტის ასე განსაზღვრისას შემდეგი წინააღმდეგობანი ჩნდება: 1. ჯერ ერთი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქ. არიანზიდან პონტო ქალაქამდე გზას ლაშქარი 10 დღეში ვერ გაივლიდა (ამ ათი დღის განმავლობაში ლაშქარმა თან ქ. სტერი აიღო); 2. რაც მთავარია, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) მშობლიური ქალაქის (სადაც მისი საფლავიც მდებარეობდა) სახელია არიანზი (რადგან ბერძნულში ბგერა „ზ“ არაა, ამიტომ ქალაქის სახელი შეიძლებოდა გამოეთქვათ როგორც „არიანძი“). ჯუანშერი კი გვარწმუნებს „დიდისა მოძღურისა გრიგოლის“ საფლავი ანძიანძორში მდებარეობდაო.

აღნიშნულთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ანძიანძორს მიაღწია მირიანმა; ვახტანგმა აიღო ქ. ანძორეთი, ხოლო ძვ. წ IV ს. დასასრულს ფარნავაზმა „მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეცით შემოიქცა“ და მოვიდა კლარჯეთს [67:23], მაშინ გრიგოლ ღვთისმეტყველის მშობლიური ქალაქ არიანზის — ძველი ქართული წყაროების ანძიანძორის (ანძიანძორა) და ანძორეთის[59] იდენტურ ტოპონიმად მიჩნევა არ შეიძლება საეჭვოდ არ მოგვეჩვენოს. ეს ასეც უნდა იყოს: ჯუანშერმა იცის როგორც „საფლავი დიდისა გრიგოლ მოძღუარისა“ [94:106; ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშია „დიდისა მოძღურისა გრიგოლის“. 120:160], ისე „გრიგოლი ღმრთისმეტყველი“, რომლის საფლავზე პეტრე (შემდეგში ქართლის პირველი კათალიკოსი) მღვდლობდა [94:108; 120:163].

---

59 რადგან ვახტანგმა აიღო ქ. ანძორეთი, ხოლო ფარნავაზმა მოტყვევნა მხარე ანძიანძორა (გამორიცხული არაა ორივე ტერმინი დამახინჯებით იყოს ჩვენამდე მოღწეული), გრიგოლ მოძღვარის საფლავის ადგილსამყოფლად დასახელებული ქალაქი ა ნ ძ ო რ ე თ ი როგორც ჩანს, ანძიანძორის მხარეში მდებარეობდა.

ასე რომ, ქ. ანძორეთი, სადაც „დიდი გრიგოლ მოძღუარის“ (ე. ი. მასწავლებლის, განმანათლებლის) საფლავი მდებარეობდა, ქ. არიანზთან (სადაც გრიგოლ ნაზიანზელის საფლავია) საერთო არაფერი არა აქვს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კარნუ-ქალაქიდან პონტო ქალაქამდე ლაშქარი კესარია-არიანზზე გავლით არ უნდა მისულიყო.

კარნუ-ქალაქიდან პონტო ქალაქამდე ლაშქრის მარშრუტის დადგენას გარკვეულწილად აადვილებს „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, თვით მთარგმნელის მიერ ტექსტში ჩამატებული მითითება — მოლაშქრენი კარნუ-ქალაქიდან „პონდოსამდის შუა ქვეყნით წავიდნენო“ [96:154], ე. ი. კარნუ-ქალაქიდან ლაშქარი არც ჩრდილოეთით [აქეთ ზიგანის ზეკარით, ზღვის დონიდან 2025 მ., გზა გადიოდა ტრაპიზონში. 162:15] და არც სამხრეთ-დასავლეთით კესარია-არიანზისაკენ (სადაც გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავი იყო) არ წასულა, არამედ „შუა ქვეყნით“. და მართლაც, სირიიდან სებასტიაში მოსულმა გიორგი მთაწმიდელმა კესარიისაკენ იმიტომ გააგრძელა გზა, რომ სებასტიაში უკვე თურქები იყვნენ. მაგრამ, ვარაზ-ბაკურის ლაშქრისათვის ხომ ასეთი ხელშემშლელი პირობა არ არსებობდა?

დავუშვათ, პონტო ქალაქისაკენ მიმავალმა ლაშქარმა სამხრეთ-დასავლეთით არ დაიწყო მოძრაობა და „შუა ქვეყნით“ წავიდა, მაგრამ მაშინ ხომ ხელიდან გამოგვეცლება ლაშქრის მარშრუტის ორიენტირებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მითითება, როგორიცაა ამ გზაზე მდებარე ქ. არიანზი „დიდი მოძღვრის გრიგოლის“ საფლავით?

როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ „შუა ქვეყანაზე“ გამავალ გზაზე მდებარეობდა ცნობილი პონტოელი მოღვაწის გრიგოლ სასწაულთმოქმედის სამშობლო ქალაქი ნეოკესარია.

გრიგოლი (მონათვლამდე თეოდორე) წარჩინებული პონტოელი წარმართის ოჯახში დაიბადა 213 წელს. ახალგაზრდობაში პალესტინის კესარიაში ხუთი წელი ცნობილი ღვთისმეტყველის ორიგენის (185—254) მოწაფედ იყო. 238 წელს დაბრუნდა ნეოკესარიაში, თავისი სახსრებით ააგო ეკლესია და დაიწყო მოღვაწეობა. ნეოკესარიაში ჩასვლისას მას მხოლოდ 17 მორწმუნე დახვდა. შემდეგ ქალაქის მთელი მოსახლეობა მოაქცია. გრიგოლი 270 წ. გარდაიცვალა და მის მიერვე აგებულ ეკლესიაში დაკრძალეს [191:586—591]. იგი ავტორია საეკლესიო ხასიათის თხზულებებისა, რომლებიც ადრევე ითარგმნა ქართულად (იხ. ქსე, ტ. 3, სტ. გრიგოლ სასწაულთმოქმედი).

როგორც ვხედავთ, საკმაო საფუძველი არსებობდა, რათა ძველ ქართველებს გრიგოლ სასწაულთმოქმედი „დიდ მოძღვრად“ (დიდ განმანათლებლად) მიეჩნიათ.

გრიგოლ სასწაულთმოქმედის მშობლიური ქ. ნეოკესარია და ქართული წყაროს ანძორეთი რომ ერთი და იგივე ქალაქი იყო, ამის შესახებ ცნობა არა გვაქვს. ამიტომ, მხოლოდ ვარაუდით უნდა დავკმაყოფილდეთ. როგორც ვარაუდობენ, ქ. ნეოკესარია იგივე ძველი ქაბირაა (რომაელთა მფლობელობის ხანაში ეს ქალაქი სხვადასხვა სახელით იწოდებოდა. იხ. 200). რაც შეეხება ანძორეთს, აქ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ტოპონიმ „ანძორეთში“ მეორე ნაწილი „ძორ“ სომხურად ხევს ნიშნავს, ხოლო პირველი ნაწილის „ან“-ის შესაბამისი სახელი „ანი“ ერქვა ამ მხარეში მდებარე ბასილ კესარიელის მშობლიურ ქალაქს [191:490]. არაა გამორიცხული ამ მხარეში, ე. ი. ანძ-ანძორში, ყოფილიყო სხვა ქალაქი და ხევი ერთი და იგივე სახელით — ანის ხევი, რომელიც ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში სომხური ფორმით — ანძორეთი დამკვიდრდა.

იმის შესახებ კი, გრიგოლ ნაზიანზელის მშობლიური ქალაქ არიანზის სახელი რატომ გადმოჰქონდათ ძველად ანძორეთად შემდეგი უნდა ითქვას.

ძველ საქართველოში გრიგოლ სასწაულთმოქმედის ქალაქი თუ მართლაც ანძორეთად, ხოლო ის მხარე, სადაც ეს ქალაქი მდებარეობდა (ე. ი. პონტო) ანძიანძორად იწოდებოდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროს, როცა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმნა დაიწყეს, საქართველოში უკვე აღარ იცოდნენ უძველეს დროიდან შემორჩენილი ამ ტოპონიმთა ადგილსამყოფელი. ამიტომ სახელები „ანძორეთი“, „ანძიაძორი“ შეცდომით დაუკავშირეს გრიგოლ ნაზიანზელის საეპისკოპოსო ქალაქ ნაზიანზის (ნაძიანძის) სახელს. სხვა მხრივ, ქ. ნაზიანზის გადმოტანა ანძიანძორად (ვარიანტებია: ანძორეთი, ანძიანძოჲ, ნაძიანძორი) ვერ აიხსნება. ძველად გრიგოლ სასწაულთმოქმედისა და გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა აღრევაც ხშირი იყო [61:258].

ანძიანძორა როგორც მხარე ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ს. დამლევის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება ფარნავაზის „ცხოვრებაში“. წყაროს ცნობით „ნაქალაქევსა თანა არტანისასა“ როცა ფარნავაზმა დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში გამეფებული აზო, შემდეგ „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეციით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს“ [67:23]. აქ თუ

ჯუანშერის იმ ცნობასაც გავითვალისწინებთ, რომლის თანახმად „წყობა პირველთა მეფეთა (იგულისხმებიან: ფარნავაზი და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი. — ვ. გ.) იყო ანძიანძორს (უფრო სწორად ანძორეთს? — ვ. გ.), სადა უკუე აწ არს საფლავი დიდისა მოძღუარისა გრიგოლისი“ და ამ ქ. ანძორეთიდან პონტო ქალაქამდე 10 დღის სავალი იყო [120:160], მაშინ ქ. ეკლეციის (ერზინჯანის) დასავლეთით მდებარე ქ. ნეოკესარია ქ. ანძორეთად შეიძლება იქნას მიჩნეული. რაც შეეხება, ქ. სტერს, რომელიც ლაშქარმა ქ. ანძორეთის შემდეგ აიღო, ნეოკესარიიდან შავი ზღვის პირას მდებარე პონტო ქალაქამდე არის საძიებელი.

ასე რომ, ძველი ქართული წყაროს მხარე ანძიანძორა „საზღვარი საბერძნეთისა“ — პონტოს შეესაბამება, ხოლო ჯუანშერის მიერ „დიდისა გრიგოლი მოძღუარის“ სამშობლო ქალაქად დასახელებული ანძორეთი ქ. ნეოკესარიას[60].

კარნუ-ქალაქიდან შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე პონტო ქალაქამდე ვარაზ-ბაკურის ლაშქარი, როგორც ითქვა „შუა ქვეყნით“ ქართველური მოდგმის ხალხებით დასახლებული პონტოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლეცზე, ანძორეთსა და სტერზე გავლით ათ დღეში მივიდა. მეორე მხრივ, ნეოკესარიიდან ზღვისაკენ გზა რადგან ქ. ამასიაზე გავლით მიემართება და ზღვის ნაპირას მდებარე ქ. ამისოში (ახლანდელი სამსუნი) ჩადის, პონტო ქალაქად ქ. ამისოსი უნდა მი-

---

60 რადგან ფარნავაზის მიერ მოოხრებული მხარე — „საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა“, ასევე ქ. ანძორეთი პონტოში ლოკალიზდება, აქვე უნდა მოვათავსოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აზოს სამშობლოდ დასახელებული არიან-ქართლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემს მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება, არიან-ქართლი იგივე პონტო-კაპადოკია რომ უნდა ყოფილიყო [იხ. 34] ახლა მეტ დამაჯერებლობას იძენს.

აზო არიან-ქართლის მეფის ძე იყო. ამიტომ ცხადია, ფარნავაზი აზოს მამის სატახტო ქალაქს მოოხრებდა. მეორე მხრივ, სტრაბონის (ძვ. წ. 64/63 — ახ. წ. 23/24) ცნობით, მის დროისათვის პონტოს მეფეთა ძველი დედაქალაქი გაციურა რადგან ნაქალაქარი იყო [188:514], გაციურა კი ფარნავაზის მიერ მოოხრებულ ანძიანძორას მხარეში მდებარეობდა, იქნებ გაციურა ფარნავაზის ლაშქრობის დროს დაინგრა?

როგორც ჩანს, სწორედ გაციურადან მოიტანა აზომ და მცხეთაში აღმართა გა და გაცი — არიან-ქართლელი მამების ღმერთები [80:335]. საინტერესოა ისიც, რომ სწორედ ანძიანძორის მხარეში მდებარე ხათუსაში (ხეთების დედაქალაქი, ახლანდელი სოფელი ბოღაზ-ყოი თურქეთში) აღმოჩენილ ლურსმულ წარწერებში იქნა მიკვლული ღვთაება „ხაცის“ აღწერა, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არსებული გაცის აღწერის იდენტურია [იხ. 20].

გვეჩნია (შესაბამისად ამასია, ქ. სტერად). მაგრამ ქ. ამისოს პონტო ქალაქად მიჩნევას ჯუანშერის შემდეგი ცნობა ეწინააღმდეგება (რაც შეეხება ამასია-სტერის იდენტურობას იხ. ქვემოთ). ჯუანშერის თანახმად, როცა პონტო ქალაქში მყოფმა ვახტანგმა შეიტყო, მათ წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერატორი „პონტოს გზით“ დიდი ლაშქრით მოემართებოდა, ხოლო ზღვით 500 დრომონი მოცურავდა, ვარაზ-ბაკურს უთხრა: „აწ მეშინის, ნუ უკუე სპანი ნავებითა მოვიდენ, შეიპყრან გზა ჩუენი და მოგუწყჳდნენ ჩუენ, ვითარცა ბაკსა შინა. არამედ აღვდგეთ აქათ და დავიბანაკოთ ზღუასა სამხრით კერძო, რათა გუქუნდეს ჩუენ გზა ჭირისა და ლხინისა“ [120:170], ე. ი. ვახტანგს ეშინოდა ზღვით მოსულ ბიზანტიის ლაშქარს მათთვის გზა არ ჩაეკეტა. ამიტომ მოითხოვა ზღვისპირიდან (პონტო ქალაქიდან) სამხრეთით გადანაცვლება.

თუ პონტო ქალაქად ქ. ამისოს მივიჩნევთ, იგი როგორც ცნობილია, შავი ზღვის პირას მცირე აზიის შიდა რაიონებთან დამაკავშირებელი გზის დასასრულს მდებარეობდა და ვარაზ-ბაკურის ლაშქარი თუკი ამისოში იდგა, ცხადია, ზღვის პირიდან მცირე აზიის შიდა რაიონებთან დამაკავშირებელი გზაც ამ ლაშქრის ხელში იქნებოდა. ზღვით მოსული ბიზანტიელებთან მარცხის შემთხვევაში ლაშქარს თავისუფლად შეეძლო უკან ამასიისაკენ დაეხია. ამიტომ, ვფიქრობ, ვარაზ-ბაკურის ლაშქარი ამისოსთან რომ მდგარიყო, მაშინ ვახტანგი ზემომოტანილ სიტყვებს არ იტყოდა, რადგან აქ მათ ალყაში მოქცევის საშიშროება არ ემუქრებოდა. მათ კი იმის შიშით, რომ ბიზანტიელებს შეეძლოთ მათთვის გზა ჩაეკეტათ, უკან დახევა გადაწყვიტეს. „აღიყარა ლაშქარი, — წერს ჯუანშერი, — გარემოს ქალაქისა, და ვლეს ხუთისა დღისა სავალი სამხრით კერძო, და დადგეს სპერით კერძო. და განვიდეს მყოფნი ქალაქისანი, მიწევნულნი სიკუდილად, და მისცეს მადლი ვახტანგს, და მისცეს ძღუენი ათასი ლიტრა ოქრო და ხუთასი თავი სტავრა, და განვიდა ერი იგი მშჳდობით სავაჭროსათჳს და სახმრისა“ [120:170].

ამრიგად, პონტო ქალაქად თუ ქ. ამისოს მივიჩნევთ, მაშინ გამოდის, რომ ამისოდან ლაშქარმა 5 დღის სავალი უკან დაიხია და დადგა ქალაქთან, რომელიც მანამდე აუღებელი (ალყაში) იყო, ამჯერად კი მათ დანებდა. ჯუანშერის ცნობებს თუ ასე გავიგებთ, მაშინ ამისოდან გამობრუნებული ლაშქარი 5 დღის სავალის შემდეგ მცირე აზიის შიდა რაიონში (შიდა პონტოში) მდებარე ქ. ამასიაში მივიდოდა და გამო-

დის, რომ ქ. ამასია დანებდა მათ. მაგრამ, ქ. ამისოში ზღვის პირამდე მისულმა ლაშქარმა განა ისე გაიარა ზღვასთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომ უკან აუღებელი ქალაქი დატოვა? ასეთი რამ გამორიცხული ჩანს. ასევე გაუგებარია, ტექსტში დასახელებულ სპერში რა იგულისხმება — ძველი ქართული პროვინციის სპერის ქ. სპერი [ასე გაიგო ეს ცნობა ნ. ლომოურმა. 73:27], რომელიც ქ. ამასიაში მოსული ლაშქრისათვის სიშორის გამო ორიენტირად არ გამოდგება, თუ ის ქ. სტერი, რომელიც ლაშქარმა პონტო ქალაქში მისვლამდე აიღო?

ზღვის პირას მდებარე ქ. ამისოდან (სამსუნი) უკან გამობრუნებული ლაშქრის ქ. ამასიაში მისვლას ჯუანშერის შემდეგი ცნობა ეწინააღმდეგება. ჯუანშერის თანახმად, პონტო ქალაქიდან 5 დღის სავალით უკან დახევის შემდეგ, ზღვით მოსულ ბიზანტიელთა ჯართან ბრძოლა კვლავ ზღვის პირას გაიმართა. ამიტომ, რადგან პონტო ქალაქიდან ვარაზ-ბაკურის ლაშქარმა ხუთი დღის სავალით დაიხია უკან და შემდეგ ბრძოლა ისევ ზღვის პირას მოხდა, პონტო ქალაქად ქ. სამსუნის დასავლეთით მდებარე ქ. სინოპი უნდა იქნას მიჩნეული.

ახლა ვნახოთ რამდენად მისაღებია ჯუანშერის ცნობები. შეეძლო ლაშქარს ათ დღეში გაევლო გზა ანძორეთიდან (ნეოკესარია?) პონტო ქალაქამდე (ე. ი. სინოპამდე), ხოლო სინოპიდან უკან დახეული ლაშქარი ხუთ დღეში მივიდოდა ამისოში?

ნეოკესარიიდან სინოპამდე დაახლოებით 360 კმ-ია. აქედან სინოპ-ამისოზე მოდის დაახლოებით 150 კმ და სინოპიდან უკან გამობრუნებული ლაშქარი ხუთ დღეში ამ მანძილს თავისუფლად დაძლევდა [არაბ ავტორთა ცნობით სინოპიდან სამსუნამდე ოთხი დღის სავალი იყო. 150:22, შენ. 30]. ასე რომ, ნეოკესარიიდან სინოპამდე დაახლოებით 360 კმ-ს ლაშქარი ათ დღეში თავისუფლად გაივლიდა და შეეძლო ერთი დღე ქ. სტერის აღებისას გზაში გაჩერებულიყო.

როგორც ვხედავთ, ჯუანშერის ცნობები ანძორეთიდან პონტო ქალაქამდე და პონტო ქალაქიდან ამისომდე ლაშქრის მოძრაობისას გასული დროის შესახებ მისაღებია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. იგი ხომ თვით მონაწილეობდა ლაშქრობაში.

რატომ უნდა ყოფილიყო ქ. სინოპი ძველ საქართველოში პონტო ქალაქად წოდებული?

შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქ. სინოპი ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული ნავსადგური იყო მცირე აზიის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ხელსაყრელი სანაოსნო მდებარეობის გამო ქალაქს ძველი

ბერძნები ჯერ კიდევ მიკენის ხანაში გაეცნენ. ძვ. წ. VIII ს-ში აქ მილეტელმა მოახალშენეებმა დააარსეს კოლონია, რომელიც ჩქარა შავი ზღვის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და ხელოსნურ ცენტრად იქცა. სინოპიდან გაჰქონდათ: ხე-ტყე, ხალიბური რკინა, ე. წ. სინოპის მიწა (საღებავებისათვის). ძვ. წ. 183 წ. ქალაქი პონტოს მეფე ფარნაკ I-მა დაიპყრო და თავის რეზიდენციად გაიხადა, მითრიდატე V (ძვ. წ. 150—120) მეფობის დროიდან კი პონტოს სამეფოს დედაქალაქი იყო. სინოპში დაიბადა მითრიდატე VI ევპატორი (ძვ. წ. 120-63).

გარდა იმისა, რომ პონტოს სამეფო ქართველური მოდგმის ხალხების ტერიტორიაზე იყო შექმნილი (როგორც ქვემოთ ვნახავთ, თვით ქ. სინოპიც ქართველთა მონათესავე ტომის საცხოვრისზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული), მითრიდატე VI-ის დროიდან პონტოს სამეფომ უშუალოდ შეიერთა დასავლურ ქართული სახელმწიფო ეგრისი, ქართლის სამეფოსთან კი სამოკავშირეო ურთიერთობა ჰქონდა [89; 155: 181]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია ძველ ქართველებს პონტოს სამეფოს დედაქალაქი კარგად ეცოდინებოდათ [ქართული წყარო პონტო ქალაქს იხსენიებს მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის დროისთვისაც. 120:240]. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, „ქალაქად“ ძველ საქართველოში სახელმწიფოს დედაქალაქი თბილისი რომ იწოდებოდა, ჯუანშერის პონტო ქალაქი — პონტოს სამეფოს დედაქალაქი სინოპი რომაა, ამაში ეჭვი აღარ შეგვეპარება. სინოპის ასეთი სახელწოდება ჩვენში ძვ. წ. II—I საუკუნიდან უნდა მომდინარეობდეს [პონტოს სამეფოს შესახებ დაწვრილებით იხ. 89; 22; 155:167—185].

დიახ, ვახტანგის შიში „უკუე სპანი ნავებითა მოვიდენ, შეიპყრან გზა ჩუენი და მოგუწყჳდნენ ჩუენ, ვითარცა ბაკსა შინა“ სწორედ მაშინაა გამართლებული პონტო ქალაქად თუ ქ. სინოპს მივიჩნევთ და ეი რატომ. ახლა ამ მხრივ გადავხედოთ მცირე აზიის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას.

შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მცირე აზიაში ჩრდილო პონტოს მთები არტყია. მთების ფართო და ძნელად გასავალი მთაგრეხილები გადაჭიმულია ზღვის სანაპიროს გასწვრივ პარალელურად სამხრეთი კავკასიის მთებიდან თრაკიის ბოსფორამდე. მთები განსაკუთრებით მაღალი და გაუვალია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. აქ მთათა უმაღლესი მწვერვალები 4000, ხოლო გვერდითი მწვერვალები 3300 მეტრს აღწევს. მთებს შორის არის მრავალრიცხოვანი მთის მდინარეების მიერ გაჭრილი ღრმა და ვიწრო ღრმულები და ხევები.

აღმოსავლეთ პონტოს მთებში დღეისათვის გადადის ერთი გზა, რომელიც როგორც ჩანს, იმ ადგილზეა გაყვანილი, სადაც ზღვასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებს შორის უძველესი დამაკავშირებელი მაგისტრალი გადიოდა. ეს გზა კვეთს სამ უღელტეხილს, რომელთაგან ერთი — ზიგანის უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან 2025 მეტრია და ზღვისპირას მდებარე ქ. ტრაპიზონს კარნუ-ქალაქთან აკავშირებს. დანარჩენი გზები მთის ბილიკებია და მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის არის გამოსადეგი, ისიც ზაფხულში [157:13—14].

ასეულობით კილომეტრზე გადაჭიმულ პონტოს მთებს, რამდენიმე ადგილს კვეთს ისეთი დიდი მდინარეები, როგორებიცაა: ყიზილ-ირმაქი (ძველი ჰალისი), ეშილ ირმაქი (ძველი ირისი), თერმიჩაი (ძველი თერმოდონტი), ჭოროხი და სხვა შედარებით პატარა მდინარეები. მაგრამ, ეს მდინარეები სანაოსნოდ არ გამოიყენება, და როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული უფრო აძნელებენ ქვეყნის შიდა რაიონების ზღვის სანაპიროსთან კავშირს, ვიდრე ხელს უწყობენ [157:14—15]. მცირე აზიის გეოგრაფიის სპეციალისტთა მითითებით შავი ზღვის მთელ სამხრეთ სანაპიროზე დასავლეთში მდებარე ამასტრიდიდან ტრაპიზონამდე მხოლოდ ამისო (სამსუნი) წარმოადგენს ერთადერთ ღია კარს შიდა ქვეყანაში დასაკავშირებლად. აქ ჩრდილო პონტოს მთები შედარებით დაბალია და ზღვის პირიდან გზა ამასიაზე გავლით შიდა კაპადოკიისაკენ მიემართება. უძველესი დროიდან სწორედ ასე გადიოდა ერთადერთი გზა, რომელიც მცირე აზიას კვეთდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და შავი ზღვის სანაპირო რაიონებს ანატოლიის შიდა მხარეებთან აკავშირებდა [157:14; 158:32]. აქედან კი გზები მიემართებოდა ხმელთაშუა ზღვისაკენ, სირიისაკენ, წინა აზიისაკენ [157:14. დღეისათვის სწორედ ამ გზაზე გადის რკინიგზა. 157:14, შენ. 3].

როგორც ვხედავთ, ვარაზ-ბაკურის ლაშქარი თუ სინოპთან დარჩებოდა, ბიზანტიელთა ზღვით მომავალი ლაშქარი კი მათ გვერდს აუვლიდა და ამისოსთან გადმოსხდებოდა ხმელეთზე (აქედან მცირე აზიის შიდა რაიონებისაკენ მიმავალი გზაც მის ხელში მოექცეოდა), სინოპთან მდგარი ლაშქარი ზღვისპირას მომწყვდეული აღმოჩნდებოდა. რადგან დასავლეთისაკენ მოძრაობის შემთხვევაში, ვარაზ-ბაკურის ლაშქარი იმპერიის სიღრმეში შევიდოდა (საიდანაც იმპერიის ლაშქარი მოემართებოდა), აღმოსავლეთით წამოსასვლელ გზაზე ზღვით მოსული ბიზანტიელები დახვდებოდა, სამხრეთით გაუვალი მთები იყო, ხოლო ჩრდილოეთით ზღვა.

ყოველივე ზემოთქმული იყო გათვალისწინებული ვახტანგის სატყვებში. ამიტომ, სინოპიდან წამოსვლის შემდეგ ვარაზ-ბაკურის ლაშქარმა ბიზანტიელებთან ბრძოლა რადგან ისევ ზღვის პირას გადაიხადა, ლაშქარი ქ. ამისოს ახლოს უნდა დაბანაკებულიყო. აქედან მცირე აზიის შიდა რაიონებისაკენ გამავალი გზა [157:36] დამარცხების შემთხვევაში ვარაზ-ბაკურის ლაშქარს უკან დახევის საშუალებას აძლევდა. მეორე მხრივ, ზემომოყვანილ ცნობაში მოთხრობილი ის ამბავი, როცა ვარაზ-ბაკურის ლაშქრის „აყრის“ შემდეგ, სიკვდილამდე მიწევნილმა მოქალაქეებმა ვახტანგს ძღვენი მიართვეს, რა თქმა უნდა, სინოპში მომხდარად უნდა მივიჩნიოთ[61].

პონტო ქალაქიდან წამოსული ლაშქარი 5 დღის სავალის შემდეგ, როგორც ჯუანშერი წერს, რადგან „სპერით კერძო“, ე. ი. „სპერის მხარეს“ (სპერის მიმართულებით) დადგა, გამოდის, რომ სინოპიდან ამისოსთან მოსული ლაშქარი ქ. ამასიის მოპირდაპირე მხარეს ზღვის პირას გაჩერდა. ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, ანდრეთიდან პონტო ქალაქისაკენ მიმავალმა ლაშქარმა ამ გზაზე ქ. სტერი აიღო, უნდა დავასკვნათ, რომ ჯუანშერის თხზულების ამ ადგილას „სტერის“ მაგიერ „სპერი“ არის ჩასწორებული (ალბათ ძველი ქართული პროვინციის სახელის ანალოგიით) და ჯუანშერის მიერ დასახელებული ქ. სტერი ამასიაა. როგორც ჩანს, პონტოს სამეფოს პირველ დედაქალაქ-ამასიას ძველი ქართველები სტერის სახელით იცნობდნენ.

„ზღვის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“-ზე მდგარ ლაშქარს ჩქარა ბიზანტიელებიც მოადგნენ. ზღვით მოსულ 500 დრომონში, — როგორც წყაროშია ნათქვამი, — თითოში 500 მეომარი იჯდა, ხმელეთით („პონტოს გზით“) კი 800000 კაცი მოემართებოდა.

---

[61] პონტო ქალაქი რადგან სინოპია, მაშინ ჯუანშერის ცნობა, რომ „მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქის მის კონსტანტინისა“ [120:160] შეიძლება მართალიც იყოს. ჯუანშერის თანახმად პონტო ქალაქთან მოლაშქრენი რადგან 4 თვე იდგნენ [120:163] და იგი ვერ აიღეს, ამ დროის განმავლობაში, ცხადია, არაერთი მარბიელი რაზმი გაეიდოდა საძარცვავად. თანაც, სინოპიდან კასტამონამდე 3, ხოლო კასტამონიდან კონსტანტინოპოლამდე ცხენოსანისათვის, რადგან 8 დღის სავალი იყო [150:23, შენ. 30], ცხენოსანი რაზმისათვის სინოპიდან კონსტანტინოპოლის გარეუბნებამდე მიღწევა არც ისე ძნელი იქნებოდა. ასე გაუგია ჯუანშერის ცნობა ვახუშტისაც. „არამედ მარბიელმან მიუწივეს კოსტანტინოპოლედ“ წერს იგი [41:105]. ნ. ლომოურმა ჯუანშერის ეს ცნობა მთელი ლაშქრის უშუალოდ კონსტანტინოპოლში ჩასვლად გაიგო [73: 27].

დასახელებული ჯარის რაოდენობა ძალზე გადაჭარბებულია. ჯუანშერის თხზულებაში იგი გვიან რომაა ჩასწორებული, ეს „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანიდან ჩანს. მასში ნათქვამია: ბრძოლის დროს ვარაზ-ბაკურის ჯარი „ბერძენთა კეისარმა ცხრა ათასით გააქციაო“ [96:164], მაგრამ ვფიქრობ, არც სომხური თარგმანის ცნობა უნდა იყოს დედნისეული.

პეტრე და სამოელ კაპადოკიელების[62] შუამდგომლობით ვახტანგმა რადგან ვარაზ-ბაკურისაგან შეუთანხმებლად დადო ზავი იმპერატორთან, ზღვის პირას ვარაზ-ბაკურის ლაშქარსა და ბიზანტიელებს შორის მომხდარ ბრძოლაში ვახტანგის (საერთოდ ქრისტიანთა) ჯარმა მონაწილეობა აღარ მიიღო, რის გამოც „იძლია ბანაკი აღმოსავლეთისა“. ბრძოლაში დაიღუპა თვით ვარაზ-ბაკური, ლეკთა მეფე იპაჯაჯი, მრავალი ერისთავი [120:173].

ასე რომ, ჯუანშერის ცნობით, ზღვის პირას — „ხერთვისის რიყეზე“ მომხდარი ბრძოლა „აღმოსავლეთის ბანაკისათვის“ მეტად სისხლისმღვრელი გამოდგა. რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბიზანტიურ სინამდვილეშიც ასახულა.

ბრძოლა თუ ბიზანტიურ წყაროში აისახა, ცხადია ჯუანშერის ცნობებს ამ ბრძოლის შესახებ მეტი ნდობით უნდა მოვეკიდოთ. ამიტომ ვნახოთ, სად და როგორ წარიმართა ბრძოლა. ჯუანშერის თანახმად, ბრძოლა რადგან „ზღვს კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“ მოხდა, უნდა გაირკვეს ქ. ამისოსთან თუ იყო ასეთი ადგილი.

ჯერ ვნახოთ რას ნიშნავს „ხერთვისი“. როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნე, ჯუანშერის ცნობები ამ ლაშქრობის შესახებ არავის უკვლევია, რის გამოც, არც „ხერთვისის რიყე“ და „ჭალაკი“ არავის უძებნია. აღნიშნულთან ერთად, ჯუანშერის მიერ მოხსენიებული „ხერთვისი“ [120:173, 202] „ქართლის ცხოვრებისადმი“ დართულ ლექსიკონში განმარტებული არის როგორც „ნახევარკუნძული“ ან „კუნძული“ [99:460. ხერთვისი ასეა ახსნილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა, ტ. 8, გვ. 1426, და ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში, გვ. 562]. ამიტომ, ჯუანშერის თხზულების რუსულ

---

[62] პეტრე და სამოელი ჯუანშერის ცნობით იმ „მღდელთა, დიაკონთა, მოწესეთა და მონაზონთა“ შორის იყვნენ, რომელნიც „უმრავლესნი პონტო ქალაქის“ ქუაბებიდან გამოვიდნენ [120:163]. მართლაც ქ. სინოპის გარეუბნებში მრავლადაა გამოქვაბულები [157:34].

თარგმანში გ. წულაიამ „რიყე ხერთვისისა“ გადაიტანა როგორც „ნახევარკუნძული“ [140:76, შდრ. იქვე, გვ. 126, შენ. № 115], ხოლო „არაგუსა ხერთვისსა“ როგორც „არაგვის ყურე“ [140:93].

თუ ჯუანშერის ტექსტის შინაარსს გავითვალისწინებთ, მაშინ არ შეიძლება „რიყე ხერთვისისა“ ნახევარკუნძულად, ხოლო „არაგუსა ხერთვისსა“ „არაგვის ყურედ“ გავიგოთ. ძველად „ხერთვისი“, უპირველეს ყოვლისა, ორი მდინარის შესართავს ან მდინარის ზღვასთან (ტბასთან) შესართავს აღნიშნავდა (გავიხსენოთ ჯავახეთში ხერთვისის ციხის და აჭარაში სოფ. ხერთვისის მდებარეობა). ძველად „ხერთვისი“ ზღვასთან მდინარის შესართავსაც რომ ნიშნავდა, ეს კაპადოკიელი სოფისტის ასტერიოს ამასიელის (დაახლოებით 320—410) თხზულების ძველი ქართული თარგმანიდანაც ჩანს. მისი ცნობით, ქ. სინოპში მცხოვრებ ფოკას ბაღი ჰქონდა „...წინაშე ბჭეთა ქალაქისათა, პირსა ზედა ხერთვისისასა“ [56:228. მეტაფრასულ რედაქციაშია — „პირსა თანა ზღვისასა“. გვ. 235]. მოტანილ ცნობაში ცხადია, ზღვასთან მდინარის შესართავის გვერდით მდებარე ბაღზეა მითითება და არა იმ ნახევარკუნძულზე, სადაც თვით ქ. სინოპი მდებარეობს. სხვათა შორის, ივ. ჯავახიშვილმა თვით სახელი „სინოპა“ ჩრდილო კავკასიური ენების საფუძველზე „მდინარის შესართავად“ ახსნა [139:143]. ასეთი ახსნა მ. მაქსიმოვამ იმ საფუძველზე მიიჩნია საეჭვოდ თითქოს სინოპთან ზღვას მდინარე არ ერთვის [157:41, შენ. 1], მაგრამ არაა სავალდებულო „ხერთვისად“ მაინცდამაინც დიდი მდინარის შესართავი მივიჩნიოთ. ქ. სინოპთან ზღვას პატარა მდინარე მართლაც ერთვის.

ასე რომ, ჯუანშერის გამოთქმაში „ჭალაკი რიყე ხერთვისისა“ ისეთ ადგილს ნიშნავს, სადაც ზღვას მდინარე ერთვის და ამ შესართავში რიყეზე ლერწმოვანი არის[63]. სწორედ ასეთ ადგილს წარმოქმნის ქ. სამსუნთან მდ. მერედ-ირმაქი ზღვასთან შესართავში.

პონტო ქალაქიდან უკან დახეული „აღმოსავლეთის ლაშქარი“, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ქ. ამისოს (ახლანდელი სამსუნი) ახლოს უნდა გაჩერებულიყო, იქ სადაც ზღვას მერედ-ირმაქი ერთვის. ეს მდინარე მცირეწყლიანია და მისი ყველა ზედა შენაკადი ზაფხულში შრება. ზღვის შესართავთან დაახლოებით 13 კმ. მდინარე ვაკეზე მიედინება. აქ მისი ნაპირები დაბალია, რის გამოც გაზაფხულის წყალდიდობისას მდინარის წყალი კალაპოტიდან გადმოდის და ნაპირების

---

63 თავისთავად ცხადია ჯუანშერის გამოთქმაში „არაგვის ხერთვისსა“, მტკვართან არაგვის შესართავი იგულისხმება და არა „არაგვის ყურე“ (იხ. თავი IX).

მიმდებარე ვაკეს ფარავს. მდინარიდან გადმოსული წყლით დაჭაობებულ ტერიტორიაზე ლერწამი იზრდება. ჭაობებსა და წყალდიდობისას გაჩენილ გუბეებში დამდგარი წყალი ქ. სამსუნის ჰავაზე მოქმედებს, რის გამოც მაისის ბოლოდან ოქტომბრის დამდეგამდე ქალაქში და მის შემოგარენში ციება იცის [162:118].

როგორც ვხედავთ, ჯუანშერის მიერ ბრძოლის ადგილად დასახელებული „ჭალაკი რიყე ხერთვისისა“ ზუსტად შეესაბამება შავ ზღვასთან მდ. მერედ-ირამაქის შესართავთან გაჩენილი ლერწმოვანისა და შემოდგომაზე ამ მდინარის წყალმცირობით წარმოქმნილი რიყის თანამედროვე აღწერას. ბრძოლის ველის ასეთი დაწვრილებითი აღწერა, ვფიქრობ, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, ჯუანშერი ამ ბრძოლის მონაწილე რომ იყო (ბრძოლა 456 წლის შემოდგომის დამდეგს უნდა გამართულიყო).

ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობა რიყეზე ბრძოლით არ დასრულებულა. ვახტანგის მიერ იმპერატორთან საიდუმლოდ ზავის დადების მიუხედავად, ბიზანტიელებსა და ვახტანგის ჯარს შორის ბრძოლა მაინც მოხდა. ძველი ჩვეულებისამებრ ბიზანტიელთა ერთ-ერთმა სარდალმა, როგორც ჯუანშერი გვამცნობს, ვახტანგი ორთა ბრძოლაში გაიწვია. მას შემდეგ, რაც ვახტანგმა იგი მოკლა, ბიზანტიელთა ლაშქარი ბრძოლაში ჩაება. მაგრამ ქართველებმა „აოტნეს იგინი“ (ბიზანტიელები) „მიაწყუდინეს ზღუს პირსა“ და ისინი „ივლტოდეს ნავითა“ [120:175—176].

აი, ამ ბრძოლით დამთავრდა ბიზანტიის წინააღმდეგ ვარაზ-ბაკურისა და ვახტანგის მიერ 453 წ. წამოწყებული ლაშქრობა. ლაშქრობა რადგან 3 წელი გაგრძელდა მდ. მერედ-ირმაქის ხერთვისში — რიყეზე მომხდარი ბრძოლა 456 წლით უნდა დათარიღდეს. ბრძოლაში საბოლოოდ მართალია ვახტანგმა გაიმარჯვა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბიზანტიურ სინამდვილეში იგი მაინც „აღმოსავლეთის ბანაკის“ სისხლისმღვრელი ეპიზოდის გამო ასახულა.

იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც „აღმოსავლეთის ბანაკისათვის“ სისხლისმღვრელი იყო, V ს. ესპანელი ქრონისტი ჰიდატიუსი მოგვითხრობს. ჰიდატიუსის თანახმად, ტრიბუნი ჰესიხიუსი, რომელიც თეოდორიხესთან იყო გაგზავნილი დიდძალი საჩუქრებით, გალისიაში მოვიდა და აცნობა მას ის, რაც ზემოთ [ითქვა], რომ „კორსიკაში მოკლულ იქმნა დიდი სიმრავლე ვანდალებისა და ავიტუსი იტალიიდან გალიაში არელატეს მიადგა. აღმოსავლელთა ხომალდები ჰისპალისში მივიდა

და ამბავი მოიტანეს, რომ [ლაზ]ები იქნენ ამოჟლეტილი მარკიანეს ჯარის მიერ“ [121:277].

მერედ-ირმაქის ხერთვისში ბრძოლა, როგორც ითქვა, 456 წლის შემოდგომაზე უნდა მომხდარიყო. ამ ბრძოლის თანადრულად ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მარკიანე იჯდა. იგი 457 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა და ცხადია, ჰიდატიუსის ცნობაში რადგან მარკიანე იხსენიება, ჰიდატიუსის აღწერილ ამბავში 457 წლის წინა — 456 წელს მერედ-ირმაქის ხერთვისთან მომხდარი ბრძოლა უნდა იყოს ასახული.

როგორც ს. ყაუხჩიშვილი წერს, ცნობა ბიზანტიელთა მიერ ლაზების ამოჟლეტის შესახებ თ. მომზენის კონიუქტურაა. მან გაუგებარი გამოთქმა caesas გათიშა და შუაში ჩასვა os Laz, რითაც ნათელი გახდა მთელი წინადადების აზრი [121:277].

ვფიქრობ, თ. მომზენის ჩასწორების შედეგად მიღებული ტექსტის სანდოობა ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობებით დასტურდება. ჰიდატიუსის ცნობაში მერედ-ირმაქის ხერთვისის რიყეზე გამართული ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს ასახული.

ჯუანშერის თანახმად, ბრძოლის შემდეგ თვით იმპერატორი მივიდა ბრძოლის ადგილას და ვახტანგთან ზავი დადო[64], რომლითაც „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და ხევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა“ [120:177]. შემდეგ იმპერატორმა გამოიკითხა თუ სად იყო ბიზანტიელთა საზღვარი აფხაზეთში. როგორც ზემოთ ვაჩვენე, ეგრისის ტერიტორია ეგრისწყლიდან ციხეგოჯამდე ბიზანტიელებმა 441 წელს მიიტაცეს, ხოლო 447—450 წლებში ვახტანგმა კვლავ დაიბრუნა. ამიტომ, ახლა იმპერატორს ვახტანგისათვის უთქვია: „ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა — ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუმოგუეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა“ და დაუწერა

---

64 ბრძოლის ველზე თვით იმპერატორის ყოფნის შესახებ ჯუანშერის თხზულებაში არსებული ცნობა საეჭვო ჩანს. როგორც ი. კულაკოვსკი წერს, გარდაცვალებამდე (ე. ი. 457 წ. 26 იანვრამდე) ხუთი თვე იმპერატორი მარკიანე მწოლიარე ავადმყოფი ყოფილა [152:329], რის გამოც იგი ბრძოლის ველზე ვერ მივიდოდა. როგორც ზემოთ შევნიშნე (იხ. გვ. 86, შენ. 29), დედოფალი ელენე რადგან ლეონის ასული უნდა ყოფილიყო, იქნებ ბრძოლასა და ზავის დადებაში ლევ I (457—474) მონაწილეობდა და იგი იხსენიება იმპერატორად?

ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“ [120:177].

ვახტანგსა და ბიზანტიის იმპერატორს შორის გამართული მოლაპარაკების დროს მათი შეთანხმება, როგორც ვნახეთ, ეგრისის ტერიტორიასაც შეეხო. იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ეგრისის ცალკე სამეფო არსებობდა, ამიტომ ისმება კითხვა. რა უფლებით სარგებლობდა ქართლის მეფე ვახტანგი ეგრისის სამეფოში 447—450 წლებში ჯერ ბიზანტიელთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები რომ დაიბრუნა, შემდეგ კი 456 წელს იმპერატორმა მასვე რომ დაუთმო აფხაზეთის ნაწილი?

ვახტანგ გორგასლის ეგრისის სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევა, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მითითებული, მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, ისევე როგორც ქართლი, იმ ხანად ეგრისიც ირანის გავლენის ქვეშ რომ იყო, ვახტანგი იქ მოქმედებდა, როგორც ირანის პოლიტიკის გამტარებელი.

როგორც ზემოთაც მივუთითე, 453 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ წამოწყებულ ომში ეგრისიც მონაწილე უნდა ყოფილიყო. სწორედ იმ ხანაში ეგრისის მეფის გუბაზ I-ის ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყება, მის მიერ დასახმარებლად ირანის მოხმობა, იმპერატორ მარკიანეს მიერ გუბაზის წინააღმდეგ ჯარის გამოგზავნა, ვფიქრობ, საფუძველს იძლევა 453—456 წლებში ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის მონაწილედ ეგრისის სამეფოც მივიჩნიოთ. მით უმეტეს, როგორც ვნახეთ, ჰიდატიუსის ცნობაში ბიზანტიელთა მიერ მხოლოდ ლაზთა ამოჟლეტაზე გვაქვს მითითება. სწორედ ზემოაღნიშნულით იყო განპირობებული, ამ ომის შემდეგ ბიზანტიელთა მოთხოვნით ეგრისის მეფე გუბაზი იძულებული რომ შეიქნა გადამდგარიყო და ტახტი თავისი ძისათვის — წათესათვის დაეთმო[65]. შემთხვევითი არ

---

[65] გუბაზ I და წათე ვახტანგის თანამედროვენი იყვნენ. სწორედ 456 წელს უნდა გადამდგარიყო ტახტიდან გუბაზ I, თუმცა კონსტანტინოპოლში იგი გვიან 465 წელს ჩავიდა. მისი კონსტანტინოპოლში ჩასვლა ასახულია დანიელ მესვეტის „ცხოვრებაში“ [151:5—8]. ნ. ლომოურის თანახმად გუბაზი 456 წელს აჯანყდა ბიზანტიის წინააღმდეგ, დახმარება სთხოვა ირანს, მაგრამ უშედეგოდ (იხ. ქსე. ტ. 3, გუბაზ I). რადგან პრისკე 456 წელს ჩავიდა ეგრისში, გუბაზ I ადრეევე ირანის მხარეზე უნდა ყოფილიყო, ხოლო 456 წელს იძულებული გახდა კვლავ ბიზანტიელთა მხარეზე გადასულიყო. თუმცა ამის შემდეგაც კარგა ხანს მას სპარსული ტანისამოსი უტარებია.

ისაა, 465 წელს საიმპერატორო კარის დაჟინებული მოთხოვნით როცა გუბაზი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, მას ისევ სპარსული ტანისამოსი რომ ეცვა და მიდიური (ე. ი. სპარსული) წესის მიხედვით მეშუბენი ახლდნენ[66].

ასე რომ, მიუხედავად იმისა, ომში ეგრისის მონაწილეობის შესახებ ჯუანშერი არაფერს წერს (თუმცა, მისი ცნობებიდან ეგრისის ომში მონაწილეობა მაინც ივარაუდება), ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ეს საეჭვო აღარ ჩანს. სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას, 456 წელს იმპერიასთან დადებული ზავის პირობები უშუალოდ ეგრისის ტერიტორიასაც რომ შეეხო. უფრო მეტიც, ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი და დიპლომატი პრისკოს პანიელი 456 წელს ხომ თვითონ ჩავიდა ეგრისში ზავის დასადებად [186:4, 83—84. ალბათ, 456 წ. ქ. ამისოსში ვახტანგსა და იმპერატორს (?) შორის დადებული ზავის ზოგიერთი პირობა პრისკოსმა თვით ეგრისში დააზუსტა].

ასე დასრულდა ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის სარდლობით ირანის ჩრდილო მხარეში შემავალი ქვეყნების ლაშქრობა ბიზანტიის წინააღმდეგ. ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე, ეს ლაშქრობა 453—456 წლებით თარიღდება, ხოლო ბრძოლა, რომელიც ზღვის პირას ქ. ამისოსთან ახლოს „ხერთვისის რიყეზე" გაიმართა, მდ. მერედ-ირმაქის ზღვასთან შესართავში უნდა მომხდარიყო 456 წლის შემოდგომაზე. ეს ბრძოლა ჩანს ასახული ჰიდატიუსის ქრონიკაში. ჯუანშერის მიერ ლაშქრობის ბოლო პუნქტად დასახელებული პონტო ქალაქი, პონტოს სამეფოს დედაქალაქი ქ. სინოპი უნდა იყოს, ქ. ანძორეთი — ქ. ნეოკესარია, ხოლო ქ. სტერი — ქ. ამასია. რაც შეეხება „დიდი გრიგოლი მოძღვარის" ვინაობას, იგი როგორც ჩანს, ცნობილი პონტოელი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ სასწაულთმოქმედია.

ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი სამწლიანი ომის შესახებ ჰიდატიუსის ქრონიკამ თუ მხოლოდ „ხერთვისის რიყეზე" „ლაზების ამოწყვეტის" ამბავი შემოინახა, სამაგიეროდ ჯუანშერი დეტალურად გადმოგვცემს ლაშქრობის მსვლელობას. ამ მხრივ ძველი ქართველი ავტორის ცნობები უნიკალურია. ჰიდატიუსის ქრონიკაში მხოლოდ „ხერთვისის რიყეზე" მომხდარი ბრძოლა რომ აისახა, ეს იმით იყო

---

66 წათე I-მა თუ 456 წ. დაიკავა ეგრისის ტახტი (თუნდაც 465 წ. როგორც ეს ქსე-ში, იხ. გუბაზ I. არის მითითებული), მაშინ ის წათე, რომელიც ღუსტინე I-ის თანამედროვე იყო და 523 წ. მოინათლა (იხ. ქსე, ტ. 10, სტ. წათე I) წათე II უნდა ყოფილიყო.

განპირობებული იმპერიის ხელისუფლებამ ვარაზ-ბაკურის ლაშქრის წინააღმდეგ 456 წელს რომ შეძლო ჯარის გამოყვანა[67].

ვარაზ-ბაკურის ლაშქართან ერთად ქართველი მხედრობით ვახტანგ გორგასალმა ქ. სინოპამდე (პონტო ქალაქი) მიაღწია. იმპერიასთან დადებული ზავით დაიბრუნა „...საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და ხევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა“ [120:177]. თავისა უფლება დააკანონა რევიანთა კუთვნილ ქართლზე. შემდეგ, როცა იმპერატორის ასული ელენე მოიყვანა, მზითვად მიიღო დასავლეთ საქართველოში ქვეყანა „ეგრის წყალსა და კლისურას შუა“ [120:177].

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც 453—456 წლებში ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ეგრისის სამეფოც უნდა ყოფილიყო. ეგრისში პრისკოს პანიელის ჩასვლისა და ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის დამთავრების თარიღების დამთხვევა, ამის შესახებ მიგვითითებს.

პრისკოს პანიელი როცა ეგრისში დადებული ზავის შესახებ მოგვითხრობს, მართალია, ომის შესახებ არაფერს წერს, მაგრამ, რადგან იმ ხანად ეგრისის სამეფო ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებული იყო და ამ აჯანყებისას დახმარება ირანის შაჰს სთხოვა, საეჭვო არ უნდა იყოს, იმპერიის ხელისუფალთა მიერ ეგრისში პრისკოსის გაგზავნა, სწორედ ზემოხსენებულმა ომმა რომ განაპირობა. ამ დროს მოსთხოვა იმპერიამ ირანული ორიენტაციის მეფეს გუბაზ I-ს გადამდგარიყო და ეგრისის სამეფო ტახტი თავისი ძისათვის წათესათვის დაეთმო.

თ ა ვ ი VIII.

ჯუანშერი პეროზის მეფობის პირველი წლების შესახებ

სასანიანთა დინასტიის შაჰების რიგი, ზეობის წლები და მათი ურთიერთნათესაური დამოკიდებულება დღეისათვის, მართალია, შედარებით ზუსტათაა დადგენილი, მაგრამ გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნეებს დიდი შრომა დასჭირდათ სანამ სასანიანი შაჰების ამქამად

---

67 453 წელს ჰუნთა წინამძღოლის ატილას გარდაცვალების შემდეგ, მის გაერთიანებაში შემავალმა ჰუნებმა და სხვადასხვა ხალხებმა მდ. დუნაი გადალახეს და იმპერიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ [152:324]. იმპერიას მათ შესაჩერებლად, რა თქმა უნდა, ძალების მობილიზაცია დასჭირდებოდა.

ჩვენთვის ცნობილი გენეალოგიური ცხრილი შედარებით ასეთ სრულყოფილ სახეს მიიღებდა.

დიდხანს გაურკვეველი იყო ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სასანიანი შაჰის — პეროზის ზეობის წლები, განსაკუთრებით მისი გამეფების თარიღის დადგენა გაჭირდა. პეროზის გამეფების თარიღის დადგენის საქმეს, ამ საკითხის შესახებ საისტორიო წყაროთა ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები ართულებდა (პეროზის ზეობის წელთა დასადგენად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მკვლევრები ძირითადად ბიზანტიურ და სომხურ საისტორიო წყაროთა მონაცემებს იყენებდნენ).

პეროზის გამეფების თარიღად დღეისათვის 459 წელია მიღებული. თუმცა, მის გამეფების თარიღს ზუსტად არც ეს წელი უნდა ასახავდეს. ასეთი ეჭვი დასმული საკითხის შესახებ საისტორიო წყაროებში არსებული მასალის ანალიზისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებათა გაცნობის შემდეგ გამიჩნდა.

პეროზის გამეფების თარიღის შესახებ მკვლევართა შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობა კარგად ჩანს VI ს. ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის თხზულების რუსული თარგმანისადმი დართულ გაბრიელ დესტუნისის კომენტარებიდან (თარგმანი 1869 წელს გამოქვეყნდა). კომენტარებში გ. დესტუნისი ვრცლად შეეხო პეროზის იმ ხანად ჯერ კიდევ დაუდგენელ ზეობის წლებს. როგორც მის მიერ მოტანილი მასალიდან ჩანს პეროზის მეფობა ი. ასემანმა 462—488, შ. ლებომ 461—485, რიხტერმა 461—487, სენ-მარტენმა 458—484, ა. მორდტმანმა 457—483, ე. მურალტმა 459—483, ქ. პატკანოვმა 457—486 წლებით განსაზღვრა. ე. გიბონს პეროზის გამეფების თარიღზე საერთოდ არაფერი აქვს ნათქვამი. გარდაცვალება კი 488 წლით აქვს დათარიღებული [182:43, შენიშვნა].

პეროზის გამეფების თარიღის შესახებ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეებს, როგორც ვხედავთ, ერთმანეთისაგან განსხვავებული თარიღები (457, 458, 459, 461, 462) აქვთ მოცემული. „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში ივ. ჯავახიშვილს პეროზის ზეობის წლებად 458—484 წწ. აქვს მითითებული [111:281], ამიტომ, ვ. გაბაშვილმა კომენტარში მიუთითა რომ 459—484 წლები უნდა იყოსო [111:431].

ქართლში ვახტანგ გორგასლის მეთაურობით მომხდარი ანტიირანული აჯანყების თარიღის დადგენისას ლ. ჯანაშია პეროზის გამეფებისა და გარდაცვალების წლებსაც შეეხო. განიხილა რა ძველ სომეხ

ავტორთა ცნობები აღნიშნა: „უფრო შესაძლებელია, რომ ღ ა ბ ა ფარ-
პეცის შეშლოდა თარიღი (პეროზის ოცდამეოთხე წლის მაგივრად
ეთქვა ოცდამეხუთე წელი), ვიდრე დავიწყებოდა და არეოდა თვით
აჯანყების მსელელობა და ორი წლის ამბები სამზე განევრცო. ამას-
თანავე, როგორც ცნობილია, — დასძენს იგი, — პეროზის გამეფებამ-
დე მას და მის ძმას შორის ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა
ბრძოლა ძალა-უფლებისათვის. ასეთ პირობებში პეროზის დაღუპვის
თარიღი უფრო გარკვეულად და სანდოდ გვეჩვენება ვიდრე მისი გა-
მეფებისა“ [118:142].

პეროზის გამეფების თარიღი რომ დიდხანს დაუდგენელი იყო, ეს, როგორც ითქვა, ამ საკითხის შესახებ ძველ წყაროებში არსებული განსხვავებული მონაცემებით იყო განპირობებული. ამიტომ საინტერესოა პეროზის ზეობის პირველი წლების შესახებ რა ცნობა აქვს ჯუანშერს და როგორია მისი მეცნიერული ღირებულება.

პეროზის მეფობის პირველი წლების შესახებ ჯუანშერის ცნობა, ვფიქრობ, იმითაა საინტერესო, რომ ამ უკანასკნელ ხანებამდე საერთოდ ზღაპრული შინაარსის მქონედ მიჩნეულ მის თხზულებაში, ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ეს უმნიშვნელო საკითხიც კი რეალურადაა წარმოდგენილი.

პეროზის ზეობის თარიღთა შესახებ არსებული შეხედულებების განხილვის შემდეგ გ. დესტუნისი აღნიშნავს, რომ იგი თავს ვერ იღებს ამ რთული საკითხის გარკვევას. თუმცა, შემდეგ იქვე დასძენს, რომ მას უფრო სწორად ა. მორდტმანისა და ქ. პატკანოვის თარიღები მიაჩნია [182:43—44, შენიშვნა].

ა. მორდტმანი და ქ. პატკანოვი პეროზის გამეფების თარიღად, როგორც ვნახეთ, 457 წელს მიიჩნევდნენ. პეროზის გამეფების (იგივე იეზდიგერდის გარდაცვალების) თარიღად 457 წელი, — წერს გ. დესტუნისი, — ქ. პატკანოვს შემდეგი გზით აქვს მიღებული. XII ს. ქრონისტის მიხეილ სირიელის ცნობით, პეროზი და ბიზანტიის იმპერატორი ლევ I თანადროულად — სირიული ერის 769 წელს გამეფდნენ. 769 წელი კი 457 წელს შეესაბამება. ქ. პატკანოვის თანახმად, — განაგრძობს იგი, — ეს წელი უნდა მივიღოთ იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების თარიღად. რის შემდეგაც მის ძეებს შორის შინაომი დაიწყო. თუ 457 წელს მივუმატებთ შინაომის 2 წელს, მივიღებთ 459 წ., როცა პეროზმა გაიმარჯვა ძმაზე და ტახტზე დამკვიდრდა [182:43—44, შენიშვნა]. რაც შეეხება ა. მორდტმანს, — განაგრძობს გ. დესტუნისი, — მან თავის სასანიანთა ქრონოლოგიაში სომეხი ისტორიკოსის

ელიშეს მონაცემებზე დაყრდნობით როგორც იეზდიგერდ III-ის (პატკანოვით II) გარდაცვალება, ისე მისი მემკვიდრის პეროზის გამეფება 457 წლით განსაზღვრა, რის გამოც, შინაომის 2 წელმა აქ ასახვა ვერ ჰპოვა. სხვა ნაშრომში, რომელიც მონეტებს ეხება, ა. მორდტმანმა იეზდიგერდსა და პეროზს შორის 457—458 წლებში ჰორმიზდ III მოათავსა. მაგრამ, ისედაც რთული საკითხის გადაჭრას ეს კიდევ უფრო აძნელებსო, ასკვნის იგი [182:44, შენიშვნა].

ამის შემდეგ გ. დესტუნისმა თვითონ სცადა პეროზის გამეფების თარიღის განსაზღვრა. მისი სიტყვით 420 წლით ზუსტად თარიღდება ბაჰრამ V-ის მამის — იეზდიგერდ I-ის გარდაცვალება. თუ ამ თარიღს მივუმატებთ ბაჰრამის მეფობის 20 და მისი ძის — იეზდიგერდ II-ის 17 წელს, იეზდიგერდის (II) გარდაცვალება 457 წელზე მოვა. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია, — განაგრძოს გ. დესტუნისი, — გვარწმუნებს, რომ პეროზი დაიღუპა თავისი მეფობის 24-ე წელს. ახლა 457 თუ 23 ან 24 მივუმატებთ, პეროზის გარდაცვალების თარიღად მივიღებთ 480 ან 481 წელს. მაგრამ აგათია არაფერს წერს პეროზსა და მის ძმას შორის მიმდინარე ორწლიან შინა ომზე. თუ მასაც გავითვალისწინებთ, მაშინ პეროზის გარდაცვალება 482 ან 483, ხოლო გამეფება 459 წლით უნდა დათარიღდეს [182:45].

როგორც ვხედავთ, ძველი ავტორების ცნობებიდან გამომდინარე, იეზდიგერდ II-ის გარდაცვალება 457 წელზე მოდის. აღნიშნულთან ერთად, ზოგ ავტორს აქვს ცნობა იეზდიგერდის მემკვიდრეებს შორის ორწლიანი შინაომის შესახებ, ზოგი ავტორი შინაომზე არაფერს წერს და უშუალოდ პეროზის გამეფების ამბავს მოგვითხრობს, რის გამოც, ჰორმიზდ III-ის ორწლიანი მეფობა სათვალავიდან ვარდებოდა. სწორედ ეს გარემოება ართულებდა პეროზის მეფობის დასაწყისი თარიღის ზუსტ განსაზღვრას.

დღეისათვის უკვე გარკვეულია, რომ 457 წელს იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების შემდეგ ირანის ტახტი მისმა უფროსმა ძემ დაიკავა ჰორმიზდ III-ის სახელით. მაგრამ, მას უმცროსი ძმა პეროზი აუჯანყდა და თვითონ მოინდომა გამეფება. ასე დაიწყო ირანის ტახტისათვის ძმებს შორის შინაომი, რომელმაც მ. დიაკონოვის თანახმად სასანიანთა სახელმწიფო ძალიან დაასუსტა. პეროზმა დახმარებისათვის ჰუნ ეფტალიტებს მიმართა. თავის მხრივ, ეფტალიტების მეფეს რადგან სურდა ირანის ტახტზე თავისი კაცი ჰყოლოდა, მან მხარი პეროზს დაუჭირა. პეროზს ასევე მხარში ამოუდგა ირანის ძველი და ძლიერი საგვარეულოები, რომელთათვისაც ხელსაყრელი იყო ძმებს შორის ამტყდარი

შინაომი. ამ ბრძოლაში, — წერს მ. დიაკონოვი, — ჰორმიზდი მოკლული იქნა და ტახტზე პეროზი ავიდა [141:276].

იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების შემდეგ ირანში ამტყდარი შინაომის შესახებ არსებული მიხეილ სირიელის, აგათიას, ლაზარ ფარპეცის, ელიშესა და მოვსეს კალანკატვაცის ცნობებიდან, განსაკუთრებით საინტერესოა სომეხ ავტორთა მონაცემები. ელიშეს თანახმად, იეზდიგერდის გარდაცვალების შემდეგ მისმა ორმა ძემ ტახტისათვის ერთმანეთს ბრძოლა დაუწყო. გაჩაღდა სპარსეთის სახელმწიფოსათვის დიდად საზიანო შინაომი, რომელიც ორ წელს გაგრძელდა. იეზდიგერდის უმცროსმა ძემ — პეროზმა, თავისი აღმზრდელის მიჰრანთა გვარის წარმომადგენლის რაამის ჩაგონებით შეკრიბა არიელთა (ე. ი. ირანის. — ვ. გ.) ჯარის ნაწილი და ჰორმიზდს თავს დაესხა. ასე გახდა პეროზი, დასძენს ელიშე, — მთელი სამეფოს მმართველი [142:169]. ლაზარ ფარპეცის ცნობით კი იეზდიგერდის გარდაცვალების შემდეგ მის ორ ძეს შორის დაიწყო შინაომი. უმცროსმა პეროზმა დაამარცხა უფროსი და მეფე გახდა [172:40]. იეზდიგერდის გარდაცვალების შემდეგ ირანში დაწყებული შინაომის შესახებ ცნობები VII ს. ავტორის მოვსეს კალანკატვაცის თხზულებაშიცაა. იეზდიგერდის გარდაცვალების შემდეგ, — წერს იგი, — საშინელი არეულობა ღრღნიდა სპარსეთს. ვინმე რაჰატი მიჰრანთა გვარიდან, იეზდიგერდის უმცროსი ძის პეროზის აღმზრდელი დიდი ჯარით გაემართა მეფის უმცროსი ძის (სახელს არ ასახელებს. — ვ. გ.) წინააღმდეგ, დაამარცხა იგი და მოკლა. მეფე გახდა მისი აღზრდილი პეროზი [168:28].

პეროზის გამეფების საკითხთან დაკავშირებით სომეხი ავტორების თხზულებებიდან ზემომოტანილ ცნობებში ჩემი ყურადღება შემდეგმა გარემოებამ მიიქცია. როგორც V ს. ავტორები, ელიშე და ლაზარ ფარპეცი, ისე, უფრო გვიანდელი ავტორი, მოვსეს კალანკატვაცი, პეროზის უფროსი ძმის სახელს არ იხსენიებენ. ამ ვარემოებას ქ. პატკანოვმაც მიაქცია ყურადღება [172:41. ალბათ აღნიშნულიც იყო მიზეზი მკვლევართა ნაწილი იეზდიგერდის გარდაცვალების შემდეგ უშუალოდ პეროზის გამეფების შესახებ რომ მიუთითებდა].

ახლა ვნახოთ, რა ცნობები აქვს ჯუანშერს პეროზის ტახტზე ასვლის შესახებ და საერთოდ როგორაა მასთან პეროზის გამეფება წარმოდგენილი.

ბიზანტიის წინააღმდეგ 453 წელს წამოწყებული ლაშქრობის დროს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახტანგ გორგასალი ბიზანტიურ ორიენტაციას დაადგა. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ომი ირანის

ჩრდილოეთი ნაწილის ჯარების გამარჯვებით დამთავრდა, ვახტანგის საქციელით შაჰი ძალიან განაწყენდა. ამიტომ, „...მეფემან სპარსთამან ვითარცა ცნა, ვითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძო, შეიქცა სპარსეთად და მოკუდა. და დაჯდა მეფედ ძე მისი, და ვიდრე მოიწიფებოდა იგი, წარხდა ამას შინა წელიწადი სამი“ [120:178].

მოტანილი ცნობიდან გამომდინარე, ირანის შაჰი 456 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავის შემდეგ ჩქარა მოკვდა. დღეს მიღებული ქრონოლოგიით იეზდიგერდ II რადგან 457 წელს გარდაიცვალა, საეჭვო არ უნდა იყოს, ჯუანშერი იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების შესახებ რომ გვამცნობს. მართალია, ჯუანშერის ცნობაში იეზდიგერდის სიკვდილის ზუსტი თარიღი არაა მითითებული, ამიტომ, მისი გარდაცვალება შეიძლება 456 წლის ბოლოსაც და 457 წლის დამდეგსაც ვივარაუდოთ. მეორე მხრივ, მცირეწლოვან შაჰში ჯუანშერი, რა თქმა უნდა, იეზდიგერდის უმცროს ძეს — პეროზს გულისხმობს, და სწორედ ეს მცირეწლოვანი შაჰი შემოვიდა ქართლში ვახტანგის დასასჯელად შაჰის გარდაცვალებიდან (457 წ.) 3 წლის შემდეგ.

როგორც ვხედავთ, მართალია ჯუანშერს იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების შემდეგ ირანში დაწყებული ორწლიანი შინაომის შესახებ არა აქვს ცნობა, მაგრამ სამაგიეროდ იცის ახალმა შაჰმა ძველის გარდაცვალებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ რომ ილაშქრა ქართლში (ცხადია ჯუანშერისათვის ირანელთა ქართლში ლაშქრობაზე მითითება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ირანში ამტყდარი შინაომი). ჯუანშერის სამწლიანი შუალედი მოიცავს ორწლიანი შინაომის ხანას და იმ დროს, რაც ტახტზე ასულ პეროზს ქვეყნის მოწესრიგებისათვის დასჭირდებოდა.

459 წელს ტახტზე ასული პეროზი, რა თქმა უნდა, ჯერ შეეცდებოდა შინაომის შედეგად თვით ირანში აშლილი საქმეები მოეწესრიგებინა. ამის შემდეგ, როგორც ელიშე წერს, პეროზმა ჩანს, დიდი ხნის წინათ ალბანეთში დაწყებული ანტიირანული აჯანყება ჩაახშო [142:170]. ამასობაში ალბათ ერთი წელი გავიდა და 460 წელს პეროზი დიდი ჯარით ქართლში შემოვიდა.

ასე რომ, პეროზის გამეფების წინ ირანში დაწყებული შინაომი გარკვეულწილად ჯუანშერთანაც არის ასახული. მისი ცნობა იეზდიგერდ II-ის გარდაცვალებიდან პეროზის ქართლში შემოჭრამდე გასული სამწლიანი მონაკვეთის შესახებ, როგორ ვნახეთ, სრულიად დამოუკიდებელია და დღეს ჩვენთვის ცნობილი უცხოენოვან საისტორიო

წყაროში არსებული ცნობებიდან ძირეულად განსხვავდება[68]. ირანში მიმდინარე ამბები მას მხოლოდ ქართლის ისტორიასთან დაკავშირებით აინტერესებს, არ ღალატობს ტრადიციას და ირანის შაჰებს, როგორც ზემოთ შევნიშნე (იხ. გვ. 72 შენ. 26), მხოლოდ ზოგადი სახელით „ხოსრო" იხსენიებს. ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობ, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, ჯუანშერი ვახტანგის თანადროულ ქართლში მომხდარ ამბებს რომ აღწერდა.

თავი IX.

ირანის შაჰის ლაშქრობა ქართლში 460 წელს

ვახტანგ გორგასალი როცა ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში იმყოფებოდა, 455 წელს მისი მეუღლე, ირანის შაჰის ასული ბალენდუხტ დედოფალი დაჩისა და მისი ტყუპისცალი დის მშობიარობას გადაჰყვა (იხ. გვ. 85). ამიტომ, 456 წელს ომის დამთავრებისას ბიზანტიის იმპერატორთან მოლაპარაკებისას ვახტანგი დათანხმდა იმპერატორს, რომ მის ქალიშვილს შეირთავდა.

ბიზანტიის საიმპერატორო კართან ვახტანგის დანათესავება იმას ნიშნავდა, ამიერიდან ქართლი ბიზანტიური ორიენტაციის ქვეყანა ხდებოდა, რასაც ცხადი იყო, ირანის შაჰი არ დაუშვებდა. იგი შეეცდებოდა, ქართლში კვლავ აღედგინა თავისი პოზიციები. საქმე რომ ასე წარიმართებოდა, ეს ვახტანგმაც კარგად იცოდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ გამარჯვებით დამთავრებულ ომში ივი ირანის მხარეზე იბრძოდა, ქართლში დაბრუნებისთანავე ირანის შაჰის მოსალოდნელი თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის სამზადისს შეუდგა. „...ვახტანგ მეფემან, — წერს ჯუანშერი, — ვერ მოიცალა მოყვანებაჲ ცოლი ბერძენთა მეფისა ასული, და ვერცა კათალიკოსისა და ეპისკო-

---

68 სხვათა შორის, პეროზის ზეობის წლებზე მუშაობისას გ. დესტუნისმა ჯუანშერის ცნობების გამოყენებაც სცადა. „რაც შეეხება ქართულ მწერლობას, — წერდა იგი, — მართალია, როგორც მ. ბროსე გვამცნობს ისინი ჰუნი ეფტალიტების წინააღმდეგ პეროზის ბოლო ლაშქრობის შესახებ ეთანხმებიან ბიზანტიურ წყაროებს, მაგრამ არაფერს გვამცნობენ არც ამ ლაშქრობისა და არც პეროზის დაღუპვის შესახებ" [182:45—46. გ. დესტუნისი იყენებდა „ქართლის ცხოვრების" მ. ბროსესეულ თარგმანს].

ჯუანშერი მოგვითხრობს ჰუნების წინააღმდეგ პეროზის პირველი 460—468 წლების ლაშქრობაზე, რომლის შესახებ სხვა წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი. ამიტომ ვერ ნახა გ. დესტუნისმა მასში პეროზის დაღუპვის შესახებ ცნობები.

პოსთა, რამეთუ მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსლვასა: ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა, და ჰკაზმიდა მხედართა, და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა“ [120:178].

456 წელს ვახტანგის ქართლში დაბრუნებისთანავე ირანელები ქართლში არ შემოჭრილან. როგორც ჯუანშერი გვამცნობს, გაიგო თუ არა „...მეფემან სპარსთამან... ვითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძო, შეიქცა სპარსეთად და მოკუდა[69]. და დაჯდა მეფედ ძე მისი, და ვიდრე მოიწიფებოდა იგი, წარხდა ამას შინა წელიწადი სამი“ [120:178].

გარდა სამხედრო სამზადისისა, მშვიდობიანობის სამ წელში ვახტანგს სხვა ანტიირანული ღონისძიებანიც განუხორციელებია, კერძოდ „შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“ [120:178].

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე ირანის წინააღმდეგ ქართლის მეფის აჯანყებას ნიშნავდა. ბიზანტიელთა მხარეზე ვახტანგის გადასვლით განაწყენებული შაჰი „შეიქცა სპარსეთად“, ე. ი. ირანში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა თუ პირადად წამოუძღვა ლაშქარს ბიზანტიის წინააღმდეგ და მერე მოკვდა, როგორც ეს ჯუანშერის თხზულების სომხურ თარგმანშია, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ისაა, რომ მისი გარდაცვალების გამო ირანელთა ქართლში ლაშქრობა სამი წლით გადაიდო. 459 წელს ტახტზე ასულმა პეროზმა გაამყარა თუ არა თავისი მდგომარეობა ირანში „წარმოემართა ბრძოლად ვახტანგისა“.

მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერი როგორც ქართლის სამეფოს სპასპეტი და ბრძოლის მონაწილე დეტალურად აგვიწერს 460 წელს ქართლში შემოჭრილ ირანელთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლისა და ზავის დადების ამბავს, დღემდე ამ ომის არც თარიღი და არც ბრძოლების ჯუანშერისეული აღწერა ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლის საგანი არ გამხდარა [კ. გრიგოლია ამ ცნობებს „ქართლის კარის“ ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით შეეხო. 38:72—76].

---

69 თუ ზემომოტანილ ციტატაში შაჰის ირანში დაბრუნებაზე და იქ გარდაცვალებაზეა ცნობა, „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში იგი ასეა წარმოდგენილი: „...გაიგო სპარსთა მეფემ მისი აღთქმა (=კავშირი) ბერძნებთან, განრისხდა ფრიად და წარმოვიდა პირადად ლაშქრით საბერძნეთს და იქვე მოკვდა. გამეფდა მისი შვილი და წამოვიდა ვახთანგის წინააღმდეგ“ [96: 168].

ახლა ისევ ჯუანშერის ცნობებს დავუბრუნდეთ. ირანელთა ქართლში მოსალოდნელი შემოჭრის ამბავი ვახტანგ გორგასალს ბიზანტიის იმპერატორისათვის ადრევე შეუტყობინებია: „აჰა დღე იგი, რომელ აღმითქუამს, ვითარმედ სპარსნი შემოვაწყუდივნე ხელსა შენსა; აჰა ესერა, მომიყვანებიან იგინი შუა საზღვართა ქართლისათა და ყოველი კაცი მათ თანა ვითარ სამასი ათასი“ [120:179]. როგორც ვახტანგის წერილის შემდეგი შინაარსიდან ჩანს, სომხები და ამიერკავკასიის სხვა ქრისტიანი ხალხები ირანელთა დასახმარებლად არ გამოსულან. შაჰს მხოლოდ დარუბანდელები მიმხრობიან. იმავე წერილში ვახტანგი იმპერატორს ატყობინებდა: „აწ აღმისრულებიეს აღთქმა ჩემი, რომელ აღმითქუამს: რამეთუ სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა, და მოგუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა, და მაცთური ბინქარან მივეც საპყრობილესა, და სიკუდილისაგან გარდაიხუეწა. მან უკუე მოიყვანნა სპარსნი ქართლად, და დავსუ ეპისკოპოსად მიქაელ, კაცი სარწმუნო. ხოლო ბინქარან, ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, მოკუდა[70]. აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი, რათა აქა შინა დაეცნენ ყოველნი მტერნი ჯუარისანი. და მოიცალო შენ ყოველთა მტერთა შენთაგან, ხოლო უკეთუ ჩუენ გუძლოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა გზასა შიმშატისასა“ [120:179].

ვახტანგის მოციქული როცა იმპერიაში ჩავიდა, აღმოჩნდა, რომ იმპერატორი „წარსულ იყო... ქუეყანით ხაზარეთით კერძო“ და ქართლში მოსასვლელად „ვერ მოიცალებდა“. ვახტანგს ისღა დარჩენოდა, შემოსულ მტერს მხოლოდ ქართლის ლაშქრით შებმოდა. ამ მიზნით „განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მხედარი და ასი ათასი ქუეთი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაიბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩაღმართ“ [120:179].

ბრძოლის დაწყების წინ, როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, ვახტანგმა „...განაფართა ხიდი მოგუეთისა ვითარ სამოცი მხარი ქცევისათჳს მას ზედა სპათასა“. თვით ვახტანგი და ჯუანშერ სპასპეტი მცხეთაში გამაგრებულა. ნასრა და მირდატ ერისთავები „არმაზით კერძო“ „სპათა ზედა სომხითისა და ქართლისათა“ იდგნენ [120:180]. ბრძოლის

---

70 ამ ცნობიდან გამომდინარე, ქართლის ეკლესიის მეთაურად მიქაელის დასმა, მოგვთა ეპისკოპოსის ბინქარანის გარდაცვალება 457—460 წლებს შუა ხანაში ივარაუდება.

მიმდინარეობას, რომელშიც ჯუანშერი თვით მონაწილეობდა, იგი აგე გადმოგვცემს: „...რა ბრძოდიან სპარსნი არმაზით კერძო, მცხეთით განვიდიან; და რა განვიდის ლაშქარი იგი მიერ კერძო მცხეთით, ეწყუნიან არაგუსა ზედა. და ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე დღესა ამათ“. ჯუანშერის ცნობით, სწორედ ამ ბრძოლაში ჰქონდა ვახტანგ მეფეს „ოქროს ჩაბალახზე“ გამოსახული „წინათ მგელი და უკანათ ლომი“. სადაც „იძლეოდიან ქართველნი“ ვახტანგიც იქ გაჩნდებოდა ხოლმე და „მოსრიდა... სპარსთა“. სპარსელებმა დაისწავლეს, რომ მხედარი, რომელსაც ჩაბალახზე „ეწერა მგელი და ლომი“, ვახტანგი იყო. ამიტომ, ვახტანგის გამოჩენისთანავე იყვირებდნენ ხოლმე „დურ აზ გორგასალ“. ეს სიტყვა, დასძენს ჯუანშერი, ნიშნავს: „მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ“ [120:180].

ასე რომ, ვახტანგისათვის ზეწოდება „გორგასალი“ 460 წელს შეურქმევიათ ირანელებს. ქართლში შემოჭრილ ირანელებთან ბრძოლა, როგორც ჯუანშერი წერს, ოთხ თვეს გაგრძელებულა. შაჰის ლაშქარმა არსებით წარმატებას ვერ მიაღწია. ამიტომ, ბრძოლები მცხეთის მისადგომებთან ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, ვახტანგთან ბიზანტიიდან დესპანი რომ არ მოსულიყო. დესპანმა ვახტანგს მოართვა იმპერატორის ძღვენი და წერილი, რომლითაც იგი ვახტანგს ატყობინებდა: „შეეექეც წყობასა ხაკანისასა, და მომივლენია შენდა ოთხმოცი ათასი მხედარი, და მომიწერია ლეონისდა: უკეთუ გიხმდეს შენ ლაშქარი, წინაშე შენსა არს მელიტენითგან ვიდრე ლამედმდე და მოღმარი ვიდრე კარნუ-ქალაქამდე, და მიბრძანებია ლეონისდა წინაშე შენსა ოს“ [120:180]. ამ წერილის მოტანისას ბიზანტიელთა ლაშქარი უკვე ვახეთს ყოფილა მოსული. ამიტომ, ირანის შაჰმა უკეთესად ჩათვალა ახტანგს დაზავებოდა.

ზავის დადების ერთ-ერთ პირობად ვახტანგმა შაჰს მოსთხოვა, ამის ემდეგ ირანელები ქართლის რელიგიურ საქმეებში აღარ ჩარეულიყვნენ. თუ ამ პირობას შეასრულებდა, ვახტანგი ჰპირდებოდა, რომ შაჰს იგი „მამად და უფლად“ მიიჩნევდა. როცა შაჰს ვახტანგის მოთხოვნა მოახსენეს, მან ძღვენი გაუგზავნა მეფეს და „ეამი დადვეს შეკრებისა“ [120:181]. ამის შემდეგ შაჰმა აყარა ლაშქარი და „უკუდგა რუსთავად“. განთიადისას კი გამოვიდა და დადგა „ველსა კალაისასა“, ხოლო ვახტანგი „დადგა ჯაჭუს, და შეკრბეს მასვე ველსა ორნივე მეფენი“ [120:181].

ამ შეხვედრის აღწერისას ჯუანშერი იქვე დასძენს, რომ მაშინ „ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოხრებული იყოო“, რაც იმაზე მიგვითითებს, 460 წლისათვის თბილისში ვახტანგს ჯერ კიდევ რომ არ ჰქონდა სამუშაოები დაწყებული ქართლის სამეფოს დედაქალაქად გამოსაცხადებლად. იგი გალავნით არ ყოფილა შემოზღუდული (თუმცა, იმ დროისათვის თბილისის ზედა ციხე უკვე არსებობდა, სადაც ვახტანგს შაჰის მიღება შეეძლო). ამიტომ „მოხადა (ე. ი. მოუწოდა, მიიწვია. — ვ. გ.) მას დღესა სპარსთა მეფე გორგასალმან ლაშქრითურთ თჳსით ტფილისად“. შეხვედრიდან მესამე დღეს ვახტანგი და ბიზანტიელთა სარდალი ლეონ „ანთიპატი“ კვლავ მივიდნენ შაჰთან (ამ დროს ჯუანშერი დასძენს, რომ „სპანი საბერძნეთისანი ყოველნი იყვნეს ხაზარეთსო“), ვახტანგის შუამდგომლობით შაჰი ბიზანტიასაც დაუზავდა. მაგრამ, სანამ ზავზე დათანხმდებოდა, ვახტანგს უთხრა: ზავი შენთან მიტომ მინდოდა, რათა ერთად გველაშქრა ბერძნების წინააღმდეგ. ეგენი როცა კი დროს იპოვნიან „არა ყვიან წყალობა“. აი უკვე ათი დღეა ხაზართა[71] მეფის მოციქული მელოდება, რათა კავშირზე დავთანხმდე. ამ სიტყვების შემდეგ შაჰმა დასძინა: „ზღუასა მოღმართ ჩუენი არს საზღვარი, განყოფილი ნოესითგან, და აწ იგი მბრძავს ჩუენ ჯაზირსა და შამსა და მოოხრებულ არიან ქალაქნი, ხოლო შამი სამეფო ჩუენი არს. არამედ ჯაზირისა ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა, შენი არს ხუედრი, და მიუღებიეს ივი ბერძენთა, და მე ესერა შევიდოდე უკმოღებად მისა. აწ რომელი ნაწილი მამათა შენთა არს, შენ განუყავ, შენ იცი და ბერძენთა. ხოლო სხუა ჯაზირისა მომცენ მე ბერძენთა, და რომელი ვითხოვე მე შენგან“ [120:182—183], ე. ი. შაჰის სიტყვიდან გამომდინარე, შამი (სირია) რომ მისი სამფლობელო იყო, ეს მას საცილობლად არ მიაჩნდა. რაც შეეხება ჯაზირეთს — შუამდინარეთს, მის ნახევარს ვახტანგის „მამათა“ კუთვნილებად თელიდა [„ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში ნათქვამია: „შამი და ჯაზირეთი შუამდინარეთის ქვეყნები არიანო“. 96:193]. თუმცა, ქართველთა კუთვნილი ამ მიწისადმი იმ ხანად ბიზანტიელები ყოფილან დაპატრონებული. შაჰს მისი დაბრუნება ნდომია, მაგრამ, რადგან ვახტანგს ბიზანტიასთან მეგობრობა სურდა, შაჰმა უთხრა ვახტანგს შენი მამაპაპეული მიწები დაუთმე ბერძნებს, დანარჩენი მე მომეციო.

---

[71] ვახტანგის მოღვაწეობის დროისათვის ხაზართა ხსენება ანაქრონიზმია. ხაზარები ტექსტში გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს.

შაჰის სიტყვები როცა ბიზანტიელთა სარდალმა მოისმინა, გაეხარდა და თქვა: „ხუთნი ქალაქნი ჯაზირისანი შენადვე იყვნენ, შენ-კერძნი, რამეთუ ნახევარი სიკილიისა, რომელი მოგუეღო შენგან, უკუგცეთ, და დღეთა ჩუენთა იყავნ მშჳდობა შორის შენსა და მისსა“ [120:183], ე. ი. ლეონმა ჯაზირეთის იმ ნაწილიდან, რომელზეც ქართლის მეფეს ისტორიული უფლება ჰქონდა და იმ ხანად ბიზანტიელთა მფლობელობაში იყო, შაჰს დაუთმო „ხუთნი ქალაქნი“ და სიკილიის ნახევარი. შაჰის კითხვაზე იმპერატორი თუ თანახმა იქნებოდა ასეთი პირობებისა, ლეონმა უპასუხა, რომ მას ხელთა აქვს იმპერატორის წერილი, რომელშიც ეწერა „თჳნიერ მისსა, რომელი მოსცა სპარსთა მეფემან ივბიმიანოსსა, არა ვძებნო თქუენ ზედა“ [120:183], ე. ი. ამ ცნობიდან გამომდინარე, იმპერატორი თანახმა იყო 363 წელს რომის იმპერიასა და ირანს შორის დადებული რომისათვის ე. წ. „სამარცხვინო ზავის“ პირობებით გათვალისწინებული სასაზღვრო ხაზით დაკმაყოფილებულიყო („ხაზართა მოციქულს“ ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული ზავის გამო აღშფოთება გამოუთქვია).

ამის შემდეგ შაჰმა მოატანინა რუქა და იწყო „ჩინება საზღვართა, და სიკილიისა უკუცემისათჳს. მისცა ფილისტიმი საზღვრითა იერუსალემისათა. და თქუა, ვითარმედ: „ქალაქი სჯულისა თქუენისა არს იერუსალემი“ [120:183].

ზავის დადების მეორე დღეს, შაჰმა ვახტანგს თავისი საკუთარი მობედანი ბარზაბანი მიუგზავნა და შაჰის დანაბარები შეატყობინა: მე ისე გავარიგე საქმე, როგორც შენ გსურდა — „აწ. განაგე საბრძანებელი შენი, ვითარცა გნებავს: მიავლინენ დასტურნი და მიითუალენ ქალაქნი შენნი, რომელნი მიგცენ შენ და კეისარსა. ხოლო ბარზაბანისა და მიბრძანებია მისლვა კეისრისა მითუალვად ქუეყანათა და ქალაქთა თქუენთა“. შენ იცი, რომ ამ საქმის გამო განრისხდებიან „სპარსნი მოხუცებულნი“, რადგან მათ ეგონათ საბერძნეთს დავამარცხებდი, მე კი ჩემი საზღვრიდან ორი სამეფო მივანიჭე. ახლა ჩემი სათხოვარია: შენი დაჲ მე ცოლად მომცე, შენც წამოდი ჩემთან შენი ნათესავები ნახე და „შენ შემწე მეყო მე თავითა შენითა მტერთა ჩემთა ზედა, აბაშთა და ელამთა, ჰინდოთა და სინდთა, რამეთუ უძჳრესი ბოროტი და დამდაბლება მეფობისა ჩემისა მათ ყვეს“ [120:184].

შაჰის თხოვნას, როგორც ჯუანშერი გვამცნობს, ლეონმაც დაუჭირა მხარი, თან ვახტანგს შეჰპირდა, რომ იგიც მისცემდა სპას — „ათი ათას ჭურვილს“, თვითონვე მიეიდოდა ამ საქმეზე „მოციქულად

კეისრის წინაშე“ და „ჯაზირის სპითა ძლიერითა“ მას შეუერთდებოდა [120:185].

ვახტანგმა შაჰს ცოლად მისცა თავისი დაჲ მირანდუხტი, შემდეგ მოიყვანა თვისი 5 წლის დაჩი, დაადგა გვირგვინი და დატოვა ქართლში მეფედ, შვიდი წარჩინებული თანამდგომად დაუნიშნა, რომელთაგან პირველი იყო „ჯოვანშერ სპასპეტი მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა“.

* * *

როგორც ვნახეთ, 460 წელს მცხეთის მისადგომებთან ირანელებსა და ქართველებს შორის ოთხთვიანი ბრძოლა და შაჰთან ზავის დადება ჯუანშერს ისე დეტალურად აქვს გადმოცემული, რომ აშკარაა იგი მას მიერ მოთხრობილი ამბების თვითმხილველი იყო. ქვემოთ ვცდი ჯუანშერის ზოგიერთი ცნობის რეალურობა ვაჩვენო.

ჯუანშერის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვახტანგს ბიზანტიელთა დახმარება დაჭირდებოდა, ლეონ „ანთიპატს“ [ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, „ანთიპატი“ ნაწარმოებია ბერძნ. ἀνθύπατος-იდან და კეისრის ნაცვალს ნიშნავს. 99:410] უნდა გამოეყვანა ლაშქარი, რომელიც „მელიტენითგან ვიდრე ლამემდე და მოღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე“ ტერიტორიაზე იდგა. რადგან ლეონი დასახელებულ ტერიტორიაზე იმპერატორის ნაცვალი ყოფილა, უნდა გაირკვეს V ს. ბიზანტიის იმპერიაში თუ არსებობდა ასეთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. ნ. ადონცის თანახმად, იუსტინიანეს (527—565) დროს არსებული იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფა სათავეს დიოკლეტიანეს (284—305) დროიდან იღებდა [123:91]. IV ს-იდან იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში შემავალი ხუთი დიოცეზიდან ერთს — Pontica წარმოადგენდა და აღმოსავლეთის დიოცეზს შეადგენდა [123:92]. თვით Pontica 11 პროვინციად იყო დაყოფილი, რომელთაგან პოლემონის პონტო და სომხური მიწები სომხეთის დუქსის საგამგეოს წარმოადგენდა [123:94—95]. სწორედ ამ ადმინისტრაციული ერთეულის მთავარი პუნქტები იყო ქ. მელიტენა (ჩრდილო შუამდინარეთში) და კარნუ-ქალაქი. რაც შეეხება „ლამეს“, მასში რომაული „ლიმანი“ (ლათ. ლიმეს) უნდა იგულისხმებოდეს. ახ. წ. I ს-იდან რომის იმპერიაში ასე იწოდებოდა მიწა-

ყრილებითა და სამეთვალყურეო კოშკებით გამაგრებული სასაზღვრო ხაზი (იხ. ანტიკ. ლექსიკონი, ლაიპციგი, 1985, სტ. Limes. ბერძნულ'ში „ლიმენ“ ნავსადგურს აღნიშნავდა), რომლის ერთი ნაწილი იმპერიის აღმოსავლეთში სწორედ მელიტენაზე გადიოდა[72] (იხ. იტალ. ენციკლ. ტ. 21, სტ. Limes, გვ. 159). აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეონი მელიტენას, ლიმანსა და კარნუ-ქალაქს შორის მდებარე ტერიტორიის გამგებელი ყოფილა [ნ. ადონცის თანახმად არმენიის დუქს 61000 ქვეითი და 726 ცხენოსანი ჰყავდა. მთავარი ძალები კი მელიტენასა და სატალაში — ახლანდელი სადაღი თურქეთში — იდგა. 123:94—95].

ასე რომ, ჯუანშერის მიერ ლეონ ანთიპატოსის საგამგეო ერთეულად დასახელებული ტერიტორია ემთხვევა V ს. ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფით შექმნილ, იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე სასაზღვრო ერთეულს, რაც ჯუანშერის ცნობათა სანდოობის კიდევ ერთ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ.

არანაკლებ საინტერესოა ჯუანშერის ის ცნობები, რომლებიც ზავის პირობებს შეეხება. ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე, თბილისში ირანსა და ქართლის სამეფოს შორის დადებული ზავი, ფაქტობრივად ბიზანტია-ირანის ზავი იყო და როგორც ვნახეთ, ზავის პირობებით ბიზანტიასა და ირანს შორის სწორედ სადავო ტერიტორიების საკითხი მოწესრიგდა. „წიგნი ზავისა“, რომელიც ლეონს ბიზანტიის იმპერატორისაგან ჰქონდა „ფიცით მიცემული“; 363 წელს რომსა და ირანს შორის დადებული ზავის პირობებს იცავდა. და მართლაც, რომსა და ირანს შორის ამ ზავით დადგენილი საზღვარი [სასაზღვრო ხაზი სამხრეთით ქ. ნისიბისის დასავლეთით, ჩრდილოეთში კი კარნუ-ქალაქის აღმოსავლეთით გადიოდა, თანაც ისე, რომ ნისიბისი ირანის, ხოლო კარნუ-ქალაქი იმპერიის ტერიტორიაზე რჩებოდა. 123:4; 108:217] არაბთა დაპყრობების დაწყებამდე არ შეცვლილა. აღნიშნულის მიუხედავად, ირანსა და ბიზანტიას შორის დაიწყებოდა თუ არა საომარი მოქმედება, ორივე მხარე სირიასა (შამი) და ჩრდილო შუამდინარეთში

---

72 ჯუანშერის ცნობით, ირანის საზღვარზე მდებარე კარნუ-ქალაქი რადგან „ლამეს მოღმართ“ იყო, „ლამე“ ძველ ავტორთა მიერ კარნუ-ქალაქის დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე დასახელებული „ლიმენი“ [ნ. ადონცი მას ტრაპიზონის აღმოსავლეთით, ახლანდელ სურმენესთან აიგივებს. 123:100] უნდა იყოს და როგორც ჩანს, ძველად საზღვარი იმპერიასთან დღევანდელ სურმენეზე გადიოდა. რაც საფანადოთაა ასახული ჯუანშერთან. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს „ორონტიოსის...“ მარტვილობის ის ცნობა, რომელშიც ტრაპიზონი იმპერიასთან საზღვრადაა დასახელებული [84:317].

(ჯაზირეთი) გაბატონებას ცდილობდა. ჯუანშერთან არსებული ცნობითაც, შაპი განსაკუთრებულ პრეტენზიას ხომ სწორედ ამ ტერიტორიათა მიმართ აცხადებდა. რაც შეეხება ჯუანშერის მიერ დასახელებული „ხუთნი ქალაქნი ჯაზირისანი“ და სიკილიია, პირველი ძველად არსებული ბერძნული „პენტაპოლისის“ (ასეთი პენტაპოლისები — „ხუთნი ქალაქნი“ — ძველად მრავლად არსებობდა. იხ. ანტიკურობის ენციკლ. ლაიპციგი, 1985, სტ. პენტაპოლისი. გერმ. ენაზე) ქართულ კალკად წარმოადგენს და შეიძლება იმ ხანად ჩრდილო შუამდინარეთის ქალაქები იწოდებოდა ასე. „სიკილიია“ (თუ ეს სახელი დამახინჯებულად არაა ჩვენამდე მოღწეული) ძველი პალესტინის ერთი ნაწილის სახელი ჩანს.

*
* *

460 წ. უნდა ეწამებინათ ირანელებს გაქრისტიანებისათვის ვახტანგ გორგასლის მეუღლის ბალენდუხტ დედოფლის აღმჭრდელი რაჟდენი (ქსე-ში, ტ. 8, რაჟდენის წამების თარიღად დაახლოებით 457 წ. არის მითითებული). ვახტანგ გორგასლის ნებით რაჟდენის ნეშტი ნიქოზის ეკლესიაში გადაასვენეს, რის შემდეგაც ვახტანგმა ეკლესია საეპისკოპოსო ტაძრად აქცია. ქართულმა ეკლესიამ რაჟდენი წმინდანად შერაცხა (ხსენების დღე ძვ. სტ. 3 აგვისტო). მის შესახებ შეიქმნა სპეციალური ნაწარმოები (წამება და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი..., საქართველოს სამოთხე, პეტერბ., 1882).

ნიქოზისათვის იმ ხანად ვახტანგს სოფლებიც რომ შეუწირია, ეს 1565 წლის საბუთით დასტურდება. მასში აღნიშნულია: „ვახტანგ გორგასლანსა... აღმშენებელსა წმიდისა საყდრისა თქვენისასა შეეწირა სოფელი ზემო ნიქოზი და მრავალნი სამწყსონი და ადგილნი“ (ხელნაწ. ინ-ტი, Ad 1504[4]).

თ ა ვ ი X

ქალაქი ანტიოქია ჯუანშერის თხზულებაში

ქალაქ ანტიოქიას ჯუანშერი ორ ამბავთან დაკავშირებით იხსენიებს. ანტიოქიაზე პირველად იგი მოგვითხრობს 460 წელს ირანის შაჰ-

თან ერთად ვახტანგ გორგასლის ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლის ამბების აღწერასთან დაკავშირებით. ხოლო მეორედ, როცა ამ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა (468 წელს) ვახტანგმა გადააყენა ქართლის მაშინდელი მთავარეპისკოპოსი მიქაელი და კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარს შეუთვალა ქართლში კათალიკოსი და ეპისკოპოსები გამოეგზავნა მხოლოდ, კათალიკოსად აუცილებლად ადრე მის მიერ პონტოში ლაშქრობისას გაცნობილი პეტრე უნდა ყოფილიყო.

როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, საიმპერატორო კარზე ვახტანგ გორგასლის ელჩის მისვლის შემდეგ კონსტანტინოპოლიდან „წარავლინეს პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას. და მიუწერეს ანტიოქიისა პატრიაქსა მეფემან და პატრიაქმან კოსტანტინეპოლელმან ესრეთ..., ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან..., აწ ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ, სხუანი თორმეტნი, ვინცა-ვინ შენ გენებოს, იგინი აკურთხენ... და ანტიოქელმან პატრიარქმან აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად“ [120:197—198].

ზემომოტანილი ციტატიდან აშკარაა, რომ საუბარი სირიაში მდინარე ორონტზე მდებარე ანტიოქიას ეხება. სირიის ანტიოქიის ქრისტიანული თემი ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი იყო ადრექრისტიანულ სამყაროში. ანტიოქიის ეკლესიასთან საქართველოს ძველთაგანვე კულტურულ-რელიგიური ურთიერთობა ჰქონდა. ძველი ქართული და უცხოენოვანი საისტორიო ტრადიცია ერთხმად მიუთითებს ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიისადმი დამოკიდებულებაზე. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტრადიცია კარგადაა ასახული ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ და ეს არცაა გასაკვირვი. V ს. ავტორი ჯუანშერი ხომ თავის თანადროულ ამბებს გადმოსცემდა.

კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიაში „წარვლენილი პეტრე მღდელი“ იქ კათალიკოსად კურთხევის შემდეგ, ქართლის პირველი კათალიკოსი გახდა — ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა. ამ აქტის დადებითად გადაწყვეტას, როგორც ჩანს, დიდად შეუწყო ხელი ვახტანგ გორგასლის დიდმა ავტორიტეტმა და მისმა დანათესავებამ ბიზანტიის საიმპერატორო კართან.

ასე რომ, ქართლის პირველ კათალიკოსად პეტრეს კურთხევასთან დაკავშირებით ჯუანშერის მიერ მოხსენიებულ ქალაქ ანტიოქიაში აშკარაა სირიაში მდინარე ორონტზე მდებარე ანტიოქია იგულისხმება.

ახლა რაც შეეხება ანტიოქიის პირველ მოხსენიებას. მასში ძნელია მდინარე ორონტზე მდებარე ანტიოქია დავინახოთ. დასარწმუნებლად მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

როგორც ჯუანშერი წერს, ქართლში ირანელთა ლაშქრობა ბიზანტიელთა ჩარევით ზავით დამთავრდა და დაზავებულ ვახტანგს ირანის შაჰმა (იგულისხმება პეროზი 459—484 წწ.) დაჲ სთხოვა ცოლად, თვით ვახტანგს კი თავისი მტრების „აბაშთა და ელამთა, ჰინდოთა და სინჳთა“ წინააღმდეგ შემწეობა [120:184].

ვახტანგმა ირანის შაჰს თავისი უმცროსი დაჲ მირანდუხტი მისცა ცოლად და როცა ირანის შაჰი და ვახტანგი ლაშქრითურთ ქართლიდან გადიოდნენ „...ვახტანგს ევედრნეს დედა და დაჲ მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს“ [120:186].

როგორც ცნობილია, ადრექრისტიანული ხანიდან მოკიდებული ყველა ქრისტიანი თავს ვალდებულად თვლიდა წმინდა ადგილები მოელოცა [ასეთ მოგზაურობით განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ბიზანტიის არისტოკრატიული ფენიდან გამოსული ქალები. დაწვრილებით იხ. 152:38—39]. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია მაშინდელ საქართველოშიც არსებობდა. ამიტომ ვახტანგი დედის — საგდუხტისა და დის ხუარანძის სურვილს იერუსალიმის წმიდა ადგილები მოევლოთ, სიამოვნებით დათანხმდა. და „წარიტანნა, და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარბადაგანისასა; და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაჲ მისი იერუსალემს, და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, და შეეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირაი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას“ [120:186].

თუ იმ ანტიოქიად, სადაც შაჰი იერუსალიმში წასულთ ელოდა სირიაში მდინარე ორონტზე მდებარე ანტიოქიას მივიჩნევთ, იგი მართლაც იერუსალიმთან შედარებით ჩრდილოეთითაა და იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ირანის შაჰი იქ ელოდა მლოცველებს, მაგრამ ეს ქალაქი მაშინ ბიზანტიას ეკუთვნოდა და იმ ხანად ბიზანტია-ირანის საზღვარი ანტიოქიიდან ბევრით აღმოსავლეთით გადიოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირანის შაჰის იმპერიის საზღვრებში ყოფნა საეჭვოდ მომეჩვენა. სწორედ ზემოაღნიშნულმა გარემოებამ მაფიქრებინა, რომ თხზულებაში ამჯერად ქ. ანტიოქიის ქვეშ ირანის ტერიტორიაზე მდებარე რომელიღაც ქალაქი იგულისხმებოდა.

თხზულების ამ ნაწილში მდინარე ორონტზე მდებარე ანტიოქია-რომ არ იგულისხმება, ისიც მოწმობს, რომ ჯუანშერის ცნობით, აქვე ანტიოქიაში მივიდა შაჰთან ბიზანტიელი სარდალი ლეონ ანთიპატოსი ბიზანტიელთა 20-ათასიანი რჩეული მხედრით და „მოართუეს ხუასროს კეისრისაგან ძღუენი მიუწდომელი და ვახტანგს ნიჭი მიუწდომელი" [120:186]. ბიზანტიის სამხედრო კონტინგენტს ლეონის სარდლობით „ვახტანგის ბრძანების ქუეშე" უნდა ებრძოლა ირანის მტრების წინააღმდეგ.

ცხადია, ქ. ანტიოქია, სადაც შაჰი იერუსალიმში სალოცავად წასულ საგდუხტსა და ხუარანძეს უკან დაბრუნებას ელოდა, ირანის ჯარების თავმოყრის ადგილი იყო. ასეთ ადგილად, რა თქმა უნდა, ბიზანტიის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე მაშინდელი ირანის დასავლეთ საზღვარს საგრძნობლად დაშორებული ქალაქი — ანტიოქია — მდინარე ორონტაზე არ იქნებოდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჯუანშერის ცნობა ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალი ირანის შაჰისათვის ბიზანტიელთა 20-ათასიანი მხედრის გატანების შესახებ ახალი მასალით ავსებს ბიზანტიელ და სირიელ ავტორთა ცნობებს. საიდანაც ვიცოდით, რომ ბიზანტიის იმპერატორები ირანის შაჰებს ჰუნებისაგან კავკასიის ზეკარების დასაცავად ფულად სახსრებს უხდიდნენ [182:73—74; 195:131; 186:94].

იერუსალიმიდან ანტიოქიაში მისული ვახტანგისათვის, ჯუანშერის სიტყვით, შაჰს უთხოვია ვახტანგის დედა — საგდუხტი და დაჲ ხუარანძეც დასწრებოდნენ მის ქორწილს და შემდეგ თუ ინებებდნენ ქართლს წასულიყვნენ, თუ არა და დალოდებოდნენ ვახტანგის ლაშქრობიდან დაბრუნებას „ურაჰას ქალაქსა შინა" [120:187].

შაჰმა ბაღდადში[73] აღასრულა „ქორწილი სამეუფო, ექუს თუე განცხრომითა და განსუენებითა მიუწდომელითა" [120:187]. რის შემდეგაც ვახტანგის დედა და დაჲ „წარმოვიდნენ ურაჰას", შაჰი და ვახტანგი დიდი ლაშქრით „წარემართნენ მტერთა ზედა" (იხ. თავი XI).

ქ. ურჰა (ახლანდელი ურფა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში) იგივე ქ. ედესა იმ დროისათვის ჩრდილო შუამდინარეთში ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქი იყო. ერთი ვერსიით, სახელი ურჰა ქალაქს მრავალრიცხოვანი წყაროების გამო უნდა შერქმეოდა. ურჰას ბერძნუ-

---

[73] ქ. ბაღდადი 762 წ. დააარსა ხალიფა ალ-მანსურმა. ამიტომ ჯუანშერის თხზულებაში ბაღდადის ირანის დედაქალაქად მოხსენიება გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს. ირანის დედაქალაქი მაშინ ქტეზიფონი იყო.

ლი სახელი „ორჰოე“, საიდანაც წარმოდგება ოლქის სახელი ოსროენა, ურჰას ელინიზირებული ფორმად მიაჩნიათ. მეორე სახელი — ედესა ქალაქს აზიაში ალ. მაკედონელის ლაშქრობათა დროს ეწოდა, რადგან მდებარეობით იგი მაკედონელთა ძველი დედაქალაქის — ეგის — გარეუბან ედესას მიაგავდა. შემდეგში, ქალაქი სელევკიდთა სახელმწიფოს მეფემ ანტიოქე IV-მ (ძვ. წ. 175—163 წწ.) შეამკო და გააფართოვა, რის გამოც მის პატივსაცემად ქალაქს ანტიოქია ეწოდა. ძვ. წ. 70 წლიდან იგი რომის იმპერიაში შედიოდა (იხ. 199). V საუკუნისათვის ქ. ედესა-ანტიოქია დიდ კულტურულ და რელიგიურ (ქალაქში 300-მდე მონასტერი იყო) ცენტრს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, საგდუხტ დედოფალმა და ხუარანძემ უკეთესად მიიჩნიეს ვახტანგის ლაშქრობიდან დაბრუნებას ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში მდებარე — ქრისტიანულ სამყაროში ცნობილ ქალაქში დალოდებოდნენ.

მართალია, ურჰას ადრე ანტიოქიაც ერქვა, მაგრამ ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ურჰაში ის ქალაქი ანტიოქია არ იგულისხმება, სადაც იერუსალიმში სალოცავად წასულთ შაჰი ელოდა და სადაც ირანის ჯარის თავმოყრა ხდებოდა. როგორც ვნახეთ, ჯუანშერი ამ ქალაქს იცნობს ძველი არამეული სახელით — ურჰა.

ქ. ურჰა-ანტიოქია იმპერიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამიტომ, ცხადია, ქართლიდან დიდი სამხედრო კონტინგენტით ირანს გაბრუნებული შაჰი იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ამ ქალაქში არ გაჩერდებოდა. რა თქმა უნდა, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ჯორჯანეთში სალაშქროდ მიმავალი ჯარის თავმოყრა ირანის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქში უნდა მომხდარიყო. და მართლაც, ქ. ანტიოქიას, რომელზედაც ჯუანშერი ლაპარაკობს, ირანის ტერიტორიაზე, ქ. ურჰას აღმოსავლეთით გვაგულისხმებინებს ჯუანშერის შემდეგი ცნობა. ჰუნთა წინააღმდეგ ლაშქრობის ბოლო ეტაპზე, აბაშეთის დაპყრობის შემდეგ, როცა ჯუანშერი ვახტანგის ირანიდან დაბრუნების ამბავს გადმოგვცემს, წერს, რომ ვახტანგი „წარმოვიდა... წელსა მერვესა შესლვით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიამდე, და მოვიდა ურაჰად“ [120:196], ე. ი. ირანის აღმოსავლეთით მდებარე აბაშეთიდან (აბაშეთის მდებარეობის შესახებ იხ. თავი XI, § 2) ვახტანგი ჯერ ანტიოქიაში მივიდა, შემდეგ იმპერიის საზღვრებში მდებარე ქ. ურჰაში.

აბაშეთიდან მომავალი ვახტანგი, რა თქმა უნდა, ხმელთაშუაზღვის მახლობლად, მდინარე ორონტზე მდებარე ანტიოქიაში არ ჩავიდოდა. ანტიოქია, რომელზედაც ჯუანშერი ლაპარაკობს, როგორც აღვნიშნე,

უეჭველია, ურჰას აღმოსავლეთით, ირანის ტერიტორიაზე მდებარე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. იქ იდგა შაჰი და ჰუნთა წინააღმდეგ ხანგრძლივი ლაშქრობისათვის არმიას აგროვებდა. ამ ქალაქიდან დაიწყო ჯორჯანეთში ლაშქრობა. და ბოლოს, აბაშეთიდან ირანის გავლით ქართლში მომავალი ვახტანგისათვის ანტიოქია ბოლო პუნქტი იყო ირანში. შემდეგ გზა ბიზანტიის ტერიტორიაზე მდებარე ურჰაში გადიოდა. ასეთ ქალაქად უძველესი დროიდან ქ. ნისიბისი ჩანს [159:26].

ჯუანშერის სიტყვით, ურჰაში მოსულმა ვახტანგმა „მშჳდობით პოვნა დედა და დაჲ მისი, და წარმოვიდეს ვიდრე განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა". ბერძენ-სომეხთა საზღვრიდან „წარვიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიმშატად" [120:196]. როგორც ვნახეთ, აქედანვე წარავლინა ვახტანგმა კონსტანტინოპოლში მოციქული.

ახლა კვლავ ნისიბისის შესახებ. ნ. პიგულევსკაიას თანახმად, როცა სასანიანთა ირანმა ბიზანტიასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირი დაამყარა, სასაზღვრო ქალაქი ნისიბისი გამოცხადებული იქნა ერთ-ერთ იმ პუნქტად, რომელშიც ირანთან სავაჭროდ დაუბრკოლებლივ უშვებდნენ ბიზანტიელ ვაჭრებს. ჩვეულებრივ, — განაგრძობს იგი, — ნისიბისში წარმოებდა დიპლომატიური მოლაპარაკებანი, ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები აქ აწერდნენ ხელს საზავო ხელშეკრულებებს [174:51].

როგორც ვნახეთ, ნისიბისის მეზობლად მდებარე ქალაქ ურჰას ჯუანშერი ძველი სახელით იხსენიებს. მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ნისიბისის მიმართაც. ამ მხრივ საინტერესოა „ანონიმური სირიული ქრონიკა", რომელშიც სასანიანების ხანის ისტორიაა გადმოცემული. ქრონიკაში ნათქვამია, რომ ნისიბისი, ესე იგი მიგდონიის ანტიოქია, ასე იწოდება ამ ქალაქში არსებული ბაღებისა და პარკების გამო [124:65].

ნისიბისს სახელი ანტიოქია ალექსანდრე მაკედონელის ცნობილი სარდლის სელევკ I ნიკატორის (ძვ. წ. 358—280) მიერ აქვს შერქმეული. სელევკ I-მა მის მიერ დაარსებულ დაახლოებით 75 ქალაქიდან, შამის — ანტიოქეს პატივსაცემად 16 ქალაქს ანტიოქია უწოდა [125:312—313]. ერთ-ერთი ამ ქალაქთაგანი იყო ანტიოქია მდინარე მიგდონზე. ასე იწოდებოდა ეს ქალაქი მაკედონელთა მფლობელობის ხანაში. სხვათა შორის, სახელი მიგდონიაც აზიაში მაკედონიიდან არის გადმოტანილი (მაკედონიაში თრაკიული მოდგმის მიგდონთა ტომებით დასახლებული მიგდონიის პროვინცია ქ. თერმით — შემდეგში თესალონიკა, ახლანდელი სალონიკი — სტრიმონის ყურის სანაპიროზე

მდებარეობდა). ჩრდილოეთ შუამდინარეთში, მდინარე ჰაბორის გაღმა მდებარე მიწებს განსაკუთრებული ნაყოფიერების გამო მაკედონელებმა მიგდონია უწოდეს (იხ. 165).

ირან-ბიზანტიის სასაზღვრო ზონაში მდებარე ანტიოქია-ნისიბისი მნიშვნელოვან სავაჭრო და სტრატეგიულ გზებზე მდებარეობის გამო რომსა (შემდეგში ბიზანტია) და ირანს შორის მუდმივი დავის ობიექტი იყო. რომაელებმა იგი აზიაში ლუკულუსის ლაშქრობის დროს (ძვ. წ. 74—66) დაიპყრეს[74]. ამის შემდეგ იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. ლუციუს ვერას (161—169 წწ.) დროს რომაელებმა იგი მესამედ დაიბრუნეს, ძლიერ გაამაგრეს, რის შემდეგაც მიგდონიის პროვინციის ცენტრი გახდა (იხ. 169). მოცილეობა ქ. ნისიბისის გამო აღნიშნულიი არ დამთავრებულა. ძველი სირიელი ავტორის იეშუ სტილიტის ცნობით, სელევკიდური ერის 609 წელს (297/298 წწ.) ქ. ნისიბისს კვლავ რომაელები დაეუფლნენ და ქალაქი მათ ხელში იყო 65 წელი. ირანში ლაშქრობისას იმპერატორ იულიანეს სიკვდილის (363 წ. ივნისი) შემდეგ გამეფებული იობიანი დათანხმდა, სპარსელები 120 წელი ყოფილიყვნენ ნისიბისის მფლობელნი [195:131].

იმპერატორ იობიანის მიერ ირანთან 363 წელს დადებული „სამარცხვინო ზავის" შემდეგ იმპერიამ არაერთხელ სცადა ნისიბისის უკან დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. იმპერატორ თეოდოსიუს II-სა (408—450 წწ.) და ირანის შაჰის ბაჰრამ V-ს (420—438 წწ.) შორის 421 (ან 422) წელს დადებული ხელშეკრულებით ორივე სახელმწიფო ვალდებულობდა საზღვრის ახლოს ახალი ციხესიმაგრეები არ აეგოთ. ირანთან ურთიერთობის ოდნავ გამწვავებისთანავე, ბიზანტიელები მათ „პერსარმენიის დარბევითა და ნისიბისის გარეუბნების ძარცვით პასუხობდნენ" [153:20]. საინტერესოა ისიც, რომ 502 წ. დაწყებული ირან-ბიზანტიის ომის ერთ-ერთ მიზეზად ნისიბისის მახლობლად ბიზანტიელთა მიერ დარას ციხესიმაგრის აგება შეიქმნა. დარას აგება ბიზანტია-ირანს შორის ადრე დადებულ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა [153:20]. VII ს. შუახანებიდან როგორც ქ. ნისიბისი, ისე მთელი სასანიანთა ირანი არაბი დამპყრობლების ხელში მოექცა.

---

74 ამის შემდეგ ძველ რომაელ და ბერძენ ავტორებთან მრავლადაა ცნობები ჩრდილო შუამდინარეთის შესახებ. მაგ., ამ მხარეს დაწვრილებით აღწერს სტრაბონი. მისი ცნობით, მიგდონიის ტერიტორია, რომელიც ასე მაკედონელებისაგან იწოდა, ძალიან ნაყოფიერია. ამ ქვეყანაში მდებარეობს ნისიბიდა, რომელიც ასევე მიგდონიის ანტიოქიად იწოდება [188:692].

აი ასეთია მოკლედ ჯუანშერის მიერ ვახტანგ გორგასლის, ირანის შაჰთან პეროზთან ერთად, ჰუნების წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლასთან დაკავშირებით მოხსენიებული ანტიოქიის (ნისიბისის) ძველი ისტორია.

ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობ, საეჭვო აღარ უნდა იყოს, ჯუანშერი ანტიოქიას ორი სხვადასხვა ქალაქის სახელად რომ იხსენიებს. ჯუანშერის თავდაპირველ ტექსტში, ალბათ, იქნებოდა მითითება ამ ქალაქთა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად. მაგრამ, შემდეგში, საუკუნეთა განმავლობაში, როცა მიგდონიის ანტიოქიის შესახებ საქართველოში ცოდნა დავიწყებას მიეცა, ჯუანშერის თხზულების რედაქტორ-გადამწერმა მისთვის უცხო სახელი — მიგდონია ტექსტიდან ამოშალა, რის შედეგადაც, ტექსტის შინაარსი ამ ადგილზე საგრძნობლად დამახინჯდა და შინაარსიც შეიცვალა. მაგრამ, სტრაბონთან და ანონიმურ სირიულ ქრონიკაში შემონახულმა მითითებამ, რომ ნისიბისი იგივე ანტიოქიაა, ახალი შინაარსი შესძინა ჯუანშერის თხზულების ამ ნაწილს. ძველი ქართველი ავტორის ჯუანშერის ცნობები ნისიბისი-ანტიოქიის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს ბიზანტიელი, სირიელი და სომეხი ავტორების ცნობებს ნისიბისის, როგორც მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრის, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქის შესახებ.

რაც მთავარია, ჯუანშერის აღნიშნული ცნობა კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითია იმისა, ჯუანშერი ვახტანგის თანამედროვე და მის მიერ მოთხრობილი ამბების თვითმხილველი რომ იყო.

თ ა ვ ი XI

ირანის შაჰის პეროზისა და ვახტანგ გორგასლის ჯორჯანეთში, ინდოეთსა, სინდეთსა და აბაშეთში ლაშქრობა

§ 1. ლაშქრობის თარიღი. რომელი ქვეყანაა ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული აბაშეთი?

ჯუანშერის ცნობები ირანის შაჰთან ერთად ვახტანგ გორგასლის ჯორჯანეთში, ინდოეთში, სინდეთსა და აბაშეთში ლაშქრობის შესახებ, როგორც ზემოთ ვაჩვენე, იმთავითვე მისი თხზულების ყველაზე არარეალურ და ზღაპრულ ნაწილად იქნა მიჩნეული. კ. კეკელიძის მოსაზრებას, თითქოს ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ მოთხრობილ ამბებს

„ისტორიაში არც ადგილი მოეძებნება და არც მიზეზი“, დღესაც არ-ერთი მიმდევარი ჰყავს. ისინი ჯუანშერის თხზულებაში არსებული ცნობების რეალობას ძირითადად უარყოფენ. ასეთ მკვლევართა შორის არიან როგორც საქართველოს ძველი ისტორიის სპეციალისტები, ისე არასპეციალისტები. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ინდოლოგი ნ. კენჭოშვილი. თუ კ. კეკელიძე ვახტანგის „ცხოვრების“ იმ ცნობებს, რომლებშიც ირანის შაჰთან ერთად ვახტანგ გორგასლის ჰუნების წინააღმდეგ ლაშქრობაა აღწერილი „ამირანდარეჯანიანის“ საფუძველზე შექმნილად თვლიდა, ნ. კენჭოშვილმა ისინი „გვიან შუასაუკუნეებში“ უცნობი ავტორის მიერ ხალხში გავრცელებული ლეგენდებისა და ინდური იგავების საფუძველზე შეთხზულად მიიჩნია. „ვახტანგ გორგასლის ინდოეთზე ლაშქრობის ისტორია, — წერს იგი, — მეხუთე საუკუნის ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობების ამსახველ ისტორიულ ძეგლად არ გამოდგება, რადგან ჩვენი აზრით, ...ვახტანგ გორგასალს ინდოეთზე არასოდეს გაულაშქრია“ [63:13].

ნ. კენჭოშვილი როცა ზემომოყვანილ სტრიქონებს წერდა, ჩემი გამოკვლევა ირანის შაჰთან ერთად ვახტანგ გორგასლის აბაშეთში ერთობლივი ლაშქრობის შესახებ უკვე გამოქვეყნებული იყო და იგი ამ შორეულ ექსპედიციაში სანამ ვახტანგის მონაწილეობას უარყოფდა, კარგი იქნებოდა, ჩემს გამოკვლევაში არსებული ამ ლაშქრობის დამადასტურებელი მასალების სათანადო კრიტიკა მოეცა.

სანამ იმის გარკვევას დავიწყებდე თუ სად მდებარეობდნენ ზემოდასახელებული ქვეყნები, ვნახოთ რომელ წლებში უნდა შემდგარიყო ეს ლაშქრობა. პეროზის ბრძოლებს, აღმოსავლეთში ჰუნების წინააღმდეგ, მკვლევრები ორ პერიოდად ყოფენ. I პერიოდში — V ს. 60-იან წლებში პეროზი ჰუნ კიდარიტებს (მათ გაერთიანებაში ქუშანებიც შედიოდნენ), ხოლო II პერიოდში — 70-იანი წლებიდან თავის ყოფილ მოკავშირეებს ეფტალიტებს ებრძოდა. 460 წელს კიდარიტებთან დაწყებულ ბრძოლაში პეროზმა დიდ წარმატებას მიაღწია. როგორც ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, 468 წელს შეძლო მათი დამარცხება [146: 178:54: 137:133], ე. ი. პეროზის პირველი ლაშქრობა 460—468 წელზე მოდის. ჯუანშერის ცნობებიდანაც მსგავს თარიღებს ვღებულობთ.

ვახტანგ გორგასლის დაბადების თარიღად ჩემს მიერ მიღებული 431 წლიდან ათვლილი ქრონოლოგიით პეროზი ქართლში, როგორც ვნახეთ, 460 წელს შემოიჭრა. იმავე წელს გავიდა იგი ქართლიდან და ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად თან წაიყვანა ვახტანგი ქართლის

ჯარით. მეორე მხრივ, ვახტანგი, როგორც ჯუანშერი წერს, რადგან „სპარსეთად შესვლით მერვესა წელსა“ [120:196] დაბრუნდა უკან, შაჰის მტრების წინააღმდეგ ვახტანგის ლაშქრობაც 460—468 წელზე მოვა და იგი ზუსტად ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში ჰუნების წინააღმდეგ პეროზის ლაშქრობის თარიღად მიჩნეულ 460—468 წელს[75].

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში „ირანის ისტორიაზე“ დაყრდნობით, ლ. ჯანაშიამ პეროზის მიერ კიდარიტებისა და ქუშანების დამარცხების თარიღად მართალია 468 წელი მიუთითა [117:91], მაგრამ ამის შემდეგ გააანალიზა რა ამ ლაშქრობის შესახებ ჯუანშერის ცნობები, 468 წელს დამთავრებული ლაშქრობის დასაწყის თარიღად 466 წელი მიიჩნია (ეს თარიღი, როგორც ჩანს, მან მ. ბროსედან აიღო. იხ. ქვემოთ). მაშინ, როცა ჯუანშერი ამ ლაშქრობის ხანგრძლივობას 8 წლით განსაზღვრავს. „...ირანელებს, — წერს ლ. ჯანაშია, — თვით ვახტანგიც წაუყვანიათ საომრად, ამ წყაროში დაწერილებითაა აღწერილი ის დიდი ომები, რომლებიც ვახტანგს გადაუხდია შუა აზიასა და ინდოეთში“. შემდეგ იქვე დასძენს: „ჯერ კიდევ მ. ბროსემ აღნიშნა, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მყოფ გურგანელთა და ჰეფთალელ ჰუნთა წინააღმდეგ ომები, რომლებიც პეროზმა დაიწყო 466 წელს“ [117:94]. ლ. ჯანაშიას ჯუანშერის ცნობებისათვის რომ სათანადო ყურადღება მიექცია, პეროზისა და ვახტანგის ერთობლივ ლაშქრობას ჰუნთა წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, 466—468 წლებით არ დაათარიღებდა.

460 წელს ჰუნთა წინააღმდეგ წამოწყებული ომი მართლაც 468 წელს რომ დამთავრდა, ამ მხრივ ჯუანშერის (საერთოდ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას) ცნობებს მხარს უჭერს იაკობ ცურტაველის მონაცემები. როგორც იაკობი წერს, ვარსქენი ირანში პეროზის მეფობის მერვე (459+8), ე. ი. 467 წელს წავიდა [45:13]. ირანიდან კი 468 წლის ბოლოს დაბრუნდა. 469 წლის 14 აპრილს ვარსქენმა პირველად აწამა შუშანიკი და ციხეში ჩასვა [61:118].

ირანის შაჰის კარზე ვარსქენის წასვლის თარიღად იაკობის მიერ მითითებული „პეროზის მერვე წელი“ (467) ზუსტად ასახავს ისტორი-

---

75 როგორც ი. მარკვარტი წერს 468 წელს ბიზანტიაში ირანიდან ელჩები ჩასულან და კიდარიტებზე გამარჯვების ამბავი შეუტყობინებიათ [206:58]. ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე, რადგან 460—468 წლის ლაშქრობაში ბიზანტიელთა ლაშქარიც მონაწილეობდა, ბიზანტიელთათვის გამარჯვების შეტყობინება საჭირო არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ეს იქნებ დიპლომატიური ეტიკეტი იყო!

ულ რეალობას. პეროზისა და ვახტანგის ერთობლივი ლაშქრობა ჰუნთა წინააღმდეგ, როგორც ვნახეთ, 468 წელს დამთავრდა. ამ წელს ვახტანგი ქართლში დიდი სახელითა და შაჰის ნდობით აღჭურვილი დაბრუნდა. ვახტანგის ასეთი განდიდება, მის მოწინააღმდეგე ვარსქენს, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა. ამჯერად, რადგან ვახტანგისათვის ძნელი არ იქნებოდა ურჩ ქვეშევრდომს გასწორებოდა. ცხადია, ვარსქენს თვით შაჰის მფარველობა სჭირდებოდა. ამიტომ, ვარსქენმა დააჩქარა, იგი 467 წელს ირანის დედაქალაქში ჩავიდა და 468 წელს აბაშეთიდან ირანში მისულ შაჰს იქ დახვდა (როგორც ჩანს, ვარსქენს ჰქონდა სათანადო ცნობები შაჰის ლაშქრის მოძრაობის შესახებ). შაჰის კარზე მაზდეანობის მიღებისა და შაჰთან დანათესავების შემდეგ ვარსქენი ვახტანგისაგან ხელშეუხებელი პიროვნება გახდა. სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას, სანამ პეროზი ცოცხალი იყო, ვახტანგმა ვარსქენის წინააღმდეგ ხელის აღმართვა რომ ვერ გაბედა, პეროზის დაღუპვისთანავე კი მოაკვლევინა.

ახლა რაც შეეხება ჯუანშერის მიერ დასახელებული ჯორჯანეთის, ინდოეთის, სინდეთისა და აბაშეთის ადგილმდებარეობას.

როგორც ლ. ჯანაშია წერს, ჯორჯანეთად კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე გურგანი[76] ჯერ კიდევ მ. ბროსემ მიიჩნია. გურგანისა და მის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე იმ ხანად ჰუნურ-თურქული მოდგმის ჩოლის ტომები მომთაბარეობდნენ. ირანის შაჰს იეზდიგერდ II-ს (439—457) ხანგრძლივი ბრძოლები დასჭირდა მათ დასამორჩილებლად. მაგრამ, როგორც ჩანს, იეზდიგერდ II გარდაცვალების შემდეგ ისინი კვლავ განდგნენ. ამიტომ, პეროზს ხელახლა მოუხდა მათ დაქვემდებარება და „ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი“ დასხა [120:187].

460 წელს პეროზმა პირველად მართლაც ჩრდილოეთისაკენ — ჯორჯანეთში რომ გაილაშქრა, ამ მხრივ ჯუანშერის ცნობა სირიელი ავტორის ზაქარია მიტილენელის მონაცემით დასტურდება. ზაქარია მიტილენელის ასეთი მითითება, ვფიქრობ, ჯუანშერის ცნობათა სანდოობის კიდევ ერთი დადასტურებაა. ჯორჯანეთში გალაშქრების წინ ლაშქრის თავმოყრა ხომ ქ. ანტიოქია-ნისიბისში მოხდა (იხ. ზემოთ).

---

[76] ჯორჯანეთი რადგან ამ ქვეყნის სახელის არაბული ფორმაა, ჯუანშერის თხზულების თავდაპირველ ტექსტში გურგანი უნდა ყოფილიყო. რომელიც გვიან გადამწერ-რედაქტორის მიერ, ჩანს, ჯორჯანეთად იქნა ჩასწორებული. სხვათა შორის, ეს მხარე XI ს-შიც ზოგჯერ ისევ გურგანად იხსენიება.

როგორც ჩანს, 461 წ. ბოლოს კიდარიტების დედაქალაქის აღების შემდეგ პეროზი ინდოეთში (ინდოეთის შესახებ ქვემოთ ცალკე შევჩერდები) გადავიდა, ინდოეთიდან სინდეთში გააგრძელა ლაშქრობა[77]. აიღეს ქალაქები სინდილა, თოფორი, კიმრაი [120:195].

460—468 წლებში ჰუნების წინააღმდეგ წარმოებული პეროზის ომების შესახებ საისტორიო წყაროებში ძალიან მწირი ცნობებია. ამიტომ, ამ მხრივ ჯუანშერის ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. აქვე უნდა აღვნიშნო, თუ ჯორჯანეთის, ინდოეთისა და სინდეთის მდებარეობა კარგადაა ცნობილი, ჯუანშერის მიერ ირანის მეზობლად აბაშეთის დასახელებამ, ზოგ მკვლევარს საფუძველი მისცა ეს ცნობა ანაქრონიზმად გამოეცხადებინა. ქვემოთ აბაშეთის ადგილმდებარეობას გავარკვევ.

*

* *

რომელი ქვეყანა იგულისხმება ჯუანშერის თხზულებაში (ასევე სხვა ძველ ქართულ წყაროებში)[78] მოხსენიებულ აბაშეთში და ვინ არიან აბაშნი?

ასეთი კითხვის დასმა ახლა ერთგვარ უხერხულობასაც კი იწვევს, რადგან უკვე რამდენიმე ასეული წელია, რაც საქართველოში აბაშეთად ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეთიოპია არის მიჩნეული[79]. ასეა აბაშეთი განმარტებული

---

77 სინდეთი მდ. ინდის ქვემო აუზში მდებარეობდა. ქუშანთა გაერთიანება იქ ახ. წ. I-III ს-ში შეიქმნა (იხ. ქსე, ტ. 9, სტ. სინდი). ჯუანშერის ცნობა ქ. სინდიასთან ორმოს ამოთხრის შესახებ [120:189], სადაც ვახტანგის თანამებრძოლი საურაგი დაიღუპა, საინტერესო პარალელს პოულობს VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის როკოპიოს კესარიელის მიერ მოთხრობილ იმ ამბავთან, როცა მსგავსი ხერხის გამოყენებით, 484 წელს ეფტალიტებმა პეროზი და მისი ლაშქარი დაღუპეს [182:35—9]. ეს ხერხი ვფიქრობ, სწორედ ქუშანებმა შეიტანეს იქ [187:169].

78 აქ მხედველობაში არა მაქვს 735 წ. დასავლეთ საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობისას, მის ჯარში მყოფი აბაშები. ისინი იხსენიებიან ჯუანშერის გაგრძელებასა [120:238] და „დავით და კონსტანტინეს წამებაში“ [109:442]. ეს აბაშები სამხრეთ არაბეთიდან უნდა ყოფილიყვნენ მოსულნი.

79 მაგ., იოანე ბაგრატიონი (1768—1830) თავის „ისტორია ქართლისაში“, როცა ჯუანშერის ცნობას იმეორებს, სათაურად არქმევს „ეთიოპიელთა, ანუ აბაშთა ბრძოლისათჳს“ (H—2134 გვ. 562; ცნობა მომაწოდა ნ. კბილცეცხლაშვილმა). ასევე, თეიმურაზ I პოემაში „იოსებ-ზილ ხანრ ან,“ აბაშებს ზანგთა გვერდით იხსენიებს [44:70], ჩანს, რომ აბაშეთი მასაც ეთიოპიად მიაჩნდა.

ყველა სამეცნიერო ნაშრომსა (სადაც კი იგი იხსენიება) და საცნობარო ლიტერატურაში. მაგ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის I ტომში აღნიშნულია: აბაშეთი (<არაბ. ჰაბაშ), ეთიოპიის ძველი ქართული სახელწოდებაა. იქვე, ეთიოპიის ძველი სახელწოდება აბისინია კი ასეა განმარტებული: აბისინია (ალბათ, არაბ. ჰაბაშ-იდან), აფრიკის თანამედროვე სახელმწიფოს — ეთიოპიის ძველი არაოფიციალური სახელწოდება; ძველ საქართველოში აბაშეთს უწოდებდნენ.

ეთიოპიის სახელწოდება ბერძნული „აითიოპოს"-იდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით „მზით დამწვარს" ნიშნავს. აბაშეთი ეთიოპიის არაბული სახელწოდებაა (მკვლევართა აზრით, ქვეყანამ ეს სახელი მიიღო სამხრეთ არაბეთიდან ძვ. წ. VI ს-ში გადასახლებული „ჰაბიშ", „ჰაბაშ" არაბული ტომისაგან). აბისინია ჰაბაშის ევროპეიზირებული ფორმაა.

ეთიოპიის აბაშეთად მისაჩნევად საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" იმ კონტექსტს თუ ჩავუკვირდებით, სადაც აბაშეთია მოხსენიებული, ადვილად შევამჩნევთ, ჯუანშერი აბაშეთში ეთიოპიას რომ არ გულისხმობდა. ვფიქრობ, არც სხვა ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებულნი აბაშნი არიან ეთიოპელები და ცდება გვიან შექმნილი ქართული ტრადიცია, როცა აბაშეთად ეთიოპიას მიიჩნევს.

„აბაშეთისა" და „აბაშნის" უძველესი მოხსენიება ქართული წყაროებიდან ჯუანშერის თხზულებაში გვაქვს. ჯუანშერის ცნობით, ჯინჯანეთს, ინდოეთსა და სინდეთში ლაშქრობიდან მომავალი ირანის შაჰი (იგულისხმება პეროზი 459—484) და ვახტანგ გორგასალი როცა აბაშეთს მივიდნენ „...აბაშნი მსხდომარე იყვნეს ქუეყანასა, რომელსა მოსდგმიდა წყალი და ლერწმოანი, რომელსა ვერ იარებოდა ნავი, და ვერცა ოთხფერხი, არამედ საზღვართა ზედა არს სპარსთასა, და სულგრძელად ჰბრძოდეს. რამეთუ წყალი იგი რომელ შესდიოდა, გარდაუგდეს. და ლერწმოანი იგი დაწუეს ცეცხლითა, და წარმოტყუენეს აბაშეთი ყოველი. და განყენა მეფემან სპარსთამან აბაშნი ორად: და ნახევარნი დაუტევნა ადგილსავე ზედა, და ნახევარნი წარმოიყვანნა ვითარ სახლი ათასი, და განყენა იგინი ადგილითი-ადგილად. და ესე არიან ქურდნი, ნათესავნი იგი რომელ წარმოტყუენნა აბაშთაგან" [120:195].

ჯუანშერი, როგორც ვხედავთ, დაბეჯითებით მიუთითებს: აბაშეთი „საზღვართა ზედა არს სპარსთასა", რომ „სპარსთა საზღვარსა ზედა" მდებარე აბაშეთი ისეთი ქვეყანა იყო „რომელსა მოსდგმიდა წყალი და ლერწმოანი, რომელსა ვერ იარებოდა ნავი, და ვერცა ოთხფერხი". ცხა-

დია, ჯუანშერი ირანის მოსაზღვრე აბაშეთში ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარე ეთიოპიას არ გულისხმობდა.

აბაშეთის ირანის მოსაზღვრედ მდებარეობისა და მისი ბუნებრივი პირობების შესახებ ჯუანშერის ასეთი ნიშანდობლივი მითითებით დღემდე რომ არავინ დაინტერესებულა ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ძველი ქართული საისტორიო წყაროებისადმი ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ჰიპერკრიტიკულ დამოკიდებულებასთან ერთად, აბაშეთის ეთიოპიად მიჩნევაც იყო.

აბაშეთის ეთიოპიად მიჩნევის შესახებ ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული წარმოდგენა, აბაშეთთან დაკავშირებულ ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის სხვა ცნობებსაც (მხედველობაში მაქვს, ირანის შაჰისა და ვახტანგ გორგასლის ჯორჯანეთში, ინდოეთსა და სინდეთში ლაშქრობა) არარეალურობის ელფერს აძლევდა. მაგრამ, აბაშეთის შესახებ ჯუანშერის თხრობაში დაუჯერებელი არაფერია. მისი ცნობით, V ს-ში ისევე როგორც ჯორჯანეთი, ინდოეთი და სინდეთი, აბაშეთიც ირანის მოსაზღვრე ქვეყანა იყო.

სათანადო მასალის მოტანით თუ შევძელი იმის ჩვენება, სინდეთიდან მომავალი ირანის შაჰი და ვახტანგი მართლაც შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ ისეთ ქვეყანაში, რომელიც ირანის აღმოსავლეთით — „საზღვარსა ზედა სპარსთასა“ მდებარეობდა, „რომელსა მოსდგმიდა წყალი და ლერწმოანი, რომელსა ვერ იარებოდა ნავი, და ვერცა ოთხფერხი“ და ირანის მოსაზღვრედ მდებარე ეს ქვეყანა ძველ საქართველოში აბაშეთად იყო ცნობილი, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ ეს ქვეყანა იგულისხმება ჯუანშერის მიერ დასახელებულ აბაშეთში და არა ეთიოპია. რაც მთავარია, აბაშეთის „საზღვარსა ზედა სპარსთასა“ ლოკალიზება ზემომოყვანილ სხვა მაგალითებთან ერთად, კიდევ ერთი დადასტურება იქნება მოსაზრებისა, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორი, ჯუანშერი მის მიერ აღწერილი ამბების თანამედროვე რომ იყო. ამჯერად ჯუანშერის როგორც თვითმხილველის შესახებ იმიტომ არ ვუთითებ, რომ როგორც თვით ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, „ჯოვანშერ სპასპეტი დიდისა მისი ღირსსახსოვრისა თჳთმპყრობელისა მეფისა ვახტანგ გორგასლანისა, სწავლული და ივერიისა აღმწერი“ როგორც მას თეიმურაზ ბაგრატიონი უწოდებს, ვახტანგს ჰუნთა წინააღმდეგ ლაშქრობაში თან არ ახლდა [120:185].

არათუ ვახტანგ გორგასლის თანადროულად, არამედ XII—XIII სს. ქართველებიც კი აბაშეთში ეთიოპიას (აბაშში — ეთიოპიელს) რომ

არ გულისხმობდნენ, ეს ძველი ქართული საისტორიო წყაროთა მონაცემებიდანაც ჩანს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი (XII ს.) იმ ხალხთა და სახელმწიფოთა შორის, რომლებიც თამარს „სძღუნობდა, სძმობდა და ჰმონებდა“ აბაშებს — სკკუთთა, ხაზართა, ალანთა, ხუარასნელთა, ხუარაზმშასა და ბერეთელთა შემდეგ ასახელებს [50:22—23]. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ბერეთელთა ვინაობა და ცხოვრების ადგილი უცნობია, რადგან ჩამოთვლისას დასახელებული ხალხები შუა აზიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ, საეჭვო არ უნდა იყოს, XII ს. ავტორს აბაშნი, მაგ. მეზობლად მცხოვრებლებად რომ მიაჩნდა.

ძველი ქართველები აბაშში ეთიოპიელს რომ არ გულისხმობდნენ, ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა ჟამთააღმწერლის შემდეგი ცნობა: ქართველთა მონაწილეობით მონღოლთა ლაშქრობისას, ქ. ამასიასთან ბრძოლაში (1281 წ.) დემეტრე მეფეს (1259—1289) ცხენი მოუკლეს და მონღოლთა ჯარში მყოფმა „სიქანალის ძემან, აბაშმან, მყის აღსცა მეფე ჰუნესა თკსსა“ [87:280]. იმ ხანად მონღოლებს არათუ ეთიოპია, ეგვიპტეც კი არ ჰქონდათ დაპყრობილი; ამიტომ, საეჭვოა, მონღოლ-ქართველთა ლაშქარში ეთიოპელები ყოფილიყვნენ. უფრო მოსალოდნელია, ტომით აბაში სიქანალის ძე ირანის მეზობლად მდებარე აბაშეთიდან ყოფილიყო.

ძველად აბაშებსა და აბაშეთში რომელიღაც აღმოსავლეთის ქვეყანა და ხალხი რომ იგულისხმებოდა, ამ მხრივ „ამირანდარეჯანიანის“ შემდეგი ცნობა მიგვითითებს. კ. კეკელიძის თანახმად, „ამირანდარეჯანიანში“ ხაზართა მეფედ წოდებული დილარი „დილარიანში“ აბაშეთის მეფედ ყოფილა დასახელებული [62:62]. სავარაუდებელია, „დილარიანის“ აბაშეთი ისტორიის ასპარეზიდან აბაშთა გაქრობის შემდეგ, „ამირანდარეჯანიანის“ გვიანდელმა გადამწერ-რედაქტორმა ხაზარეთად შეცვალა. რაც მთავარია, ამ თხზულებაში მოთხრობილი ამბავი რადგანაც აზიაში ხდება, ცხადია, დილარის სამეფოც იქვეა საძიებელი[80].

---

80 სარგის თმოგველის მიერ შეთხზული „დილარიანი“ ადრევე დაიკარგა (იხ. ქსე, ტ. 9, სტ. სარგის თმოგველი). XIX ს. დამდეგს პ. ლარაძემ დაწერა ახალი „დილარიანი“. მასში დილარი მართალია აბაშეთის მეფედაა დასახელებული, მაგრამ აბაშეთის მდებარეობა გარკვეით არაა მითითებული („ჩემი აღმოსავლეთში მყოფობისას, — ნათქვამია მასში, — იტყოდნენ აბაშთა ქვეყანასა დიდად მშვენიერსაო“. 66:148]. რაც იმის მაჩვენებელია, ავტორს აბაშეთის მდებარეობაზე გარკვეული წარმოდგენა რომ არ ჰქონდა. თუმცა, იგი აღმოსავლეთში ეგულებოდა.

ასე რომ, ძველი ქართული წყაროების თანახმად, აბაშნი ცხოვრობდნენ როგორც სინდეთიდან ირანში მომავალ გზაზე — ირანის აღმოსავლეთით, ისე შუა აზიაში.

იმის დასადგენად, თუ რომელი ქვეყანაა ჯუანშერის მიერ მოხსენიებული აბაშეთი და საერთოდ ვინ იგულისხმებიან ძველი ქართული წყაროების აბაშებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს: IV—V სს-ში ირანის შაჰებს თავიანთი იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით (აქ, როგორც ზემოთ ვაჩვენე, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობდა ჯორჯონეთი, იგივე გურგანი) და სამხრეთ-აღმოსავლეთ (აქ მდ. ინდის ქვემოწელზე მდებარეობდა სინდეთი. ქვემოთ შევეცდები გავარკვიო რომელი ტერიტორია იგულისხმებოდა ჯუანშერის „ჰინდოეთში“) საზღვრებზე ვისთან ჰქონდათ ომები?

ამ მხრივ საინტერესოა ძველი სომეხი ისტორიკოსების ცნობები. V ს. სომეხი ისტორიკოსების ფავსტოს ბუზანდაცისა და ელიშეს თანახმად ირანის შაჰებს აღმოსავლეთში გამუდმებული ბრძოლები ჰუნ ქუშანებთან ჰქონდათ.

ქუშანთა გაერთიანება ახ. წ. დამდეგს ბერძნულ-ბაქტრიული სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ჩამოყალიბდა და იმ ეპოქაში რომთან, პართიასთან და ხანის დინასტიის ჩინეთის სახელმწიფოსთან ერთად ძველი მსოფლიოს ოთხ უძლიერეს იმპერიას განეკუთვნებოდა. ქუშანთა იმპერია არალის ზღვის ნაპირებიდან ინდოეთის ოკეანემდე — თანამედროვე შუა აზიის, ავღანეთის, დასავლეთი პაკისტანის, ჩრდილოეთი ინდოეთისა და შესაძლოა ჩინეთის თურქესტანის (სინძიანი) ტერიტორიებს მოიცავდა [133:3]. ქუშანთა იმპერიამ თავისი სიძლიერის ზენიტს ახ. წ. II ს-ში მიაღწია. მის ტერიტორიაზე გამავალი აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზით მას ურთიერთობა ჰქონდა, არა მარტო ჩინეთთან, პართიასთან და რომთან, არამედ ამ სახელმწიფოთა ორბიტაში მოქცეულ სახელმწიფოებთანაც[81]. ახ. წ. III ს. შუა ხანებიდან ქუ-

---

81 ბაქტრიელებს ქართულ სამყაროსთანაც რომ ჰქონდათ ურთიერთობა, ამას მოწმობს ახ. წ. V ს-ში შედგენილ ანონიმურ „პერიპლუსში“, როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. II—I სს. წყაროდან ამოღებული ცნობა. ამ ცნობაში ქ. ფასისში (ახლანდელი ქ. ფოთი) სავაჭროდ ჩამოსულ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე 60 ტომის წარმომადგენელთა შორის დასახელებულნი არიან: „ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიიდან“ [76:119]. ქ. გუდაუთასთან ნაპოვნია ვერცხლის მოოქროვილი ფილარი, რომელიც სპეციალისტთა აზრით ძვ. წ. III ს. ბაქტრიული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ძვ. წ. II ს. ბაქტრიული მონეტა აღმოჩენილია თბილისის ტერიტორიაზე [76:119. შენ. 2].

შანთა წინააღმდეგ ბრძოლები დაიწყო პართიის სახელმწიფოს ადგილზე წარმოქმნილმა სასანიანთა ირანმა. სასანიანმა შაჰებმა შესძლეს ქუშანთა იმპერიაში შემავალი ზოგიერთი ოლქის დამორჩილება. IV ს-ში ქუშანთა იმპერია რამდენიმე მცირე პოლიტიკურ ერთეულად (სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი „მცირე ქუშანებად" იწოდებიან) დაიშალა. V ს. დამდეგიდან „მცირე ქუშანთა" სახელმწიფოები ჰუნი კიდარიტების ხელქვეით გაერთიანდა და V ს-ში ირანის შაჰებს სწორედ მათთან უხდებოდათ ბრძოლები.

ქუშანთა წინააღმდეგ ირანის ბრძოლამ, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი იეზდიგერდ II-ის (439—457) მეფობაში მიიღო. ელიშეს ცნობით, ქუშანებთან საბრძოლველად შაჰმა 441 წელს ქართლიდანაც გაიყვანა ცხენოსანი ჯარი. ბრძოლებში იმდენი იღუპებოდა, რომ შაჰი იძულებული იყო ქუშანებთან მებრძოლი ნაწილები ყოველ წელს ახლად გაწვეული რაზმებით შეეცვალა [142:31]. 449 წ. იეზდიგერდმა შეძლო ქუშანთა დამარცხება, მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია. 449 წლის წარმატებითი ლაშქრობის [117:86—87] შემდეგ მან მარცხი განიცადა.

როგორც ზემოთ ვაჩვენე, 457 წ. იეზდიგერდ II გარდაიცვალა და ირანის ტახტი ჰორმიზდ III-მ დაიკავა. ჰორმიზდის ტახტზე ასვლისას, შუა აზიაში ირანის ქვეშევრდომი ქუშანების გამგებელი ჰორმიზდის უმცროსი ძმა — პეროზი ეფტალიტებთან (თეთრი ჰუნები) გაიქცა, თავისი საგამგეო ქვეყნის ნაწილი მათ გადასცა და სანაცვლოდ მიღებული ლაშქრით ორწლიანი ბრძოლის შემდეგ შეძლო ჰორმიზდის ტახტიდან გადაყენება. როგორც ჩანს, ირანში ატეხილი შინაომით ისარგებლეს ირანის მიერ დამორჩილებულმა „მცირე ქუშანებმა" და მას ხარკი შეუწყვიტეს, რის გამოც, 460 წ. პეროზმა მათ წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლები წამოიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰუნების (ქუშანებისა და კიდარიტების) დამარცხება პეროზმა მხოლოდ 468 წელს შეძლო და ჰუნების დამარცხების თარიღად სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული 468 წელი ემთხვევა ვახტანგის დაბადების თარიღიდან ათვლილ, პეროზთან ერთად ვახტანგ გორგასლის ჰუნებთან ბრძოლის შემდეგ, ვახტანგის ქართლში დაბრუნების თარიღს. აღნიშნული, ვფიქრობ, იმაზე მიგვითითებს ვახტანგი ქართლის ჯარით სწორედ კიდარიტებისა და ქუშანების წინააღმდეგ ბრძოლებში რომ მონაწილეობდა.

ზემომოტანილი მასალის შემდეგ ყოვლად წარმოუდგენელია,

როგორც ქუშანთა იმპერიის, ისე „მცირე ქუშანთა“ სახელმწიფოების შესახებ ქართველებს სათანადო ცოდნა არ ჰქონოდათ. 441—449 და 460—468 წლებში ქუშანთა წინააღმდეგ ბრძოლებში ხომ ათასობით ქართველი მეომარი მონაწილეობდა.

ვახტანგ გორგასლის დროის ქართლში „მცირე ქუშანთა“ სახელმწიფოები რომ სცოდნიათ, ამას ვფიქრობ ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტიც უჭერს მხარს.

ძველი აღთქმის წიგნები, როგორც ცნობილია, ძვ. წ. VII ს-ში დგებოდა. მათი კანონიზაცია კი ახ. წ. II ს-ში დამთავრდა, როცა ქუშანთა იმპერია თავისი სიძლიერის ზენიტში იმყოფებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა ბიბლიაში ქუშანთა იმპერიის არსებობა არ ასახულიყო. ჩემი ვარაუდით, ბიბლიაში ქამის ძედ დასახელებული „ქუშ“-ი (ნეშტთა I, 1, 8) ქუშანთა ეპონიმი უნდა იყოს და არა ეთიოპიისა, როგორც ეს დღესაა მიღებული.

გამოკვლევაში „გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში“ მზ. შანიძემ შენიშნა, რომ ბიბლიის ებრაული ტექსტის „ქუშ“ ბერძენ მთარგმნელს „ეთიოპიად“ აქვს გადატანილი, ხოლო ქართველს — „ჰინდოეთად“ (იობ. 28, 19). აღნიშნულის გამო იგი წერს: „დასახელებულ ადგილას ჰინდოეთი ბერძნულ ეთიოპია-ს შესაბამის გადმოცემად ვერ ჩაითვლება“ [102: 164]. მზ. შანიძის თანახმად მსგავსი მდგომარეობა გვაქვს ფსალმუნების ძველ ქართულ თარგმანში (ფს. 86, 4), სადაც ებრ. „ქუშ“ — ქართულში ისევ ჰინდოეთად, ხოლო ბერძნულში ეთიოპიად არის გადატანილი [102:169. ბიბლიის სომხურ თარგმანში, ფს. 86, 4, ებრაული ტექსტის „ქუშ“-ი ქართულის მსგავსად ჰინდოეთადაა გადატანილი. იხ. ვენეტიკის 1805 წ. და კონსტანტინოპოლის 1895 წ. გამოცემები][82].

ბიბლიის პირველი ქართული თარგმანები, როგორც ვარაუდობენ, ქრისტიანობის გავრცელებისთანავე არის შესრულებული (ადრეული თარგმანის ზოგი ფრაგმენტი გვხვდება V ს. ხანმეტ ძეგლებში[83]. ასევე,

---

82 ბიბლიის ქართული ტექსტი სომხურთან შეადარა თსუ არმენოლოგიის კათედრის თანამშრომელმა ნინო აფციაურმა.

83 ე. ხინთიბიძემ ყურადღება მიაქცია, რომ „ბალავარიანის“ რომანის დასაწყისში, სადაც ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავია მოთხრობილი, დედნისეული ინდოეთი ბერძნულ თარგმანში ეთიოპიად არის გადატანილი. ბერძნული ვერსიის გამოჩენამდე შესრულებულ ქართულ და არაბულ თარგმანებში კი ინდოეთზეა საუბარი [194:69—75]. „ვეფხისტყაოსანში“ ჰინდო (ინდო) აღნიშნავს ინდოეთსაც და შავკანიანსაც [40:13].

სომხებს ბიბლიის თარგმნა უკვე V ს-ში უნდა დაეწყოთ). ეს კი ის ხანაა, როცა ქუშანთა იმპერიის ადგილზე „მცირე ქუშანთა“ სახით ცალკეული პოლიტიკური ერთეულები იყო ჩამოყალიბებული. ალბათ, აღნიშნულით უნდა აიხსნას ბიბლიის ქართველმა და სომეხმა მთარგმნელებმა ებრაული „ქუშ“ „ჰინდოეთად“ რომ გადმოიტანეს. როგორც ჩანს, „ქუშ“-ში მათ თავიანთი თანადროული ჩრდილოეთ ინდოეთში მდებარე „მცირე ქუშანთა“ სახელმწიფო [IV—V სს-ეში მისი დედაქალაქი პურუ-შაპურა, ახლანდელი პეშავარი იყო. 196:180] დაინახეს.

ზემოაღნიშნულის შემდეგ, სამართლიანად მიმაჩნია მზ. შანიძის დასკვნა: „...ძველ ქართულ მწერლობაში ამ ეთნიკური სახელების მატარებლებს ქართველები კარგად [რომ] იცნობდნენ“, რის გამოც „ბიბლიის ნათარგმნ ტექსტებში მათ ტრადიციით განმტკიცებული სახელები შეიტანეს“ [102:70].

მეორე მხრივ, ბიბლიის ბერძენმა მთარგმნელებმა ებრაული „ქუშ“ რომ ეთიოპიად გადაიტანეს ეს შემთხვევითი არ იყო. „ქუშ“, „ქაშ“ ეგვიპტის სამხრეთით მდებარე, თანამედროვე სუდანის (შუა საუკუნეების ნუბია) ძველეგვიპტური სახელი იყო.

მკვლევრები ბიბლიურ „ქუშ“-ს, როგორც აღვნიშნე, ეთიოპიელთა ეპონიმად მიიჩნევენ, მაგრამ ბიბლიაში ეგვიპტის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ყოველთვის ეთიოპიად არის მოხსენიებული (იხ. II ნეშტთა, 12, 3; 14, 9, 12,13; III ეზრა, 3, 2; ივდითი 1, 10; ესთერი, I, 1, 22; 3, 12 და სხვა). „ქუშ“-ის ეთიოპთა ეპონიმად მიჩნევას ისიც ეწინააღმდეგება, რომ ბიბლიაში ქუშის ძედ ნებროთია დასახელებული (I ნეშტთა, 1, 10), მის სამეფოდ კი შუამდინარეთი (დაბადება 10, 8, 10).

ამრიგად ზემომოტანილი მასალა ცხადჰყოფს: ა. IV—V სს-ში ქართველებს კარგად სცოდნიათ ბიბლიის ებრაული ტექსტის „ქუშ“-ს V ს-ში ჩრდილო ინდოეთში არსებული „მცირე ქუშანთა“ სახელმწიფო რომ შეესაბამებოდა; ბ. ამ სამეფოს, როგორც ეს ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, ქართველები „ჰინდოეთად“ იცნობდნენ (ეს გარემოება, ვფიქრობ, იმის დამადასტურებელიცაა IV—V სს-ში „წმინდა წიგნები“ ქართულად უკვე თარგმნილი რომ იყო). გ. ჯორჯანეთი, „ჰინდოეთი“ და სინდეთი V ს-ში ირანის მოსაზღვრე ქვეყნები იყვნენ. ამ ქვეყნებში იმ ხანად ჰუნები ბატონობდნენ.

ახლა რაც შეეხება აბაშეთის ლოკალიზაციას.

ირანის ტახტზე პეროზის ასვლისას, როგორც ზემოთ ვაჩვენე,

ირანისაგან ქართლის სამეფოც გამდგარი იყო. პეროზმა პირველ რიგში ქართლში გამოილაშქრა. ქართლში მებრძოლი შაჰი ვახტანგს ბიზანტიელთა შუამდგომლობით დაუზავდა და ამის შემდეგ ვახტანგს სთხოვა თავისი ლაშქრით მას მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში შეწეოდა. ასე დაიწყო ვახტანგმა ქართლის ჯარით ირანელებთან ერთად ბრძოლა ქუშანების წინააღმდეგ ჯორჯანეთში, ჰინდოეთს, სინდეთსა და აბაშეთში. მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც ჯუანშერის თხზულებაში, ისე სხვა ძველ ქართულ წყაროებში ქუშანები არ იხსენიებიან, თუმცა, ჯუანშერი ბრძოლების ადგილად ზუსტად იმ ტერიტორიებს ასახელებს, რომლებიც ადრე ქუშანთა იმპერიაში შედიოდა. ამიტომ ისმება კითხვა, ძველ საქართველოში ქუშანები აბაშთა სახელით ხომ არ იყვნენ ცნობილნი?

ასეთი მოსაზრება „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანით დასტურდება. თარგმანი, როგორც ცნობილია, XII-ს-ში არის შესრულებული, რის გამოც, მასში თუმცა შემოკლებით, მაგრამ მაინც დღემდე ჩვენთვის ცნობილი ძველი ქართული საისტორიო ქრონიკების უძველესი რედაქციების ტექსტებია შემონახული. რაც ამჯერად ყველაზე მთავარია, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" სომეხ მთარგმნელს, რათა სომეხი მკითხველისათვის გასაგები ყოფილიყო თუ ვის გულისხმობდნენ ქართველები აბაშეთში, აბაშეთისათვის სომხურ თარგმანში განმარტება დაურთავს, რომ აბაშეთი იგივე „ქუშ[ელ]თა ქვეყანაა" (როგორც ზემოთ ვნახეთ, XII ს. ქართულ წყაროში აბაშეთი ისევ იხსენიება და ცხადია, იმ დროის სომეხ მთარგმნელს აბაშეთი კარგად ეცოდინებოდა), ხოლო როცა მთარგმნელი „ლერწმოვან საფლობ ადგილებში" თავშეფარებული ხალხის დამარცხებისა და მათგან „ქურდთა" ათასი სახლის თან წამოყვანის ამბავს გადმოსცემს, ქართველი ავტორის — ჯუანშერის ცნობას „ქურდთა" შესახებ ასე განმარტავს: „ხოლო ქუშანნი სხვა და სხვანი არიანო" [96:178]. როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების" სომეხ მთარგმნელს XII ს-ში კარგად სცოდნია ჰუნ ქუშანებს ქართველები აბაშებს რომ უწოდებდნენ. თვით აბაშები თავის მხრივ, ჰუნთა სხვადასხვა ტომებისაგან რომ შესდგებოდნენ და ერთ-ერთი ამ ტომთაგანი იყვნენ ქურდნი.

ჯუანშერის მიერ დასახელებულ აბაშეთში ქუშანთა ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი, ირანის აღმოსავლეთით მდებარე „მცირე ქუშანთა" ერთ-ერთი გაერთიანება იგულისხმება, მაგრამ კერძოდ რომელი ტერიტორიაა იგი?

ამ საკითხის გარკვევაში ჯუანშერის თხზულებაში არსებული აბა-

შეთის გეოგრაფიული დახასიათება დაგვეხმარება. ჯუანშერის თანახმად, აბაშეთი ხომ „საზღვარსა ზედა სპასთასა“ მდებარე ისეთი ქვეყანა იყო, „რომელსა მოსდგმიდა წყალი და ლერწმოანი“.

სინდეთიდან წამოსული ირანის შაჰი და ვახტანგ გორგასალი, როგორც ჩანს, ავღანეთისა და ირანის სახელმწიფოებში შემავალი ძველი დრანგიანას ტერიტორიაზე მოხვდნენ.

დრანგიანას ტერიტორიაზე ძვ. წ. II ს-იდან საკები დამკვიდრდნენ, რის გამოც ეს მხარე საკასტანად — საკების ქვეყნად (ახლანდელი სისტანი) იწოდა. ახ. წ. III ს-ში ქუშანთა იმპერიაში შემავალი ეს ტერიტორია სასანიანებმა დაიპყრეს. 310/311 წელს შესრულებულ პერსეპოლისის წარწერაში აღნიშნულია, რომ ჰორმიზდ II-ის (302—309) უფროსი ძე შაბური (წარწერა მის სახელზეა ამოჭრილი) „...საკთა მეფე, განაგებს ინდოეთს, საკასტანსა და თურესტანს ზღვის ნაპირებამდე“ [156:224. — „ზღვის ნაპირებში“ სწორედ სინდეთი უნდა იგულისხმებოდეს].

იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ირანში დაწყებული შინაომის დროს, როგორც ჩანს, ირანს საკასტანის ტერიტორიაზე არსებული ქუშანების გაერთიანებაც განუდგა და პეროზს სხვებთან ერთად მათი ხელახლა დამორჩილება მოუხდა. ქართველი ავტორის ცნობა ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია.

ძველი დრანგიანას ტერიტორიამ ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების აღმწერთა ყურადღება მიიქცია. იმ დროის ავტორთა ცნობებით, ეს უჩვეულო რაიონი ხან აყვავებულ ოაზისს წარმოადგენდა, ხან შხამიანი ჭაობნარი, ხან აყვავებული სოფლების ვრცელი რაიონი, ხან კი შემზარავი უდაბნო იყო, სადაც მუდმივად დათარეშობდა ქარი [189:188. სისტანში წელიწადში დაახლოებით 120 დღე ქარიანია. 211; 173:179].

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან მოკიდებული, მხოლოდ X ს-იდან ჩნდება სისტანის შესახებ არაბ ავტორთა ცნობები. ამიტომ, ჯუანშერის მონაცემები — სისტანის ბუნებრივი პირობების შესახებ, ერთ-ერთი უძველესია. ამ მხარის დაწვრილებითი აღწერა კი XIX ს. მეორე ნახევრიდან გვაქვს.

სისტანის ტერიტორია 1872 წ. ირანსა და ავღანეთს შორის განაწილდა. „გარე სისტანი“ ავღანეთის შემადგენლობაში შევიდა, „შიდა სისტანი“ ირანს ერგო [211; 131:49]. შიდა სისტანის ჩრდილოეთით ორი ლაგუნა — ჰამუნი-სავარანი და დარიანჩაიე-ჰამუნი მდებარეობს. აღმოსავლეთით მდ. ჰილმენდის ძველი დინების კალაპოტი ესაზღვრება,

სამხრეთის ხაზს კი სისტანის დიდი არხი ჰქმნის, რის გამოც ამ ტერიტორიას სამი მხრიდან წყალი აკრავს. ტაფობში (ირან. „ჰამუნ“) სადაც ლაგუნები მდებარეობენ, ავღანეთის მხრიდან მდ. ჰარუდ რუდი, ფარაჰ რუდი, ჰილმენდი და ქასრუდი ჩაედინებიან. ლაგუნების სამხრეთით გადაჭიმულია ჭაობიანი სივრცე (ირან. „ნაიზარ“). წყალდიდობისას ორივე ლაგუნა ტბებად იქცევა და ერთიანდება ხოლმე. წყლის დონის შემდგომი მომატებისას ტბებიდან გამომდინარე წყალი სამხრეთით მდებარე ჭაობიან სივრცეს ფარავს, რის გამოც ეს ტერიტორია დიდ ტბას ემსგავსება. ტბებში წყლის დონემ თუ კიდევ მოიმატა, მაშინ ტბებიდან გადმომდინარე წყალი შელას ტოტით, უფრო სამხრეთით, ავღანეთის ტერიტორიაზე მდებარე გავად-ი ზარიჰის ტბის ღრმულში გადადის, რის შემდეგაც სისტანის მთელი ტაფობი წყლით იფარება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იშვიათად ხდება. როგორც ინგლისის გამმიჯნავი კომისიის წევრებმა 1885 წელს ადგილობრივი მოხუცებისაგან მოიცმინეს, ასეთი შემთხვევა მათ არ ახსოვდათ. საერთოდ, უფრო ხშირადაა მდინარეთა კალაპოტი ამომშრალი, ვიდრე მთელი ტაფობი წყლით სავსე. ლაგუნების სამხრეთით მდებარე ჭაობიანი სივრცე დაფარულია ხშირი ლერწმოვანითა და იალღუნით, რის გამოც ეს მხარე „ჯუნგლებს ემსგავსება“ [იხ. 211; 131:46; 173:75].

X ს. არაბი გეოგრაფი სისტანში მხოლოდ ერთ ტბას ასახელებს. მაშინ ამ ტბაში ჩაედინებოდა ოთხივე მდინარე [131:46]. ძნელი სათქმელია, V საუკუნის სისტანშიც ერთი ტბა იყო თუ არა [V ს. სომეხი ისტორიკოსი ელიშე მხოლოდ სისტანის „გაუვალ ადგილებზე“ მიუთითებს. 142:56—57], მაგრამ, ცხადია, წყლით დაფარულ „ლერწმოანში“ თავშეფარებულ აბაშებს ტაფობში წყალი ხელოვნურად უნდა ჰქონებოდათ შეშვებული. რის გამოც მოხერხდა წყლის გადაგდება, ლერწმოანის დაწვა და შიგ „მსხდომარე“ აბაშთა დამორჩილება.

ამრიგად: ჯუანშერის მიერ დასახელებული აბაშნი ჰუნი ქუშანები არიან, აბაშეთი კი ადრე ქუშანთა იმპერიაში შემავალი სისტანის ტერიტორიაზე წარმოქმნილი „მცირე ქუშანთა“ სახელმწიფოა.

XII—XIII სს. საქართველოში ჯერ კიდევ ყოფილა ცნობილი აბაშეთის მდებარეობა. შემდეგში, როცა აბაშ-ქუშანები შუა აზიასა, ინდოეთსა და სისტანში სხვა ხალხებს შეერწყნენ და როგორც ეთნიკური ერთეულნი ისტორიის ასპარეზიდან გაქრნენ, ქართველთა ხსოვნაში შემორჩენილი აბაშთა სახელი დაემთხვა ეთიოპიის არაბულ სახელწოდებას, რამაც ჰუნი ქუშანების ქართულ სახელს ახალი შინაარსი შესძინა.

ჯუანშერის ცნობები სისტანის ბუნებრივი პირობების შესახებ ერთ-ერთი უძველესია. რაც მთავარია, დადასტურდა მისი მითითება აბაშეთის „საზღვარსა ზედა სპარსთასა“ მდებარეობის შესახებ. ეს გარემოება, ჩემს მიერ მოტანილ სხვა მაგალითებთან ერთად, იმის მაჩვენებელია, ჯუანშერი მის მიერ აღწერილი ამბების თანამედროვე რომ იყო. ჯუანშერის ცნობების შემდგომი შესწავლა ბევრ ახალს შესძენს არა მარტო საქართველოს ძველ ისტორიას, არამედ ირანის, ბიზანტიისა და „მცირე ქუშანთა“ ქვეყნების ისტორიასაც.

§ 2 „გზა შიმშატისა“ ჯუანშერთან

ჯუანშერის თხზულებაში არსებულ ცნობათა სანდოობაზე საუბრისას, ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მიერ მოთხრობილი იმ ამბების რეალურობის დადასტურებას, რომლის თვითმხილველი იგი არ იყო. ერთ-ერთი ასეთია მის მიერ ნახსენები „გზა შიმშატისა“. როგორც უკვე აღვნიშნე, ჯუანშერი ვახტანგ გორგასალს 460—468 წლებში ჰუნების წინააღმდეგ ლაშქრობაში არ ახლდა. ამიტომ, საინტერესოა გაირკვეს, მართლაც არსებობდა ირანიდან ქართლში მომავალი გზის მახლობლად ქ. შიმშატი და „გზა შიმშატისა“.

„გზა შიმშატისა“ ჯუანშერის თხზულებაში ორჯერ იხსენიება („ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში „გზა შიმშატისა“ გამოტოვებულია). პირველად — ქართლში ირანის შაჰის ლაშქრობის ამბავთან დაკავშირებით, 460 წელს სპარსთა მეფე როცა „წარმოემართა ბრძოლად ვახტანგისად... მოიწია ინდაბრიანთა“ და დაიბანაკა[84].

ქართლში ირანელთა გამოლაშქრების შესახებ, როგორც ეს ჯუანშერის ცნობიდან ჩანს, ვახტანგს ინფორმაცია ჰქონია. ამიტომ, სანამ შაჰი ქართლში შემოვიდოდა, ვახტანგს ელჩი გაუგზავნია იმპერიაში და დახმარება უთხოვია. თან შეუთვლია: შაჰმა თუ ჩვენ გვძლია, მაშინ გაძლიერდება და შემოვა „საზღვართა შენთა გზასა შიმშატისასაო“ [120:179].

---

[84] სადაა „ინდაბრიანთა“ ჩემთვის უცნობია [გ. წულაიას თანახმად, იგი დამახინჯებული ან მოგონილი გეოგრაფიული სახელია. 140:128, შენ. 128]. მაგრამ, რადგან „ინდაბრიანთა“-ში მოსული შაჰი თავისი ლაშქრით „შუა საზღვართა ქართლისათა“ იდგა, ჩანს, შაჰი ჯერ კიდევ არ იყო ქართლში შემოსული და ეს ტოპონიმი ირანიდან ქართლში მომავალ გზაზე მდებარეობდა. საეჭვო არ მეჩვენება მისი ადგილმდებარეობა ძველ ქართველებს კარგად რომ ეცოდინებოდათ.

„გზა შიმშატისა“ ჯუანშერთან მეორედ 468 წელს ირანიდან ქართლში მომავალი ვახტანგის გზის აღწერასთან დაკავშირებით იხსენიება. ირანიდან წამოსული ვახტანგი ჯუანშერის ცნობით, ჯერ ანტიოქიაში (ამ ქალაქში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქ. ნისიბისი იგულისხმება), შემდეგ კი ქ. ურჰაში (აქ მას დედა და დაჲ უცდიდა) მივიდა. ურჰადან კი „წარმოვიდა ვიდრე განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა“ [120:196]. აი, აქედან, ე. ი. ბიზანტია-სომხეთის საზღვრიდან, ვახტანგთან ერთად ირანის ლაშქრობაში მყოფი ბიზანტიელი სარდალი „ლეონ ბერძენი“ და მისი სპა „წარვიდა შიმშატად“ [ვახტანგმა მათთან ერთად გააგზავნა იმპერატორთან მოციქული „წარმოყვანებად ცოლისა მისისა, და პეტრესთჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა“. 120:196].

ზემომოტანილი ციტატებიდან აშკარად ჩანს, ქ. შიმშატი ირანიდან ქართლსა და ბიზანტიაში მიმავალ გზაზე, ბიზანტია-სომხეთის საზღვართან მდებარეობდა. ხოლო „გზა შიმშატისა“ — ის გზა იყო, საიდანაც შეიძლებოდა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე შესვლა. ამიტომ, ჯუანშერის ცნობების სანდოობისათვის უნდა გაირკვეს: თუ არსებობდა ასეთი სახელწოდების ქალაქი ბიზანტიის საზღვართან და „გზა შიმშატისა“ თუ აკავშირებდა ირანს ბიზანტიასთან.

ქ. შიმშატი ვახტანგ გორგასლის შემდგომი ხანის საქართველოს ისტორიის ამსახველ წყაროებში აღარ იხსენიება. რაც შეეხება უცხოურ წყაროებს, არაბი ისტორიკოსი ალ-ბალაზური შიმშატს აზერბაიჯანში ასახელებს [129:13—14]. აზერბაიჯანში ასეთი ტოპონიმის არსებობას თითქოს ვახუშტიც ადასტურებს. დავით აღმაშენებელმა, — წერს იგი, — „...მოტყვევნა შარვანი, ქურდევანი შიმშატამდე“ [41:159]. ეს ცნობა ვახუშტის დავითის ისტორიკოსისაგან აქვს აღებული. თვით დავითის ისტორიკოსთან კი შიმშატის მაგიერ „ხიშტალანი“ არის ნახსენები [106:339]. ივ. ჯავახიშვილი როცა დავითის ლაშქრობის ამ ამბავს შეეხო, ხიშტალანი „შიმშატად“ გადაიტანა. თუმცა, იქვე შენიშნა, ეს სახელი ყველა ხელნაწერში დამახინჯებულიაო [112:201].

ამრიგად, გარდა იმისა, რომ ალ-ბალაზურის მიერ აზერბაიჯანში დასახელებული „შიმშატი“ ქართულმა წყარომ „ხიშტალანის“ სახით იცის, მთავარი ისაა, რომ ჯუანშერი ქ. შიმშატს ბიზანტია-სომხეთის საზღვართან ახლოს ასახელებს. ამიტომ, ჯუანშერთან მოხსენიებული ქ. შიმშატის ლოკალიზაციისათვის ალ-ბალაზურის ცნობა არ გამოგვადგება, ასევე არაა სწორი XVIII ს. ანტიოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (680/681 წწ.) დამსწრე გიორგი

სებასტიელის სამშობლო ქ. სებასტიას სიმსატს // შიმშატს რომ უწოდებს [167:398]. ქ. სებასტია (ახლანდელი ქ. სივასი თურქეთში) ბიზანტიის იმპერიის სიღრმეში მდებარეობდა და ირანიდან ქართლში მომავალი ვახტანგი ამ ქალაქის ახლოს ვერ მოხვდებოდა.

როგორც ვხედავთ, ჯუანშერის შემდეგდროინდელ X—XVIII სს. ავტორებს ქ. შიმშატის მდებარეობის შესახებ არასწორი ინფორმაცია აქვთ. ამიტომ, ქ. შიმშატის ადგილმდებარეობის დასადგენად ჯუანშერის მოღვაწეობის თანადროული (ე. ი. V ს.) ან უფრო ადრინდელი ავტორების ცნობებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე, როგორც ითქვა, ქ. შიმშატი ბიზანტია-ირანის საზღვართან არის საძიებელი. ამ მხრივ საინტერესოა, ეფრემ სირინის (იგივე ასური,ასირიელი. დაიბ. დაახლ. 306—გარდ. 377) „ცხოვრებაში" არსებული ცნობა. „ნათესავით ასური" ეფრემი წარმოშობით ქ. ნისიბისიდან იყო. ეფრემის ნისიბისში (ჯუანშერის ქ. ანტიოქია) ცხოვრებას დაემთხვა იმპერატორ იულიანე განდგომილის მიერ 361 წ. ირანის წინააღმდეგ წამოწყებული ომი. 363 წლის ზაფხულში ერთ-ერთ ბრძოლაში იულიანეს დაღუპვის შემდეგ დადებული ე. წ. „სამარცხვინო ზავით", ეფრემის მშობლიური ქალაქი ნისიბისი რომის იმპერიამ ირანს დაუთმო. ეს ქალაქი „საზღვრად დადვეს ბერძენთა და სპარსთა". მოქალაქეებს კი უბრძანეს „რაჲთა გამოვიდენ მიერ ქალაქისაგან და მისცენ იგი სპარსთა, რამეთუ მას ზეღა ყვეს ზავი" [108:217]. 363 წელს ეფრემი ქ. ნისიბისიდან ქ. ურჰაში (ედესაში) გადასახლდა. ეფრემი, როგორც წარმოშობით სირიელი (ჩრდილო მესოპოტამიიდან) კარგად იცნობდა თავის თანადროულ შუამდინარეთს. ამიტომ, მის თხზულებებში არსებულ კომენტარებს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ებრაული ენის, პალესტინის ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის ცოდნა [108:351]. ჩვენთვის საინტერესო ქ. შიმშატი მის „ცხოვრებაში" იხსენიება. „ცხოვრებაში" არსებული ცნობით, ეგვიპტიდან კაპადოკიის კესარიაში (ახლანდელი კაისეიი თურქეთში) ბასილ დიდის სანახავად ჩასული ეფრემი „...ვითარცა გამოვიდა (იგულისხმება კესარიიდან გამოსვლა. — ვ. გ.) ...მისლვად ურჰად ქალაქად მათა, მიიწივნეს ქალაქად რომელსა ჰრქვან შიმშატი" [108:225].

მოტანილი ცნობიდან გამომდინარე, ქ. შიმშატი კაპადოკიიდან ქ. ურჰაში მიმავალ გზაზე ყოფილა. როგორც ვნახეთ, ქ. შიმშატს ამავე გზაზე ასახელებს ჯუანშერიც. მისი ცნობით, ბიზანტიის ფარგლებში მდებარე ქ. ურჰადან ქართლში მომავალი ვახტანგი და ლეონ „ბერძე-

ნი“ ჯერ „განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა“ მიადგნენ. ამ „განსაყოფელიდან“ წავიდა კონსტანტინოპოლში მიმავალ ვახტანგის ელჩობასთან ერთად ბიზანტიაში თავისი „სპით“ ლეონ „ბერძენი“. აქ თუ ეფრემ სირინის „ცხოვრებაში“ არსებულ იმ ცნობას გავიხსენებთ 363 წელს ირანსა და რომს შორის დადებული ზავით ქ. ნისიბისი ირანის ფარგლებში რომ გადავიდა, ხოლო ქ. ურჰა ბიზანტიის საზღვრებში დარჩა [მდრ., 123:4], მაშინ ქ. შიმშატი ნისიბისის დასავლეთით ბიზანტია-სომხეთის საზღვართან ახლოს — ჩრდილო შუამდინარეთში არის საძიებელი.

ჯუანშერის ცნობიდან გამომდინარე, აქვე, ურჰას ჩრდილოეთით, ქ. შიმშატის ახლოს უნდა ყოფილიყო ბიზანტია-სომხეთის საზღვარი.

ახლა ამ მხრივ შევამოწმოთ ჯუანშერის ცნობის სანდოობა. ნ. ადონცის თანახმად, ირან-ბიზანტიის საზღვარი ძველი სომხეთის სამხრეთით მდ. ნიმფეაზე გადიოდა. ამ მდინარის ნაპირას მდებარეობდა ქ. მარტიროპოლი [ახლანდელი მაიფერკინი თურქეთში. 123:5]. მავრამ, თვით ქ. შიმშატი სად მდებარეობდა?

ძველი რომაელი მოღვაწის პლინიუს უმცროსის დაიბ. 61 ან 62-- გარდ. 113/114) ცნობით, მთელი შუამდინარეთი ასირიელებს ეკუთვნოდა [159:25]. რაც შეეხება იქ მდებარე ქალაქებს, ჰ. მანანდიანის თანახმად, მათი უმრავლესობა სელევკიდთა დედაქალაქ ანტიოქიიდან (მდ. ორონტზე) ქ. სელევკიისაკენ (მდ. ტიგროსზე) მიმავალ გზაზე მდებარეობდა. სელევკ ნიკატორის მიერ დაარსებული ქ. ედესა (ურჰა) და ანტიოქია (ნისიბისი) ძირითადი პუნქტები იყო იმ ჩრდილოეთის გზისა, რომელიც ზევგმიდან ედესაში მიემართებოდა. იქიდან კი ნისიბისით მდ. ტიგროსისაკენ და აქ აქემენიანთა დროის „დიდ სამეფო გზას უერთდებოდა“ [159:20]. სწორედ ამ „დიდი სამეფო გზის“ ერთ-ერთი პუნქტი იყო ქ. შიმშატი, რომლის ძველი სირიული სახელი არშამოშტა ყოფილა.

ქ. არშამოშტა მდ. დასავლეთ ევფრატის (ახლანდელი ყარა სუ) და დასავლეთ ტიგროსის შუა მდებარე ძველი სირიული პროვინციის — სოფენის (ურარტული წყაროების წოფენი, სომხ. წოფკ) ქალაქი იყო. სელევკიდთა კუთვნილ ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. III ს-ში სელევკიანებისადმი დაქვემდებარებული სომხური სამეფო წარმოიშვა. ძვ. წ. 190 წლიდან იგი დამოუკიდებელი იყო, ხოლო ახ. წ. 387 წლიდან ბიზანტიის ხელში მოექცა. 428 წელს ირანის მფლობელობაში დარჩენილ სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ, სომხეთ-ბიზანტიის საზღვარზე

ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა. ჯუანშერი V ს. შუა ხანებისათვის, როცა ბიზანტია-სომხეთის „განსაყოფელზე“ წერს, როგორც ჩანს, ძველი ტრადიციით სარგებლობს. ისე კი, ამ რეგიონში, მოსახლეობის ძირითადი ფენა, როგორც ითქვა, სირიული იყო.

ქ. არშამოშატას დაარსება მიეწერება სოფენის მეფე არშამს, რომელიც პოლიენის ცნობით (IV, 17), ძვ. წ. დაახლოებით 240 წელს მხარს უჭერდა ანტიოქ გიერაკს სელევკ კალინიკეს (ძვ. წ. 240—226) წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძველი ბერძენი ისტორიკოსის პოლიბიოსის (ძვ. წ. 200—120) გადმოცემით, ქ. არშამოშატა ე. წ. „მშვენიერ ველზე“ იყო გაშენებული [180:144]. თავის მხრივ „მშვენიერი ველი“ ანძიტენეს [ანძიტენე სოფენას ნაწილი იყო. 123:38, 41] პროვინციაში მდებარეობდა [123: 34]. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ძველი ბერძენი გეოგრაფი პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს.) ქ. არშამოშატას ანძიტენეში რომ ათავსებს [123:32], ხოლო პლინიუს უმცროსის თანახმად, ქ. არშამოშატა მდ. ევფრატ-არცანიას მარცხენა ნაპირზე იყო, ამ ქალაქის ზუსტი ლოკალიზაცია თითქოს აღარ უნდა გაძნელებულიყო. მაგრამ, საქმე ისაა, რომ არაბი გეოგრაფი იაკუთი XIII ს. დამდეგისათვის ქალაქს უკვე ნანგრევებად იხსენიებს მცირე მოსახლეობით [123:35]. ალბათ აღნიშნულით უნდა აიხსნას ქ. არშამოშატას ადგილმდებარეობის ზუსტი ლოკალიზაცია რომ ვერ მოხერხდა (როგორც ჩანს, გვიან შუა საუკუნეებში ქალაქმა როგორც დასახლებულმა პუნქტმა მთლიანად შეწყვიტა არსებობა). მაგ., 1895 წელს პოლიბიოსის თხზულების რუსულ ენაზე გამოცემისას რუსმა მკვლევარმა თ. მიშჩენკომ ქ. არშამოშატა მდ. ტიგროსის სათავეში, სომხეთის საზღვარზე მდებარედ მიიჩნია [180:170]. ი. მარკვარტმა მისი მდებარეობა ახლანდელ ხარპუტსა და ბალუს (პალუს) შორის ივარაუდა [208:242]. ქ. არშამოშატას მდებარეობის ასეთი განსაზღვრა ი. მანანდიანს მისაღებად მიაჩნდა, თუმცა, იგი იქვე უთითებს, რომ საკითხს საბოლოოდ ხარპუტსა და პალუს შორის მდებარე რაიონის ტოპოგრაფიული და არქეოლოგიური შესწავლა გადაწყვეტსო [159:33].

ამრიგად: I. ძველი სირიული ქალაქი შიმშატი (არშამოშატა) მდ. არცანია-ევფრატის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელ ხარპუტსა და პალუს შორის მდებარეობდა.

II. ჯუანშერის მიერ დასახელებული „გზა შიმშატისა“ კი ირანიდან ქართლსა და ბიზანტიისაკენ მიმავალ ქ. შიმშატზე გამავალ აქემენიანების ხანის „დიდი სამეფო გზის“ ერთ-ერთ მონაკვეთს შეადგენდა.

სწორედ ამ გზით უკავშირდებოდა ამიერკავკასიის ქვეყნები მესოპოტამიას, სირიასა და მცირე აზიას. IX—X ს-იდან „შიმშატის გზას“ მნიშვნელობა თანდათან დაუკარგია [91:186], რის გამოც ამ გზის შესახებ გვიანდელ ქართულ წყაროებში ცნობები არ მოხვდა.

თავი XII

ქართლის ეკლესიის იმპერიის ეკლესიასთან დამოკიდებულების ასახვა ჯუანშერთან

ქართლის ეკლესიის ბიზანტიის იმპერიის ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხს ჯუანშერი ქართლში კათალიკოსობის დაწესების ამბების გადმოცემასთან დაკავშირებით ეხება. ჯუანშერის თანახმად, 468 წელს ირანიდან ქართლში მომავალი ვახტანგი როცა მოადგა „განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა“ იმპერიაში წარავლინა მოციქული „პეტრესთჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა“. თვით წარმოვიდა ქართლად. ქართლის ეპისკოპოსმა მიქაელმა, — განაგრძობს ჯუანშერი, — „ვითარცა ცნა... ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა. და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად“ [120:196].

ქართლის ეპისკოპოს მიქაელსა და მეფეს შორის მომხდარმა კონფლიქტმა ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ვახტანგმა მიქაელი თანამდებობიდან გადააყენა და განსაკითხავად კონსტანტინოპოლში გაგზავნა [120:197]. მიქაელთან ერთად წარგზავნილი დესპანთა მეშვეობით იმპერიის ხელისუფალთ შეუთვალა: კათალიკოსად აუცილებლად პეტრე, ხოლო სამოელი ეპისკოპოსად ეკურთხებინათ, დანარჩენი საეპისკოპოსო პირები თვითონ შეერჩიათ[85] [120:197].

კონსტანტინოპოლში ჩასული მიქაელი პატრიარქმა მეფის შეურაცხყოფისათვის დასაჯა — „ექსორია ყვეს... მონასტერსა მღვძარეთასა“ [120:197].

მიქაელი რადგან კონსტანტინოპოლში გაგზავნეს დასასჯელად,

---

85 ვახტანგსა და მიქაელს შორის მომხდარი კონფლიქტი ქართულ ისტორიოგრაფიაში კონფესიურ ნიადაგზე აღმოცენებულად იყო მიჩნეული. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართლი იმ ხანად დიოფიზიტობის აღმსარებელი ქვეყანა იყო, მეფეცა და ეპისკოპოსიც დიოფიზიტები იყვნენ. მიქაელი გააღიზიანა ვახტანგის სურვილმა ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საკეთმპყრობელად მაინცდამაინც პეტრე კაპადოკიელი დაესვა (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. 27).

უნდა გვეფიქრა, რომ იმ ხანად ქართლის ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე იყო დამოკიდებული. მაგრამ, ჯუანშერის შემდგომი ცნობებიდან გამომდინარე, ქართლის ეკლესიაზე კონსტანტინოპოლის პატრიარქის უზენაესობა საეჭვო ხდება. როგორც ჯუანშერი წერს, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და მეფემ პეტრე და სამოელი კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიას „წარავლინეს“ და „მიუწერეს ანტიოქიისა პატრიაქსა... ესრეთ, ვითარმედ: „პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა... ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა: რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“. და მიუწერეს ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა, ...და ანტიოქელმან პატრიაქმან აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად“ [120:197—198].

ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობების გაანალიზებისას შემდეგი საკითხები დგება: თუ ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ემორჩილებოდა (რაზეც ჯუანშერი მიუთითებს), მაშინ ვახტანგმა რატომ გააგზავნა დასასჯელად მიქაელი კონსტანტინოპოლში? მეორე მხრივ, როგორც ჯუანშერი გვარწმუნებს, თუ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა იცოდა, ქართლი რომ ანტიოქიის საყდრისა იყო, რის გამოც პეტრე, სამოელი და სხვანი ანტიოქიაში გააგზავნა, მაშინ მიქაელი რატომ დასაჯა თვითონ? გამოდის, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ადმინისტრაციული სასჯელის საკითხი თვით გადაწყვიტა, ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების უფლება კი ანტიოქიის პატრიარქს დაუთმო.

ჯუანშერის, ერთი შეხედვით ასეთმა ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებმა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ჰპოვა ასახვა. ქართლში კათალიკოსობის დაწესების მნიშვნელობისა და თარიღის საკითხს როცა ივ. ჯავახიშვილი შეეხო აღნიშნა: „კათალიკოსობის დაწესების რეალურ-უფლებრივი მნიშვნელობა წყაროებში მეტად არეულია. თითქოს ისე გამოდის, ვითომც ქართული ეკლესიის უფროსს, რომელსაც წინათ მთავარეპისკოპოზის წოდებულება ჰქონდა, ამიერიდან „კათალიკოსი“-ს სახელი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ხელდასხმისათვის ისევ პატრიარქთან უნდა გაეგზავნათ. ამგვარად, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მაგიერ ეხლა ანტიოქიის პატრიარქი შეიქმნა ქართული ეკლესიის უზენაესი მაკურთხეველი მამამთავარი“ [111:383].

პეტრე კათალიკოსად მაინცდამაინც ანტიოქიაში რომ აკურთხეს, ივ. ჯავახიშვილი ამას შემდეგით ხსნის. მისი მტკიცებით, მიქაელ ეპისკოპოსის საწინააღმდეგოდ, ვახტანგ გორგასალი და „მისი სპა“ მონოფიზიტობის დამცველი იყო და ვახტანგმა მოინდომა ქალკედონიტური მრწამსის დამცველი მიქაელი და მისი მომხრე ეპისკოპოსები მონოფიზიტებით შეეცვალა. ამიტომ, ქართლში ქალკედონიტობა-მონოფიზიტობის გამო ატეხილი ბრძოლისას კათალიკოსი და დანარჩენი ეპისკოპოსები იმ ხანად მონოფიზიტობის მომხრე ანტიოქიის საპატრიარქოში აკურთხეს [111:382].

ძველი ტრადიციით, ქართლის ეკლესია რადგან სწორედ ანტიოქიის საპატრიარქოს სულიერი გავლენის სფეროში იმყოფებოდა, ამიტომ ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ჯუანშერის ცნობა პეტრეს ანტიოქიაში ხელდასხმის შესახებ „ძველი წყაროს გარდმოცემაზე უნდა იყოს დამყარებული და სინამდვილეს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ, — დასძენს იგი, — საეჭვოა, რომ ისინი ჯერ კონსტანტინეპოლის პატრიარქთან მისულიყვნენ და ამ უკანასკნელს მათი ხელდასხმის უფლება ანტიოქიის მამათმთავრისათვის დაეთმოს. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქის უფლებები გაფართოებულ იქმნა: რომის პაპის მსგავსად ის აღმოსავლეთის მამათმთავრად იქმნა ცნობილი ისევე, როგორც რომის პაპი დასავლეთისა იყო. თანაც დადგენილი იქმნა. რომ მას თრაკიის, პონტოს და აზიის სამწყსოებში მიტროპოლიტების ხელდასხმის უფლებაც ჰქონდა. ასეთ პირობებში ძნელი დასაჯერებელია, — ასკვნის ივ. ჯავახიშვილი, — რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ის, რაც მას მთელი საუკუნის განმავლობაში ეკუთვნოდა, ნებაყოფლობით ხელიდან გაეშვა. საფიქრებელია, რომ ცნობა სამღვდელო პირების ჯერ კონსტანტინეპოლში წარვლენისა და იქიდან მათი ანტიოქიის პატრიარქთან გამოგზავნის შესახებ, უნდა ძველი გზისა და დამოკიდებულების შეცვლისათვის კანონიერების მისანიჭებლად იყოს შეთხზული, ან თვით ჯუანშერისაგან (იგულისხმება XI ს-ში. — ვ. გ.), ან და იქნებ უკვე მისივე წყაროს მიერ“ [111:373].

ივ. ჯავახიშვილის მსჯელობიდან გამოდის, რომ ადრე ანტიოქიის საპატრიარქოს კუთვნილი ქართლის ეკლესია, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის გავლენის ქვეშ მოექცა და ის პირები, რომლებიც ვახტანგმა კონსტანტინოპოლში წარავლინა, იქიდან შემდეგ ანტიოქიაში რომ გა-

გზავნეს, წყაროში ძველი დამოკიდებულების გამო იქნა ჩასწორებული.

ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობები ა. ბოგვერაძემაც იმის დასტურად მიიჩნია, ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მაგიერ ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს რომ დაექვემდებარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ბოგვერაძემ დაასკვნა, რომ ვახტანგის დროს ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებაზე ლაპარაკი არ შეიძლება [16:51].

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება თითქოს ვახტანგი მონოფიზიტი იყო და ამიტომ გაგზავნა ხელდასასხმელად მონოფიზიტურ ანტიოქიაში ქართლში გამოსაგზავნი პირები, ლ. ჯანაშიამ საეჭვოდ მიიჩნია. „გაუგებარია, წერს იგი, — რატომ უნდა დაენიშნა ვახტანგს, რომელიც ირანელებთან საბრძოლველად ემზადებოდა, ქართლის კათალიკოსად მონოფიზიტი, ე. ი. სწორედ იმ მიმდინარეობის მიმდევარი, რომელსაც ირანი მფარველობდა? გასათვალისწინებელია ისიც, — დასძენს იგი შემდეგ, — რომ ამ დროს ქართლი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა“ [117:97].

მ. ლორთქიფანიძის თანახმად, „თუ ჯუანშერის... ცნობა სინამდვილეს ასახავს, მაშინ უნდა გავიზიაროთ თვალსაზრისი, რომ ქართლის ეკლესია ანტიოქიას ექვემდებარებოდა იერარქიულად. თუმცა, ამას მხარს არ უნდა უჭერდეს უძველესი ეროვნული წყარო, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სადაც ამ მოვლენებთან დაკავშირებით ანტიოქია არ არის მოხსენიებული და საკითხი კონსტანტინოპოლში წყდება [75:72]. შემდეგ იქვე უმატებს: „არც ის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ კონსტანტინოპოლს მიმართავენ როგორც უპირველესს მსოფლიო პატრიარქთა შორის, ხოლო ანტიოქიის ჩარევას განაპირობებს ქართლის ეკლესიის იერარქიული დაქვემდებარება ანტიოქიისადმი“ [75:73].

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერი სპეციალურად უთითებს ქართლი ანტიოქიის წმიდა საყდრისა არისო, რის გამოც ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად პეტრე ანტიოქიაში იქნა ხელდასხმული (ე. ი. ქართლის ეკლესიას დამოუკიდებლობა ანტიოქიის საპატრიარქომ მიანიჭა), ჯუანშერის იმ ცნობამ, რომლის თანახმად, პეტრე და სამოელი პირველად კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ (აქედან იმპერატორმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აღძრეს შუამდგომლობა ანტიოქიის პატრიარქის წინაშე, თან

„მიუწერეს ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა“ — რათა პეტრე ქართლის კათალიკოსად ეკურთხებინა), მკვლევრები ქართლის ეკლესიის ანტიოქიურ წარმომავლობაში დააეჭვა. ივ. ჯავახიშვილს ჯუანშერის ცნობები ქართლის ეკლესიის იმპერიის ეკლესიისადმი დამოკიდებულების შესახებ „მეტად არეულად“ მოეჩვენა, რის შედეგადაც მკვლევართა ნაწილმა ქართლის ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარება, ზოგმა კი ქართლის ეკლესიაზე კონსტანტინოპოლის ხელისუფლების ანტიოქიის ხელისუფლებით შეცვლა ივარაუდა. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯუანშერთან V ს. იმპერიაში არსებული ვითარება ზუსტადაა ასახული.

ახლა ამ მხრივ გადავხედოთ იმპერიის ეკლესიების მდგომარეობას და ვნახოთ, რამ განაპირობა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიოქიის ეკლესიის დაწინაურება, გავეცნოთ ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიათა იურიდიულ სტატუსს.

ადრექრისტიანულ ხანაში, ბევრით ადრე, სანამ ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდებოდა, ქ. ანტიოქია მდ. ორონტზე (სირიაში) რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური (ანტიოქია ქრისტიანობის „მეორე აკვნად“ იყო ცნობილი, ეკლესიის მამები მას „ღვთის ქალაქს“ — „თეოპოლისს“ უწოდებდნენ) ცენტრი იყო.-ასეთი მნიშვნელობა ანტიოქიამ იმპერიის არსებობის პირველ საუკუნეებში შეინარჩუნა.

ანტიოქიის გადაქცევა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის პროვინციების პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად, მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ განაპირობა. ამ ქალაქში მდებარეობდა როგორც თვით სირიის, ისე რომის იმპერიის მთელი აღმოსავლეთის დიოზეცის სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა. IV ს. დამდეგიდან ირანთან გამუდმებული ომიანობის გამო ანტიოქიასა და საერთოდ, აღმოსავლეთის დიოცეზში განლაგებული ჯარების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა. ანტიოქია იყო იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების ქალაქებს შორის საშუამავლო ვაჭრობის უდიდესი პუნქტი. აქ იყო იმპერატორ დიოკლეტიანეს (284—305) მიერ აგებული სამხედრო საჭურვლის დამამზადებელი სახელოსნოები [154:109]. აღნიშნულს გარდა, რაც მთავარია, ქრისტიანობის პირველი წლებიდანვე ანტიოქია, რომის იმპერიის ორ დიდ ქალაქთან, რომთან და ალექსანდრიასთან ერთად, ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი ცენტრიც იყო. ქრისტიანული ტრადიციით, ამ სამი ქალაქის ქრისტიანული თემი თვით მოციქულთა ან მათ მოწაფეთა მიერ დაარსებულად ითვლებოდა [135:3].

ანტიოქიის ეკლესიის სიძლიერეს იმთავითვე მისი ქრისტიანული თემის სიდიდე განაპირობებდა. მისი თემი უდიდესი იყო მთელს აღმოსავლეთში. III ს. შუა ხანებიდან ანტიოქიის ეპისკოპოსები თავიანთ ოლქში, უკვე ნამდვილი მიტროპოლიტები იყვნენ, ისევე როგორც რომისა იტალიაში და ალექსანდრიისა ეგვიპტეში. ანტიოქიის მიტროპოლიტთან შედარება აღმოსავლეთის არც ერთ მიტროპოლიტს არ შეეძლო [135:235]. იმ დროის ანტიოქია სიდიდით მესამე ქალაქი იყო იმპერიაში. მისი მოსახლეობა 200000 აღწევდა. ანტიოქიის მთავარ ეკლესიას 100000-იანი მრევლი ჰყავდა [135:229].

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ანტიოქიის ეკლესიას ავტორიტეტი შეუქმნა დიდმა სამისიონერო მოღვაწეობამ. ქრისტიანობის ისტორიის ცნობილი გერმანელი მკვლევრის ა. ჰარნაკის თანახმად, IV ს. დამდეგისათვის მთელი აღმოსავლეთის ეკლესიების ცენტრი ანტიოქია იყო. მისი სულიერი გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო მცირე აზიაზე, პონტოსა და აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე, არამედ შორეულ სპარსეთზე, სომხეთსა და საქართველოზე [134:379]. ანტიოქიის ეპისკოპოსს უნდა ეზრუნა ამ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებასა და გამყარებაზე [135:235].

325 წელს ნიკეაში გამართული პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში, ანტიოქიის ეპისკოპოსის ევსტათის ხელმოწერის ქვეშ 22 ეპისკოპოსის ხელმოწერაა. ეს გარემოება იმის დამადასტურებლად არის მიჩნეული, ამ ეპისკოპოსთა სამწყსოები ანტიოქიის ეპისკოპოსის პროვინციები რომ უნდა ყოფილიყვნენ [135:250—251].

ანტიოქიის ეპისკოპოსები ჯერ დახმარებას უწევდნენ სუსტ ქრისტიანულ თემებს. შემდეგ, საეკლესიო რეცეპციის ძალით, მათზე იმტკიცებდნენ იერარქიულ მდგომარეობას და მათ თავიანთ ხელისუფლებას უქვემდებარებდნენ. ეპისკოპოსთა ერთპიროვნული ძალაუფლების გაზრდასთან ერთად, ანტიოქიის ეპისკოპოსთა ძალაც იზრდებოდა [135: 223]. ასე გაგრძელდა ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებამდე. ამ კრებამ ანტიოქიის ეპისკოპოსთა შემდგომ გაძლიერებას ზღვარი დაუდო. ნიკეის კრების მეექვსე კანონით, ანტიოქიის ეპისკოპოსთა სიძლიერე საგრძნობლად შეიზღუდა. მისი რეალური ძალაუფლება, ამ კანონით მხოლოდ ორ სამოქალაქო პროვინციაზე Coele Syria-სა და Augusta Euphratiensis-ზე ვრცელდებოდა. ანტიოქიელ მღვდელმთავრებს ამ პროვინციების ეპისკოპოსთა ხელდასხმის უფლება დარჩა [134:379].

ნიკეის კრების მიერ ეპისკოპოსთა ძალაუფლების შეზღუდვის

მიუხედავად, ანტიოქიის ეკლესია აზიაში მაინც პირველობას ინარჩუნებდა. ძველითგანვე მომდინარე ტრადიციით, რომელიმე კრებას თუ რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები არ ესწრებოდა, კრების თავმჯდომარე აუცილებლად ანტიოქიელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. მაგ., ანტიოქიელი ეპისკოპოსები თავმჯდომარეობდნენ 314 წელს ანკირის, 315 და 325 ნეოკესარიის, 341 წელს ანტიოქიის, 343 წელს ფილიპოპოლისის, 363 წელს ანტიოქიის ადგილობრივ და 325 წელს ნიკეის და 381 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებებზე.

IX ს-ში მოღვაწე ბასილი სოფენელის თანახმად, ანტიოქიის საპატრიარქო საყდარი, იბერიამდე, აბაზგიამდე, არმენიამდე, დიდ უდაბნომდე ხორასნისა სპარსელებამდე და მიდიელებამდე ვრცელდებოდა [10:138].

ძველ დროში ანტიოქიის ეპისკოპოსთა დაწინაურებულ მდგომარეობაზეა მოთხრობილი XVIII ს. ანტიოქიელი მღვდლის მიქაელ ბრეკის თხზულებაში. მ. ბრეკის ცნობით, პეტრე მოციქულის დროიდან ანტიოქიის პატრიარქი განაგებდა ყველა ოლქს მცირე და დიდ აზიაში. ანტიოქიის ეპისკოპოსის სამწყსო იყო სკუტრიდან (კონსტანტინოპოლის გარეუბანი. — ვ. გ.) მოკიდებული მთელი ანატოლია თეთრ ზღვამდე (კასპიის ზღვა), ქვეყნები შავ ზღვამდე და მის გარშემო, თვით იერუსალიმი და მისი შემოგარენი [167:361].

იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ეკლესიათა შორის ადრიდანვე დამყარდა ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებული იყო ამა თუ იმ ეკლესიის შედარებით სიძლიერეზე და ამ ქალაქთა პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, საერთოდ კი, ქრისტიანთათვის ამ ქალაქის ქრისტიანული თემის საერთო ეკლესიურ ავტორიტეტზე [135:227]. სწორედ ზემოაღნიშნული პირობების გამო პირველობდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიოქიის ეპისკოპოსი. თუმცა ნიკეის კრების დადგენილებათა შემდეგ ეს პირველობა მხოლოდ პატივის გამომხატველი უნდა ყოფილიყო და არა რეალური ძალაუფლებისა.

ანტიოქიის და საერთოდ იმპერიის სხვა დიდ საეპისკოპოსო ცენტრებს ჩქარა გამოუჩნდათ მეტოქე იმპერიის ახალი დედაქალაქის — კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის სახით. როგორც ცნობილია, 330 წლიდან უმნიშვნელო ქალაქი ბიზანტიონი იმპერიის ახალ დედაქალაქად გამოცხადდა და მას იმპერატორ კონსტანტინეს პატივსაცემად, კონსტანტინოპოლი ეწოდა. დღის წესრიგში დადგა „ახალი რომის" ეპისკოპოსაც ღირსეული ადგილი დაეკავებინა იმპერიის ეპისკოპოსთა შორის. მართლაც, 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა მეორე მსოფ-

ლიო საეკლესიო კრებამ, იმპერიის აღმოსავლეთში მდებარე ეკლესიათა შორის კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს პირველი ადგილი მიაკუთვნა[86]. კრების მე-3 კანონი რომის ეპისკოპოსის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ყველაზე მაღლა აყენებდა. თუმცა, კანონმა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციას იმჟამად არც ერთი ოლქი არ დაუქვემდებარა. ამ ქალაქის ეპისკოპოსის მიერ საკუთარი დიოცეზის შექმნა, თვით კონსტანტინოპოლის ეკლესიის იერარქთა საქმედ დარჩა [134:550].

როგორც ვხედავთ, პრივილეგიების მიღების მიუხედავად, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაური კარგა ხანს დიოცეზის გარეშე რჩებოდა. მხოლოდ, 451 წელს ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიიღო კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანატოლიმ (449—458) ანტიოქიის პატრიარქ მაქსიმედან (451—455) აზიის ყველა ოლქი სკუტრიდან მალატიამდე[87] [167:362].

მართალია, 451 წლის ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონით პონტოს, ასიის, თრაკიისა და ზოგი სხვა ოლქის ეპისკოპოსები კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს უნდა ეკურთხებინა, მისივე კომპეტენციაში შედიოდა პონტოსა და თრაკიის მოსაზღვრე, იმპერიის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ხალხების ეპისკოპოსთა ხელდასხმაც [181:246—248], მაგრამ ამ დროიდან ქართლის ეკლესია კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში არ მოქცეულა (როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს).

XII ს. ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი, ანტიოქიის პატრიარქი თ. ბალსამონი ზემოდასახელებული 28-ე კანონის განმარტებაში წერს, რომ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ამ კანონით დამორჩილდა აზიაში პონტოს სამიტროპოლიტოები შავი ზღვის სანაპიროდან ტრაპიზონამდე და მის იქით ქვეყნის შიგნით[88], ასევე ასია (ძველი რომაული პროვინცია აზია, ქ. ეფესოს მახლობლად მცხოვრებნი), ლიკია, პამფილია და

---

86 შემდეგში ეს დაამტკიცა IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონმა, იუსტინიანეს 131 ნოველამ და ტრულის კრების 36-ე კანონმა.

87 მაქსიმე ანტიოქიელმა ამავე კრების გადაწყვეტილებით დაუთმო პალესტინა იერუსალიმის ეპისკოპოსს იუბენალს (422—458) [135:306, შენ. 113].

88 ამ დროიდან დაემორჩილა ეგრისის სამეფოს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ამიტომ, არ არიან მართალნი ის მეცნიერები, რომლებიც იმთავითვე ეგრისის ეკლესიის კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარების შესახებ მიუთითებენ (იხ. ქსე, ტ. 4, სტ. ეგრისის სამეფო).

არა ანატოლია (იგულისხმება მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი. — ვ. გ.), როგორც ზოგი ლაპარაკობს. ანატოლიის ეპისკოპოსებს ანტიოქიელი პატრიარქი აკურთხებსო [181:248].

როგორც ვხედავთ, თ. ბალსამონი მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს მათ შორის, როგორც ჩანს, შუამდინარეთის, სომხეთისა და ქართლის ეკლესიებს, კვლავ ანტიოქიის ეპისკოპოსთა სულიერ გავლენაში დარჩენილად თვლის.

შემდეგში თითოეული პატრიარქის სამწყსო ტერიტორია მკაცრად განისაზღვრა. ბიზანტიელი ისტორიკოსი და კანონისტი იოანე ზონარა (XII ს. II ნახევარი) ქალკედონის კრების მე-17 კანონის განმარტებაში წერს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქს არ შეეძლო სირიის ან პალესტინის, ფინიკიის ან ეგვიპტის მიტროპოლიტთა სურვილის გარეშე მათი საქმე გაერჩია. სირიის მიტროპოლიტები მისი განმარტებით ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდნენ, პალესტინისა იერუსალიმისაში, ეგვიპტისა — ალექსანდრიისაში. ყველა იმას ემორჩილება, —დასძენს ზონარა, — ვის მიერაცაა ხელდასხმული [181:213].

ამრიგად, 468 წელს, როცა ვახტანგმა კონსტანტინოპოლში გაგზავნა დესპანი, რათა პეტრე ქართლის კათალიკოსად ეკურთხებინათ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სულ 17 წლის მიღებული ჰქონდა ანტიოქიიდან სამრევლო ტერიტორიები. კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამწყსო რადგან მალატიამდე ვრცელდებოდა და როგორც თ. ბალსამონი წერს, ანატოლია ისევ ანტიოქიის ეკლესიის სულიერ გავლენაში დარჩა, ცხადია, ქართლის ეკლესია ძველებურად ანტიოქიის ეკლესიის ზემდგომობას აღიარებდა. ჯუანშერი ამიტომ ათქმევინებს იმპერატორსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს: „ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინაესობა“ [120:197].

როგორც ვხედავთ, იმ დროის იმპერიის ეკლესიაში არსებული იერარქიული მდგომარეობა ჯუანშერთან ზუსტადაა ასახული. ბ. ლომინაძის სამართლიანი შენიშვნით, ჯუანშერის მიერ მოთხრობილ ამბავში „...უბრალო და უმიზნო მიმოსვლა კი არ არის აღწერილი, არამედ ასახულია სწორედ ავტოკეფალიის მიღების კანონიკური პროცედურა. ...ავტოკეფალიის რომელიმე ეკლესიისათვის მინიჭება, — დასძენს იგი, — ხდებოდა იმპერატორისა და მსოფლიო პატრიარქთა თანხმობით, ... მთავარი როლი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ჰქონდა, მაგრამ პირველი სიტყვა იმ ეკლესიას ეკუთვნოდა, რომლის

იურისდიქციასაც ავტოკეფალიის მაძიებელი ეკლესია ეკუთვნოდა“ [70:75]. ცხადია, როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს: „კონსტანტინოპოლს მიმართავენ როგორც უპირველესს მსოფლიო პატრიარქთა შორის, ხოლო ანტიოქიის ჩარევას განაპირობებდა ქართლის ეკლესიის დაქვემდებარება ანტიოქიისადმი“ [75:73].

*
* *

ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობების თანახმად, ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია ქართლის მოქცევიდან 170 წლის გასვლის შემდეგ მოიპოვა [80:325; 120:198— მინაწერი აშიაზე]. ქართლი რადგან 317 წელს მოიქცა (იხ. 35), ქართლის მოქცევიდან 170 წელი 487 წელზე მოვა და მართლაც, სათანადო კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ანტიოქიაში ქართლის პირველ კათალიკოსად პეტრე პონტოელის ხელდასხმა, 482 წელს გამოცემული „ჰენოტიკონის“ („ერთობის ფორმულა“) გამოქვეყნების შემდეგ გახდა შესაძლებელი. გაირკვა, რომ ძველ ქართულ წყაროებში არსებული მითითება ქართლის მოქცევიდან ავტოკეფალიის მოპოვებამდე 170 წლის გასვლის შესახებ ისტორიული რეალობის ამსახველია და V ს-იდან მომდინარეობს (დაწვრილებით იხ. ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991).

*
* *

ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვებასთან ერთად, ვახტანგ გორგასლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად ახალი საეპისკოპოსოების დაარსება ითვლება. ქართლის კათალისოსად ხელდასხმულ პეტრესთან ერთად ანტიოქიაში ქართლში გამოსაგზავნად იკურთხა სამოელი (პეტრეს გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა ქართლის კათალიკოსი) და 12 სხვა სასულიერო პირი[89]. ქართლში ჩამოსვლის შემდეგ სამოელი მცხეთის ეპისკოპოსად დაინიშნა, დანარჩენებმა ქართლის სხვადასხვა

---

[89] წინამდებარე მონოგრაფიის მოცულობის შეზღუდვის გამო ამ საკითხის ვრცლად წარმოდგენა არ მოხერხდა. იგი ჩემს მიერ ვრცლადაა განხილული 1988 წლის საინსტიტუტო გეგმით შესრულებულ წლიურ ნაშრომში.

რეგიონში დაიკავეს საეპისკოპოსო კათედრები [120:198—199], ე. ი. 487 წელს ვახტანგმა 12 ახალი ეპისკოპოსი დასვა, მაგრამ, როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს, ვახტანგის მიერ ამ ეპისკოპოსთა დადგინება არ ნიშნავს ყველგან ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსებას. ზოგი არასასურველი ეპისკოპოსი ვახტანგს ახლით უნდა შეეცვალა [75:67, 73—74]. მართლაც, ივ. ჯავახიშვილს სათანადო მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენები აქვს, რომ V-ს. II ნახევრის ქართლში 21 საეპისკოპოსო უნდა ყოფილიყო. ხოლო 503 წელს ალბანთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას ქართლის სამეფოდან კათალიკოსთან ერთად 24 ეპისკოპოსი ესწრებოდა [111:340].

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაა სწორი კ. კეკელიძის მოსაზრება, თითქოს კათალიკოსობის დაარსებამდე ქართლში ერთი ეპისკოპოსი ყოფილიყოს და მთელი ქართლი ერთ ეპარქიას წარმოადგენდა [58:335]. კ. კეკელიძის ასეთ მოსაზრებას იზიარებენ ა. ბოგვერაძე [16:51; 18:160] და ბ. ლომინაძე [70:59].

თავი XIII

ჯუანშერის ცნობები ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანის შესახებ

ვახტანგ გორგასლის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ქართველი ხალხის ხსოვნაში ყველაზე დიდი კვალი ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადასატანად წამოწყებულმა დიდმა სააღმშენებლო საქმიანობამ დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საშუშაოთა დამთავრება ვახტანგმა ვერ მოასწრო, სამუშაოთა დაწყებამდე, თბილისს, როგორც ირანელი პიტიახშის საჯდომ ციხესიმაგრეს, საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა, თვით დასახლება თბილისი კი მრავალ საუკუნეს ითვლიდა, ქართული ზეპირი ტრადიცია თბილისის დაარსებას მაინც ვახტანგ გორგასალს მიაწერეს.

ვახტანგ გორგასლის ზეობის დადგენის შემდეგ, შედარებით ზუსტად შეიძლება განისაზღვროს თუ როდის დაიწყო მან დიდი სააღმშენებლო სამუშაოები ქართლის სამეფოს დედაქალაქად თბილისის გადასაქცევად. ჭვემოთ სწორედ ამ მხრივ გავაანალიზებ ჯუანშერის ცნობებს. ჯუანშერის თანახმად, ირანის ტახტზე ასული ახალი შაჰი ხუასრო (იგულისხმება კავად I. 488—531 წწ.) როცა ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა, ვახტანგთან მოციქული გამოგზავნა თხოვნით: ასული მიეცა ცოლად და „წინამძღურად“ წაძღო-

ლოდა სპარსთა შესვლას საბერძნეთში [120:200]. ვახტანგთან მოსული ელჩობაზე საუბრისას ჯუანშერი იქვე დასძენს: „ვითარცა მოვიდა მოციქული წინაშე ვახტანგ მეფისა, ...ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა... მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამოცისა წლისა“ [120:200].

ჯუანშერი ვახტანგის მიერ თბილისისათვის მხოლოდ „ოდენ საფუძვლის“ დადებაზე როცა წერს, მას ქართლის სამეფოს დედაქალაქად თბილისის გამოსაცხადებლად ჩატარებული სამუშაოები აქვს მხედველობაში. თორემ, როგორც ზემოთ ითქვა, და ლ. ჭილაშვილიც უთითებს, თბილისისათვის „...მხოლოდ საფუძვლის დადებაზე ლაპარაკი გორგასლის დროს ზედმეტია, რადგან გაცილებით ადრე აქ საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი ღონისძიებანი იყო ჩატარებული“ [110:54].

იმის განსასაზღვრავად, თუ როდის უნდა დაეწყო ვახტანგს საშუშაოები მცხეთიდან თბილისში ტახტის გადასატანად, როგორც ვხედავთ, ჯუანშერი რამდენიმე ხელმოსაკიდ მასალას გვაძლევს. ქართლში შაჰის მოციქულის მოსვლისას: ა. თბილისს, როგორც ქართლის სამეფოს მომავალ დედაქალაქს „საფუძველი ოდენ ჰქონდა დადებული“; ბ. იმ დროისათვის ირანის ტახტზე შაჰი ახალი ასული იყო; გ. ვახტანგი 60 წელს იყო მიღწეული; დ. ვახტანგის ქალიშვილი ბიზანტიიდან მოყვანილი მეორე მეუღლისაგან უკვე გასათხოვარი ასაკისა ყოფილა.

ვახტანგმა ირანის შაჰის მოციქული უარით გაისტუმრა, რასაც ქართლში ირანელთა შემოჭრა მოჰყვა. 491 წლის გაზაფხულზე „იორსა ზედა“ ბრძოლაში ჯუანშერი როცა ვახტანგის სასიკვდილოდ დაჭრისა და უჯარმაში გარდაცვალების ამბავს გადმოგვცემს, წერს: ირანელებმა „მოაოხრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოაოხრეს, რომელი-იგი მუხნარით და არაგუსა ხერთვისსა იყო“ [120:202].

როგორც ვხედავთ, ჯუანშერის ცნობებიდან გამოდის, რომ 491 წლისათვის „ვახტანგი აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“, იმ დროისათვის თბილისს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ზღუდე, რის გამოც, ირანელებმა ადვილად „მოაოხრეს ტფილისი“. მოტანილი ცნობებიდან აშკარაა, მცხეთიდან თბილისში გადასატანი სამუშაოები 491 წელს გარდაცვლილ ვახტანგს ახალი დაწყებული ჰქონია.

ჯუანშერის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობების შესახებ 1958 წელს თბილისის 1500 წლის საიუბილეოდ გამოცემულ „თბილისის ისტორიაში“ შ. მესხიამაც მიუთითა [78:11]. შ. მესხიას თანახმად, ჯუანშერი როცა თბილისის მშენებლობაზე მოგვითხრობს, მას ქალაქის ზღუდის (გალავნის) მშენებლობის გარდა, მხედველობაში ჰქონდა თვით ქალაქის, როგორც პოლიტიკური ცენტრის აგება, რაც „ქალაქში ახალ ნაგებობათა აშენებას (მეფის სასახლე და სხვა) მოითხოვდა“. შემდეგ იგი იქვე დასძენს: „...მეფის რეზიდენცია, რომ თბილისში გადმოეტანა, წინასწარ დიდი მშენებლობა უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ შემდეგ, გართულებული საგარეო პირობათა წყალობით (ამ დროს ვახტანგი სპარსეთის მეფის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას), ქალაქის ახალი მნიშვნელოვანი ნაგებობებისათვის მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოასწრო“ [78:11—12].

შ. მესხიას მსჯელობიდან გამომდინარე, თბილისში მშენებლობების დაწყება, ქართლში ირანელთა ლაშქრობის მცირე ხნით ადრე ივარაუდება. მეორე მხრივ, ირანელთა ქართლში შემოჭრას იგი რაღაგან 502 წელს ვახტანგის გარდაცვალებას უკავშირებდა, გამოდის, რომ 502 წლისათვის თბილისის მშენებლობა ვახტანგს ახალი დაწყებული ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანა VI ს. დამდეგს ივარაუდება, ხოლო მშენებლობის დაწყება V ს. დასასრულს — და 1958 წელს ქართულმა საზოგადოებრიობამ მთელი ნახევარი საუკუნით ადრე აღნიშნა ქართლის სამეფოს დედაქალაქად თბილისის გამოცხადების 1500 წლისთავი. ამიტომ, საინტერესოა, მთავრობის საიუბილეო კომისიას როგორ დაუდასტურეს ქართლის სამეფოს დედაქალაქს სწორედ 1958 წელს რომ შეუსრულდა 1500 წელი?

თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ „თბილისის ისტორიაში“ (რომლის ძველი ნაწილის ავტორი თვით შ. მესხიაა), როგორც ვნახეთ, ქალაქის მშენებლობის დაწყება V ს. დასასრულისათვის ივარაუდება. 458 წლის წინა ხანაში ვახტანგის მიერ თბილისში მშენებლობის დაწყებას ს. კაკაბაძე მიუთითებს. ასეთი აზრი აქვს მას როგორც 1958 წელს გამოქვეყნებულ წერილში [53:103], ისე 1959 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ვახტანგ გორგასალი“. დასახელებულ ნაშრომებში ქართლის დედაქალაქად თბილისის გამოსაცხადებლად დაწყებულ სამუშაოს იგი V ს. 40-იანი წლების დამდეგს მიაკუთვნებს. „ვახტანგ გორგასალის ცხოვრების დამწერი ჯუანშერი, — წერდა

იგი, — რომლის ნაწარმოები ძველადვე შეტანილ იქნა ქართლის ცხოვრებაში, გადმოგვცემს, რომ ვახტანგს თბილისის გაშენება ქალაქად თითქოს დაეწყოს თავისი მმართველობის უკანასკნელ წლებში და თვით ქალაქი დაემთავრებიოს მის შვილს დაჩის, რომელმაც გადმოიტანა აქ თავისი კარის რეზიდენცია მცხეთიდან. ჯუანშერმა აქ აურია, — დასძენს ს. კაკაბაძე, — ქალაქის გაშენების ამბავი ცნობასთან თბილისის ზედაციხის და გალავნის აშენების შესახებ. ნამდვილად კი ქალაქ თბილისის შენება ვახტანგმა დაიწყო თავისი მმართველობის დასაწყისში“ [52:36, შენ., 2].

ვახტანგის მმართველობის დასაწყისად (ე. ი. გამეფების თარიღად) ს. კაკაბაძეს რადგან 430 წელი მიაჩნდა [52:12. იგულისხმება, რომ ქართლის სამეფოს დედაქალაქად თბილისის გამოსაცხადებლად მშენებლობა ვახტანგმა 430 წელს დაიწყო. მისივე მტკიცებით გარდაცვალებისას ვახტანგი მხოლოდ თბილისის ზედაციხეს და გალავანს აშენებდა], აქედან გამომდინარე, სამეფო კარის მცხეთიდან თბილისში გადმოსვლას იგი 457 წლის შემდგომ ახლო ხანაში ვარაუდობდა. თანაც ეს ამბავი მან რატომღაც მიქაელისა და ვახტანგის კონფლიქტს დაუკავშირა. „ვახტანგის და მისი კარის თბილისში პირველი გადმოსვლა, — წერს იგი, — უნდა მიეწეროს უშუალოდ მიქელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტს... ამას მოყვა შედეგად თბილისის საბოლოოდ ამორჩევა დედაქალაქად და იქ დიდი მშენებლობის დაწყება. ეს უნდა მომხდარიყო შემდეგ 457 წლისა და უადრეს 463 წლისა (როდესაც თბილისში უკვე ეპისკოპოსია სავარაუდებელი) [52:31]. ვახტანგმა თვით ქალაქში როცა სამეფო კარისათვის საჭირო საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობები ააგო, — განაგრძობს ს. კაკაბაძე, — შემდეგ დადგა დღის წესრიგში ქალაქის შემოზღუდვა. „მაგრამ, ვახტანგმა ეს ვერ მოასწრო და ეს სამუშაო შეასრულა მისმა შვილმა მეფე დაჩიმ... ციხის ახალი რეკონსტრუქცია გალავნების გაშენებით დამთავრდა 493 წელს“[90] [52:36].

გარდა იმისა, ჯუანშერის ცნობებით თბილისში ვახტანგის მიერ ასეთი ეტაპობრივად ჩატარებული სააღმშენებლო სამუშაოები არ იგულისხმება, ს. კაკაბაძეს არავითარი დამადასტურებელი ცნობა არ

---

90 ვახტანგის გარდაცვალების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ 502 წელს ს. კაკაბაძე არ იზიარებდა. ვახტანგის გარდაცვალების თარიღად იგი 484 და 488 წელს თვლიდა (იხ. გვ. 67). ამიტომ მიაწერა 493 წელს თბილისას ზღუდის დამთავრება დაჩის.

მოაქვს თუ მაინცდამაინც 457 წლის ახლო ხანაში რატომ მოუვიდა ვახტანგს უთანხმოება მიქაელთან (როგორც ახლა გაირკვა ვახტანგმა მიქაელი 468 წელს გააძევა ქართლიდან. იხ. 27). ჯუანშერს არავითარი მითითება არა აქვს, რაც საფუძველს მოგვცემდა მიქაელთან კამათის გამო მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადმოტანის სამტკიცებლად. კონფლიქტის გამო ვახტანგმა მიქაელი ქართლიდან გააძევა და არავითარი საჭიროება არ იყო თვით მეფესაც დაეტოვებინა მცხეთა. რაც მთავარია, არაა სწორი ს. კაკაბაძის მიერ ვახტანგის გამეფების თარიღად მიღებული 430 წელი და აქედან გამომდინარე, მისი მტკიცება, თითქოს ვახტანგს ტახტზე ასვლისთანავე დაეწყოს დიდი სამუშაოები მცხეთიდან თბილისში ტახტის გადმოსატანად. როგორც ზემოთ ვაჩვენე (იხ. თავი IV, § 2), 430 წელს ვახტანგი ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული და 430 წლის შემდგომ ახლო ხანაში იგი თბილისში ვერც მშენებლობას დაიწყებდა.

ქართლის სამეფოს დედაქალაქად გამოსაცხადებლად თბილისში როცა ვახტანგის მიერ წამოწყებულ დიდ საღმშენებლო საქმიანობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნას, თუ როდის განთავისუფლდა თბილისი პიტიახშის (ან ქართლ-ალბანეთის მარზპანის) მეთვალყურეობისაგან. თბილისი ხომ მარზპანის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო[91] (იხ. 23). ასე რომ, საჭირო იყო თბილისში მჯდომ ირანელ მოხელეს თბილისი და საერთოდ ქართლი დაეტოვებინა, რათა ვახტანგს მშენებლობა დაეწყო. ასეთი შესაძლებლობა მას მხოლოდ 482—484 წწ. ანტიირანული აჯანყებისა და 484 წელს ეფტალიტებთან ბრძოლაში პეროზის დაღუპვის შემდეგ მიეცა. ამ წელს ქართლში მყოფი ირანელი სარდალი ზარმიჰრ ჰაზარავუხტი (იგი შესაძლოა ქართლ-ალბანეთის მარზპანი იყო) ირანში გაიწვიეს, თანაც ირანის ტახტზე ახლად ასული შაჰი ვალარში (484—488) შედარებით სუსტი მმართველი იყო. აჯანყებულთა მიმართაც იგი მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა.

ამრიგად, 484 წლიდან შეექმნა ვახტანგს ხელსაყრელი პირობები, რათა თბილისში დიდი მშენებლობა დაეწყო. მშენებლობისათვის ვახტანგს მხოლოდ 6 წელი დასცალდა. აღნიშნულით უნდა აიხსნას, 491

---

91 ლ. ჭილაშვილი ფიქრობს, რომ IV ს-იდან პიტიახშის რეზიდენცია თბილისიდან ცურტავში გადავიდა და ამ დროიდან აღნიშნული მოხელის ადგილიც ადგილობრივ დიდებულთა წრიდან გამოსულ პირს ეპირა [110:54]. ქართლის მარზპანთა შესახებ იხ. 23.

წლის გაზაფხულზე, როცა იგი გარდაიცვალა თბილისისათვის „საფუძველი ოდენ [რომ] ჰქონდა დადებული“.

თბილისში სამეფო კარისათვის (ასევე ქართლის დიდებულებისათვის) სათანადო შენობების აგებასა და ქალაქისათვის ზღუდის შემოვლების სამუშაოებს ვახტანგი, რა თქმა უნდა, ერთდროულად დაიწყებდა. მაგრამ ზღუდის მშენებლობა რადგან გაცილებით დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებას მოითხოვდა, მის დასრულებას მეტი დრო დასჭირდებოდა. აღნიშნულით უნდა აიხსნას, 491 წელს, როგორც ეს ჯუანშერის ცნობიდან ჩანს, ჯერ კიდევ რომ არ ჰქონდა შემოვლებული ზღუდე ქალაქს, რის გამოც ირანელებმა დაუბრკოლებლად „მოაოხრეს თბილისი“.

491 წლის გაზაფხულზე „იორსა ზედა“ ბრძოლაში ვახტანგის სასიკვდილოდ დაჭრისა და გარდაცვალების შემდეგ შაჰმა კავად I-მ (488—531) ირანელთა ბატონობა ქართლში ძველი ფორმით აღადგინა ქართლის ტახტი კი ვახტანგის ძემ დაჩიმ დაიკავა. როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, სწორედ მან „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“ [120:205].

თბილისის შემოზღუდვა რადგან დაჩის მეფობაში დამთავრდა, დაჩი კი დაახლოებით 505/6 წელს გარდაიცვალა (დაწვრილებით იხ. 26), თბილისის ზღუდის გასრულებაც 505 წლის წინა ხანაშია სავარაუდებელი. რაც შეეხება თვით ქალაქის მშენებლობას იგი ვახტანგს 484/485 წელს დაიწყო და საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდ ასევე 368 წელს ქართლში შემოსული ირანელი პიტიახშის ქრამ ხუარ ბორზარდის მიერ აგებული ზედა ციხე, როგორც ჩანს, ვახტანგისა და დაჩის მეფობაში და შემდგომ ხანაშიც არაერთხელ გადაკეთდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქართლის სამეფოს ახალ დედაქალაქად თბილისის არჩევა, მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა და არა მიზანმა, რომ „ახალი ფეოდალური კლასის — აზნაურობის პოლიტიკური ცენტრი“ გამხდარიყო. ასევე, არსიდან არა ჩანს და არც იმის მასალა გვაქვს, „მცხეთა წინაფეოდალური სამეფოს ცენტრად“ მივიჩნიოთ [110:55].

*
* *

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი: I. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის — ჯუანშერ ჯუანშერიანის შესახებ ცნობა „ქართლის ცხოვრების“ მინაწერში გვაქვს. „მინაწერის“ თანახმად, ჯუანშერ ჯუანშერიანი ქართლის მეფის — წმინდა არჩილ [რევიანის] ძმისწულის ქმარი იყო. ამავე მინაწერში, როგორც ჯუანშერის, ისე წმინდა არჩილის მოღვაწეობის დროის შესახებ რადგან მითითება არაა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯუანშერის მოღვაწეობის დროის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. ჯუანშერის მოღვაწეობის დროის დადგენას ისიც ართულებდა, ქართული ისტორიოგრაფიისათვის ამ ბოლო დრომდე ქართლში რევიანთა მეფობის ფაქტი რომ არ იყო ცნობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებით ჯუანშერი XI ს. ავტორადაა მიჩნეული (ჯუანშერს ათონის ივერთა მონასტრის № 50 ხელნაწერში მოხსენიებულ, XI ს-ში მცხოვრებ ილარიონ-ჯუანშერთან აიგივებენ), მკვლევართა ნაწილი მას VIII ს-ში მცხოვრები არჩილ ერისმთავრის თანამედროვედ თვლის, ზოგი საერთოდ უარყოფს ვახტანგის „ცხოვრებისადმი“ ჯუანშერის ავტორობას და ავტორად XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი მიაჩნია.

II. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ჯუანშერი ათონის ივერთა მონასტრის № 50 ხელნაწერში მოხსენიებულ ილარიონ-ჯუანშერთან კავაიგივოთ. ჯუანშერის სახელის მქონე სხვა პიროვნება კი XI ს-ში არა ჩანს. ასევე, რადგან VIII ს-ში მცხოვრები არჩილ ერისმთავარი („წმიდა არჩილი“) ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიანთა შტოს შთამომავალი იყო (ამ არჩილს რევიანად იმიტომაც ვერ მივიჩნევთ, რომ მისი მოღვაწეობის დროისათვის რევიანებს უკვე 300 მეტი წლის წინათ ჰქონდათ მეფობა დაკარგული), ჯუანშერს ვერც VIII ს. მოღვაწედ ჩავთვლით. რაც შეეხება ლეონტი მროველს, იგი თვით „მეფეთა ცხოვრებისაც“ რადგან მხოლოდ რედაქტორი ჩანს, სრულიად გაუმართლებელია მისი ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორად მიჩნევა.

III. მინაწერში (რომელსაც გარკვეულწილად მხარს უჭერს „არჩილის წამების“ ცნობა) ვახტანგის „ცხოვრების“ აღმწერად, როგორც ითქვა, წმინდა არჩილის ძმისწულის ქმარი — ჯუანშერ ჯუანშერიანია

დასახელებული. წმინდა არჩილი რევიანი კი, რადგან ბიზანტიის გაკ-ლენაში მოქცეული ქართლის უკანასკნელი მეფე იყო და რევიანთა კუთვნილ ქართლში, სავარაუდებელია დაახლოებით 428—439 წლებში მეფობდა, მისი ძმისწულის ქმარი ჯუანშერი ცხადია, ვახტანგის თანა-მედროვე მოღვაწე უნდა ყოფილიყო. მართლაც, თეიმურაზ ბაგრა-ტიონთან (1782—1846) შემონახულ ძველ ქართულ საისტორიო ტრა-დიციაში „ჯოვანშერ სპასპეტი" ვახტანგ მეფის სწავლულად და ივე-რიის ისტორიის აღმწერად არის დასახელებული.

IV. ჯუანშერმა ვახტანგის „ცხოვრება" შექმნა, როგორც ქართლში არსებული ფარნავაზიანთა სახლის ისტორიის გადმომცემი უძველესი ქრონიკების გამაგრძელებელი ნაწარმოები. ვახტანგის „ცხოვრება", როგორც ეს მისი ძველი სათაურიდან ჩანს, მოიცავდა მხოლოდ ტექს-ტის იმ ნაწილს, რომელშიც თხრობა ვახტანგის (უკიდურეს შემთხვე-ვაში დაჩის) გარდაცვალების ამბავის აღწერით მთავრდება. შემდეგი ნაწილი ან „მატიანე ქართლისაჲს" ნაწილი უნდა იყოს [შდრ., 62:259—260. ტექსტის ასეთი გაყოფა ლეონტის მიერ ტექსტში „წმინდა არჩილის წამების" ჩართვას უნდა გამოეწვია] ან მის ავტო-რად, როგორც ეს გ. წულაიამ მიუთითა, ფსევდო-ჯუანშერი უნდა გამოცხადდეს.

V. ჯუანშერი რომ V ს. ქართლის სამეფოში მომხდარი ამბების თვითმხილველი და თანადამხვდური არ ყოფილიყო, VIII, მით უმეტეს XI ს-ში მცხოვრები ავტორი ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობიდან ასე დიდი ხნის გასვლის შემდეგ ისეთი რეალური თხრობის შემცველ სა-ისტორიო თხზულებას ვერ დაწერდა, როგორადაც ვახტანგის „ცხოვ-რება" წარმოგვიდგა. საეჭვო აღარ ჩანს, დღეს ჩვენს ხელთ არსებული თხზულების ძირითადი პლასტი V ს-იდან რომ მომდინარეობს.

VI. ჯუანშერი, როგორც V ს. ავტორი, ზუსტ ცნობებს გვაწვდის ვახტანგისა და მისი ოჯახის წევრთა ცხოვრების წლების, ქართლის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების, ქართლის ახლო და შორეული მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესახებ. მისი ზოგი ცნობა (მაგ., აბაშეთისა და მერედ-ირმაქის შესართავის აღწერა) ამ მხრივ უნიკალურია. ჯუანშერის მონაცემები მნიშვნელოვნად აფართოებს ჩვენს ცოდნას, ირანელებთან ერთად ვახტანგის ჩრდილო კავკასიაში, ჯორჯანეთში, ინღოეთში, სინდეთსა და აბაშეთში ლაშქრობის შესა-ხებ. მნიშვნელოვანია მისი ის ცნობები, რომლებშიც დღემდე უცნობი ბიზანტია-ირანის 453—456 და 491 წლების ომები და 460 წელს ირა-ნელების ქართლში შემოჭრაა აღწერილი.

VII. ჯუანშერის თხზულებაში სიზუსტითაა ასახული სასანიანთა მიერ ამიერკავკასიაში შექმნილი მმართველობის სისტემა (ე. წ. ირანის ჩრდილო ქუსტაკი). ამ სისტემაში ქართლ-ალბანეთის მარზპანთა მოვალეობანი.

VIII. ჯუანშერის ცნობების გაანალიზების შედეგად დადგინდა: „რანის გზა“ და „გზა შიმშატისა“ აქემენიანთა ხანის „დიდი სამეფო გზის“ შემადგენელი ნაწილები იყო და V ს-ში ამ გზებით ხორციელდებოდა ქართველთა კავშირი ირანთან და სირია-პალესტინასთან. გაირკვა აბაშეთისა და პონტო ქალაქის ლოკალიზაცია. აღმოჩნდა, რომ ქ. ნისიბისს ჯუანშერი ძველი სახელით — ანტიოქიით იხსენიებს.

IX. ჯუანშერს ასევე სიზუსტით აქვს გადმოცემული V ს-ში ქართლის ეკლესიის დამოკიდებულება კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებთან. მისი თხრობიდან ვრწმუნდებით: ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება ძირითადად ვახტანგის სიძლიერემ განაპირობა, ხოლო ვახტანგმა ქართლის ავტოკეფალიური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად იმპერიაში გაზრდილი, წარმოშობით კაპადოკიელი (ე. ი. ქართველი) პეტრე პონტოელი რომ ჩამოიყვანა, ამით ერთგვარი გარდამავალი ხანა შექმნა. ამის შემდეგ ჩქარა, „არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი“ [120:207. ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. 27]. როგორც სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანეციც ადასტურებს, იმ ხანად „საბა კათალიკოსად დაჯდა იბერიაში ანტიოქიის პატრიარქის [ნებართვის] გარეშე“ (ქრონოგრაფიული ისტორია, თარგმანი ლ. დავლიანიძე-ტატიშვილისა, თბ., 1990, გვ. 68).

X. ავტოკეფალიის მოპოვებასთან ერთად, ვახტანგ გორგასლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო მის მიერ ახალი საეპისკოპოსოების დაარსება, საეკლესიო და საერო აღმშენებლობითი საქმიანობა. დიდი სამუშაოების დაწყება ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადასატანად.

XI. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა ჯუანშერის ცნობები ვახტანგის მიერ მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძრის, ჭერემში საეპისკოპოსო ცენტრის, ხოლო უჯარმაში ციხე-ქალაქის მშენებლობის შესახებ, რაც, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, იმის დასტურად უნდა იქნას მიჩნეული ჯუანშერი მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი რომ იყო.

ВАХТАНГ ГОРГАСАЛИ И ЕГО ИСТОРИК

Резюме

Монография посвящена видному политическому деятелю Грузии — Вахтангу Горгасали и Джуаншеру Джуаншериани, автору «Жизни Вахтанга Горгасали» (далее: ЖВГ).

Сведения о личности Джуаншера Джуаншериани, авторе ЖВГ, имеются в приписке «Картлис цховреба», согласно которой Джуаншер был мужем племянницы (дочери брата) святого Арчила. В приписке не указано время деятельности Джуаншера и Святого Арчила. Исходя из этого в грузинской историографии о времени деятельности Джуаншера высказаны взаимоисключающие положения.

Установление времени деятельности Джуаншера усложнялось и тем, что до последнего времени в грузинской историографии не уделяли должного внимания данным источников о царствовании в Картли Ревианов — потомков Реви, старшего сына Мириана. Академиком И. А. Джавахишвили Джуаншер был признан деятелем XI в. (Он был склонен считать, хотя и с некоторыми существенными оговорками, автором ЖВГ некоего Иллариона-Джуаншера, деятеля XI века, упоминающегося в рукописи №50 Афонского Иверского монастыря).

В приписке «Картлис цховреба» Джуаншер назван мужем племянницы святого Арчила. Под последним подразумевали Арчила Эрисмтавари, жившего в VIII в. Исходя из этого некоторые исследователи самого Джуаншера считали деятелем VIII в.

По мнению К. С. Кекелидзе, сочинителем жизнеописания Вахтанга Горгасали является историк XI в, Леонти Мровели. К. С. Кекелидзе самого Джуаншера считал автором той части «Картлис цховреба», в которой описываются события после упразднения иранцами царской власти в Картли.

Сведения, содержащиеся в рукописи №50 об Илларионе-Джуаншере, не позволяют признать его идентичным Джуаншеру, автору ЖВГ. Вместе с тем, в источниках XI в. вообще не встречается лицо под именем Джуаншера. Историк по имени Джуаншер не известен и в VIII веке. В приписке «Картлис цховреба», как было сказано, автор ЖВГ Джуаншер Джуаншериани упомянут как муж племянницы святого Арчила из рода Реви, сына Мириана. Но, как выяснилось, потомком Реви был не Джуаншер, а святой Арчил (о нем говорится в «Жизни Петра Ивера»), царствовавший прибл. в 428—439 гг. А живший в VIII в. Арчил Эрисмтавари

(святой Арчил) был потомком ветви Бакарианов, династии Фарнавазианов. Вместе с тем, в эпоху деятельности Арчила эриомтавара потомки Реви уже 300 лет как лишились царской власти, поэтому в VIII веке автор приписки вряд ли причислил Джуаншера к дому Реви.

Таким образом, Джуаншера нельзя считать и деятелем VIII в. что касается Леонтия Мровели, то он, по нашему мнению, является лишь редактором «Жизни картлийских царей».

Арчил Ревиани (прибл. 428—439 гг.) был последним царем той части Картли, которая находилась в зависимости от Византии. Упомянутый в приписке Джуаншер Джуаншериани, автор ЖВГ, был супругом племянницы святого Арчила. Исходя из этого, Джуаншер, стало быть, являлся современником Вахтанга Горгасали. И на самом деле в ЖВГ говорится о спаспете Джуаншере, владетеле Внутренней Картли и владыке всех эриставов. Вышеприведенное мнение подтверждается древнегрузинской исторической традицией, сохранившейся у грузинского историка Теймураза Багратиони (1782—1846), согласно которому Джуаншер спаспет был ученым царя Вахтанга и жизнеописателем истории Иверии (Картли).

Джуаншер создал ЖВГ как продолжение древнейших хроник «Жизни Картлийских царей». С другой стороны, так как Джуаншер был современником Вахтанга Горгасали, его сочинение ЖВГ должно охватывать ту часть текста, в которой завершается рассказ о кончине Вахтанга (или кончине Дачи, сына Вахтанга). Действительно, в древнейшем списке «Картлис цховреба» царицы Анны (XV в.) ЖВГ имеет заглавие, в котором сказано, что это история о родителях Вахтанга и самом царе Вахтанге. Исходя из вышесказанного, остальная часть этого сочинения должна быть признана или частью «Матиане Картлисаи» («Летопись Картли»), как думал К. С. Кекелидзе, или автором этого дополнения, как указывает Г. В. Цулая, нужно считать Псевдо-Джуаншера.

Не вызывает сомнения, что основной пласт рассматриваемого сочинения, в котором повествуется о Вахтанге Горгасале и его родителях, относится к V веку. Если Джуаншер не был бы современником и очевидцем описываемых им событий, то вряд ли автор VIII в., а тем более XI в., смог бы создать такое реальное повествование о деятельности Вахтанга Горгасали, каким является ЖВГ.

Джуаншер как автор V в. дает нам точные сведения о времени жизни и деятельности Вахтанга Горгасали, о членах его семьи. Реальны его данные о политических

событиях, происходивших в царстве Картли. Ценны сведения Джуаншера о соседних странах. Некоторые сведения (напр., описания Абашети и устья р. Меред-Ирмака) являются уникальными. Данные Джуаншера значительно расширяют наши знания о совместных походах Вахтанга с иранцами на Северный Кавказ, в Джорджанети, в Индию, в Синд и Абашети. Упоминание Джуаншером г. Нисибиса античным именем — Антиохия, говорит о том, как богаты были в современном ему Картли древние традиции.

Значительными являются также те данные Джуаншера, в которых описываются иранo-византийские войны 453—456 гг. и 491 г., о которых в других источниках имеются скудные сведения. Как очевидец и участник войны описывает Джуаншер вторжение иранцев в Картли в 460 г.

Джуаншер точно излагает систему правления, созданную Сасанидами в Закавказье с целью защиты кавказских проходов, передает обязательства марзпанов Картли и Албании.

Анализ данных Джуаншера показал, что «Дорога Рани» и «Дорога Шимшати» являлись частью «Большой царской дороги» в эпоху Ахеменидов. В V в. при помощи этой дороги осуществлялись связи Картли с Ираном, Византией, Сирией и Палестиной.

Джуаншер с такой же точностью описывает взаимоотношения грузинской церкви V в. с патриаршествами Константинополя и Антиохии. Из повествования Джуаншера видно, что автокефалия грузинской церкви была достигнута благодаря большому авторитету Вахтанга Горгасали. Не случайно было и то, что первым руководителем автокефальной церкви Картли Вахтанг назначил каппадокийца по происхождению, византийского церковного деятеля Петра; создав тем самым необходимые предпосылки для каталикосов из числа грузинских дидебулов. Вместе с получением автокефалии Вахтанг Горгасали способствовал расширению церковного и светского строительства, провел церковные реформы, основал новые епископские центры. Им же были осуществлены значительные работы для перенесения столицы Картли из Мцхета в Тбилиси.

Сведения Джуаншера о большой строительной работе подтверждаются археологическими данными. Оказывается, что вполне реальными являются данные Джуаншера о возведении Вахтангом Светицховели во Мцхета, епископского собора в Черемси и города-крепости Уджарма.

Вышесказанное еще раз подтверждает ту мысль, что Джуаншер являлся современником тех событий, которые описываются в его сочинении — «Жизнь Вахтанга Горгасали».

მითითებული ლიტერატურა

1. ალექსიძე ზ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ქართ. საბჭ. ენციკლოპედია (ქსე), ტ. 7.
2. ანჩაბაძე გ., ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, — „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1987, № 4.
3. არახამია გ., „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის შედგენილობის შესწავლის მეთოდისათვის. — „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1987, № 4.
4. არახამია გ., „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის მოცულობის საკითხისათვის. — „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1987, № 2.
5. არსენ ბერი, ცხორებაჲ... წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, ძველი ქართ. აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნ. 3, თბ., 1971.
6. ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, გამოსცა ს. კაკაბაძემ, ტფ., 1928.
7. ბადრიძე შ., ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის. — „მნათობი“, 1962, № 7.
8. ბარამიძე ა., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან, თბ., 1979.
9. ბარამიძე რ., ქართული საისტორიო პროზა, თბ., 1971.
10. ბასილ სოფენელი, გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1952.
11. ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889.
12. ბაქრაძე დ., პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები — „ივერია“, 1884, № 7, 8.
12ა. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
13. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979.
14. ბოგვერაძე ა., პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წ. საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
15. ბოგვერაძე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის, ძიებანი საქ. და კავკ. ისტორიიდან, თბ., 1976.
16. ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
17. ბოგვერაძე ა., „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე და მისი ავტორი. „ქართული ისტორიოგრაფია“, I, 1968.
18. ბოგვერაძე ა., ძიებანი V ს. საქართველოს ისტორიიდან — „მაცნე“, 1935, № 4.

19. ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ტფ., 1895.
20. გიორგაძე გრ., ხეთურ-არმაზული „ტრიადები". — „მნათობი", 1985, № 7.
21. გიორგი მცირე, ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ... გიორგი მთაწმიდელისაჲ, — ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ., 1960.
22. გოზალიშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962.
23. გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში. — „მაცნე", 1982, № 4.
24. გოილაძე ვ., ეგრისის ისტორიის ერთი ფურცელი. — „მნათობი", 1988, № 10.
25. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. — „მნათობი", 1983, № 11.
26. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია. — „მნათობი", 1985, № 4.
27. გოილაძე ვ., მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., — „მნათობი", 1987, № 4.
28. გოილაძე ვ., ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ეპოქაზე. — „ცისკარი", 1983, № 8.
29. გოილაძე ვ., რომელი ქვეყანაა ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" აბაშეთი?. — „მნათობი", 1984, № 7.
30. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990.
31. გოილაძე ვ., „ფირან გუშნასპის მარტვილობის" ცნობათა მნიშვნელობა V—VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. — „მაცნე", 1988, № 2.
32. გოილაძე ვ., VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის. — „მაცნე", 1979, № 1.
33. გოილაძე ვ., ქალაქი ანტიოქია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში". — „დროშა", 1986, № 1.
34. გოილაძე ვ., ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. — „მნათობი", 1984, № 11.
35. გოილაძე ვ., წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის. — „მნათობი", 1986, № 2.
36. გოილაძე ვ., ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული „თურქთა მეფე საბა" და „ჯიბღა ერისთავი". — „მაცნე", 1977, № 2.
37. გორგაძე ს., წერილები საქართველოს ისტორიიდან, II, ტფ., 1913.
38. გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.
39. გრიგოლია კ., ლეონტი მროველი — XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და მისი შესწავლის მდგომარეობა, უნ-ტის შრომები, თბ., 1960, ტ. 87.
40. დანელია კ., ჰინდო სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში". — „ლიტ. საქართველო", 1982, № 11 (12 მარტი).
41. ეახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973.

42. ზაქარიაა ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ქართული თარგმანი ო. ცქიტიშვილისა, თბ., 1975.
43. თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა..., სპბ., 1848.
44. თეიმურაზ I, იოსებ-ზილხანიანი, პოემები და ლექსები, ტფ., 1934.
45. იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი... — ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ., 1960.
46. ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. — „მნათობი", 1939, № 1, 2, 4.
47. ინგოროყვა პ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზ., ტ. IV, თბ., 1978.
48. ინგოროყვა პ., ძველი ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, თხზ., ტ. IV, თბ., 1978.
49. იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ქართული მწერლობა, 3, თბ., 1988.
50. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959.
51. კაკაბაძე ს., დიდგორის ომი, თბ., 1982.
52. კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959.
53. კაკაბაძე ს., თბილისი მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში. — „მნათობი", 1958, № 10.
54. კაკაბაძე ს., ძველი ქართული მატიანეები, საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924.
55. კაკაბაძე ს., ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, საისტორიო კრებული, წ. II, ტფ., 1928.
56. კახაძე მ., ასტერი ამასიელის „შესხმაჲ ფოკაჲსი", საქ. სსრ მეცნ. აკად. ენიმკის მოამბე, ტ. XIV, თბ., 1944.
57. კეკელიძე კ., ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია. — „ჩვენი მეცნიერება", 1923, № 4.
58. კეკელიძე კ., კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
. კეკელიძე კ., ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ეტიუდები, ტ. XII, თბ., 1973.
. კეკელიძე კ., ქართული კულტურის ორი დღესასწაული. — „მნათობი", 1929, № 5—6, 7.
. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.
3. კენჭოშვილი ნ., გორგასალის „ინდოეთზე ლაშქრობის" საკითხისათვის. ლიტერატურული საქართველო, 1984, № 33 (10 აგვისტო).
64. კიკნაძე რ., ქართლის ცხოვრება, ქსე, ტ. 10.
65. კოკოჩაშვილი გ., ვიგრის ფარი, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინ-ტის შრომები, ტ. XXXI, ქუთ. 1968.
66. ლარაძე პ., დილარიანი, ტფ., 1903.
67. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955.

68. ლეონტი მროველი, წამება წმიდისა... არჩილისი..., ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
69. ლოლაშვილი ი., ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ., 1978.
70. ლომინაძე ბ., საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია. — საღვთისმეტყველო კრებული, № 12, თბ., 1981.
71. ლომოური ნ., ბოლნისის სიონის საკითხისათვის. — „მაცნე", 1984, № 3.
72. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
73. ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989.
74. ლორთქიფანიძე მ., რედაქტორისაგან, ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VIII, თბ., 1977.
75. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
76. ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968.
77. მელიქიშვილი გ., საქართველო ახ. წ. I—III საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
78. მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958.
79. მოსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.
80. მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
81. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
82. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.
83. ორბელიანი გრ., სადღეგრძელო, თხზ., სრული კრებული, თბ., 1959.
84. ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
85. პატარიძე რ., ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები. — „მნათობი", 1984, № 1.
86. პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
87. ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
88. ყორდანია თ., ქრონიკები, I, ტფ., 1892.
89. სანიკიძე ლ., პონტოს სამეფო, ქსე, ტ. 8 (იხ. იქვე ლიტერატურა).
90. სანიკიძე ლ., ტაციტუსი ქართული „უმაღლესი განათლების" შესახებ, ძეგლი ენისა სწორია, თბ., 1987.
91. სიხარულიძე ე., ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963.
92. სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
93. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

94. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.
95. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოსცა ე. თაყაიშვილმა, ტფ., 1906.
96. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი ძველი სომხური თარგმანით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953.
97. ქასრაშვილი დ., ჯუანშერის ერთი ცნობის შესახებ, თბილისის უნ-ტის შრომები, ტ. 227, თბ., 1982.
98. ქორიძე ვ., ფრიდრიხ ბოდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ. — „ცისკარი", 1988, № 3.
99. ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
100. ყაუხჩიშვილი ს., ღია წერილი „მნათობის" რედაქციას. — „მნათობი", 1962, № 10.
101. შაიშმელაშვილი ი., უჯარმისა და მარაბდის ბრძოლები, თბ., 1978.
102. შანიძე მზ., გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში, „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში", წიგ. I, თბ., 1956.
103. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი „ცხოვრება", თბ., 1972.
104. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები — „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი", თბ., 1987.
105. ჩხეიძე თ., ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბ., 1984.
106. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
107. ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1988.
108. ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა... ეფრემისი, მამათა ცხოვრებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.
109. წამებაჲ და ღუაწლი... დავით და კოსტანტინესი. — ჩვენი საუნჯე, I, თბ., 1960.
110. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970.
111. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თხზ., ტ. I, თბ., 1979.
112. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, II, თხზ., ტ. II, თბ., 1983.
113. ჯავახიშვილი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
114. ჯავახიშვილი ივ, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. I, თხზ., ტ. VI, თბ., 1982.
115. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგ. I, ტფ., 1916.
116. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგ. I, თხზ., ტ. VIII, თბ., 1977.
117. ჯანაშია ლ., აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV—V საუკუნეებში (§ 1, 2, 3), ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1973.
118. ჯანაშია ლ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
119. ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906.

120. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
121. პიდატიუსის ქრონიკა, გეორგიკა, I, თბ., 1961.
122. Агафий. О царствовании Юстиниана. Перевод М. В. Левченко, М., 1953.
123. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, изд. второе, Ереван, 1971.
124. Анонимная сирийская хроника о времени Сасанидов, записки Ин-та востоковедения Ак. н. СССР, т. VII, М.—Л., 1939.
125. Аппиан, Сирийские дела. Перевод С. П. Кондратьева, ВДИ, 1946, № 4.
126. Армянская география VII века по Р. Х. Издал К. Патканов, СПБ., 1877.
127. Артамонов М. И., История Хазар, Л., 1962.
128. Бакрадзе Дм., Об источниках грузинской истории, Кавказский календарь, Тифлис, 1858.
129. Баладзури, Книга завоевания стран. Перевод с арабского П. К. Жузе, Материалы по истории Азербайджана, Баку, 1927.
130. Баратов С. Г., История Грузии, тетрадь II—III, СПБ., 1871.
131. Бартольд В., Историко-географический обзор Ирана, СПБ., 1903.
131а. Василевский В., Русско-византийские исследования. Жития Георгия Амастридского, Летопись занятий археограф. комиссии, в. 9, СПБ., 1893.
132. Гадло А. В., Этническая история Северного Кавказа IV—X вв., Л., 1979.
133. Гафуров Б. Г., Кушанская эпоха и мировая цивилизация, М., 1968.
134. Гидулянов П. В., Восточные патриархи в период четырех первых вселенских соборов, Ярославль, 1908.
135. Гидулянов П. В. Митрополиты в первые три века Христианства, М., 1905.
136. Гоиладзе В. И., А. В. Гадло. Этническая история Северного Кавказа IV—X вв., Л., 1979, „მაცნე“ 1981, № 4.
137. Гумилев Л. Н., Эфталиты и их соседи в IV в., ВДИ, 1959, № 1.
138. Даркот Б., География Турции, перевод с турецкого, М., 1959.
139. Джавахишвили И. А., Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи, ВДИ, 1939, № 4.
140. Джуаншер Джуаншериани, Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1986.
141. Дьяконов М М., Очерк истории древнего Ирана, М., 1961.
142. Егише.. О Вардане и войне Армянского. Перевод с древнеармянского И. А. Орбели, издал К. Юзбашян, Ереван, 1971.

143. Еремян С. Т., Раннефеодальные государства Закавказья в II VII вв. (кроме § 8, 9, 10), Очерки истории СССР III—IX М., 1958.
144. Еремян С. Т., Сюния и оборона Сасанидами кавказских про Известия Ак. н. СССР, армянский филиал, Ереван, 1941.
145. Еремян С. Т., Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов, 1939, № 1.
145а. Известия древних писателей, греческих и латинских о Скифии и К казе, т. I, в. 1, СПБ., 1893.
146. Ирано-византийские войны 6—7 вв., СИЭ, т. 6.
147. История Агван Моисея Каганкатваци, писателя X века. Перевод мянского К. Патканова, Тбилиси, 1861.
148. История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского М. А. Геворгяна, Ереван, 1953.
149. Какабадзе С., О древнегрузинских летописцах XI-го столетия, Тифлис, 1912.
150. Карпов С. П., Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII—XV вв., М., 1981.
151. Кекелидзе К. С., Историко-агиографические отрывки (Житие Даниила Столпника), ეტიუდები, ტ. VII, თბ., 1961.
152. Кулаковский Ю., История Византии (395—518), т. I, Киев, 1910.
153. Кулаковский Ю., История Византии (518—602), т. 2, Киев, 1912.
154. Курбатов Г. А., Ранневизантийский город (Антиохия в IV веке), Л., 1962.
155. Ломоури Н. Ю., К истории понтийского царства, Тбилиси, 1979.
156. Луконин В. Г., Завсевания Сасанидов на востоке и проблема кушанской абсолютной хронологии, Древний и раннесредневековый Иран, М., 1987.
57. Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.—Л., 1956.
58. Максимова М. И., К вопросу о выходе хеттов на южный берег Черного моря, ВДИ, 1948, № 4.
59. Манандян Я. А., О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954.
59а. Марр Н., Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. I, СПБ., 1900.
160. Марр Н. Я., Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам, Записки Вост. отд. русск. арх. общества, т. XIV, СПБ., 1901.
161. Марр Н., Крещение Армян, Грузин, Абхазов и Аланов святым Григорием, СПБ., 1905.
162. Матвеев С. М., Турция, физико-географическое описание, М.—Л., 1946.
163. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.

Менандр Византиец. Перевод с греческого, «Византийские историки», СПБ., 1861.
Мигдония, Энцикл. Брокгаус-Эфрон, т. 37.
Миллер В., Осетинские этюды, ч. III, М., 1887.
Михаил Брек, Список антиохийских патриархов, перевод с греческого. Труды киевской духовной Академии, 1874.
Мовсэс Каланкатуаци, История страны Алуанк, перевод с древнеармянского Ш. Смбатяна, Ереван, 1984.
Низибис, Еврейская энциклопедия, т. XI.
170. Новосельцев А., Печенги, СИЭ, т. 11.
171. Отзывы В. В. Болотова о сочинении студента Гамрекелова «Древнейшая история церкви в Грузии», Христианское чтение, 1898, вып. 4.
171а. Патканов К. Ванские надписи и значение их для истории передней Азии, Журнал Минист. нар. просвещения, 1883, декабрь.
172. Патканьян К., Опыт истории Сасанидов по сведениям, сообщаемым армянскими писателями, СПБ., 1869.
173. Петров П., Иран (физико-географический очерк), М., 1955.
174. Пигулевская Н. В., Города Ирана в раннем средневековье, М.—Л., 1956.
175. Пигулевская Н. В., Месопотамия на рубеже V—VII вв. н. М.—Л., 1940.
176. Пигулевская Н. В., Сирийские источники по истории народо СССР, М.—Л., 1941.
177. Пигулевская Н. В., Эдесская хроника, Палестинский сборник, в. (67), 1959.
178. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю. и др. История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958.
179. Плиний младший. Письма. Перевод М. Сергеенко и др. М.—Л 1950.
180. Полибий, Всеобщая история. Перевод с греческого Ф. Г. Мищенко т. II, М., 1895.
181. Правила святых Вселенских Соборов с толкованиями. Правила соборов I—IV, М., 1877.
182. Прокопий Кесарийский, История войн Римлян с Персами. Перевод с греческого. Дестуниса, кн. I, СПБ., 1876.
183. Путешествие профессора Эйхвальда к Каспийскому морю и по Кавказскому краю. Библиотека для чтения, т. 26, СПБ., 1838.
184. Ранович А., Восточные провинции Римской империи в I—III вв., М.—Л., 1949.
185. Сенковский О., Некоторые сомнения касательно истории Грузии, соч. т. VI, СПБ., 1859.
186. Сказания Приска Панийского. Перевод с греческого Г. С. Дестуниса, М., 1899.

187. Ставиский Б. Я., Средняя Азия, Индия, Рим, «Индия в древности», М., 1964.
188. Страбон, География. Перевод Г. А. Стратановского, Л., 1964.
189. Томсон Дж., История древней географии, М., 1953.
190. Тревер К. В., Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. — VII в. н. э., М.—Л., 1959.
191. Фаррар Ф. В., Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, перевод с английского, I, Петроград, 1902.
192. Фрай Р. Н., Наследие Ирана. Перевод с английского, М., 1972.
193. Хантадзе Ш. А., Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тбилиси, 1970.
194. Хинтибидзе Э. Г., Афонская грузинская литературная школа, Тбилиси, 1982.
195. Хроника Иешу Стилита, Н. В. Пигулевская, Месопотамия на рубеже V—VI вв. н. э., М.—Л., 1940.
196. Центральная Азия в кушанскую эпоху, т. I, М., 1974.
197. Цефетели Г. В., Армазская Билингва, Тбилиси, 1941.
198. Шестаков С. П., Лекции по истории Византии, т. I, Казань, 1915.
199. Эдесса, Энцикл. Брокгаус-Эфрон, т. 79.
200. Cabira, Enciclopedia Italiana, v. 8, Roma, 1950.
201. Christensen A., L'Iran sous les Sasanides, Copenhague, 1944.
202. Dubois de Montpereux Fr., Vojage Autore du Caucase, Paris 1839.
203. Honigmann E., Die Ostgrenze des Byzantischen Reiches, Bruxeles, 1935.
[illegible] Iaproth I., Reise in den Kaukasus und nach Georgien Unternommen in den Iahren 1807 und 1808, neue unveranderte Auflage, Leipzig, 1970.
205. Marcellini V. C. Comitis Chronicon, ...Cronica Minora, saec. IV—VII, Monumenta Germaniae Historica, Editit Th. Mommsen, V.II, Berolini, MCMLXI.
206. Marquart I., Eranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i, Berlin, 1901.
[illegible]. Marquart I., Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge. 2., unveranderte Auflage, Darmstadt, 1961.
208. Markwart Ios., Südarmenien und die Tigrisquellen, Wien, 1930.
209. Neccesaria, Enciclopedia Italiana, V.8, Roma, 1950.
21[illegible] aint-Martin I., Memoires historiques et géographique sur L'Armenie. T. second, Paris, 1819.
2[illegible]. Sistan, Enzyklopaedie des Islam, B. 4, Leiden, 1934.
212. Toumanoff C., Studies in Christian Caucasian History. Georgetown University Press, 1963.